ეთიკა

ბაკალავრებისათვის

სასწავლო კურსის

კონსპექტი

ლექცია I

ეთიკის საგანი. ეთიკური დისკურსის პარადიგმა. ეთიკის სამი სეგმენტი - მეტაეთიკა, ნორმატული ეთიკა, გამოყენებითი ეთიკა.

ვიწყებთ ეთიკის ველზე შესვლას

ანუ იმ სამყაროში, სადაც უნდა განვიხილოთ თუ როგორ უნდა ვეპყრობოდეთ ერთმანეთს: მე-შენ, შენ-მას, ჩვენ-ერთმანეთსა და გარემომცველ სამყაროს, ბუნებას, ცოცხალ არსებებს, ცხოველებს, მცენარეებს. ეთიკა გვეპატიჟება ახალ განზომილებაში შესასვლელად. საიდანაც ჩვენი თავი და გარემომცველი სამყარო უნდა ახლებურად დავინახოთ და შევაფასოთ. მთავარი აქცენტი ამ სივრცეში სამყაროს, სხვა ადამიანის, სიცოცხლის მიმართ მზრუნველობითი, ყურადღებიანი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და განვითარებაა. ფაქტია, რომ თანამედროვე ადამიანს ზოგადად უჭირს მორალური შეფასებების გამოტანა, მორალური მსჯელობების განხორციელება. ჩვენი დროის მახასიათებლად იქცა ე.წ .''აბსოლუტოფობია''-ფენომენი, რომელიც აღნიშნავს შიშს ღიად და არაორაზროვნად დავარქვათ არა მორალურ ქცევას-ამორალური. თანამედროვე ეთიკის სფეროს ფოკუსი ძირითადად მორალურ სიტუაციებზეა მიმართული. ეთიკის შესწავლა ჩვენგან მოითხოვს იმ საკითხებში ღრმად ჩახედვას, რომლებიც ჩვენს წინაშე ეთიკური შეკითხვების სახით წარმოსდგებიან. ჭეშმარიტი გამოწვევა გახლავთ სწორედ ის, რომ მოვიძიოთ მეტი, დავინახოთ და გავიგოთ უკეთესად; ძიების ამ გზაზე შესაძლებელია მოგვიწიოს აზროვნების შეცვლა კრიტიკულის მიმართულებით და ეს იქნება საუკეთესო შედეგი, რომელიც ეთიკური სფეროს ანალიზს მოსდევს.

****

დეფინიციის პრობლემა და ეთიკის სამი სეგმენტი

ეთიკურის სფეროს, რომელსაც თანამედროვე ფილოსოფიაში ხშირად მორალის ფილოსოფიასაც უწოდებენ, საქმე აქვს სწორი და მცდარი ქცევის კონცეპტებთან, ანუ იმასთან თუ რას ნიშნავს კარგი ქცევა და რას ცუდი. კაცობრიობის იდეათა განვითარების 26 საუკუნის მანძილზე არსებობს ეთიკისა და ეთიკურის მრავალი დეფინიცია, რომელიც სცდება ეთიკის სოკრატულ გაგებას (სოკრატეს მიხედვით ეთიკის ამოცანაა ზნეობის ბუნების სისტემური გაგების დაფუძნება, ძირითადი შეკითხვა რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი: "როგორ უნდა ვიცხოვროთ?" (იხ. პლატონის დიალოგი "სახელმწიფო" ca.3909 B.C).

ეთიკის ინტერესთა სფერო მოიცავს სამ ძირითად სეგმენტს: მეტაეთიკას, ნორმატულ ეთიკასა და გამოყენებით ეთიკას.

მეტაეთიკის კვლევის ინტერესი ეთიკური პრინციპების რაობა და გენეზისია. მეტაეთიკა პასუხობს ამ შეკითხვებს განსხვავებულად იმის მიხედვით თუ რა ორიენტირს ირჩევს ფილოსოფოსი, რაზე ახდენს ფოკუსირებას: უნივერსალურ ჭეშმარიტებაზე, გონების როლზე ეთიკურ მსჯელობებში, უზენაესის განგებულებასა, თუ უშუალოდ ეთიკურ ტერმინთა მნიშვნელობაზე.

ნორმატიული ეთიკის მიზანი უმალ პრატიკულია, ვთქვათ იმ მორალური სტანდარტების დადგენა, რომლებითაც შესაძლებელი იქნება ქცევათა რეგულირება. მაგალითად, სამაგალითო უნარ-ჩვევების არტიკულირების ნორმები, მოვალეობანი, რომელთაც უნდა მივდიოთ, ანდა ჩვენი ქცევის შესაძლო შედეგები საზოგადოებასა და გარემოზე.

გამოყენებითი ეთიკის სფერო ინტერესდება სხვადასხვა სპეციფიკური პრობლებებით, მაგალითად ცხოველთა უფლებებით, მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის ეთიკური ასპექტებით, კონტრიბუციონიზმისა და სიუციდის საკითხებით. მეტაეთიკისა და ნორმატული ეთიკის კონცეპტუალური იარაღის საშუალებით ხორციელდება გამოყენებით ეთიკა ცდილობს გადაჭრას დილემური სიტუაციები. ეთიკის ამ სამ არსობრივ სეგმენტს შორის (მეტაეთიკა, და ნორმატულ ეთიკასა და გამოყენებითი ეთიკა შორის) საზღვრები მკაცრად არ არის გავლებული. მაგალითად, სუროგაციის საკითხი გამოყენებითი ეთიკის ერთერთი თემაა, მაგრამ ის ასევე ზოგად ნორმატულ პრინციპებზეა დამოკიდებული, ანუ ემყარება ნორმატულ

პრინციპებს, როგორიცაა თვითრეგულირების უფლება და სიცოცხლის უფლება, რომელნიც ლაკმუსის ქაღალდის როლს ასრულებენ ამ პროცედურის ზნეობრიობის დასადგენად. საკითხი მეტაეთიკურ განასერზეც გადის, კერძოდ საკითხზე თუ "საიდან მოდიან კანონები?" და " ვის, რა სახის არსებათ აქვთ უფლებები?" "რა არის ადამიანი? და "არის თუ არა ჩანასახი ადამიანი?"

ტერმინი "ეთიკა" წარმოიშვა ძველბერძნული სიტყვიდან "ეთოს"- ქართულად: სახლი, ბუდე. მოგვიანებით, ამ სიტყვის მნიშვნელობამ ცვლილება განიცადა და იგი გამოიყენებოდა მოვლების ხასიათის, მის ბუნების აღსანიშნად. ფილოსოფიაში ეს ტერმინი დააფუძნა არისტოტელემ. ტერმინის ლათინიზებული ფორმა **moralitas** - მორალი (ეთიკა) ეკუთვნის ციცერონს, ბერძენი ფილოსოფოსების განმმარტებელსა და რომაელების ფილოსოფიურ ენის შემქმნელს. ტერმინის თავდაპირველი მნიშვნელობა ლათინურში ყოფაქცევას, ყაიდასა და ჩვეულებას აღნიშნავს. ლექციების მსვლელობისას ცალკე შევჩერდებით როგორც არისტოტელეს , ისე მარკუს ტულიუს ციცერონის ეთიკურ შეხედულებებზე, წავიკითხავთ და კრიტიკულად დავამუშავებთ მათ ტექსტებს.

***

ზოგადკულტურულ ლექსიკაში სხვადასხვა კონტექსტებში ძალიან ხშირად გვხვდება ორი ტერმინის: "ეთიკურისა" და "მორალურის" ურთიერთჩანაცვლება. ლექსიკონებში ზოგჯერ ერთი გამოიყენება მეორის განსაზღვებისათვის და პირუკუ. სინამდვილეში, ეს ტერმინები განსხვავებულნი არიან. როდესაც ვლაპარაკობთ "მორალურზე", ან "მორალზე", ჩვენ ვფიქრობთ ამ ველზე არსებულ ღირებულებებზე, როგორც ფიქსირებულზე, მათ არ ვაყენებთ კითხვის ქვეშ. მორალური საკითხები შედარებით მზა მსჯელობებზეა დამყარებული, სხვა სიტყვით, ამ ტერმინის გამოვიყენებთ იმ მორალური ღირებულებების აღსაწერად, რომელნიც ასე ვთქვათ "ხელთ გვაქვს".

"ეთიკის" საქმეა მორალის შესწავლა; უფრო ფართედ თუ ვიტყვით, მორალის თეორიული დაფუძნება- ძირითადი ცნებების დასაზღვრა-განმარტება, არსებული მორალური ღირებულებების სისტემატიზება. "ეთიკა" და"ეთიკური"აღწერს მორალურ ღირებულებათა კვლევის პროცესს, მათი საფუძვლების ანალიზს, ურთიერთკავშირებს, კონფლიქტებს.

არისტოტელეს აზრით ეთიკა მორალური ცხოვრების სიღრმისეული შრეს ხსნის. ეთიკა გვასწავლის მისწრაფებას ცხოვრებისეული კეთილდღეობისაკენ. იგი მოგვიწოდებს მუდმივი პასუხისმგებლობისაკენ, სიკეთის კეთებისაკენ. მისწრაფებაზე საუბრისას პირველ პლანზე გამოდის სურვილი/წადილი და არა იმპერატივი; მაგრამ ეთიკური ველი იმპერატივის გარეშე ვერ იარსებებს- მორალი გვჭირდება, რათა ავღნიშნოთ რეგულაციები: ქცევის ნორმასთან, ან კანონთან კავშირი. კანონსა და ნორმას ორი მახასიათებელი აქვს-უნივერსალურობა და იძულება-მათ არსს გამოხატავს „ვალდებულება“. ამ საკითხებს მომდევნო ლექციებში შევეხებით.

ეთიკური, კანონი, რელიგია

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია რეფლექსიის მიმართვა ეთიკურის, ადამიანის აქტივობისა და გამოცდილების იმ სფეროებისაგან გასამიჯნად, როგორიცაა: კანონი და რელიგია. ძალიან ხშირია მათი და ეთიკურის აღრევა.

მორალი აუცილებლობით არ ემყარება სამართლებლივ კანონს. იგი თავად აწვდის ბაზისურ საფუძვლებს ყველა მნიშვნელადი სამართლებრივი კანონისათვის. კანონი საზოგადოებრივი გამოხატულებაა სოციალური მორალისა და სანქციების მწარმოებელი.

ეთიკა არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ რელიგიას ქვემოთ მოყვანილი მიზეზების გამო:

- ღმერთის არსებობის დამტკიცება გონების ფარგლებში შეუძლებელია.
- რელიგიურმა ადამიანმა შესაძლებელია დაარღვიოს მორალური კანონი
- ათეისტმაც შეიძლება დაიცვას მორალური კანონი-იყოს მორალური.
- რთულია რელიგიის რაციონალური დაფუძნება, ეს გამოიწვევს მორალის რაციონალურ დაფუძნების გართულებას.
- თუ რელიგია ჩაითვლება მორალის საფუძველად, მაშინ რომელი რელიგია უნდა ჩაითვალოს ასეთად და ვინ გადაწყვეტს ამას?
- სხვადასხვა რელიგიებზე დაფუძნებულ ეთიკურ სისტემებს შორის წარმოშობილ კოლიზიები შეუძლებელია გადაიჭრას, თუ მათ გარეთ არ დავდგებით.

ეთიკა თავისი ბუნებით არც მკაცრად რელიგიურია და არც მკაცრად ათეისტური. იგი მოიცავს ორივე ტენდენციას და საშუალო ხედვებსაც.

* * *

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, ეთიკამ უნდა მოძებნოს პასუხი შეკითხვაზე-რა უნდა ვაკეთო? /როგორ უნდა მოვიქცე? შესაბამისად, მას საქმე აქვს ადამიანის ბაზისური საჭიროებებისა და ლეგიტიმური მოლოდინებთან. ეთიკა ჩვენგან მოითხოვს გავერკვეთ თუ ვინ ვართ და რას ვაკეთებთ და რა უნდა ვაკეთოთ, დავინახოთ საკუთარი თავი როგორც არა ერთად-ერთი, არამედ "ერთ-ერთი მრავალთა შორის". ეთიკა არ უპირისპირდება მე-ს, პიროვნულს, არ გამორიცხავს პიროვნულ საჭიროებებს და მოლოდინებს; მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ შენი, ჩვენი საჭიროებები და მოლოდინები გამორიცხულია. ეთიკურის ამგვარი გაგების თავისებურება ისაა, რომ აქ მხოლოდ მე-ს საჭიროებები, სურვილები და მოლოდინები არ აგებენ მთლიან სამყაროულს. ეთიკა აკავშირებს მე-ს სამყაროსთან, ისე რომ თვითობა არ ქრება-იგი იძენს სხვას, და ამით მდიდრდება.

გამოვყოთ ის პრობლემები, რომლებიც დგას ეთიკის წინაშე:

- სიკეთისა და ბოროტის, სათნოებათა და ვნებების კრიტერიუმის პრობლემა
- სიცოცხლის საზრისი და ადამიანის დანიშნულება
- თავისუფალი ნების პრობლემა
- ვალდებულების პრობლემა და მისი თავსებადობა ბედნიერებისაკენ ბუნებრივი სწრაფვასთან

* * *

ჩვენ დავიწყებთ დისკუსიებს და ვემზადებით სემესტრის ბოლოს შემაჯამებელი რეფლექსური პრეზენტაციის წარმოსადგენად. გარდა სავალდებულო ფილოსოფიური ტექსტების ანალიზისა, დავალებად მოგეცემათ მხატვრული ფილმების ნახვა და მხატვრული ნაწარმოებების წაკითხვა, მათზე მსჯელობა და მორალურ ჭრილში მათი ანალიზი. ჩვენ შეძლებისდაგვარად მოგაწოდებთ მასალებს, საჭირო ბმულებს ინტერნეტ სივრცეში, თქვენ კი დაგევალებათ დავალების ფარგლებში მცირე ზომის ესეების დაწერა. ჯგუფურად განხილვა პრობლემური საკითხებისა, დისკუსიისთვის შესაძლებელია მოვაწყოთ ე.წ. „სასამართლო პროცესი".

დავალება და კითხვები სასემინარო მეცადინეობისათვის

1) წაიკითხეთ არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკის“ პირველი წიგნი

სემინარზე ვიმსჯელოთ

განმარტეთ არისტოტელეს ფრაზა „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასი“ -1096
როგორ განმარტავს ეთიკის მიზანს არისტოტელე -თავი 1. 1095;

რა არის არისტოტელეს მიხედვით ქცევის მიზანი? -თავი 2

სიკეთე როგორც ბედნიერება წიგნი თავი 2.1095

დაახასიათეთ ცხოვრების სამი სახე- თავი 5

შეკამათება პლატონთან სიკეთის შესახებ -თავი-6

2) ქვემოთ ნახავთ პროვოკაციულ, შემაგულიანებელ კითხვებს, რომელზეც ამჟამად დაფიქრდით, და ეცადეთ მოკლე პასუხების ჩამოყალიბება თქვენი აზრის გამოთქმა თვენი პირადი გამოცდილებისა და დაკვირვების საფუძველზე,მორალური მსჯელობის იმ ელემენტების გამოყენებით რასაც თქვენ პირადად ფლობთ.

წარმოიდგინეთ, რომ ადამიანები მარადიულად ცხოვრობენ დედამიწაზე. როგორ მოერგებით ამ ვითარებას. გსურთ რომ იყოთ”იგივე მარად და მარად” და “არ სდევდეთ ჟამთა ცვლას”? რა დაემართება ეთიკასა და მის წესებს? მოუწევთ მათ შეცვალა, თუ არა?

შესაძლებელია, თუ არა რომ კომპიუტერს/ ხელოვნურ ინტელექტს ქონდეს მორალური უფლებები? რა სახის კომპიუტერს შეიძლება ქონდეს და რა სახის უფლებებზე შეიძლება ლაპარაკი?- რეკომენდირებული ფილმების ჩამონათვალიდან ნახეთ ფილმი“ ხელოვნური ინტელექტი“, მსჯელობისას გამოვიყენოთ მაგალითები ფილმიდან

რამდენათაა დასაშვები ისეთი ადამიანის შექმნა, რომელიც დაცლილი იქნება ნებელობითი უნარებისგან.

ნახეთ ფილმი „აპოკალიფსისი“ . გაანალიზეთ ფილმის მთავარი სიუჟეტი და შეადარეთ თანამედროვე ცივილიზაციის პრობლემებს, იმ . გამოწვევებს რომლის წინაშეც დგას თანამეროვე ადამიანი ტრადიციული ღირებულებების გადაფასების პროცესში.

ლექცია II

ბაზისური ეთიკური სტარტეგიები და ხედვები - დეონტოლოგიზმი და ტელეოლოგიზმი ეთიკაში

ეთიკის ისტორიის თითქმის 24 საუკუნის მანძილზე ფილოსოფოსები ეძებენ პასუხს შეკითხვაზე რა არის მორალური ქცევა? განსხვავებული ეთიკური მიდგომები ორი პრინციპულად შეურიგებელ ეთიკური სტრატეგიას - დეონტოლოგიურსა და ტელეოლოგიურს სტრატეგიას ემყარება.

ცხრილიში ნათლად ჩანს მათ შორის განსხვავება.

დეონტოლოგიური (მოვალეობისაკენ ორიენტირებული)	**ტელეოლოგიური (მიზნისკენ ორიენტირებული) სტრატეგია**
წესები განსაზღვრავენ შედეგებს	შედეგები განსაზღვრავენ პრინციპებს
ქცევის საფუძველი არის პრინციპი	ქცევის საფუძველი შედეგია.
პრინციპის სიკარგე დამოუკიდებელია შედეგის ავ-კარგიანობაზე	პრინციპი პირდაპირ კავშირშია შედეგის ავ-კარგიანობასთან.
შედეგი ყოველთვის წესის/ პრინციპის ფარგლებში ივარაუდება	პრინციპის დასარღვევად შესაძლებელია შედეგის გამოყენება

ტელეოლოგიური სტრატეგია მიზნისკენ არის ორიენტირებული. ამ სტრატეგიის მიხედვით ქცევა მორალურია, თუ მას კარგი შედეგი მოსდევს, შედეგი განსაზღვრავს ქცევის რაობას, ქცევა ვერ ჩაითვლება მორალურად, თუ მას არ მოჰყვება კარგი შედეგი. არსებობს ამ სტრატეგიის უფრო გართულებული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც წარუმატებელი შედეგის მიუხედავად, პოზიტიურია კარგი შედეგის დადგომისაკენ მიმართული მცდელობა, რადგან მას დადებითი ზეგავლენა ექნება საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე.

დეონტოლოგიური (ბერძნილი სიტყვიდან დეონ-სავალდებულო) სტრატეგია მოვალეობისაკენაა ორიენტირებული. ამ სტრატეგიის ფარგლებში მორალურია ნებისმიერი ქცევა, რომელიც არ არის დამოკიდებული იმაზე კარგად დასრულდება ის, თუ არა. ეს იმგვარად კი არ უნდა გავიგოთ, რომ დეონტოლოგიზმი ქცევის შედეგს სრულიად უგულვებელყოფს. ამ სტრატეგიის მიხედვით ქცევის რაგვარობის განმაპირობებლი არის არა მისი შედეგი, არამედ მორალური კანონი. იგი გულისხმობს, რომ პრინციპები, რომელთაც ეფუძნება მორალი უცვლელი ბუნებისანი არიან და არ არიან დამოკიდებულნი გარემოებებზე. სტრატეგიის ამოსავალი დებულება ფორმულირებულია შემდეგნაირად: "ქცევის რაგვარობა არ განისაზღვრება ქცევის შედეგით, არამედ კანონის მიმართ მოვალეობის აღსრულებით." ეთიკის ისტორიაში გამოიყოფა ოთხი ძირითადი თეორია, რომელიც დეონტოლოგიურ სტრატეგიას ატარებს.

პირველი მწყობრად გააზრებული დეონტოლოგიური სტრატეგიის კარკასი XVII საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსის და სამართალმცოდნის სემიულ ფონ

პუფენდორფის[1] სახელთანაა დაკავშირებული. მან პირველად შეიმუშავა მოვალეობათა ნათლად გაწერილი კლასიფიკაცია. მოვალეობებს სამი წყარო აქვთ- ა)გონებიდან მომდინარე ზოგადი მოვალეობები, რომელთა არსებობის გარეშე შეუძლებელია ადამიანთა თანაცხოვრება, ბ) კანონმდებელი ძალაუფლების დადგენილებებიდან მომდინარე მოვალეობები, რომელთა აღსრულება ევალება ადამიანს, როგორც სახელმწიფოს მოქალაქეს, გ) ღვთაებრივი არსის გამოცხადებიდან გამომდინარე მოვალეობები-ადამიანის, როგორც ქრისტიანის მოვალეობებია .

ეს უკანასკნელი თავის მხრივ ორი ქვეჯგუფად იყოფა:

1) თეორიული მოვალეობანი ავალდებულებს ადამიანს იცოდეს ღმერთის ბუნება და ექსისტენცია

2) პრაქტიკული მოვალეობანი- ადამიანს ავალდებულებს როგორც შინაგანად, ისე გარეგნული პრაქტიკებით უფალის თაყვანისცემას.

საკუთარი თავის მიმართ მოვალეობანი ასევე ორი სახის მოვალეობებად ჯგუფდებიან:

1) მოვალეობანი სულის მიმართ, აქ იგულისხმება უნარებისა და ნიჭების განვითარება

2) მოვალეობანი სხეულის მიმართ. აქ იგულისხმება სხეულის მოფრთხილება, ზიანის მიუყენებლობა მაგალითად სიმთვრალის, ნაყროვანების გამო, თვითმკვლელობა დაუშვებლად არის მიჩნეული.

მოქალაქის მოვალეობების ორი ქვეჯგუფია:

1) აბსოლუტური მოვალეობები, რომელნიც ადამიანის ნებაზეა მიბმული

2) პირობითი მოვალეობანი, რომელნიც ადამიანთა შორის დადებული კონტრაქტის რეზულტატია.

ტრადიციულად მორალური უფლებები ოთხი თვისებით ხასიათდებიან: ა) ისინი არიან ბუნებითნი, ანუ არც ერთეული ადამიანისა, თუ ადამიანთა ჯგუფის მიერ არიან გამოგონილნი, არც ხელისუფლების მიერ შექმნილნი და

---

[1] განმანათლებლობის ფილოსოფიის სულისკვეთებითაა დიზაინირებული პუფენდორფის სამართლის კონცეფცია, რომელიც თავის მხრივ მოვალეობათა თეორიას ემყარება.

დაშვებულნი. ბ) ისინი არიან უნივერსალურნი, რადგანაც უცვლელი სახით გვხვდებიან ყველგან, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. გ) ისინი არიან თანასწორნი ყველა ადამიანისათვის სქესის, რასისა და სოციალური სტატუსის მიუხედავად. დ) ისინი არიან განუყოფელნი ერთეული ადამიანისაგან, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს არ შეუძლია თავისი უფლება გადააბაროს სხვას. უფლებათა თეორები დეონტოლოგიურ სტრატეგიაზეა დაფუძნებული. ყველაზე პოპულარული და გავლენიანი XVII საუკუნის ბრიტანელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის კონცეფციაა. ლოკის მიხედვით ბუნების კანონები გვავალდებულებს, რათა არ ხელვყოთ სხვა ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრება. ისინი ადამიანის ბუნებითი უფლებებია, რომელნიც უფლის მიერაა ნაბოძები. ლოკის ამ თეორიას ეფუძნება ამერიკელი განმანათლებლის თომას ჯეფერსონის მიერ შექმნილი ადამიანთა უფლებების ბილი, რომელიც საფუძვლად დაედო შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციას. ჯეფერსონი სამ ფუნდამენტურ უფლებას აღიარებს. ესენია: სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერებისაკენ სწრაფვა. მასთან ერთად ამ სტრატეგიის სხვა ამერიკელი განმანათლებლობის თეორეტიკოსი თვლის, რომ ყველა სხვა სპეციფიკური უფლება: საკუთრების, აზრის გამოთქმის, დემონსტრაციის ჩატარების, რელიგიური სულისკვეთების გამოხატვის და ა.შ. დაიყვანება ზემოთ მოყვანილ სამ ბაზისურ უფლებაზე.

დეონტოლოგიურ სტრატეგიაზე დაფუძნებული მესამე მიდგომა ეკუთვნის იმანუილ კანტს. კანტის ეთიკური ხედვა არსობრივად ახალი სიტყვაა ეთიკის ისტორიაში, ესაა შინაარსობრივად ახალი ეთიკური სისტემის აგების ცდა. მის სისტემაში მახვილი ერთადერთ პრინციპზეა დასმული: ესაა მოვალეობის პრინციპი. კანტის მიხედვით არსებობს მხოლოდ ერთი ფუნდამენტური პრინციპი, რომელსაც უნდა მისდიოს ადამიანმა. ესაა აბსოლუტური პრინციპი მოვალეობისა, მას კანტი უწოდებს კატეგორიულ იმპერატივს. კანტთან იგი გონების თვითკმარი პრინციპია. ამ ხედვას ცალკე მეცადინეობას დავუთმობთ.

ტელეოლოგიური (ბერძნული სიტყვიდან ტელოს საბოლოო) სტარატეგიით დაფუძნებულ ეთიკურ თეორიებში მორალური ქცევა დეტერმინირებულია მხოლოდ ქცევის შედეგით. ის ქცევა მიიჩნევა მორალურად, რომლის მოსალოდნელი შედეგი მორალური. ტელეოლოგიურ სტრატეგიაზე დაფუძნებული თეორიები იქცა პოპულარულად XVIII საუკუნიდან. ამ სტრატეგიის შიგნითშეიძლება გამოიყოს სამი ქვეჯგუფი:

ეთიკური ეგოიზმი: ქცევა მორალურია, თუ მისი შედეგი მისაღებია მომქმედი სუბიექტისათვის.

ეთიკური ალტრუიზმი: ქცევა მორალურია, თუ თუ მისი შედეგი დადებითია ყველათვის გარდა მომქმედი სუბიექტისა.

უტილიტარიზმი: ქცევა მორალურია, თუ თუ მისი შედეგი მისაღებია ყველათვის

ტელეოლოგიურად სტრატეგიაზე დაფუძნებული ყველა თეორია ფოკუსირდება ადამიანთა განსხვავებული ჯგუფების ქცევების შედეგებზე, მაგრამ მათი დასკვნები განსხვავებულია.

ყველა ამ თეორიას უფრო ახლოს „შევხდებით" მომდევნო სალექციო საუბრებში და ტექსტებში, რომელთა წაკითხვა და ანალიზი დაგევალებათ.

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ

დავალება -წავიკითხოთ პლატონის დიალოგი „ევთიფრონი"

ეთიკურის სამყაროში მოგზაურობას ვიწყებთ ანტიკური საბერძნეთით. „ეთიკური დრამის" პირველი კონცეპტ-პერსონაჟი სოკრატეა, რომელიც ძირითადად პლატონის ადეულ დიალოგებით ხდება ჩვენთვის ცნობილი.

სოკრატეს ფილოსოფია ძირითადად ეთიკურითაა მოცული. -ცოდნა სოკრატეს მიხედვით არ არის თვითმიზანი . იგი პრაქტიკულ ინტერესთა დაკმაყოფილების საშუალებად გვევლინება. სოკრატეს ფილოსოფია ემყარება ფორმულას- „ ცოდნა სიქველეა და სათნოება, არცოდნა კი-ბიწი". ეს ფუნდამენტური პრინციპი მის ეთიკურ მოძღვრებას სრულად მსჭვალავს. ქცევის სწორი გზის ასარჩევად აუცილებელია ქმედების მიზნებისა და საშუალებების ცოდნა. თუ ჩვენ თავს ვიცნობთ, მაშინ ვიცით რა არის ჩვენთვის სასარგებლო და სასიკეთო, ცხადია საკუთარი თავისთვის ბოროტება არავის სურს, ამიტომ ყველა სიკეთეს ესწრაფვის , თუმცა არსებობს შემდეგი ფაქტორი: ვისთვის რას წარმოადგენს სიკეთე და რად ესახება იგი? რა ხერხებს მივმართავთ მის მოსაპოვებლად? სოკრატეს აზრით, რაც უფრო ზუსტია წარმოდგენა ანუ რაც უფრო კარგად და ღრმად ვიცით ესა თუ ის,მით უფრო ნათელია ჩვენი ნება, მით უფრო წმინდაა ჩვენი სწრაფვა, და უფრო მეტადაა მიმართული სიკეთისკენ. ცოდნა იგივე ზნეობაა. სიკეთის ძალა იმდენად უსაზღვროა, რომ იგი შეუძლებელია მოთავსდეს მარტოოდენ ცოდნის საზღვრებში,იგი ქმედით აქტებში მაინც გამოვლინდება. სოკრატე მას ადარებს ცეცხლს, რომელიც სითბოდ გადმოდის გარეთ. (აქ მოკლედ ავღნიშნავთ, რომ ანტიკურ ფილოსოფიაშივე არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრება. მაგალითად,

არისტოტელეს ამბობს რომ შეიძლება ადამიანმა იცოდეს რა არის სიკეთე მაგრამ მაინც ბოროტ საქმეს ჩადიოდეს).

ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე ბედნიერებას ესწრაფვის, თითოეულ ჩვენგანს სურს რომ ბედნიერი იყოს და არ არსებობს სხვა სურვილი.რომელიც შეიძლება ამას აღემატებოდეს.სოკრატე ბედნიერების მთავარ „ავგაროზად" (ატრიბუტებად) მიიჩნევს სიქველესა და სათნოებას, ადამიანში ნამდვილი არსი-როგორც სოკრატეს ღრმად სწამს-ადამიანის სულია,მხოლოდ სული აცოცხლებს მატერიას-სხეულს, ესაა ღვთაებრივი ნაწილი-მოკვდავში, ამიტომაცაა რომ სულის გაყრისთანავე იხრწნება და უკვალოდ ქრება იგი.მხოლოდ სულია უკვდავი და მარადიული,ამიტომ ჩვენი საზრუნავი სწორედ წარუვალზე ზრუნვაა,ვიდრე წარმავალზე,უნდა ვიფიქროთ მის სიწმინდეზე, მშვენიერებასა და სრულყოფილებაზე,სულს და მთლიანად ადამიანს ისე არავინ და არაფერი ამშვენებს როგორც „საქმენი საჩინონი". კეთილი საქმე ადამიანს ამაღლებს და ამსგავსებს თავად იდეალურს-ღმერთს,ინდივიდი ნელნელა უახლოვდება პირველქმნილს.

სოკრატე ასევე გამოყოფს ტკბობასა და განცხრომას, ეს ორი გრძნობა ბედნიერებაში არ უნდა აგვერიოს. ისინი უმეტესად ფიზიკური,ხორციელი ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი. ისინი მარად თან სდევენ ადამიანს. თავად სოკრატეს ცხოვრებისეული პრინციპი იყო სწორედ ამ გრძნობათა დათრგუნვა. მან მთელი თავისი ძალები მათზე გაბატონებას/ამაღლებას შეალია. სოკრატეს მიხედვით, ჩვენი სურვილების დაკმაყოფილების შედეგად ჩნდება ტკბობა,ბედნიერების სათავე კი სულ სხვა რამეა-იგი ხორციელი სურვილებისაგან განთავისუფლებას გულისხობს. პიროვნება წადილთა ნებას არ უნდა აჰყვეს, არ უნდა იქცეს საკუთარ ლტოლვათა, ვნებათა მორჩილი მონად. ამიტომაც ადამიანში უპირველესი მიზანი პატივმოყვარეობის, მდაბალი ინსტიქტების ,ავი ზრახვების დაკმაყოფილება კი არა, არამედ სულის სრულყოფილებისათვის ზრუნვაა. ესაა სწორედ სოკრატეს მოძღვრების ამოსავალი. იგი მოითხოვს ამ პრინციპის გაითავისებას. თუ ადამიანს სურს ცხოვრების გაუმჯობესება, მას უნდა მისდიოს.

პლატონის ადრეული დიალოგი „ევთიფრონი" ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია ანტიკური ეთიკური დისკურსში არსებული ერთერთი დილემური თემის- ტრადიციულ „ეთოსსა" და ახალი"ეთოსს " შორის წინააღმდეგობის- წარმოჩენის მიმართულებით. მისი მთავარი კონცეპტ პერსონაჟი -სოკრატეა. დიალოგში პოლითეისტური რელიგიის აღმსარებელის- ევთიფრონისა და ფილოსოფოსის- სოკრატეს მრწამსის დაპირისპირებით წარმოჩენილია მითოსურ და ფილოსოფიური ხედვებს შორის არსებული ფუნდამეტური განსხვავება. პლატონი ერთდროულად რამდენიმე მიზანს ისახავს: დაასაბუთოს პოლითეიზმის ზნეობრივი უმწეობა, მისი მითოლოგიური ტრადიციების უსაფუძვლობა და მისი კულტის უნაყოფობა; აჩვენოს ამ კულტის მსახურთა გონებრივი შეზღუდულობა; დასახოს სიწმინდისა და სამართლიანობის თანაფარდობის ტენდენცია; ამხილოს მითოლოგიურ ცრურწმენათა მავნე გავლენა და ადამიანის შეგნებაში გააღვივოს თავისუფალი აზროვნების მძაფრი წყურვილი, თვითმყოფობის, თვითრწმენისა და შინაგანი ღირსების ამაყი გრძნობა. ფილოსოფოსი სოკრატესთვისაც ცრუ და მანკიერია ყველაფერი, რაც დოგმატურია და ადამიანთა გონებაში ტრადიციებით, ცრურწმენებითაა ჩაბეჭდილი. ქურუმი ევთიფრონისთვისაც ჭეშმარიტია ის რასაც საკუთარი ტრადიციული

პოლითეისტური მრწამსი ასწავლის, ხოლო რაციონალური, გონითი მიდგომით გაკეთებული დასვკნები მიუღებელია; სრულიად ფუჭია ზედმეტი ფიქრი იმაზე, თუ რა არის სწორი ან არასწორი. არსებობს ერთადერთი ჭეშმარიტება-კარგია ის, რაც ღმერთებს მოსწონთ. ფილოსოფოსი ოსტატური კითხვებით და კამათის მისეული, ეშმაკური ხერხებით ქურუმს ხაფანგს უგებს და ერთგვარ გონით წრეში აქცევს, საიდანაც ეს უკანასკნელი გაქცევით შველის თავს.

დიალოგში ერთმანეთს უპირისპირდება ქურუმისა და ფილოსოფოსის არა მარტო რელიგიური, არამედ მორალური მრწამსიც. პირველისათვის ზნეობრივი ქცევის წესები ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია ადათით, ჩვეულებით, კანონებით, სარწმუნოებით. ყველაფერს განსაზღვრავს და განაპირობებს ტრადიცია. ამიტომ სრულიად ფუჭია და ზედმეტი იმაზე თავის მტვრევა, თუ რა არის მოსაწონი, დასაწუნი, მისაღები, უკუსაგდები. ფილოსოფოსი სხვაგვარად ფიქრობს: მისთვის ბრმა რწმენა კი არა, მხოლოდ ცნობიერი ქცევაა მორალური, მხოლოდ რაციონალურ შემეცნებას შეუძლია მყარ საფუძველზე დააფუძნოს ზნეობრივი ქცევის ნორმები. გონების ქმედითობის, აზროვნების გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი სიცოცხლე და იმისათვის, რომ მართებულად ვიცხოვროთ, მართებულად უნდა ვაზროვნებდეთ. ასე ერწყმის ცოდნა და მორალი ერთიმეორეს. სოკრატესათვის ყველაფერი, რაც შეცდომებისა და ილუზიებისაგან გვათავისუფლებს, მორალურია; და პირიქით, არამორალურია ის, რაც შეცდომებსა და ილუზიებს გვახვევს თავს და მათ ტყვეობაში კითხვას, თუ რა არის ობიექტურად ზნეობრივ, მორალურად სწორი საქციელი, პასუხი არათუ ანტიკურ ფილოსოფიაში, არამედ მთლიანად ფილოსოფიის ისტორიაში ერთმნიშვნელოვანი და ყველასათვის მისაღები პასუხი ვერავინ გასცა, ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეთ, რომ ეს დიალოგიც ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გარეშე მთავრდება

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ

დავალება და კითხვები

1. წაიკითხეთ პლატონის დიალოგი“ევთიფრონი“
2. სიწმინდის რამდენ განმარტებას სთავაზობს ევთიფრონი სოკრატეს. წარმოადგინეთ და ეცადეთ კრიტიკულად შეაფასოთ თითოეული
3. ევთიფრონის შეკითხვას „ესა თუ ის საქციელი იმიტომაა წმინდა, რომ ღმერთებს მოსწონთ, თუ იმიტომ მოსწონთ ღმერთებს, რომ თავისთავად წმინდაა?“ როგორ პასუხობს სოკრატე. დაფიქრდით რამდენად არგუმენტირებულია მისი პასუხი
4. სოკრატეს თვალსაზრსით სამართლიანის მაინც რა ნაწილია წმინდა?

5. დარჩა, თუ არა დიალოგში სიწმინდის არსი ფაქტობრივად განუსაზღვრელი?
6. როგორ მიგაჩნიათ, აღიქმება ამ ორი მსოფლმხედველობის ჭიდილი, როგორც რუტინისა და ნოვატორობის, დრომოჭმულისა და განახლების სულისკვეთების, სიბრძნისა და უმეცრების ანტაგონიზმი? დააასაბუთეთ პასუხი
7. რა მიზანს ისახავდა პლატონი ამ დიალოგით და მიაღწია მან თუ არა მიზანს?

ლექცია III

სიცოცხლის საზრისი და ადამიანის დანიშნულება
სათნოებები და კარგი ცხოვრების ცნება

"რა არის კარგი ცხოვრება?"

ჩვენი პასუხი ამ შეკითხვაზე თავისთავად დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რომელი კითხვიდან ამოვდივარ: უბრალოდ "როგორ ვიცხოვრო?" ან/თუ "როგორ **უნდა** ვიცხოვრო?"

ვიდრე გავარკვევდეთ არსებობენ თუ არა პოსტ-მეტაფიზიკური პასუხები ამ ერთის შეხედვით მარტივ შეკითხვაზე, გავიხსენოთ, რომ ფილოსოფიას, არსებობის 26 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, სჯეროდა, რომ ძალუძს გვიჩვენოს კარგი ცხოვრების მიღწევის საყოველთაოდ მნიშვნელადი, სწორი, სანიმუშო გზა. თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსის იურგენ ჰაბერმასის აზრით, პირველად კირკეგორმა შეძლო ყველაზე მეტად მიახლოვებოდა საკითხს. მან ეს მოახერხა ცნების "საკუთარ თავად ყოფნის შესაძლებლობა" შემოიტანით; (კირკეგორის ტერმინოლოგიით "ან-ან-ი"). პიროვნება, აცნობიერებს რა საკუთარ თავისუფლებას, უსვავს საკუთარ თავს ამოცანას, რომელიც თავადვე უნდა გადაწყვიტოს. კირკეგორი, მისი მიმდევრების, XX საუკუნის ექსისტენციალისტებისაგან განსხვავებით რელიგიური ფილოსოფოსია და პირად არჩევანში არ უშვებს თვითნებურებას. მისთვის ორიენტირი რწმენაა, უფალია- "აბსოლუტური სხვაა". პოზიტივისტებისათვის ეს სხვა უმალ ტრანსსუბიექტურია და არა აბსოლუტური. თანამედროვე დასავლური მორალური დისკურსი ეყრდნობა რა მსოფლხედვათა მრავალპოლუსიანობას, უფრო ზუსტად ღირებულებათა პლურალიზმს, არ იღებს აბსოლუტური, საყოველთაო ნორმებით აგებული მორალური აქტების

პარადიგმას. კონსიუმერისტული[2] საზოგადოება, რომელიც პრაგმატულადაა ორიენტრებული ფოკუსირებულია გონივრული ეგოიზმის, გონივრული სამართლიანობის საკითხებზე.

სიცოცხლის საზრისისა და ადამიანის დანიშნულების საკითხი ეთიკისთვის ერთერთი უძირითადესი პრობლემათაგანია. ეს ის საკითხებია, რომელზეც ეთიკა წარმოშობის პირველივე დღეებიდან იყო ფოკუსირებული.

ანტიკური ეთიკა ცდილობს პასუხი მოუნახოს კითხვას- რა არის ადამიანის დანიშნულება, რა არის ცხოვრების მიზანი? პასუხის ძიებისას მან გამოყო ორ ფუნდამენტურ პრინციპი:

1. ცხოვრების მიზანი -ბედნიერების განცდა
2. ცოდვის მიზეზი-სიკეთის არ ცოდნა.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ „ეთიკა“ სიტყვიდან „ეთოსიდან“ დაიბადა, რაც ძველბერძნულში ნიშნავდა - „ბუდეს“, ,ადგილს საიდანაც ადამიანი არის წარმოშობით, სადაც ის ცხოვრობს, გადატანითი მნიშვნელობით - ასევე, - წარმოშობას, ზნეს, ჩვევას, ტრადიციას, ქცევის წესებს, რომლებიც ტრადიციით იმართება და რომელნიც ამ ტრადიციის წყალობით იქცნენ ნორმებად, ან კანონებად ჩვევისა. „ეთოსი“-ტრადიციისა და ჩვეულების აზრით არის მემკვიდრეობით მიღებული თაობიდან თაობაში გადაცემული ნორმების ერთობა, ისინი განაპირობებენ ადამიანის ქცევების მორგებას სოციალურ გარემოსთან. არსებობს მოსაზრება, რომ მსგავსი რამ ცხოველთა სამყაროში ხდება, სადაც ცხოველი იმართება ბიოლოგიური ინსტინქტებითა და ქცევითი მექანიზმების წესებით.

სოკრატესთან ერთად, ანტიკურ ფილოსოფიურ დისკურსში, შემოდის ეთოსის ახალი, განსხვავებული გაგება. მასში ლაპარაკი აღარაა ტრადიციებით მიღებულსა და ჩვევებში განმტკიცებულ ქცევებზე, არამედ იმაზე, თუ როგორ **უნდა** მოიქცეს ადამიანი შინაგანი მრწამსისა და გონების კარნახით.

„ეთოსი“-“უნდა“-ს გაგებით,- დამავალდებულების, კატეგორიული იმპერატივის გაგებით განსხვავებული რამაა. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ის მოთხოვნები, რომელნიც აყალიბებენ გარკვეულ ჩვევებს, რომელთა დახმარებითაც ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრების პირობებს ერგება. ფორმალურ წესებს ქცევისა-ფორმალური კანონის დიქტატს., როდესაც ეს ხდება, „ეთოსის“ თავდაპირველი გაგება უპირისპირდება სოკრატისეულ “ეთოსს“, ანუ -იმას, რაც მე მევალება (შინაგანად, პერსონულად მე **უნდა**) უპირისპირდება ის, რაც მომეთხოვება რომ გავაკეთო (გარეგანი დიქტატი), სინდისი-პირობითობას. ამ

[2] მომხმარებელი

შემთხვევაში თავს იჩენს მორალის კრიზისი, რომელიც მოიცავს ჩვევებსა და ტრადიციებს, რომლებიც აგებენ სოციალურად ჩამოყალიბებული ფორმალური ღირებულებების კოდექსს. კრიზისი წარმოიშობა არა ამორალიზმის შედეგად, არამედ თავად თავად მორალის მოთხოვნებიდან გამომდინარე. უფრო ზუსტად, აქ საქმე გვაქვს ეთიკის კრიზისთან, რომლისთვისაც მორალი და მორალური არაა ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, არ არის ის,- რასაც უნდა შევეგუო კონფორმისტულად, ფორმალურად მივიღო როგორც სახელმძღვანელო. ეთიკური არის უკეთესის, პატიოსანის, სამართლიანის, მართებულის და სხვა მორალური ღირებულებების მუდმივად ძიების შინაგანი მოთხოვნილება, ისე რომ ადამიანის ნების განმსაზღვრელი და შემბოჭავი არ იყოს გარეგანი ფაქტორი-საყოველთაოდ მიღებული ტრადიცია და წესი. სინდისის და გონების ეთოსი აქ უპრისპირდება ხისტ განპირობებულობას. ესაა ახალი ტიპის ქცევისაკენ სწრაფვა. ხშირ შემთხვევაში იგი უპირისპირდება საზოგადოების მიერ დადგენილსა და მიღებულს. იგი უხმობს სინდისს რათა ეძიოს ჭეშმარიტი სიკეთე და არ დაკმაყოფილდეს საზოგადოებაში მიღებული მორალური ნორმების სისტემით, სამართლითა და კანონით. სინდისი ეთოსს კი არ აქვს და არც შეიძლება ქონდეს მზა, დასრულებული და სრულყოფილი სისტემა მორალური ნორმებისა, რომელიც გამოწერს „რეცეპტებს“ ყველა ცხოვრებისეული კოლიზიის გადასაჭრელად. მაგრამ ნონკორფორმიზმმა შესაძლებელია პოლიტიკური და სოციალური განდეგილობა მოუტანოს ადამიანს, რისი არაერთი მაგალითია მსოფლიო ისტორიაში. საილუსტრაციოდ გთავაზობთ ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილ ამბავს სოკრატეს გასამართლებისა. პირველი მორალის ფილოსოფოსი სიკდილით დაისაჯა როგორც ძველბერძნული „ეთოსის“ წინააღმდეგ მეამბოხე, პოლისში არსებული წესების უარმყოფელი. მსოფლიო ლიტერატურაში არსებობს არაერთი შედევრი-რომანი-სადაც მხატვრული ხერხებით არის აღწერილი მორალური კოლიზია პიროვნების შინაგან მორალურ მრწამსსა და საზოგადოებაში მიღებულ მორალურ ნორმებს შორის. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“, სერვანტესის „დონ-კიხოტი“, დოსტოევსკის „იდიოტი“... ამ პრობლემას ჩვენ მომდევნო ლექციებში მივუბრუნდებით დეტალურად. აქ კი, რეზიუმეს სახით გეტყვით, რომ მორალურობა და წეს-მიდევნება ორი სხვადასხვა რამაა. ბლეზ პასკალის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჭეშმარიტი მორალი დასცინის მორალს („ფიქრები“, ფრაგმენტი 4).

აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს საზოგადოებრივად გამყარებული მორალური ნორმების, ჩვევების, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების უარყოფის საფრთხე. უპირობოდ აბსოლუტურ უგულვებელყოფას მოყვება ნიჰილიზმის წარმოშობა, მორალურ ღირებულებათა გადაფასების უკიდურესი ფორმა-მათი ტოტალური უარყოფა. სოკრატე სწორედ ამის შესახებ გვაფრთხილებს პლატონის „კრიტონში“ (იხ. 427 S 4 ff; 53 a-53 c). ამაზე საუბრობს იგი დიალოგში“სოკრატეს აპოლოგია“, როდესაც მას სთავაზობენ ციხიდან გაქცევას. ტყვეობიდან თავდახსნის, მართლმსაჯულებისაგან გაქცევის მართლზომიერების საწინააღმდეგო არგუმენტი სოკრატესი ამგვარია-სამართლებრივი კანონის როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძვლის დარღვევა, გამოიწვევს მის კრახსა და ანარქიას. სახელმწიფო კანონების გარეშე არავისთვის არ არის მოსაწონი. კანონების გარეშე ცხოვრება შესაძლებლი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ყველა ადამიანი საკუთარი ნებით

დაემორჩილება გონების ეთოსს, უპირობო სამართლიანობის მოთხოვნებს. სოკრატეს მიაჩნია, რომ ეს შეუძლებელია, ამიტომ კანონი აუცილებელია, იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი არ შეესაბამება აბსოლუტური სიკეთის მოთხოვნებს და ამით იწვევს ეთიკური კონფლიქტების პროვოცირებას. ეთიკის საზრისის გატანა ფრჩხილების გარეთ არ შეიძლება. აქ ისმის შეკითხვები, რომელზეც პასუხების მოძიება ეთიკის არსობრივი ამოცანაა- რა ბუნებისაა აბსოლუტური/უპირობო სიკეთე? არსებობს აბსოლუტური/უპირობო სიკეთე და სამართლიანობა? და რა კავშირია მათ შორის? როდის, რა შემთხვევაში შეიძენენ პირობითი სიკეთე და სამართლიანობა დამავალდებულებელ მნიშვნელობას იმათთვის, ვინც უპირობო/ სოკრატულ ეთოსში ცხოვრობს? როგორია მიმართება აბსოლუტურსა და შეფარდებითს შორის? აქ მხოლოდ კითხვების არეალს მოვხაზეთ. მომდევნო ლექციებში კი ერთად ვეცდებით პასუხების მოძიებას. ამ მონაკვეთს კი დავასრულებთ გოგოლის სიტყვებით „მწუხარება მიპყრობს რომ სიკეთეს ვერ ვხედავთ სიკეთეში.“

ანტიკურობაში დაფუძნდა ცნება-***არეტე***[3] . იგი ეთიკის ფუნდამენტური ცნებაა. არისტოტელესათვის, ტერმინის ავტორისთვის ეთიკა არის: ა) ფილოსოფიური ცოდნის დარგი, ბ) განსაკუთრებულ მეცნიერება, დ) რაც მთავარია გ) ეთიკურ სათნოებებათა ერთობლივობა. იგია ასევე ტერმინის-არეტე-დამფუძნებელი.

სათნოება არის ის რასაც ყველასთვის სიკეთე მოაქვს. პლატონს შემოაქვს აბსოლუტური სიკეთის გაგება, რომელიც მეტაფიზიკურია. იგი მიუწვდომელი რეალობაა. ყველაფრი საფუძველია. ყოველი სათნოება მოითხოვს შესაფერის სიბრძნეს კეთილისა და ბოროტის შესაცნობად. ადამიანს არჩევანის გაკეთებისას ჩვევაში უნდა ქონდეს დახელოვნება.

არისტოტელესთან აბსოლუტური იდეა აღარ არსებობს. ეთიკა პრაქტიკულთანაა წილნაყარი. მიუხედავად იმისა, რომ “არეტე“ არისტოტელეს ეთიკისთვის ფუნდამენტური ცნებაა, მაგრამ იგი ეფუძნება „შუალედის მეთოდს“ და არა აბსოლუტურ იდეას. სათნოება არაა თანდაყოლილი, იგი ჩვევებით გამომუშავებულ ხასიათში ვლინდება.

არისტოტელეს ეთიკას უწოდებენ ევდემონისტურს. ამით უთითებენ იმაზე, რომ მისი ეთიკის ამოსავალი ცნება „**ევდემონია“** (εὖ δαίμων) -***ბედნიერებაა***.

ბედნიერების არსის გახსნისთვის არისტოტელეს შემოყავს ცნება ***ერგონი*- (ἔργον)-** საქმიანობა, აქტივობა, დანიშნულება, ასევე შესაძლებელია ითარგმნოს როგორც ფუნქცია.

---

[3] ამ ტერმინის ზუსტი სიტყვასიტყვითი თარგმანი არ არსებობს. ეს ზოგადი ტენდენციაა ბერძნული ფილოსოფიური ენისა. ქართულში გვხვდება-ტერმინები-სათნოებები, სიქველენი, კეთილმოსილებანი. სიკეთენი. ინგლისურში virtue- საკუთრივ სათნოება, excellence--გაწაფულობა, დახელოვნება.ქართულ ენაზე თარგმნილ ანტიკურ ფილოსოფიური ტექსტებში ძირითადად გვხვდება სიტყვა-სათნოება, თუმცა ხშირია სიქველეც.

ეგონის უმაღლესი გამოვლენა თეორიული, ანუ სულიერი ქმედებაა. არისტოტელეს მიჩნია, რომ ასეთი ქმედება ღმერთებს ახასიათებთ, ამიტომაც ადამიანში თეორიული, ანუ სულიერი აქტივობა ღვთაებრივი თვისებაა.

ბედნიერება სრულყოფილი ცხოვრებაა. ანუ ცხოვრება, რომელსაც არ აქვს ნაკლი. ასეთი ცხოვრება მიიღწევა სათნოებებით, ანდა სათნოებების შესაბამისი სულიერი საქმიანობით.

ბედნიერება არც ღმერთების მიერ ბოძებული საჩუქარია, არც სხვების დახმარებით, ან შემთხვევის წყალობით მოპოვებული. ბედნიერებას ადამიანმა თავად უნდა მიაღწიოს, თავად უნდა მოიპოვოს საკუთარი ქმედებებით. ბედნიერება იმგვარი სიცოცხლის მდგომარეობაა- რასაც"სავსე სიცოცხლეს"ვეძახით. ბედნიერება არსით არის სრულყოფილი ერგონი- აქტივობა, მოქმედება, რომლის დროსაც ადამინური ბუნების მაქსიმალურად შესაძლო აქტუალიზაციები ჰარმონიაშია. მასში, როგორც მიღწეულში შეუძლებელია დარჩენა, მას ვერც მფლობელობაში მივიღებთ. მაგრამ შეიძლება მისი რეალიზაცია ჩვენში და ჩვენი გავლით, ანუ ბედნიერი ადამიანი თვითაქტუალიზაციის გზით თვითსრულყოფას აღწევს. ბედნიერების მოპოვების გზაზე პირველ ადგილზე **ერგონს** გამოყავს **არეტე.** სათნოება კრიტერიუმიცაა და პირობაც ამ აქტივობისა (იხ. ნიკომაქეს ეთიკაში 1098 a5– 15, 1106a20–25) მაშასადამე გამოდის, რომ, სიკეთე გარკვეული თვისების მატარებელი აქტივობაა, რომელიც საკუთარი თავისკენაც ისწრაფვის. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ სათნოებებს ადამიანის აქტუალიზების პარამეტრები ვუწოდოთ. სხვა სიტყვით, რომ გამოვხატოთ ზემოთ თქმული, ბედნიერებისათვის მხოლოდ თეორიული აქტივობაა არაა საკმარისი, საჭიროა კიდევ ე. წ. „გარეგანი სათნოებები"-თავისუფლება, მეგობრობა, სხვ. მაგრამ მათი გონივრულად მოხმარების გარეშე ეს ყოველივე არარაობად იქცევა.

ადამიანის დანიშნულება არის ბედნიერება. იგი უმაღლესი მიზანია და მისი მიღწევას უნდა ემსახურებოდეს ადამინის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, მისი ყოველი ქმედება. ბედნიერება თავისუფლებისა და ზნეობრიობის საფუძველია. თავის მხრივ, სრულყოფილი ბედნიერება მათ გარეშე შეუძლებელია.

ბედნიერება სრული ცხოვრების ენერგიაა. ერთნი უმაღლეს სიკეთედ მიიჩნევენ სიამოვნებას. ისინი ცხოველური ცხოვრებით ცხოვრობენ. ეს მონური აზროვნების გამოხატულებაა, განათლებულის უმაღლესი მიზანი პოლიტიკურია. მისთვის უმაღლესი სიკეთე პატივისცემის მიღებაა, პოლიტიკური და სამხედრო ქმედებები მიმართულია სარგებლის მიღებისკენ. მხოლოდ თეორიული ქმედება საკუთარი თავისაკენ მიმართული. იგი იღებს უდიდეს სიამოვნებას შემეცნების პროცესში. თეორიული ქმედება ურთულესი დიანოეთიკური სათნოებაა. ის შეისწავლება.

ტერმინით ეთიკა არისტოტელე აღნიშნავს სულიერ თვისებებს, ადამიანის ხასიათის თვისებებს, ეთიკურ სათნოებებს.

არისტოტელე ეთიკურ სათნოებებს ანსხვავებს:

ბუნებრივი აფექტებისაგან- სხეულებრივი თვისებები (შიში, ტკივილი, ა.შ)

დიანოეთიკური სიკეთეებისაგან გონისმიერი თვისებები. (მეხსიერება, ა.შ.)

სათნოება ორგვარია-დიანოეთიკური-ინტელექტუალური და ეთიკური-ნებითი. პირველი სწავლების გზით წარმოიშობა, მეორე-ჩვეულებით გამომუშავდება. მთავარი დიანოეთიკური სათნოებაა; აქაა სიბრძნე, გონებრივი მოქმედება. ადამიანის მთავარი დანიშნულება გონიერი აქტების ქმედებაა.სათნოება იმას აქვს, ვინც მას გამოამჟღავნებს, ანუ იგი ქმედებით მიიღწევა. მხოლოდ ის ადამიანი აღწევს **„კალოკაგათიონს“**[4].

ეთიკური სათნოება ადამიანს ბუნებით არ ეძლევა მაგრამ მის გარეშეც არაა. ბუნება იძლევა სათნოდ გახდომის შესაძლებლობას. ეს კი მოქმედებით ხორციელდება, ადამიანი სამართლიანი ხდება მაშინ როდესაც სამართლიან აქტს ჩაიდენს. ეთიკური სათნოების არსება გულუხვობისა და ზომიერების შეთავსებაა.

ყოველი სიტუაცია, რომელიც მორალურ არჩევანს საჭიროებს კონფლიქტთანაა შეჭიდული. არისტოტელე, რომელსაც ეს გაცნობიერებული აქვს, გვთავაზობს მორალური დილემის გადაჭრის შესაძლებლობას. იგი ამბობს, ჩვენ ვიყენებთ სიტყვას „იცის“

1) იმაზე, ვისაც აქვს ცოდნა
2) და იმაზე, ვინც იყენებს ამ ცოდნას პრაქტიკაში.

შემდეგ აზუსტებს, რომ ცოდნა აქვს მხოლოდ იმას, ვისაც შეუძლია მისი გამოყენება. ამგვარად, თუ ადამიანმა იცის ერთი და სხვაგვარად იქცევა, მას არ აქვს ცოდნა და მხოლოდ არა ზუსტი წარმოდგენა აქვს მასზე. ჭეშმარიტი ცოდნა პრაქტიკულ მოქმედებაში გადის გამოცდას. კეთილგონიერება, როგორც გონიერი ერგონი ადამიანის მიერ მოიპოვება საკუთარი ორმაგი ბუნების გაცნობიერებისა და შინაგანი კონფლიქტის გადაჭრის შედეგად.

არისტოტელეს მიხედვით ყოველი მორალური ქცევის ამგები პრინციპი არის **ზომიერება.** ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ადამიანმა უნდა მონახოს შუა. ზომიერება გულისხმობს მოუთოკავი ვნებებისა და გრძნობათა „რედუქციას“, იგი გულისხმობს გაცნობიერებულ არჩევანს, რომელიც განსჯისთვის არის დამახასიათებელი. ამ განწყობის შედეგად ყალიბდება კეთილი ნება, რომელიც მყარდება ჩვევაში, ხასიათის თვისებაში. უმაღლესი სიკეთის მოპოვება ზომიერებაზე ორიენტაციის გარეშე, რომელიც თავის მხრივ სწორ განსჯას ემყარება, შეუძლებელია.

პოლიტიკური და მორალური არისტოტელესთან

არისტოტელეს განმარტებით ადამიანი პოლიტიკური ცხოველია, ამიტომ ეთიკის გამოვლენის ასპარეზი პოლიტიკაა. არისტოტელეს მიაჩნია რომ მოქალაქის ზნეობრივი აღზრდა სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა.

---

[4] მისი თარგმნა შეუძლებელია ერთი სიტყვით, იგი არ დაიყვანება არც ერთ ცალკე აღებულ ტერმინზე. ამ ტერმინში ერთიანდება მშვენიერი, კარგი, სრული, მაღალი სათნოება,

საზოგადოების მიზანი არის სიკეთე. ადამიანები სწორედ სიკეთის მისაღებად ერთიანდებიან სახელმწიფოში[5]. ამ გაერთიანებაში ადამიანები ერთმანეთს აძლევენ იმას რაც მათთვის აუცილებელია. სახელმწიფო იქმნება ბედნიერი ცხოვრებისათვის. ადამიანი დამოკიდებულია სახელმწიფოზე. პირადი ინტერესები, კერძო ექვემდებარება ზოგადს, ისე როგორც საერთოდ კერძო დამოკიდებულია ზოგადზე..

სახელმწიფოებრივ ფორმათა კლასიფიკაცია არისტოტელეს მიხედვით ეთიკურია-ფორმა ან სწორია ან არასწორი. სწორი, ანუ ეთიკური ფორმებია-მონარქია, არისტოკრატია, პოლიტეია. მათი მიზანი საერთო სარგებლობა. არასწორ ფორმებში აღინიშნება სისწორისგან გადახვევა-ასე, მონარქიიდან გადახვევა არის ტირანია, არისტოკრატიიდან-ოლიგარქია, პოლიტეიადან-დემოკრატია. საუკეთესო სახელმწიფო იქნება ის, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმუმი ბედნიერების უზრუნველყოფას მოქალაქეთა უმრავლესობისთვის.

სახელმწიფოს ბედნიერება იგივეა რაც მოქალაქის „კარგი ცხოვრება“. სხვა მიზანი მას არ აქვს. სახელმწიფო მოქალაქისგან მპითხოვს სათნოებას. სათნო არის ის, ვინც სახელმწიფოს ემსახურება. სამართლიანობა სახელმწიფოს ცნებასთანაა დაკავშირებული. იგი მხოლოდ სხვასთან კავშირშია. მეგობრული ურთიერთობის დამყარებაა პოლიტიკის ამოცანა. სამართლიანობა არის კერძო და საერთო. საერთო-რაიმეს მაგალითად- პატივის, ფულის-განაწილებისა და გადაცვლის საგანის გათანასწორებაშია. კერძოს დროს სამართლიანობა საშუალოს ემთხვევა. თანასწორობის გარეშე შეუძლებელია ადამიანთა ურთიერთობა, რომელიც გაცვლაში გამოიხატება.

არისტოტელესთან ეთიკური გადაზრდილია სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურში.

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ

დავალება :

1. წაიკითხეთ არისტოტელე ნიკომაქეს ეთიკა- წიგნი 2. მიაქციეთ ყურადღემა შემდეგ თემებს:
   ა) რა არის სათნოება და სახის სათნოებები არსებობს
   ბ) როგორ განმარტავს არისტოტელე „ეთიკას“ 1106 b
   გ) როგორ განმარტავს არისტოტელე praxis? – თავი 2; თავი 9.1263, 30-35.
   დ) ახსენით ზომიერების პრინციპი
2. წაიკითხეთ პლატონის დიალოგიდან -სახელმწიფო
   წიგნები. 1-2; მე-4 წიგნის 428- 439; 444- 445; მე-10 წიგნის- 612-614

[5] საზოგადოება და სახელმწოფო ერთიდაიგივეა არისტოტელესათვის.

ა) ინდივიდუალური და სოციალური ეთიკა პლატონთან. აქვს თუ არა ადგილი კერძოს/ინდივიდუალურს იდეალურ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში? სამართლიანობა და უსამართლობა- წიგნები 1-2
ბ) იდეალური სახელმწიფოს 4 კეთილმოსილება -მე-4 წიგნი 428-439
გ) სამართლიანი სახელმწიფო და სამართლიანი ადამიანი -მე-4 წიგნის 444-445
ე) სამართლიანობის თვითკმარი ბუნების თაობაზე- მე10 წიგნის, 612-614

სამოდელო სიატუაცია სამსჯელოდ:

სამსჯელო გთავაზობთ რეალურ ამბავს, რომელიც რამოდენიმე წლის წინ დასავლური მასმედიის ჰედლაინების ლიდერად იქცა. ლონდონში მეფე ედუარდ VII სახელობის საავადმყოფოს თანამშრომელთა საცხოვრებელ კორპუსში, სადაც დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის ექთანი ჯასინთხა სალდანხა საკუთარ მეუღლესა და მცირეწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრობდა, აღმოაჩინეს მისი გვამი. ავსტრალიერი ჟურნალისტებმა მიერ შეცდომაში შეყვანილმა 46 წლის ქალმა თავი მოიკლა. წინა დღეს სატელეფონო საუბარში ჟურნალისტები მას წარუდგნენ როგორც ბრიტანეთის დედოფალი და პრინც ჩარლზი და მოითხოვეს იქ გამოკვლევაზე მყოფ პრინც უილიამის ფეხმძიმე მეუღლესთან დაკავშირება. მათ შესძლეს პერსონული ინფორმაციის მოპოვება და საჯაროდ მასმედიაში გაახმიანეს იგი. საავადმყოფოს ადმინისტრაციას, რომელიც კარგად იცნობდა პასუხისმგებლიან და კვალიფიციურ ექთანს, არანაირი პრეტენზია არ წაუყენებია მისთვის. მან მიიჩნია, რომ სიცრუეში დამნაშავეა ის, ვინც იცრუა, ჯასინთხა კი-მსხვერპლია ამ სიცრუისა. ინდოელი ქალის მორალური კოორდინატა, რომელიც განსხვავებულ ნორმებს ემყარება, განსხვავებული გადაწყვეტილება მიაღებინა. მან ვერ გაუძლო სირცხვილს, იმის გაცნობიერებას, რომ მან გასცა სამეფო ოჯახის მიერ მისდამი მინდობილი საიდუმლო და მან თავი მოიკლა. ხოლო მისმა ოჯახმა მისი გადაწყვეტილება სიამაყით მიიღო.

ამ ფაქტმა დიდი დისკუსია გამოიწვია. ჟურნალისტები ეძებდნენ მოტივაცია, თუ რატომ მოიკლა თავი უდანაშაულო ექთანმა? ან რითი ამაყობდნენ მისი ოჯახის წევრები? დისკუსიაში აქტიურად ჩაერთო საზოგადოება. თანამედროვე დასავლური მსოფლიოსათვის გაუგებარი და მეტიც მიუღებელი გახდა ინდოელი ქალის ქცევა..

იმჯელეთ ამ ფაქტზე.

ზნეობრივად რამდენადაა გამართლებული ღირსების აღდგენა თვითმკვლელობით?

შესაძლებელია ზნეობრივად ჩაითვალოს ქცევა რომელის მოტივი ამოდის პირადი ინტერესიდან?

დეონტოლოგიზმისა და ტელეოლოგიზმის ფარგლებში განსაჯეთ ექთნის საქციელი. შეიძლება ის ჩაითვალოს მორალურ აქტად? რატომ? დაასაბუთეთ.

რეკომენდაცია გეძლევათ ნახოთ ფილმი *„ჩემი მფარველი ანგელოზი“. სემინარზე ვიმსჯელოთ იმ ეთიკურ საკითხებზე, რომელიც წამოჭრილია ფილმში. დილემური სიტუაციის გადაჭრის თქვენეული ვერსიები როგორი იქნება.,*

ლექცია IV

ეთიკური სუბიექტი-შეგნება, თვითშეგნება, თანაგრძნობა, სინდისი, ავტონომიურობა

ეთიკური სუბიექტი არის მორალური ღირებულებების მატარებელი ადამიანი. ეს ნიშნავს, რომ მას აქვს ცოდნა განასხვავოს სწორი და მცდარი, ღირესული და უღირსი, კარგი და ცუდი ქმედება, ანგარიშვალდებულია საკუთარ ქცევებზე, თავისუფალი ნებით აკეთებს მორალურ არჩევანს როგორ მოიქცეს, ეს არჩევანი ავტონომიურია და ხდება გარედან ზეწოლისა და ჩარევის გარეშე. იგი ატარებს მორალურ პასუხისმგებლობას მიზანმიმართულად არ მიაყენოს ზიანი, ვნება სხვას. მორალური შეგნების მაღალი დონეშეფასებისა და არჩევანის მაკონტროლებელი სინდისი თანაგრძნობის უნართან ერთად ქმნის ეთიკური სუბიექტს.

ეთიკური სუბიექტი „მორალური აქტიორია“ ერთ შემთხვევაში-ერთ სიტუაციაში იგი მორალური აქტის აღმასრულებელია, მეორეში- მხოლოდ მორალური ღირებულების მქონე.
თანამედროვე ფილოსოფიაში გვხვდება ტერმინი მორალური აგენტი.

მორალური შეგნება

ეთიკური სუბიექტის აღნაგში გამოიყოფა რამოდენიმე მახასიათებელი. მათ შორისაა მორალური შეგნება.

ეთიკური აგენტი მორალური შეგნების მატარებელია, იგი სრულად აცნობიერებს მორალური ნორმების არსს და მათი აქტუალიზაციის შედეგად აგებს მორალურ აქტს. მორალურ შეგნებაში მოქცეულია იმის ცოდნა თუ რა ევალება ადამიანს, როგორც პიროვნებას. რა არის კარგი და რა არის მიუღებელი/დაუშვებელი. მორალური შეგნების განვითარება მუდმივი პროცესია; მისი სრულყოფა მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს და პირდაპირაა დაკავშირებული პიროვნული თვითიდენტიფიკაციის პროცესთან, ადამიანის როგორც პიროვნების ჩამოყალიბების პროცესთან. მორალური შეგნების მაღალ საფეხურებზე, თვითგანვითარების ნების კარნახით, თვითცნობიერება თავად მართავს ამ პროცესს გარედან ჩარევის გარეშე. ამ რთულ და მრავალ პლანიანი პროცეში ჩართულია როგორც თავად სუბიექტური მე, ასევე „სხვა“- ოჯახი, გარემო, ეს უკანასკნელი უთოოდ გასათვალისწინებელი ფაქტორია და რიგ შემთხვევებში ეს„სხვა“ ორმაგ/სამმაგ სამუშაოს შესრულებას იღებს საკუთარ თავზე. აქვე უნდა არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ მორალური შეგნების დონე განისაზღვრება მეტყველების, ლოგიკური რეფლექსიის, ენობრივი გარემოს, სოციოკულტურული კონტექსტის განვითარების კვალობაზ, ასევე სოციალური ინტერაქციის გამოცდილებითა და ჩართულობის ხარისხით და ემოციურ-გრძნობითი განვითარებით.

ამ კონტექსტში უნადა გავიხსენოთ საკითხი, რომელიც პიროვნების მორალური აღზრდას შეეხება, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა განმანათლებლობის ფილოსოფიაში. კონკრეტულად ფრანგულ განმანათლებლობაში იქმნება ჟან-ჟაკ რუსოს მორალური ტრაქტატი“ ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა განათლების მეცნიერების ფილოსოფიურ საფუძვლებს. რუსო მიიჩნევს, რომ მთავარი დანიშნულება სააღმზრდელო პროცესისა უნდა კონცენტრირდეს მორალური ნორმების ჩანერგვაზე მაღალი გრძნობების- კაცთმოყვარეობის, სიკეთის ქმნის, სხვ, მიმართულებით. ეს პროცესი საბოლოო ჯამში მიმართულია საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანია აღზრდისკენ.

ზნეობრივი აღზრდის წინაშე რუსო სვავს სამ მთავარ ამოცანას: კეთილი გრძნობების, კეთილი მსჯელობებისა და კეთილი ნების გამომუშავებას. უპირველეს ყოვლისა ბავშვში აუცილებელია განვავითაროთ დადებითი ემოციები, რომელიც მიმართული უნდა იყოს ადამიანების მიმართ ჰუმანურ დამოკიდებულებაზე, სიკეთეზე, თანაგრძნობაზე. ეს ყოველივე მიიღწევა არა ხისტი მორალიზებით, არამედ კარგ ადამიანებთან და კარგ მაგალითებთან უშუალო ურთიერთობით. რუსო გვირჩევს მოვაცილოთ ახალგაზრდა დიდ ქალაქებს, სადაც ადამიანთა ზნეობა იდეალისაგან ძალიან შორსაა. რუსოს დებულება იმის შესახებ, რომ თავისუფლება ადამიანის ერთერთია ბუნებითი უფლებებითაგან, პედაგოგის როლი იმაშია რომ მან განავითაროს აქტიურობა, ინიციატივები ზეწოლის გარეშე გაიზიარეს თავისუფალი აღზრდის კონცეფციის მიმდევრებმა.

ცნობილია, რომ რუსოს იდეებმა გავლენა იქონია იმანუელ კანტზე. იგი წერს, რომ რუსოს უმადლის მსოფლხედვის შეცვლას- „შემეცნების დაუოკებელმა წყურვილმა შემიპყრო... იყო დრო, როცა ვფიქრობდი, რომ ყოველივე ეს ღირსებას შემატებდა კაცობრიობას და მეზიზღებოდა უბირი ხალხი. რუსომ გამომასწორა. ეს თვალისმომჭრელი უპირატესობა ქრება; მე ვსწავლობ ადამიანთა პატივისცემას“- ისიც ცნობილია, რომ რუსოს პორტრეტი ცხოვრების ბოლომდე ამშვენებდა კანტის კაბინეტს.

რუსოს კონცეფციის გავლენით იქმნება ფსიქოლოგიაში პიროვნების მორალური შეგნების ტიპოლოგიზაციის ტრადიციული სქემა:

მორალური შეგნების დონის არ არსებობა- ვერბალურამდელი დონე (3 წლამდე)

პატერნალისტური დონე (3-6-7 წელი)- ორიენტაცია დასჯა-დაჯილდოებაზეა, კარგია ის, რასაც სიამოვნება და კმაყოფილება მოაქვს, ეს კმაყოფილება რომ მივიღოთ და სასჯელი თავიდან ავიცილოთ, მშობლებს უნდა დავუჯეროთ. საქციელი კარგია ან ცუდია, თუ ასე აფასებენ მას უფროსი ადამიანები, ქცევა ფასდება მისი შედეგით.

კონვენციური დონე (7-12 წლამდე)- ინტრუმენტული ჰედონიზმი (საპასუხო სამართლიანობა) როგორც მორალური პოზიციის აგების პრინციპი. სხვებს ისე უნდა მოეპყრო, როგორც ისინი გეპყრობიან. კარგია ის, რაც საკუთარი სარგებლისთვის გამოგადგება. კარგია საქციელი, თუ ის შეესაბამება სოციალურ ინტერაქციის დადგენილ წესებს.

რეფლექსური დონე. ღირებულებები: ურთიერთ მოლოდინი და თანხმობა. კარგია ის, რაც ჯგუფის, სოციუმის ინტერესებს შეესატყვისება, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოებას, ნორმალურად იფუნქციოს და თავიდან აიცილოს ქაოსი,

ერთმანეთს "ოქროს წესის" მიხედვით უნდა მოვექცეთ. ქცევა კარგია, თუ ის გამოსადეგია საზოგადოებრივი სიკეთისთვის და შეესაბამება ჩემს მოთხოვნებს.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დონე- მორალური სიმწიფის დონეა. ორიენტაცია აბსოლუტური, უნივერსალური იმპერატივებისკენ. კარგია ის, რაც ხელს უწყობს სამყაროში სიკეთის გავრცელებას. ქცევა კარგია თუ მას სამყაროსადმი სიყვარული უდევს და ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს განამტკიცებს.

მორალური გრძნობის-თანაგრძნობის-ემპათიის გამომუშავება- გულისხმობს მორალური პრინციპებისადმი, ღირებულებებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას; რაც საბოლოო ჯამში ზნეობრივი ქცევების აქტუალიზებისაკენ აღძრავს ადამიანს.

ადამიანისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მორალური პრინციპების ცოდნა, აუცილებელია შინაგანი განცდის ქონა მათ მიმართ. მორალური შეგნების მატარებელი თანაგრძნობის განცდის უნარის მატარებელიცაა, რაც განაპირობებს მის მიერ მორალურად ორიენტირებული აქტების განხორციელებისათვის მზაობას. მორალური აქტის აღსრულება პერსონული ავტონომიური ნების შედეგია- ნებელობითი პროცესია და მისი აღსრულებისათვის აუცილებელია სხვისი ჭირ-ვარამის, ტკივილისა და განსაცდელის გაზიარება, შინაგანი განცდა სხვისი პრობლემებისა და ამ თანაგანცდის საფუძველზე ქმედება.

სინდისი

მორალური აგენტის (**მ. ა.**) სპეციფიკური მახასიათებლია სინდისი. მოკლედ შევეხოთ **მ. ა.** ამ მდგენელს.

ფილოსოფიურ სწავლებათა ისტორია წარმოუდგენელია სინდისის კონცეპტის გათვალისწინების გარეშე, ანტიკურობაში ცალკე კონცეფცია სინდისის შესახებ არ არსებობს, იგი სხვა ეთიკურ-რელიგიურ ცნებებთან არის გადაჯაჭვული და მისი გახსნა შესაძლებელია სწორედ ამ პერსპექტივაში. გავიხსენოთ „სოკრატეს დაიმონი“ , მასზე წინა ლექციაზე გვქონდა საუბარი და აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. ანტიკური ფილოსოფოსები მიიჩნევდნენ რომ რომ სინდისი ყოველთვის არ არის სწორი გზის უცვლელი მაჩვენებელი, რადგანაც სინდისის შეცდომებიც არსებობს.

სქოლასტიკაში იქმნება საფუძველი სინდისის შესახებ სწავლების თეორიული დაფუძნებისთვის. იგი უშუალოდ ქრისტიანულ დოგმატებიდან ამოდის.

ცხოვრებისეული კოლიზიებში სინდისისა და მოვალეობის გრძნობის ცვალებადი ბუნების გასამიჯნად სქოლასტიკოსებმა შემოიტანეს უცვლელი მყარი საფუძვლის მქონე ტერმინი „synderesis“. კვლევისას განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ცნების „Casus consciousiae“ ანალიზი, რომელსაც ლოგიკურად მოყვება სინდისის თეორიული დასაბუთება ქრისტიანული დისკურსის შესაბამისად.

განსაკუთრებული წვლილი სინდისის ცნების განმარტებაში შეაქვს თომა აქვინელს. იგი თვლის, რომ სინდისი არ არის პოტენცია რომლისგანაც გამომდინარეობს ადამიანის ქცევის პრინციპები. სინდისი მას წარმოუდგენია ზნეობრივი პრინციპების თანდაყოლილ ორგანოდ, რომელსაც ემყარება მორალური მსჯელობა. თომა განასხვავებს გონით სინდისს- conscientia-ას; ესაა რთული ქცევა, აქტი, რომელიც უკვე აღსრულებული ქცევითი ქმედების შედეგია.

განმანათლებლობაში სინდისის ცნებას ყურადღებას უთმობს კანტი. მისთვის სინდისი შინაგანი მსაჯულია, რომელიც მისი კუთვნილებაა და არა გარედან მოხვეული, ცხოვრებისეული გამოცდილებების შედეგად შეძენილი რამ. იგი გამოდის მსაჯულის როლში, რომელიც უპირობოდ უტყუარია. სინდის შეცდომები არ მოსდის. ფიხტე ცნებით „Sittenlehre“ უფრო მტკიცედ იცავს ამ პოზიციას.

თანამედროვე ფილოსოფიაში ამ ცნებას დიდ ადგილს უთმობს ნიცშე . იგი უძღვნის ცალკე წიგნს „მორალის გენეოლოგია“, სადაც იგი მსჯელობს რელიგიური მორალის უარყოფით და დამღუპველ გავლენებზე. ორმაგი მორალის გაგებაზე, რომელიც აუქმებს როგორც სინდისს, ასევე მორალს.

თანამედროვე ფილოსოფიაში სინდისის პოზიტიური ინდივიდუალისტური განმარტებები გვხვდება ექსისტენციალიზმში ა. კამიუ, სენტ-ეკზიუპერი, მ. ჰაიდეგერი, და სიცოცხლის ფილოსოფიაში- ა. შვაიცერი, ე. ფრომი.

ერიჰ ფრომი მას უძღვნის“ავტორიტარული სინდისის“ სახელდებულ ცალკე კვლევას. ფრომი თვლის, რომ ადამიანის ჭეშმარიტი არსებობა შესაძლებელია იყოს განპირობებული მხოლოდ ჰუმანური სინდისით, რომელიც აიძულებს ადამიანს არ დაემორჩილოს სხვის ინტერესებს. სინდისიანი ადამიანი ემორჩილება მხოლოდ იმ კანონებს, რომელთაც თვლის სავალდებულოდ საკუთარი თავისთვის. ფრომი იმეორებს კანტის წინააღმდეგ მიმართულ სარტრის პოზიციას ავტონომიური ნების თვითკანონმდებლობის შესახებ და დებულებას ზოგადსაკაცობრიო მორალური კანონის თაობაზე. ამის საწინააღმდეგოდ ის თვლის, რომ ადამიანის პირადი მსჯელობა და უნივერსალური კანონი საერთოდ არ ემთხვევა ერთმანეთს. მორალური სიტუაცია სუბიექტურად უნდა იქნეს აღქმული და შეფასებული. შესაბამისად სინდისი არ არის

უნივერსალური. არ არსებობს მორალური სიტუაცია, სადაც გადაწყვეტილება დედუქციური მეთოდით უნდა მივიღოთ. ყველა პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ საკუთარ სინდისზე დაყრდნობით. ცხოვრება საკუთარ სინდისთან ურთიერთქმედების ხელოვნებაა. სინდისი ადამიანს ახსენებს მხოლოდ საკუთარ მორალურ მოვალეობებს, უპირველესად საკუთარი თავის წინაშე, და არა აბსოლუტის, უზენაესი არსების, ავტონომიური ნების, სოციუმის წინაშე.

სინდისი არის მოვალეობის შეგნება და პასუხისმგებლობა საკუთარი ქცევების გამო როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვათა წინაშე. სინდისი ადამიანის ქმედებების მამოძრავებელი განზრახვების შინაგანი მსაჯულია. სინდისი ერთგვარი ზნეობრივი რეფლექსიაა, რომელიც მყისიერად რეაგირებს ამორალურ აქტზე. სუფთა სინდისი ადამიანს აქვს მაშინ როდესაც იმას აკეთებს რასაც მისი შეგნება და მოვალეობა მიიჩნევს საჭიროდ. სინდისი საზომია არა გარეგანი იძულება, არამედ შინაგანი განზრახვა და ნების განსაზღვრულობა. სინდისის მოთხოვნა ადამიანის შინაგანი პასუხისმგებლობაა თვითშეგნების გამოვლენის მაღალი დონე. სინდისი ვლინდება პატიოსნებასა და გულწრფელობაში. იგი-ადამიანის ღირსებაა. ადამიანს აქვს მორალური ღირებულებების გარჩევი უნარი და მათი დარღვევა წარმოშობს სირცხვილს. ეს გრძნობა საკუთრივ ადამიანურია. სირცხვილის გრძნობა სინდისიდან ამოიზრდება.

ავტონომიურობა

ავტონომია არის იძულების გარეშე რაციონალურად ქმედება. ეთიკური სუბიექტი ავტონომიური არსებაა.

დავსვათ შეკითხვა რა სპეციფიკური პირობებია საჭირო იმისათვის, რომ ადამიანი ჩაითვალოს ავტონომიურ არსებად?

ავტონომიისათვის საჭირო პირველი პირობა არის ის რომ მას ქონდეს რაციონალური გადაწყვეტის მიღების უნარი.

რაციონალური გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს, რომ ავტონომიურ ადამიანს შეუძლია

1. მიზნებისა და ამოცანების გამოყოფა და მათი დაჯგუფება პრიორიტეტულობის მიხედვით;

2. იმ ალტერნატული საშუალებების იდენტიფიცირება, რომლებიც მიზნის მიღწევაში დაეხმარება;

3. ყველა შესაძლო მოსალოდნელი და მოულოდნელი შედეგების გათვალისწინება (გარკვეულ გონივრულ დონემდე);

4. ამ შედეგების შეფასება;

5. იმ საშუალებების შერჩევა, რომელნიც ეხმარება მას მიზნის მიღწევაში და თავიდან აცილებს მოულოდნელ შედეგებს;

6. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დამატებითი ალტერნატივების მოძიება;

7. გადაწყვეტილების შედეგად მიღებული რეზულტატის შეფასება, იმისათვის რომ მომავალში უკეთესი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული.

გასათვალისწინებელია, რომ რაციონალური გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ხელისშემშლელი შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ჩამოშორება.

შინაგან ფაქტორებს მიეკუთვნება: გადაჭარბებული ემოციონალიზმი, უყურადღებობა, ცრურწმენები, ინტერესის ნაკლებობა, დაბნეულობა, გულმავიწყობა რელევენტური შესაძლებელი მონაცემების არ ცოდნა, მენტალური სიზარმაცე, კრეატიულობის ნაკლებობა, ნორმატული მსჯელობის შესრულების უნარის არ ქონა.

გარეგანი ფაქტორებია: სხვადასხვა გასართობები, რელევანტური მომაცემების მიმართ მოურგებლობა, სრული უმეცრება, ან განათლებისა და წვრთნის უარყოფა, არაზუსტი ინფორმაციის მიღება, დროისა და ენერგიის არასრულყოფილად გამოყენება.

იმისათვის რომ ადამიანი ავტონომიური იყოს მეორე საჭირო პირობა არის გარეგანი იძულების გარეშე გადაწყვეტილების მიღება.

გადაწყვეტილებას ვერ ვუწოდებთ იძულების გარეშე მიღებულს თუ:

1. არსებობს საკმაო რესურსი, რომლის გარეშეც სპეციფიკური ალტერნატივები ვერ განხორციელდება. იგულისხმება: დრო, ადამიანური რესურსი, შანსი, კომუნიკაციები და ა.შ.

2. არ არსებობს ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და ა.შ ბარიერები;

3. არ არსებობს ბუნებრივი, ან შემთხვევის გამოისობით გამოწვეული უუნარობა.. იგულისხმება გონებრივი ჩამორჩენა და მსგავსი მენტალური დაავადებები, სისუსტე, ავადობა, ნარკომანია, ან ალკოჰოლია. და სხვ.

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ

დავალება:

ვკითხულობთ არისტოტელეს“ ნიკომაქეს ეთიკას ‘’

ვმსჯელობთ:

სულის სამი ნაწილის შესახებ წიგნი 6.თავები- 2 3

პოლიტიკა და სიბრძნე წიგნი 6, თავები 7 და 10

სათნოებები და უზნეობა- წიგნი 7

მეგობრობა-წიგნი 8

***

სპინოზას მიაჩნდა, რომ აფექტი გამოხატავს როგორც ადამიანის სულის მდგომარეობას, რომელიც ყოველთვის ივსება გარკვეული იდეებით, ასევე მის სხეულთან, რომლის შესაძლებლობაც გარკვეული მოქმედებებისთვის შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს შესაბამისი აფექტური მდგომარეობების ზემოქმედებით. ადამიანი ცდილობს შეინარჩუნოს თავისი არსებობა. სპინოზამ ამ სწრაფვას მოზიდვა უწოდა. სულის მიერ რეალიზების შედეგად, ეს ხდება სურვილი, რომელიც ’’არის ადამიანის არსი, რადგან იგი, როგორც ჩანს, განისაზღვრება ნებისმიერი მოქმედებისათვის მისი მოცემული მდგომარეობით’’ სპინოზა ასევე მოიცავს სიამოვნებას და უკმაყოფილებას მთავარ გავლენას შორის. სიამოვნებით მას ესმოდა *’’ადამიანის გადასვლა მცირედი სრულყოფილებიდან უფრო დიდზე’’ და უკმაყოფილებით ’’ადამიანის გადასვლა უფრო სრულყოფილებიდან ნაკლებზე’’).ეს სამი ძირითადი გავლენა - მიზიდულობა, სიამოვნება და უკმაყოფილება - ერთმანეთთან უამრავი მეთოდით შერწყმული, ქმნის სხვა უამრავ გავლენას, რომ ’’ისინი არ შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი რიცხვით’’.*

სპინოზამდეც კი, პოლარულობა, ანუ გრძნობების აქტიურ და პასიურ ხასიათს შორის დაპირისპირება განიხილებოდა, როგორც ადამიანის ემოციური სფეროს არსებითი მახასიათებელი. სპინოზამ ამჯობინა ამ წინააღმდეგობის წყაროების ძებნა თვით სულის, როგორც შემეცნების საგნისა და მისი დანახვა სრულყოფილი და არასრულყოფილი ცოდნის დუალიზმში. სპინოზას აზრით, სულის აქტივობა და პასიურობა დამოკიდებულია ცოდნის ადეკვატურობაზე ან არაადეკვატურობაზე. სული პასიურია, თუ მას აქვს არაადეკვატური (ბუნდოვანი) იდეები და თუ მისი გავლენა არის ვნებები, ანუ პასიური, პასიური მდგომარეობები. თუ სულს აქვს ადეკვატური (მკაფიო) იდეები, ასეთ შემთხვევებში ის აქტიურია, მისი მოქმედებაა სულის მოქმედებები.

ვნებები, რომლებიც ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას მთელი თავიანთი შეგნებით ავსებენ, ხშირად თრგუნავენ მათ შეგნებულ მისწრაფებებს და მოქმედებებს უმაღლესი სახის ცოდნისთვის - მიზეზი და ინტუიცია. ადამიანი, რომელიც ფიქრობს მხოლოდ იმას, რასაც გრძნობს, შეზღუდულია თავისი ვნებებით. უფრო მეტიც, ის, როგორც წესი,

დარწმუნებულია, რომ იგი განისაზღვრება თავისუფალი ნების მიხედვით ყველა მისი მოქმედებისათვის.იმავდროულად, სპინოზა იქიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის სულში არ შეიძლება არსებობდეს ისეთი განსაკუთრებული უნარი, როგორიცაა ნება, და ამიტომ ადამიანებს აქვთ თავისუფლების ილუზია: მათ აცნობიერებენ თავიანთ სურვილებს, მაგრამ არ აცნობიერებენ ამ სურვილების მოტივებს. სპინოზა წერდა: ,,გაბრაზებული ხალხი დარწმუნებულია, რომ ისინი,, თავისუფლად ისწრაფვიან შურისძიებისკენ, მშიშრები ფრენისკენ; მთვრალები, გიჟები და მოსაუბრეები ასევე დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი თავისუფლად ლაპარაკობენ იმას, რის შემდეგაც ხშირად ნანობენ. ’’ კომენტარი გააკეთა სპინოზას პოზიციაზე უგონო მოტივაციის შესახებ, ერიხ ფრომმა დაწერა, რომ ’’თავისუფალი ნების პრობლემა ვერ მოგვარდება მანამ, სანამ არ გავიგებთ, რომ ჩვენი მოქმედება განისაზღვრება უგონო ძალებით, თუნდაც ვიცხოვროთ ბედნიერი რწმენით, რომ ჩვენ გვაქვს თავისუფალი არჩევანი ... ჩვენ ვსაუბრობთ არჩევანის შესახებ მიზეზით ნაკარნახევი გამოსახულების მოქმედებებსა და ირაციონალური დამოკიდებულებების მიერ ნაკარნახევი მოქმედების გზას შორის. სპინოზას თანახმად,თავისუფლება ემყარება "ადეკვატურ იდეებს", რომლებიც, თავის მხრივ, ემყარება რეალობის შეგრძნებას და აღქმას და განსაზღვრავს ქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის გონებრივი და სულიერი მანიფესტაციის სრულ განვითარებას. ადამიანის საქმიანობა, სპინოზას აზრით, თავდაპირველად განპირობებულია ვნებებით ან მიზეზებით.*თუ ადამიანი ვნებებს იპყრობს - ის მონაა, თუ მას ექვემდებარება გონიერება - ის თავისუფალია ... თავისუფლება სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა უნარი გაჰყვე გონების ხმას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და სინდისს ხმის წინააღმდეგ. ირაციონალური ვნებების* წაიკითხეთ

წაიკითხეთ ბერტრან რასელი, ახალი დროის ფილოსოფია, თავი X სპინოზა. გვ. 120-136.

1) სპინოზას მიხედვით არის თუ არა სინდისი ეთიკური სუბიექტის მახასიათებელი?
2) ახსენით აფექტების როლი ეთიკურში?

ლექცია V

ეთიკური ქცევის ანატომია. კრიტერიუმის ცნება. ნორმა. მოტივი.

ეთიკური აქტი

ეთიკური აქტის საფუძველი სუბიექტის მორალურ ნორმებთან შესატყვისობაში ყოფნაა. ეთიკური აქტი კომპლექსური ფენომენია, და არ იქნება მართებული მისი ერთი მახასიათებლით წარმოდგენა. ეთიკურ აქტში შესაძლებელია გამოიყოს სამი კომპონენტი: თავისუფალი ნება, მორალური მოტივაცია და ავტონომიური ეთიკური მსჯელობა. ეთიკურად შეიძლება ჩაითვალოს ის აქტი, რომლიც ემყარება ადამიანის მიერ ავტონომიური ეთიკური მსჯელობის შედეგად მოტივთა შორის განხორციელებულ თავისუფალ არჩევანს. მნიშნელოვანი მომენტია ასევე ემოციური ელემენტი. მხოლოდ ეთიკურ ნორმათა ფორმალურ გათვალისწინებას და მასზე დამყარებულ მორალურ განსჯას შესაძლებელია მოჰყვეს არაეთიკური აქტი, იმის გამო რომ გადაწყვეტილების მიღებაში ამორთული იყო ემოციური-კონკრეტულად ემპათია, რაზეც წინა ლექციაზე ვისაუბრეთ. აქ ვგულისხმობთ პიროვნების ე.წ. მორალური სენსიტიურობაზე, ანუ იმაზე თუ როგორ არის ადამიანში განვითარებული თანაგრძნობის უნარი. მორალურად სენსიტური ადამიანები ყოველთვის მზად არიან დაეხმარონ გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს, ზოგადად,-, ცოცხალ არსებებს, გარემომცველ ბუნებას, ყოველგვარი პირადი სარგებლის გარეშე დახმარების ხელი გაუწოდონ უსახლკარო, სოციალურ იზოლაციაში მყოფ ადამიანებს.

ეთიკური აქტის აგებისას ყველა კომპონენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ეთიკური აქტის ჩავარდნა ხდება მაშინ, როდესაც ერთერთი კომონენტი უგულვებელყოფილია. უნდა დავასკვნათ, რომ ეს კომპონენტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვერ მოქმედებენ. თუმცა ეთიკური აქტის აგებისას უპირატესობა არც ერთ მათგანს არ უნდა მიენიჭოს. უბრალოდ აუცილებელია ყველას გათვალისწინება.

ბევრი ეთიკოსი მიიჩნევს რომ ეთიკური მსჯელობა არის ეთიკური აქტთან კორელაციაში, ზოგი კი პირიქით თვლის, რომ მათ შორის არ არსებობს არანაირი კორელაცია. სინამდვილეში ეთიკური მსჯელობა არ არის ერთადერთი მადეტერმინირებელი ეთიკური აქტისა. ეთიკურ მსჯელობაში დახელოვნება თავისთავად არ არის გარანტია იმისა, რომ ადამიანი მორალურად მოიქცევა. ადამიანი ყოველთვის „ცივი გონებით“ არ ხელმძღვანელობს. ხშირია მორალური პრინციპების გვერდზე გადადების ფაქტი. ალბათ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საზოგადოებრივი თანაცხოვრებისას განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მორალური განსჯის ქონა, რომელიც მოიცავს შეფასებით კატეგორიებს იმის შესაებ, რა არის სწორი და რა მცდარი მორალურად.

ნორმა

ნორმა ყოველთვის არ არის მორალური ბუნების მატარებელი.
ყველაზე ხშირად ნორმა გვხვდება სამართლში და მორალის ფილოსოფიაში. ნორმა. ეს ის სფეროებია, რომლებიც იყენებენ ნორმებს ადამიანთშორისი ურთიერთობების

დასარეგულირებლად. და შესაძლებელია ითქვას, რომ ამ ორი ორ სფეროს-სამართალსა და მორალის- დამარეგულირებლად გვევლინება. მორალურ ნორმას ხშირად დაუწერელ კანონს უწოდებენ, სამრთლის ნორმას-დაწერილს.

სამართალი და მორალი არ არის ერთიანი, მაგრამ არც გამიჯნულია. მორალი და სამართალი აყალიბებს ერთიან მთლიანობას - სამართალი მორალური წესრიგის ნაწილია და მას ემსახურება.

მათ საერთო ნიშნები აქვთ კერძოდ, ორივე აწესრიგებს ადამიანებს შორის ურთიერთობებს, ორივეს შინაარსობრივი მოთხოვნილებები მსგავსია და მათი მოთხოვნათა დაცვა მოვალეობის სფეროს განეკუთვნება. მაგრამ არსებითად და ფუნქციონალურად ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება.

მორალი და სამართალი ერთმანეთისგან განსხვავდება შემდეგი ნიშნებით:

- სამართლის ნორმას ადგენს სახელმწიფო განსაზღვრული პროცედურის დაცვით. მორალური ნორმების დადგენა არ ხდება ფორმალურად განსაზღვრული პროცედურით.
- მორალური ნორმა დადგენილია პირდაპირი აკრძალვის ან მოთხოვნის ფორმით. სამართლის ნორმაში აკრძალვა ან მოთხოვნა აბსტრაქტულადაა ფორმირებული. სამართლის ნორმა ჩამოყალიბებულია მაქსიმალურად ზუსტად და გარკვევით.
- სამართლის ნორმაში ცვლილებების შეტანა/ან გაუქმება ხდება სათანადო პროცედურების დავცით. მორალური ნორმა, სამართალთან შედარებით უფრო ნელა იცვლება.
- სამართლის ნორმა აწესრიგებს ადამიანთა გარეგან ქცევას. მორალს უფრო მეტად აინტერესებს პირის სუბიექტური ნება და მისი ქცევის მოტივი.
- სამართალს ახასიათებს ორგანიზებული და აბსოლუტური იძულება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ფორმალურ სანქციებს. მათ შორის -თავისუფლების აღკვეთა, ქონებრივი სანქციები, სხვ. მორალური იძულება ხორციელდება საზოგადოებრივი ზემოქმედების არაფორმალური სანქციების მეშვეობით.

ამორალური ქცევა სამართალმა შეიძლება არ აკრძალოს იურიდიული სანქციის მუქარით. სამართალი პირს არ უნდა უბიძგებდეს ამორალური საქციელის ჩადენისკენ.

სამართალმა უნდა გაითვალისწინოს მორალის განსაზღვრული ელემენტარული მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მორალი ვერ პოვებს საზოგადოებრივ აღიარებას. მორალი, ისევე როგორც სამართალი, ჯერარსული წესრიგია, რომელიც ადგენს მოთხოვნას, აკრძალვასა და ნებართვას. მართლწესრიგი ჰეტერონომიული (ანუ გარედან, „უცხო“ ინსტიტუტის მიერ დადგენილი) წესრიგია. სამართლის ნორმა ზუსტად და გარკვევით არის ჩამოყალიბებული. სამართლის ნორმა ადამიანების გარეგან ქცევას აწესრიგებს, სამართლის ნორმა მხოლოდ ზნეობრივ მინიმუმს ადგენს.

მორალური ნორმა - ავტონომიური წესრიგის შედეგია. მორალურ ნორმას სუბიექტის ქცევის მოტივი აინტერესებს. ამასთან ერთად მორალური ნორმა უფრო მომთხოვნია,

მორალური ნორმა ყალიბდება ჩვეულების, ტრადიციების მიხედვით. მორალური ნორმის დადგენა ფორმალურად განსაზღრული პროცედურით არ ხდება.

სახელმწიფოს ნორმას კი სახელმწიფო აყალიბებს.
სამართლის ნორმის აკრძალვა აბსტრაქტულადაა, მორალში კი პირდაპირ, სამართლის ნორმები იცვლება პროცედურების დაცვით, თუმცა მორალური ნორმა უფრო ნელა იცვლება. შესაბამისად, სამართალი დინამიკურია - მორალი სტატიკური

ზოგი ნორმა შესაძლებელია იყოს ტექნიკური, სპეციალური ხასიათისა. მას არაფერი აქვს საერთო ეთიკურთან. მაგალითად, მსჯელობაში- "მშენებელს კარგად აცვია"- ნორმა დაცულია, აქ დაცვა ნიშნავს, რომ ე.წ. "დრესს კოდი" დაცულია და შესაბამისობაშია დადგენილ წესებთან. ნორმა ამ შემთხვევაში შეესაბამება დადგენილ გაიდლაინს, რომელიც უზრუნველყოფს წარმატებით გადაწყდეს კონკრეტული მოცემული ამოცანა სამშენებლო საქმიანობის პროცესში.

მოტივი

ადამიანის ნებისმიერ ქცევა არ შეიძლება ჩაითვალოს მორალურად.

მორალური ქცევას საფუძვლად უდევს მორალური მოტივი. სწორედ მორალური მოტივი ამოძრავებს პიროვნებას მორალური აქტისაკენ.

მორალური მოტივის ფორმირების პროცესში ადამიანი აცნობიერებს და აკავშირებს მორალურ ნორმებს ერთის მხრივ საზოგადოების მოთხოვნებთან მეორეს მხრივ კი საკუთარ პიროვნულ განზრახვებთან, საჭიროებებთან., ამ პროცესს თან ახლავს კონკრეტული სიტუაციის შეფასება, რაც არჩევანის ერთერთი განმაპირობებელი ფაქტორია. მორალური მოტივის ფორმირებისას მნიშვნელოვან მომენტად გვევლინება ქცევის მიზნისა და შედეგების მნიშვნელობის გააზრება.

მორალური მოტივი კომპლექსურად სტრუქტურირებული მორალურ-ფსიქოლოგიური ფენომენია . იგი პოლიფუნქციურია. მაგალითად მისი ფუნქციაა-მარეგულირებელი, შეფასებითი, კომუნიკაციური, შემეცნებითი, სხვ.

აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს სხვადასხვა სახის მოტივები: გაუაზრებელი, ინსტიქტური, ეგოისტური, პრაგმატული, სხვ.

ქცევის როგორობას განაპირობებს სწორედ მოტივი-ის, თუ რა საზრისია მასში ჩადებული. მორალური მოტივის ფორმირების პროცესში არ უნდა გამოირიცხოს ემოციური მხარე-

ადამიანის ფსიქო-ფიზილოგიური მდგომარეობა, ხასიათის თავისებურებები, გუნებ-განწყობა,

სხვადასხვა სახის მოტივები ქცევის ქცევის კონსტრუირების პროცესის პირველ ეტაპზე, ანუ გადაწყვეტილების ფორმირებისას ეჯახებიან ერთმანეთს, და იქ სადაც სახეზეა მორალური შეგნება, ემპათიის გრძნობა და ნების თავისუფლება არჩევანი მორალური მოტივისაკენ იხრება და დგება მორალური აქტი.

მოტივი მორალურია მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანს შეუძლია მორალური ღირებულებების დანახვა, გააზრება და სურვილი მისდიოს მორალურ ნორმებს მორალური აქტი შედგება მაშინ როდესაც ადამიანმა იცის, შეუძლია და უნდა მისი განხორციელება.

მორალური აგენტის/ ზნეობრივი პიროვნების შინაგანი მოთხოვნილებაა მოყვეს მორალურ მოტივს.

ეთიკას აინტერესებს ის ქცევა, სადაც ხდება მორალური შეფასება. შეფასების პროცესში ადამიანის წინაშე ყოველთვის არჩევანის საკითხი დგება.

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ

დავალება:

სემინარისთვის წაიკითხეთ "ნიკომაქეს ეთიკიდან" IX და X

1. ვინ უფრო მეტად უნდა გიყვარდეს შენი თავი თუ სხვა? წიგნი IX თავი 6.
2. სიამოვნების შესახებ წიგნი X თავი1, 2, 4

სამსჯელოდაა მოცემული სამოდელო სიტუაცია.

1) მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტები აიძულებდნენ ებრაელებს ეტარებინათ დავითის ყვითელი ვარსკვლავი. დანიის მეფემ გამოაცხადა, რომ იგი პირველი დაიმაგრებს ამ ვარსკვლავს. დანიელებმა მყისიერად მიბაძეს მეფეს. დანიიდან ებრაელების დეპორატაცია შეუძლებელი გახდა.

როგორ ფიქრობთ რამდენად მნიშვნელოვანია მმართველი პიროვნების როლი მორალურად სწორი არჩევანის გაკეთებაში?

ნახეთ უილიამ სტაირონის ამავე სახელწოდების რომანზე გადაღებული ფილმი-„სოფის არჩევანი" (https://www.adjaranet.com/movies/4602/Sophie's-Choice).

ლექცია VI

თავისუფალი ნების პრობლემა-დეტერმინისტული და ინდეტერმინისტული მიდგომები. პრობლემის ანტინომიურობა.

ნების თავისუფლება დაკავშირებულია თავისუფლების პრობლემასთან. ეს საკითხი ვრცელია და დეტალურ ანალიზს მოითხოვს. მაგრამ, იმდენად რამდენადაც საკითხი ეხება ეთიკური აქტის აგებაში თავისუფალი არჩევანის როლს, აუცილებელია მისი ანალიზი. პრობლემა ანტინომიურია, რამაც განაპირობა ამ უძველესი პრობლემის გარეშემო კამათის ისტორია ჯერ კიდევ სოკრატეს დროიდან . ამ საკითხის განხილვისას ძირითადად ორი - დეტერმინიზმისა და ინტიდეტერმინიზმის სტრატეგია გამოიყოფა.

ზოგადი განმარტებები

რას ნიშნავს დეტერმინიზმი?-ესაა უნივერსალური კაუზალობა, ანუ იმის აღიარება, რომ ყველაფერს, რაც სინამდვილეში ხდება აქვს თავისი მიზეზი. ეთიკური

ეგოიზმის თეორია დეტერმინიზმს ეფუძნება. არსებობს სხვადასხვა ტიპები დეტერმინიზმისა. მათ შორის ჩვენი კონტექსტისათვის გამოვყოფთ: ფატალიზმს, მკაცრი დეტერმინიზმისა და სუსტ დეტერმინიზმი.

ფატალიზმი სწამს, რომ ყველა მოვლენა უპირობოდ და შეუქცევადად ფიქსირებული და წინასწარგანპირობებულია. ადამიანს არ ძალუძს მათი შეცვლა. ზოგჯერ მოვლენები კონტროლს არ ექვემდებარება, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის იმის საფუძველი, რომ მოვიქცეთ, ისე თითქოსდა ყველაფერი კონტროლს გარეთაა. ფილოსოფოსთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეს უვარგისი თეორიაა და სინამდვილეში ძალიან ცოტა ადამიანი იზიარებს მას. ჭეშმარიტი ფატალისტი არასდროს დაიცავს მოძრაობის წესებს, დაუფიქრებლად ითამაშებს ”რუსულ რულეტს”-ყველაფერი, ხომ წინასწარ განსაზღვრულია და ვერავინ და ვერაფერი ვერ შეცვლის იმას, რაც უნდა მოხდეს.

მკაცრი დეტერმინიზმი ამტკიცებს, რომ რადგანაც ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, თავისუფლება შეუთავსებელია დეტერმინიზმთან. ადამინის არჩევანს თავისი მიზეზი აქვს. ამდენად ისინი არასდროს არ არიან თავისუფალნი. უგუნურებაა დავაკისროთ პასუხისმგებლობა ადამიანს ქცევით აქტივობებზე, რადგანაც იგი არ არის თავისუფალი. ამდენად, პერსონულ თავისუფლებასა და მორალურ პასუხისმგებლობაზე ჩიხში შეგვიყვანს. ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს კონცეპტებით ქცევის მოდიფიკაცია და პირობითობა.

კლასიკური ფორმის სუსტი დეტერმინიზმი ხაზს უსვავს ნების თავისუფლებას და ასევე იძულებისაგან თავისუფლებას. თანამედროვე წაკითხვა ამ თეორიისა გულისხმობს თავისუფლებას რაციონალური და არაიძულებითი არჩევანის აზრით. ამ თეორიის მომხრეები მართალია აღიარებენ, რომ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ ამავდროულად უშვებენ ადამიანური არჩევანის არსებობასაც. ადამიანის არჩევანი ზოგჯერ, მაგრამ არა ყოველთვის, არის თავისუფალი. ეს არჩევანი ახსნადია და გათვლადიც. ამდენად, გონივრულია ამ სახის არჩევანისთვის მორალური პასუხისმგებლობა დავაკისროთ ადამიანს.

ინდეტერმინიზმი მიიჩნევს, რომ სამყაროში ყველაფერი არ ექვემდებარება კაუზალობის პრინციპს, რომ არსებობს შანსი და თავისუფლება. ამერიკული პრაგმატული ფილოსოფიის ფუძემდებელი უილიამ ჯემსი ამბობს, რომ იგი ისურვებდა სიახლესა და სპონტანურობას სამყაროში. სწორედ ეს ხდის ადამიანს წეშმარიტად თავისუფალ და შემომქმედ არსებად. ადამიანის მისწრაფება სიკეთისაკენ, ბოროტი საქმეების მიუღებლობა ნიშნავს, რომ იგი უნდა იყოს თავისუფალი. ადამიანის თავისუფალი აქტი გამოცდილების, ჩვევის, ტემპერამენტის, სურვილების, წინარე გადაწყვეტილებების, ცოდნის ნაყოფია. ყოველივე ეს ერთად შეკრული აფორმებს ადამიანის პერსონულობას, ანუ ხასიათს.თავისუფალი აქტები ნების პროდუქტია. სხვა სიტყვით ნების აქტებია.

საკითხის მოკლე ისტორია

თავისუფლების იდეის სრულყოფილი გააზრება, მისი ფუნდამენტური დაფუძნების მცდელობები ანტიკურ ფილოსოფოსთა ნააზრევს უკავშირდება. ფილოსოფიის საწყისებთან განისაზღვრა თავისუფლების პრინციპის ზოგიერთი ისეთი ასპექტი, რომელიც დღემდე მიეკუთვნება თავისუფალი ქმედების არსისეულ კომპონენტებს.

ანტიკურობაში თავისუფლების გაგება დაუპირისპირდა ბედისწერასა და აუცილებლობას.˜სხვა სიტყვით ფატალიზმსა და ვოლუნტარიზმს. ფატალიზმი თავისი კლასიკური სახით ანტიკურ სამყაროში ჩამოყალიბდა. ბერძნულ-რომაული პანთეონის ყველა ღვთაება უპირობოდ ემორჩილება ბედიწერას. თავისუფლების მოქმედება მკაცრადაა შემოსაზღვრული ბრმა ბედიწერის მიერ და ადამიანს ამ საზღვრებს გარეთ გასვლა არ ძალუძს. ფატალისტური დეტერმინიზმი მთლიანად აუქმებს ადამიანს, როგორც ზნეობრივ არსებას და უხსნის პასუხისმგებლობას ჩადენილ საქციელზე. ადამიანი თუ მკვლელობას ჩადის, ეს ცოდვა კი არაა, არამედ ბედისწერის მიერ წინასწარგანზრახულის აღსრულება, ასევე კეთილი საქმე მას სათნოებად კი არ შეერაცხება, არამედ ისიც აუცილებლობის გამოვლინებად ითვლება. ამგვარ მიდგომას სიკეთისა და ბოროტების განუსხვავებლობამდე, მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმამდე მივყავართ. ფატალიზმი ახასიათებს ბევრ ოკულტურ სწავლებას, რომელიც ადამიანშიც მისი ბუნების და პიროვნების იგივეობას ამტკიცებს. ამ შემთხვევაში ადამიანის მოქმედება ერთმნიშვნელოვნადაა განპირობებული მისივე ბუნებით. იგი საკუთარი თავის წინაშეც კი არაა თავისუფალი.

ანტიკოსი ფილოსოფოსები გამოდიან ამ სიძნელიდან აფუძნებენ თავისუფლებისათვის საკუთრივ სივრცეს. სოკრატე პირველად ეცადა დაესაბუთებინა, რომ ჭეშმარიტი შემეცნებისა და პრაქტიკული მოქმედების სფერო არის ის სივრცე სადაც უნდა დაფუძნდეს თავისუფლება. სოკრატეს აზრით, თავისუფალი ის არის, ვინც გონივრულად და ზნეობრივად იქცევა; მისი მოსწავლე პლატონის მისდევ ამ ხაზს და თვლის, რომ ვნებებით შეპყრობილი ადამიანი თავისუფალი ვერ იქნება, რადგან თავისუფლება პასუხისმგებლობას გულისხმობს; არისტოტელეს აზრით, ბრძენი თავისუფლების პრინციპის მიხედვით მოქმედებს და გარეგან მიზანდასახულობებს არ ემორჩილება.

სტოელებმა ეს პრინციპი კიდევ უფრო განავითარეს; მათ თავისუფლება გაიგეს, როგორც გარეგან იძულებათაგან, ლტოლვათაგან და მავნე მიდრეკილებათაგან დამოუკიდებლობა. მათ წამოსწიეს „აფექტებისაგან თავისუფლებისა“ (აპათია) და „სულიერი სიმშვიდის“ (ატარაქსია) პრინციპი. გარკვეული აფექტები (ტკივილი, სურვილი, ლტოლვა) ხელს უშლის გონივრულ, ბედნიერ ცხოვრებას, ხოლო ზოგიერთი აფექტი (მხიარულება, წინდახედულება და ა. შ.) კი, პირიქით, გონივრული, ბედნიერი ცხოვრების მომტანია. სტოელთა მიხედვით, ე. წ. „ცუდი აფექტები“ მხოლოდ ჭეშმარიტი შემეცნების მეშვეობით შეიძლება იქნეს დაძლეული. სწორედ ჭეშმარიტი შემეცნების მეშვეობით მიიღწევა ის სულიერი სიმშვიდე და შინაგანი თავისუფლება, რაც გონივრული და ბედნიერი ცხოვრების წინაპირობაა.[6]

---

[6] თავისუფლების იდეის მეტაფიზიკური დაფუძნება ქართულ ფილოსოფიაში იოანე პეტრიწის (XII ს.) სახელსა და მის ეპიტემოლოგიას უკავშირდება. თავისუფლების ცნების საგულისხმო განმარტებაა მოცემული სულხან-საბას „სიტყვის კონაში“. იგი განმარტავს სიტყვას „თავისუფალი“ და მის შემდეგ მნიშვნელობებზე მიუთითებს: „არავისი მონა“, „რაც ენებოს, ქნას“. აღსანიშნავია, რომ აქ თავისუფლების ორ მნიშვნელოვან ასპექტზეა მითითება: იძულებაზე უარის თქმა და საკუთარი ნების

თავისუფლების ცნებამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა განმანათლებლობაში, კონკრეტულად ფრანგ ენციკლოპედისტებთან: მონტესკიე, რუსო, ვოლტერი.თუმცა, ძირითადად ისინი აგრძელებენ ანტიკურ ხაზს და თავისუფლების სივრცედ პოლიტიკურს ისინი ცდილობდნენ იმის დადგენას, თუ რა უნდა მოიმოქმედონ კანონებმა სახელმწიფოში თავისუფლების უზრუნველყოფისათვის. . მათ კლასიკური სახით ჩამოაყალიბეს ხელისუფლების განაწილების პრინციპი, როგორც სამართლის უზენაესობისა და ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის, თავისუფლების წინაპირობა. მონტესკიესა და რუსოს თეორია აქტუალური გახდა მომდევნო საუკუნეებში. მათი საზრდოობდნენ ამერიკელი განმანათლებლები საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციის შექმნისას. სხვა თანამედროვე სახელმწიფოების კონსტიტუციური წყობა ხშირად ამ ავტორთა აღნიშნულ პრინციპებს ეფუძნება.

ეს კონცეპტი განსაკუთრებული ინტერესის საგანია გერმანული კლასიკური ფილოსოფიისათვის. კანტის მისდევს ევროპულ განმანათლებლობაში მიღებულ იდეას რომ თავისუფლება პოლიტიკის, მორალის და მოქმედების სფეროებშია შესაძლებელი, ხოლო ბუნების სფეროს კი საკუთარი კანონები განაგებს, თავისუფლება არის ნების წინაპირობა, რომელსაც საკუთარი კანონები აქვს-კატეგორიული იმპერატივი. კანტი საუბრობს ნების თავისუფლების, როგორც წმინდა პრაქტიკული გონების ავტონომიის პრინციპის შესახებ კანტის. _ თეორიაში ადამიანი, როგორც გონიერი არსება, თავისუფალი ნების მქონეა, ხოლო ემპირიულ სამყაროში, სადაც ბუნებრივი აუცილებლობა ბატონობს, მისი ნება დეტერმინირებულია, იგი არათავისუფალია. კანტის კონცეფციას ვრცლად შევეხებით მომდევნო ლექციაში.

საგულისხმოა ჰეგელის პოზიცია. იგი ნების თავისუფლებას მიაწერს არა ადამიანს, არამედ „მსოფლიო სულს“, რომელიც განახორციელებს ნების თავისუფლების „წმინდა“ იდეას. ჰეგელის მიხედვით, მსოფლიო ისტორიულ ფილოსოფიური სახელმძღვანელო პრინციპი არის ხალხებსა და კულტურებში განვითარებადი თავისუფლების იდეა. თავისუფლება შედეგია თავის თავთან დაბრუნებული სამყაროს სულის თავისუფლების ცნობიერებისა. ორიენტალურ დესპოტიზმში მხოლოდ ერთი ადამიანი იყო თავისუფალი,

---

განხორციელების მცდელობა. ახალი დროის ქართულ აზროვნებაში თავისუფლების პეტრიწისეული იდეალის დაცვა, გააზრება და განვრცობა სცადა ანტონ კათალიკოსმა. ეს კარგად ჩანს ტრადიციისა და ინოვაციის ანტონისეული გაგების მაგალითზე. იგი, ერთი მხრივ, ქართული ფილოსოფიის აზროვნების განვითარებას, განახლებას, ევროპეიზაციას ესწრაფოდა, მაგრამ ისე, რომ ქართულ ტრადიციასთან, ეროვნულ ფესვებთან მისი კავშირი არ გაეწყვიტა. აქედან გამომდინარე, ანტონ I-მა მიზნად დაისახა ქართული განათლების სისტემის აგება და ხელი მიჰყო ფართო ეროვნულ-კულტურულ საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელებას.თავისუფლების გაგების ორიგინალური მცდელობაა მოცემული ცნობილი ქართველი ღვთისმეტყველისა და ფილოსოფოსის, გაბრიელ ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებში“. იგი თავისუფლების გაგებას გონების მიერ მის გააზრებასა და გაცნობიერებას უკავშირებს. ამდენად, თავისუფლება დაკავშირებულია სულიერ, მოაზროვნე არსებასთან. თუკი თავისუფლების პრინციპი გააზრებული არ იქნება, მაშინ ადამიანი ვერ მოახერხებს კეთილისა და ბოროტის განსხვავებას და, რაც მთავარია, მათ შორის არჩევანის გაკეთებასაც. თავისუფლების გაბრიელ ქიქოძისეული გაგება დღესაც არ კარგავს აქტუალობას, ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისუფლების ქრისტული გაგების კონტექსტში.

ანტიკურ დემოკრატიასა და არისტოკრატიაში – მხოლოდ ზოგიერთი, ხოლო ქრისტიანულ სახელმწიფოში თითოეული ადამიანი ღმერთისა და კანონის წინაშე თავისუფალი და თანასწორუფლებიანია. მიუხედავად ამისა, მონობა ქრისტიანულ ხალხებში დიდხანს გაგრძელდა. ადამიანის გაგება, როგორც თავისუფალი არსებისა, პოლიტიკური თავისუფლების საფუძველია. თუმცა კი თავისუფლება გზად იმყოფება და მისი სრულყოფილი რეალიზების მცდელობები ისტორიაში მუდამ იარსებებს. ჯ.ს. მილმა ცალკე ნაშრომი მიუძღვნა ამ პრობლემას-"თავისუფლების შესახებ", მან პირველმა განასხვავა თავისუფლების ორი გაგება - მოქმედების თავისუფლება და თავისუფლება, როგორც იძულების არარსებობა.

ყურადღებას იქცევს მე-20 საუუნის ფილოსოფოსის ესაია ბერლინის კონცეფცია, რომელშიც ფორმალურადაა ჩამოაყალიბებული განსხვავება ორ პერსპექტივას შორის, როგორც განსხვავება თავისუფლების ორ საპირისპირო კონცეფციას შორის: პოზიტიური თავისუფლება და ნეგატიური თავისუფლება. ეს უკანასკნელი ნიშნავს ნეგატიურ პირობას, როდესაც ადამიანი დაცულია ტირანიისა და ხელისუფლების თვითნებური განხორციელებისგან, ხოლო პირველი გულისხმობს თავისუფლებას, რომელიც მოდის თვითდაუფლებისგან, შინაგანი იძულებებისგან, როგორიცაა სისუსტე და შიში. ექსისტენციალიზმის თვალსაზრისის მიხედვით აბსოლუტური თავისუფლებით აღჭურვილ ადამიანს უპირისპირებს გარესამყაროს და ამით ნების თავისუფლება არსებითად თვითნებობამდე დაჰყავს.

ეთიკური აქტი მხოლოდ ეთიკური სუბიექტის/აგენტის მიერ არის შესაძლებელი. მის აგებაში მონაწილეობას იღებს თავისუფალი ნება[7]. ამ კონტექსტში ჩვენთვის საინტერესო თავისუფალი ნების საკითხი ორი ასპექტით შეიძლება იქნას განხილული. თავისუფლების ორ მოდუსს განასხვავებენ. პირველია, არჩევანის თავისუფლება. იგი გულისხმობს რამდენიმე ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში ერთ-ერთის ნებაყოფლებით არჩევის უნარს და ამ არჩევანის გაკეთების რეალურ შესაძლებლობას. არჩევანის თავისუფლება ასევე ინდიფერენციის თავისუფლების სახელითაა ცნობილი (liberty of indifference). თავისუფლების მეორე მოდუსი კი ეგრეთწოდებული სპონტანური თავისუფლებაა (liberty of spontaneity), რაც სპონტანური სურვილის ან ინტენციონალური, მიზანმიმართული ნების თავისუფალ მიდევნებასა, ან მისგან თავშეკავებაში გამოიხატება. ნების თავისუფლებაში მოიაზრება ასევე თავად კონკრეტული ნების არჩევის უნარი, ანუ ეგრეთწოდებული „მეორე

[7] პირველად ტერმინი „თავისუფალი ნება" ლუკრეციუსმა გამოიყენა. მან სიტყვა voluntas იხმარა ატომების თანდაყოლილი უნარის აღსანიშნავად, რომლითაც ისინი წრფივი პირდაპირი მოძრაობიდან გვერდზე „გადახვევას" ახერხებენ. მან მოგვიანებით იგივე ტერმინი ადამიანების მოძრაობის აღსაწერად გამოიყენა. ლუკრეციუსი ნებას თავიდან თვითმოძრაობის უნარს უკავშირებდა, შემდეგ იგი გონებასაც დაუკავშირა. ამგვარ გაგებას ვხვდებით ციცერონთანაც. „ტუსკულანურ საუბრებში" იგი ნებას გააზრებულ სურვილს უწოდებს, ირაციონალურ აღძვრებს კი სიტყვა libido-თი აღნიშნავს.

რიგის ნებელობა“. ეს უკანასკნელი, მაგალითად, ნეტარი ავგუსტინეს და ლოკის რეფლექსიის საგანი იყო. [8]

სტოელები, მოგვიანებით სპინოზა, ჰობსი, ჰიუმი განსხვავებული არგუმენტაციის გამოყენებით კი უარყოფდნენ ინდიფერენციის თავისუფლების რეალურობას. მათ აერთიანებთ აბსოლუტური დეტერმინიზმი რაც უბრალოდ გამორიცხავს ალტერნატივების არსებობას, ანუ არჩევანის გაკეთების რეალურ შესაძლებლობას;

ძველ ბერძენს თავისუფალი ადამიანის ცნება თავისუფალი ნების კონცეპტის გამოყენების გარეშე უნდა განემარტა. მისი აზრით, ადამიანი თავისუფალი იყო, თუ მისი ცხოვრება გონების კარნახს ემორჩილებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საკუთარი ვნებების მონად რჩებოდა. როგორც ზემოთაც ვბნახეთ პლატონის მიხედვით, ადამიანი თავისუფალი იყო, თუ მისი სულის უმაღლესი ნაწილი, ანუ გონება, ბატონობდა უფრო დაბალ ტემპერამენტულ და აპეტიტურ ნაწილებზე. ნების ცნების არარსებობა არისტოტელეს ხელს არ უშლიდა, ნებაყოფლობითი აქტი არანებაყოფლობილისაგან განესხვავებინა. მისი აზრით, აქტი ნებაყოფლობითია, თუ იგი იძულების, ან მანიპულაციის შედეგი არ არის. ადამიანური ქცევის დასახასიათებლად არისტოტელე იყენებს ასევე **prohairesis-ს,** ანუ მიზანდასახული არჩევანის ცნებას. ასეთი არჩევანის საშუალებით ადამიანი ყოვლისმომცველი ცხოვრებისეული გეგმის აღსრულებას ესწრაფვის. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ნებაყოფლობითობის ცნება ძალიან ფართო იყო, prohairesis-ის კი ძალიან ვიწრო, რათა სიტყვა „ნების“ თანამედროვე შინაარსი გადმოეცა. არისტოტელეს ტერმინოლოგიაში არ გვხვდება სიტყვა, რომელიც ზუსტად შეესაბამება ინტენციონალურ აქტებს, ანუ ისეთ შუალედურ ქმედებებს, რომლებსაც ყოველდღიური ცხოვრებისეული მიზნების მიღწევისათვის ვაკეთებთ. არისტოტელესთვის prohairesis-ი უფრო ცხოვრებისეულ იდეალთან მიახლების საშუალებაა, მას არ შეუძლია ჩვენი აქტების ემოციური, აპეტიტური ასპექტი ადეკვატურად გამოხატოს.

ელინისტური პერიოდის ფილოსოფიური აზრიც ამ მიმართულებით მიდის- მისთვისაც უცნობია ნების კონცეპტი. ეპიკურელებისათვის სიცოცხლის მიზანი ბედნიერება იყო, რომელსაც autarchia-სა და apatheia-ში, ანუ თვითკმარ და უშფოთველ ცხოვრებაში ხედავდნენ. მათი აზრით, ასეთ ცხოვრებას წინ ეღობებოდა პოლიტიკური ამბიციები და სიკვდილის შიში. ამის წყარო კი პოლიტიკური საზოგადოება და ღმერთები იყვნენ. აქედან გამომდინარე, ეპიკურეს აზრით, თავისუფლებისა და ბედნიერების მისაღწევად საჭირო იყო

---

[8] ესპანელი თეოლოგი ლუის დე მოლინა (მე-16 საუკუნე) ინდიფერენციის თავისუფლებაზე დაყრდნობით ცდილობდა „თავისუფალი აგენტის“ (free agent), ანუ თავისუფალი პირის ცნების განმარტებას. მოლინას აზრით, ღმერთს სამგვარი ცოდნა გააჩნია: „ბუნებრივი ცოდნით“ ღმერთი საკუთარ თავს შეიმეცნებს; „თავისუფალი ცოდნით“მან წინასწარ უწყის, რას მოიმოქმედებენ მის მიერ გარკვეულ კონკრეტულ პირობებში ჩაყენებული თავისუფალი ნების მქონე ადამიანები; „შუალედური ცოდნით“ ღმერთმა იცის ყველა შესაძლო ჰიპოტეტურ სამყაროსა თუ გარემოებაში, როგორ მოიქცევა ყველა შესაძლო ჰიპოტეტური თავისუფალი პირი; ამ ცოდნის საფუძველზე იგი ქმნის, ანუ ირჩევს რეალურ სამყაროს, გარემოებებსა და თავისუფალ პირებს. მოლინას მიხედვით, ამ შემთხვევაში ღმერთის გადაწყვეტილება არ ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, არ განსაზღვრავს მის ნებას.

აქტიური სამოქალაქო ყოფის მიტოვება და ახლო მეგობრებთან ერთად მშვიდ, განცალკავებულ გარემოში ცხოვრება; ადამიანისთვის აუცილებელი იყო ასევე ცრურწმენებისაგან განთავისუფლება და იმის გაცნობიერება, რომ სრულყოფილ ნეტარებაში მყოფი ღმერთები გულგრილნი იყვნენ კაცთა მოდგმისა და მათი საქმეებისადმი.

ეპიკურელების მსგავსად სტოელებიც ბედნიერებას ესწრაფვოდნენ, მაგრამ მათსავით არ ცდილობდნენ საზოგადოებისაგან იზოლაციას და არც მოკვდავთა ცხოვრებაში ღმერთების ჩართულობას უარყოფდნენ. სტოელისათვის ბედნიერება მთელი სამყაროს განმგებელ ღვთაებრივ logos-თან გაერთიანებით მიიღწეოდა; ამის გაკეთება მხოლოდ სრულყოფილ ბრძენს შეეძლო, რომელიც კატალეპტიკურ, ანუ ნათელ და ცხად შგრძნებებზე დაფუძნებულ ჭეშმარიტებასთან იყო ნაზიარები. ჩვეულებრივი ადამიანები ბრმად ემორჩილებოდნენ მათთვის აუხსნელ ბედისწერას, ანუ ისინი ბედისწერის მონები იყვნენ.

სტოელებისაგან განსხვავებით, სკეპტიკოსები ბედნიერებას ღვთაებრივ ლოგოსთან წარმოსახვით ერთობაში კი არ ხედავდნენ, არამედ ილუზიებისაგან განთავისუფლებაში. ერთ-ერთი ასეთი ილუზია სტოელებისთვის გახლდათ აპოდიქტური, ანუ უეჭველი ცოდნის ფლობის პრეტენზია. სკეპტიკოსების აზრით, ადამიანებს მხოლოდ სავარაუდო ალბათური (pithanon) ცოდნის შეძენა შეეძლოთ, ასევე ფიქრობდნენ, რომ სამყაროში ყველაფერი აუცილებლობით არ იყო დეტერმინირებული, ანუ ზოგი რამ თავისუფალი არჩევანის რეალურ არსებობას გულისხმობდა, ან მისი უშუალო შედეგი იყო.

სენეკამ ნების კონცეპციას სტოელების ინტონაცია შესძინა. იგი ამბობდა, რომ ნება შეიძლება ლიბიდური გახდეს, ანუ ირაციონალურად მოქმედებდეს, როცა გონება ვნებების ტყვეობაში იმყოფებაო. მსგავს მოსაზრებას, რომელიც ადამიანს ანტიკური ფილოსოფიისაგან განსხვავებით ნაკლებად რაციონალურად წარმოადგენს, ხშირად ვხვდებით ნეტარი ავგუსტინეს, ასკეტი მამებისა და ზოგადად ქრისტიანი ავტორების ნაწერებში.

ადამიანის თავისუფალმა ნებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში. საჭირო გახდა კეთილი და ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროში ბოროტების არსებობის განმარტება. ქრისტიანები ბოროტების წყაროს ცუდად გამოყენებულ ავტონომიურ ადამიანურ ნებაში ხედავდნენ. ადამიანური ნების ავტონომიურობის ხაზგასმამ ბუნებრივად წამოწია წინ სხვა საკითხი ღმერთის ყოვლისმცოდნეობისა და ადამიანური ნების თავისუფლების ურთიერთთავსებადობის შესახებ.[9]

---

[9] სქოლასტიკაში თომა აქვინელი, ამტკიცებს, რომ ღმერთმა წინასწარ იცის ჩვენი მოქმედებები, რაკი მისთვის დრო არ არსებობს და სამყაროს მთელ ისტორიას ერთდროულად ხედავს მარადისობის ყოვლისმომცველი რაკურსით. იგი წინასწარ კი არ „გამოთვლის“ ჩვენს მომავალ აქტებს, არამედ ერთდროულად ხედავს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. რაკი ჩვენი აქტები წინასწარ არ „გამოითვლება“, ადამიანური ნება რეალურად თავისუფალია. ღმერთი წინასწარ ხედავს ჩვენს თავისუფალ არჩევანს და არა რაღაცით, მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზით განპირობებულს. რასაც ღმერთი წინასწარ ხედავს, აუცილებლად მოხდება, მაგრამ მოხდება არა პირდაპირი, ლოგიკური აუცილებლობით, არამედ პირობითი აუცილებლობით.

პრობლემაზე რეფლექსია ახალი დროის ფილოსოფიაშიც გაგრძელდა. დეკარტი დარწმუნებული იყო ადამიანური ნების თავისუფლებაში; მასთან თავისუფლება გონის სუბსტანციის არსებითი თვისებაა. დეკარტეს სჯეროდა, რომ ღვთაებრივი ყოვლისმცოდნეობა არ ეწინააღმდეგებოდა ადამიანის ნების თავისუფლებას, რადგან ეს უკანასკნელი არ იზღუდებოდა პირველით. ამ მოსაზრების ილუსტრაციას დეკარტი პრინცესა ელისაბედისადმი მიწერილ წერილში შემდეგი, არცთუ მთლად სახარბიელო მაგალითით ახდენს. ვთქვათ, რომელიმე ჰიპოტეტური ქვეყნის მეფემ დუელი აკრძალა; ამავე დროს მან იცის, რომ მისი სამეფოს განსხვავებულ ქალაქებში ცხოვრობს ორი ქვეშევრდომი, რომელსაც ისე სძულს ერთმანეთი, რომ შეხვედრის შემთხვევაში თავს ვერ შეიკავებს ურთიერთის დუელში გამოწვევისაგან. დავუშვათ, მეფემ ორივე მოქალაქეს უბრძანა ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ადგილზე მისვლა. არცერთმა მათგანმა არ იცის, რომ მეორემ იგივე ბრძანება მიიღო მეფისაგან; ვითომდა შემთხვევით შეხვედრისას, ისინი აუცილებლად გამოიწვევენ ერთმანეთს დუელში, კანონს დაარღვევენ და მეფის სასჯელს დაიმსახურებენ. მიუხედავად იმისა, რომ მეფის ბრძანებით მოხდა მათი შეხვედრა, ისინი არავინ აიძულა ერთმანეთი დუელში გამოეწვიათ და მეფის კანონი დაერღვიათ. აქ მეფე წინასწარ ჭვრეტს თავისი მოქალაქეების მოქმედებას ისე, რომ არ ზემოქმედებს მათ თავისუფალ ნებაზე. უდავოდ, მსგავს „მიზანსცენებს“ გულისხმობდა მოლინა „ღმერთის შუალედურ ცოდნაზე“ საუბრისას.

ჰობს არ სწამდა წმინდა გონიერი, არამატერიალური სუბსტანციის არსებობა. აქედან გამომდინარე, იგი არ იზიარებდა დეკარტეს შეხედულებებს ადამიანის ნების თავისუფლებაზე და ადამიანსა და ცხოველს შორის რადიკალურ სხვაობაზე. ოპერაციებს, რომლებსაც დეკარტი მენტალურ სფეროს მიაკუთვნებს, ჰობსი წარმოდგენის ფუნქციებად მიიჩნევს, რასაც ადამიანთან ერთად ცხოველებსაც მიაწერს. ყველა მენტალური ოპერაცია რაღაც მატერიალური პროცესების მოძრაობების შედეგია. მატერიალური მოვლენები კი აუცილებლობას ექვემდებარება, ანუ მკაცრად დეტერმინისტულ ხასიათს ატარებს. ჰობსი არ ფიქრობს, რომ თავისუფლება და აუცილებლობა ერთმანეთთან არათავსებადნი არიან. მისი აზრით, თუ ადამიანი ნებაყოფლობით მოქმედებს, მაშინ იგი თავისუფალია, რადგან საკუთარ ნებას ემორჩილება; ამავე დროს მისი ნება გარკვეული მიზეზით არის განპირობებული; ეს უკანასკნელი კიდევ რაღაც სხვა მიზეზით; ასეთი უკუსვლით აუცილებლად მივალთ ღმერთამდე. რაკი ღმერთი ყველაფრის მიზეზია, ამიტომ ყველაფერი აუცილებლობით ხდება, ასკვნის იგი. ასეთი მსჯელობის გამო ჰობსი კომპატიბილიზმის მამამთავრად ითვლება, რომელიც თავისუფლებისა და დეტერმინიზმის თავსებადობას აღიარებს.

ლოკი არ ეთანხმება ჰობსის შეხედულებებს. მისი აზრით, აუცილებლობა თავსებადია ნებელობასთან და არა თავისუფლებასთან. ლოკის მიხედვით, თავისუფლება ორ რამეს გულისხმობს: პირველი – რაღაცის გაკეთების ნებას და მეორე – ამ ნებაზე მიყოლის, ან მისგან თავშეკავების უნარს. ვთქვათ, ადამიანი მისთვის მეტისმეტად სასურველ ადგილზეა მიჯაჭვული, განთავისუფლების სურვილის არქონის შემთხვევაშიც კი იგი თავისუფლად ვერ ჩაითვლება. საერთოდ, ლოკი ადამიანის ნების თავისუფლების შესახებ კითხვის დასმას არასწორად მიიჩნევდა. მისი აზრით, ნებელობა უნარია, თავისუფლება კი მხოლოდ აგენტს, ანუ მოქმედ პირს მიესადაგება. ტერმინ „თავისუფალი ნების“ გამოყენება არასწორი იყო იმ აზრითაც, რომ ჩვენ არ შეგვიძლია თავისუფლად ავირჩიოთ რაიმე კონკრეტული ნება.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ლოკის აზრით, ჩვენს ნებელობას ჩვენგან დამოუკიდებელი ფსიქიკური, ირაციონალური ფაქტორები განსაზღვრავს. ამ ფაქტორებს იგი ფართო სემანტიკის მქონე ტერმინით – uneasinesses -ით აღნიშნავს, რაც შიშს, შფოთს, დისკომფორტს და ა. შ ნიშნავს. ის, რომ ადამიანური ნება რაციონალურ არჩევანს არ ექვემდებარება, ბევრ მოაზროვნეს აღუნიშნავს.

მოკლედ ვიტყვით, რომ კანტი ფენომენალურ სამყაროში დეტერმინიზმის პრინციპს აღიარებს. მაგრამ თვლის, რომ ეს დეტერმინიზმი თავსებადია ადამიანის თავისუფლებასთან. ის ამტკიცებს, რომ ადამიანის ნება გრძნობების ზემოქმედებას ექვემდებარება, მაგრამ მათგან აუცილებლობით არ განისაზღვრება. ვნებებისმიერი აფექტაციების, გრძნობადი იმპულსების მიუხედავად, ადამიანი მაინც ინარჩუნებს შინაგან თავისუფლებას. კანტის აზრით, ადამიანის თვითდეტერმინაციას ორი ასპექტი გააჩნია – ემპირიული და ინტელიგიბელური. პირველი გვეძლევა გამოცდილებით, მეორის წვდომა კი მხოლოდ ინტელექტით შეიძლება. ჩვენი თავისუფალი ნება გრძნობებით აღქმადი მოვლენების ინტელიგიბელურ მიზეზად გვევლინება. გრძნობებით აღქმადი ფენომენალური სამყარო კი მკაცრ დეტერმინიზმს ექვემდებარება. რათა ადამიანური თავისუფლების თავსებადობა ახსნას ბუნების დეტერმინიზმთან კანტი აცხადებს, რომ ბუნება დროში მოქმედებს, მაშინ, როდესაც ადამიანური ნება არაფენომენალურ სამყაროს განეკუთვნება და დროის მიღმურია. აქ საინტერესო ფენომენთან გვაქვს საქმე. როგორც ადრე აღვნიშნეთ, შუასაუკუნეების განმავლობაში თეოლოგები ადამიანური ნების თავისუფლების ღმერთის ყოვლისმცოდნეობასთან თავსებადობის ასახსნელად აცხადებდნენ, რომ უფალი დროის მიღმური არსება იყო. კანტი კი ადამიანურ ნებას დროის მიღმურად წარმოსახავს, რათა მისი ფენომენალური სამყაროს დეტერმინიზმთან თავსებადობა დაასაბუთოს.

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ

დავალება : წაიკიხეთ პლატონის დიალოგი „სოკრატეს აპოლოგია“

ინტერპრეტატორებთან, მაგალითად, ქსენოფონტე (*ძვ. წ. 427-355)* საკამოდ ვრცლად საუბარობს სოკრატეს მიერ განხილულ სათნოებებზე,- როგორიცაა სიმამაცე, უგუნურება, კეთილმოქმედება. მართებული იქნება რამოდენიმე სიტყვით გადმოვცეთ მისი პირადი დამოკიდებულება ამ საკითხებთან დაკავშირებით.
სოკრატეს მიხედვით ,,ყოველი ქმნილება სწავლითა და წვრთნით შეიმეცნებს მამაცობას“, ნებისმიერი სათნოება, მათ შორის მაგალითად,- სიმამაცე- სწავლის შედეგად შეიძლება შევითვისოთ, იგი არაა ბუნებითი, თანდაყოლილი თვისება, ანუ ადამიანი ცდილობს მთელი ცხოვრების მანძილზე დაძლიოს შიში, რაც ბუნებითია და აბსოლუტურად ყველა ადამიანშია. მხოლოდ სულით ძლიერთა ხვედრია მამაცობა, სწავლითა და სწორი აღზრდით ადამიანი ნამდვილად შეიძენს ამ თვისებას.

სოკრატე თვლიდა რომ ყველაფერი სწორედ საკუთარი თავის შეცნობით იწყება, ეს თუ მოახერხა ადამიანმა მაშინ ნამდვილად შეუძლია ჩათვალოს რომ ცოდნა აქვს. სწორედ უგუნურებას უახლოვდება საკუთარი თავის შეუცნობლობა და ადამიანის თვითრწმენა იმაზე რაც სინამდვილეში არ გააჩნია. სოკრატე უგუნურებას და უმეცრებას ერთმანეთისაგან მიჯნავდა, რადგანაც მათ შორის განხვავება დიდია, სწორედ ესაა უგუნურება როდესაც ბრმად, გაუცნობიერებლად გწამს რაღაც, როცა არ გესმის მისი ცნება, შინაარსი და თავი მართალი გგონია, ადამიანმა უნდა მისდიოს შეგონებას:"შეიცან თავი შენი" ამის შემდეგ შესაძლებელია, რომ მან შესძლოს დაუფლოს ყველაზე მნიშვნელოვან სათნოებებს.

კეთილმოქმედებას სოკრატე უკავშირებს ბედსა და საქმეს, რომლებიც მისი რწმენით რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ ადამიანი არ ეძებს, არ იღწვის ,არამედ ისე შემთხვევით მოიპოვებს იმას რაც სჭირდება ეს არანაირად არ შეიძლება კეთილმოქმედებად ჩაითვალოს ,რადგანაც ამას შემთხვევითი ხასიათი აქვს, ბედმა არგუნა შრომის გარეშე მისი მოპოვება. ადამიანი, რომელიც დიდი ჯაფისა და ხანგრძლივი შრომის შემდეგ მოიპოვებს მისთვის სასურველს- კეთილმოქმედებას სჩადის და სწორედ ეს საქმეა ყველაზე დიდებული და ფასდაუდებელი . ასეთი ადამიანები საკუთარი საქმის მოყვარულნი და აღმასრულებელნი არიან. შრომითა და გარჯით მოპოვებული, სოკრატეს მიხედვით არის ღმერთისთვის მოსაწონი.

სოკრატეს სწამს ყოვლისმომცველი, აბსოლუტური, უნივერსალური ცოდნის არსებობა. სოკრატე მიიჩნევს რომ არსებობს აბსოლუტური სავსეობა, უზენაესი საწყისი- შემოქმედი,რომელიც ყოველგვარ აზრს ანიჭებს სახელწიფოს ,საზოგადოებას, თითოეული ინდივიდის ცხოვრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ ყველაფერს აზრი დაეკარგებოდა.

I. **შეეცადეთ კრიტიკულად გაიაზროთ დიალოგი და თქვენი პოზიციის ჩამოყალიბება ქვემოთ მოყვანილ კითხვებზე პასუხებით გამოხატოთ:**

1. რატომ შემოიფარგლა სოკრატეს ფილოსოფია ეთიკის სფეროთი?
2. რა არის ადამიანის შინაგანი სრულყოფილებისა და ბედნიერების აუცილებელი პირობა ? (იხ. „სოკრატეს აპოლოგიის" წინათქმა ავტორი ბ. ბრეგვაძე გვ. 169-დან ვიდრე ბოლომდე).
3. დაახასიათეთ სოკრატეს დაიმონი-გვ 171, ასევე მონახეთ შესაბამისი ადგილები ტექსტში.
4. განსხვავდება თუ არ სოკრატეს მრწამსი მითოსურისგან? როგორ? რა ნიშნებით? გვ. 171-174, ასევე მონახეთ შესაბამისი ადგილები ტექსტში.
5. დაახასიათეთ რა მუხლებით გასამართლდა სოკრატე და სოკრატეს მიერ წარმოდგენილი არგუმენტები. დაასაბუთეთ ატარებენ ისინი გამაბათილებელ ხასიათს?

6. როგორ მსჯელობს სოკრატე საკუთარ თავზე, სიკვდილზე, სიმდიდრეზე, სიღატაკეზე, ყველაზე სამარცხვინოზე- უმეცრებაზე?

7. სოკრატეს არგუმენტები ბრალდებაზე (ახალ ღვთაებათა დანერგვა , ღვთისმგმომლობა, ახალი ღმერთები კულტის დანერგვა-სოკრატეს დაიმონი. პიროვნული მრწამსის დაცვა, ახალგაზრდათა გარყვნა)
8. რა მიუსჯის სოკრატე საკუთარ თავს (36 a-37 b)?

9. რატომ არ გაიმართლა თავი სოკრატემ, ისე რომ არ ჰქონოდა ამ ყველაფერს ხვეწნისა და მუდარის ტონი?

10. ახსენით მისი სიტყვები„ ...უმეცრებაა ფიქრობდე, რომ იცი ის, რაც არ იცი“, რა კონტექსტში ადარებს სოკრატე თავს კრაზანას, ნებისმიერ სიტუაციაში მოქალაქე ვალდებულია „კანონის მხარეს იდგეს“ ? რატომ?

ნახეთ ფილმი „ფილოსოფოსები: after the dark“, გამოყავით ძირითადი პრობლემები, რომელიც გამოტანილია ფილმში.

ლექცია VII

რას ნიშნავს მორალური შეფასება? ზნეობრივი ღირებულების ცნება.

ეთიკური მსჯელობის საფუძვლები. მორალური და არამორალური მსჯელობები.

ადამიანის ცნობიერი ყოფის მრავალფეროვნებაში გამოირჩევა ერთი მნიშვნელოვანი უნარი — ესაა უნარი შეფასებისა. ადამიანი აფასებს გარემომცველ მოვლენებს. შეფასება ძირითადად ხორციელდება ორი კრიტერიუმით — ჭეშმარიტება და სიკეთე.

ტრადიციულ ევროპულ ფილოსოფიაში მიღებულია გონების ამ ორი უნარის შესაბამისად ფილოსოფიის გამიჯვნა- არსებულის ფილოსოფიად, რომელიც შეიმეცნება სპეკულაციური აზროვნებით, და ჯერარსულის ფილოსოფიად. პირველია ბუნების მეტაფიზიკა, ხოლო მეორე ეთიკა, ანუ ზნეობის მეტაფიზიკა.

თეორიული ფილოსოფიის ობიექტად გვევლინება „არსებობა“. მისი კვლევის შედეგები დაიყვანება არსებულის „არსების“ დადგინებაზე. მისი საქმეა არსის დადგენა, ის ესწრაფვის გამოსაკვლევი ობიექტის აუცილებელი ნიშნების ხედვას. ეთიკის-პრაქტიკული ფილოსოფიის ობიექტად წარმოგვიდგება იდეალური რეალობის მქონე ჯერარსი. ის ესწრაფვის დაადგინოს, თუ რა არის ჯერარსი, თუ რაში მდგომარეობს მორალის არსება.

ეთიკის საქმეა არაა მოვლენების ახსნა, არამედ მისი შეფასება, ეთიკის ინტერესი ფოკუსირდება იმ მექანიზმების ანალიზზე რომელნიც არეგულირებენ ადამიანის ქცევას; მას აინტერესებს ადამიანის ქცევისა და ზოგადად ადამიანთშორისი ქცევითი ურთიერთობების შეფასება- დავაზუსტოთ **მორალური შეფასება.**

მსჯელობა, სადაც მოცემულია ბრძანება-მოწოდების ტიპის გამონათქვამები, სადაც არაა მორალური შეფასება ეთიკის საქმე არაა. მაგალითად წინადადება-“ასე მოქცევაა სავალდებულო!” შეფასების გარეშე გამოთქმული ბრძანებაა, რომლის არ შესრულებას მოსდევს იურიდიული სანქციების დაკისრება.

შეფასებისას დადგება კრიტერიუმის საკითხიც. მორალური შეფასება დგება მორალური კრიტერიუმის საფუძველზე, რომელიც მორალური ღირებულებითაა გამოხატული და ნორმის სახით მოცემული. ნორმები, მათი უშუალო ფორმით, წარმოადგენს ქცევის იდეალურ მოდელებს. მაგრამ როდესაც იდეალური გადაიქცევა კომუნიკაციის სტაბილური ფორმად, ის ფაქტობრივად, წყვეტს მხოლოდ იდეალურად ყოფნას, გარკვეულ ხარისხით მატერიალიზირდება და ჭეშმარიტების ახალ დონეზე ადის. ამჯერად იგი ცალკეული სუბიექტში არსებული კი არაა, არამედ ერთგვარად ინტერსუბიექტური მიმართებაა.

გავიხსენოთ, წინა ლექციაზე თქმული აზრი იმის თაობაზე, რომ ნორმა ყოველთვის არ არის მორალური ბუნების მატარებელი. ზოგი მათგანი ტექნიკური, სპეციალური ხასიათისაა. მაგალითად, მსჯელობაში- “მშენებელს კარგად აცვია”- ნორმა სტანდარტია და ნიშნავს, რომ სამშენებლო ადგილზე მშენებლის სამუშაო “დრესს

კოდი” დაცულია და შესაბამისობაშია დადგენილ წესებთან. სტანდარტული ნორმა ამ შემთხვევაში შეესაბამება დადგენილ გაიდლაინს, რომელიც უზრუნველყოფს წარმატებით გადაწყდეს კონკრეტული მოცემული ამოცანა სამშენებლო საქმიანობის პროცესში.

მორალურ ღირებულებათა მრავალფეროვნება

ვიდრე უშუალოდ მორალური ღირებულებების ანალიზს შევუდგებოდეთ, მოკლედ განვიხილით რას ვგულისხმობთ ზოგადად ღირებულების ტერმინის ქვეშ?

ადამიანი სინამდვილესთან მრავალნაირ მიმართებაში იმყოფება- რელიგიურ, შემეცნებით, შეფასებით და სხვ. ადამიანის სინამდვილესთან შეფასებით მიმართებაში-პროცესში, სადაც იგი აფასებს სინამდვილეს –ფაქტებს, მოვლენებს, სხვ.-ვლინდება ღირებულება.

ადამიანისათვის ღირებულების მატარებელია მრავალი რამ: სიმართლისმოყვარეობა, სამართლიანობა, პატიოსნება, ახლობლებისა და ზოგადად, მსოფლიოს კეთილდღეობა. Aასევე ღირებულია ბავშვები და მოხუცები, შვილები და მშობლები, კარგი სამეზობლო, ძველი მეგობრები, კარგი მუსიკა, იუმორი, ახალი და მრავალი სხვა რამ რაც არაა ეთიკური, ან მორალური ღირებულების მქონე, აქ არ ვგულისხმობთ ამორალურს, არამედ უბრალოდ იმას, რასაც არ აქვს კავშირი მორალთან.

ჭეშმარიტება, სისუფთავე, სპორტული სიმარჯვე, სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერების ძიება, მშვენიერების ფარგლებში არსებული სიკეთისა და დაუნტერესებლობის აქტები, გამარჯვების სიტკბო-ეს ყოველივე ფართო აზრით აღებული ღირებულებების მაგალითებია. Eისინი ჩვენთვის მნიშვნელობენ, ღირებულებითი ფასეულობის მატარებლები არიან ჩვენთვის.

Fფილისოფოსი იკითხავდა: რა აქვთ მათ საერთო, ისეთი რაც მათ “ღირებულებათა” მაგალითებად აქცევს? Pპასუხის გასაცემად, ჩვენ დაგვჭირდება ზოგადად “ღირებულების” სამუშაო დეფინიცია. ერთერთი გავრცელებული განმარტებით: ღირებულება არის ის, რაც არ არსებობს, მაგრამ მნიშვნელობს. ეს არის ის, რაც ჩვენი ინტერესის, მისწრაფების საგანია, რაც ჩვენი ქცევის მიზნად შეიძლება წარმოგვიდგეს. იმისთვის რომ რაიმე ღირებულების რანგში ავიდეს, სუბიექტმა იგი უნდა განიცადოს როგორც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება, როგორც უმაღლესი მიზანი. ღირებულების სტრუქტურაში ემოციონალური მხარე იმდენად დიდია, რომ

ზოგი ფილოსოფოსი, მაგ. მაქ შელერი მას მიიჩნევს როგორც ემოციონალურად შეფერილ მარტივ თვისობრიობას. ის წყვეტს ღირებულად ყოფნას ემოციის, განცდის გარეშე.

ღირებულება არსებობს ადამიანისა და სინამდვილის ურთიერთმიმართებაში. მისი ერთი ნაწილი გამოიყენება როგორც საშუალება უფრო მაღალი ღირებულების მისაღწევად. ანუ სხვა სიტყვით, არსებობენ რელატიური და აბსოლუტური, ანუ უპირობო ღირებულებები. აბსოლურური ღირებულება არის მიზანთა მიზანი, უმაღლესი იდეალი. მაგალითად, კანტთან პიროვნება არის უპირობო ღირებულება.

ზოგადად ღირებულებების კლასიფიკაცია შესაძლებელია ტიპების მრავალფეროვნებებად. ესთეტიკური ღირებულებს საქმე აქვს ხელოვნებასთან, მშვენიერებასთან, ამაღლებულთან. Mმეცნიერულ ღირებულებებს - ცოდნასთან, ჭეშმარიტებასთან, ექსპერიმენტთან და ა.შ. არსებობენ ე.წ. ინსტრუმენტალურ ღირებულებები, ვუწოდოთ მათ ფასეულობები, რომელთაც საქმე აქვს ტექნოლოგიების ეფექტურებასთან, ჩვენი იარაღების სარგებლიანობასთან. Aარსებობსღ ირებულებათა სხვა ტიპებიც.

მორალური ღირებულებები, ჩამოთვლილი ღირებულებებისაგან ცალკე მდგომია; ისინი ადამიანის არსობრივ მოთხოვნილებებს, მის მოლოდინებს ეხმიანებიან.

მორალური ღირებულებების სისტემაში ერთიანდება: სამართლიანობა, თანასწორობა, სათნოება, ღირსება, პატიოსნება, ზრდილობა, თავმდაბლობა, პასუხისმგებლობა, ვალდებულება, გულმოწყალება, სიმართლისმოყვარეობა, გულკეთილობა, კეთილმოსურნეობა.

ეთიკისათვის ცენტრალურია საკითხი ადამიანის განსაკუთრებულობის, გამორჩეულობის, შესახებ. ადამიანს აქვს ღირსება, რომელიც მოითხოვს პატივისცემას. არავინ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საშუალებად სხვისი მიზნებისათვის. ადამიანთშორისი ურთიერთობები საჭიროებენ პატიოსნებას, თანასწორობას და სამართლიანობას ბედნიერებას. Aადამიანთა და სამოქალაქო უფლებები ასევე არსობრივი ღირებულებებია: ისინი უსაფრთხოდ იცავენ სივრცეს, სადაც ყოველი პიროვნება, შენ, მე და ნებისმიერი სხვა აღიარებულია და შეუძლია წარმატებულად წარმართოს ცხოვრება

ადამიანის, როგორც სოციალური არსებისთვის მთავარია ისეთი ღირებულებები როგორიცაა: ზრუნვა, ჩართულობა, თემობრივობა.

ისმის კითხვა U არსებობს, თუ არა მორალურ ღირებულებათა შორის იერარქიული დამოკიდებულება? Aარის თუ არა რომელიმე უფრო გამართული, სრულყოფილი ,“მართებული” , “სწორი”? M

ზოგი ფილოსოფოსი ფიქრობს, რომ ყველა მორალური ღირებულების დაყვანა შეიძლება ერთ სისტემაზე (კანტიანიზმი), ზოგიც ამტკიცებს, რომ ამის დასადგენად საჭიროა დროს ხანგრძლივი მონაკვეთი და ადამიანთა ჯგუფების დიდი რიცხვი (უტილიტარიზმი), ზოგი მიიჩნევს რომ ერთი ღირებულება სიტუაციიდან გამომდინარე პრიორიტეტულად იჩენს თავს. ამ საკითხებს ცალ-ცალკე დავუთმობთ ადგილს.

ზოგჯერ რთულდება იმ ღირებულებების აღიარება, რომელთაც არ ვეთანხმებით. ამ შემთხვევაში ადამიანი უნდა ეცადოს შეაფასოს ვითარება სხვათა პოზიციიდან შეინარჩუნოს სამართლიანობა იმათ მიმართ, ვინც სადებატო საკითხს სხვა კუთხიდან მიუდგა. იგი უნდა დააკვირდეს საპირისპირო არგუმენტებს. უნდა ეცადოს თავი აარიდოს არჩეულ მორალურ პოზიციაზე გაუაზრებლად, ხისტად და ჯიუტად დოგმას.

მორალური ღირებულებების აღნაგში გარკვეული წილი ემოციურს განეკუთვნება. მორალური ემოციები ჩვენი თვითობის ნაწილია, აუცილებელია მათი გათვალისწინება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ღირებულებები ფრაგმენტულად წარმოჩნდებიან.

შესაძლებელია თუ არა ღირებულებათა კონფლიქტების გადაჭრა?

ცხოვრებისეულ სიტუაციებში ხშირად აქვს ადგილი მორალურ ღირებულებათა კონფლიქტებს. ისინი მორალური დილემების სახელით არიან ცნობილნი. მორალური დილემა არ წარმოიშობა მორალურ და არა მორალურ (მაგალითად: პოპულარობა, კარგი ნიშნები, ეკონომიკური წარმატება) ღირებულებათა კონფლიქტის შემთხვევაში. მორალური დილემა მოითხოვს გამოსავალის მოძიებას- ეს ეთიკის საქმეა.

კონფლიქტის შემთხვევაში დაძაბულობის მოხსნის ძირითადი სტრატეგიებია: პრიორიტეტების დადგენა, ალტერნატივათა მოძიება, ღირებულებების იერარქიულ რიგში ჩაყენება და კომპრომისული შეთანხმებების მიღწევა.

განსხვავდება სამი სახის ღირებულებათა კონფლიქტი.

1) უთანხმოება /აზრთა სხვადასხვაობა-სიტუაცია, როდესაც ერთი სახის არჩევანი გარკვეული მოტივების გამო უფრო მისაღებია, მაგრამ მეორე არჩევანიც, რომელიც სხვა მოტივების ერთობას ემყარება ასევე მისაღებია. მიუხედავად ამისა არცერთი არ არის გამორჩეული- არცერთი არ სჯობს მეორეს.

2) მარტივი კონფლიქტი-სიტუაცია, რომელშიც არჩევანი ორ ექსკლუზიურ ალტერნატივას შორის უნდა გაკეთდეს.

3) არსობრივი კონფლიქტი-გამოუვალი სიტუაცია, რომელშიც ერთი ალტერნატივის მიხედვით მოქმედება სრულად გამორიცხავს მეორე ალტერნატივას. არსობრივი კონფლიქტი ქცევის შედეგზე/მიზანზეა მიმართული, მარტივი კონფლიქტი-გარემოებებით არის ნაკარნახევი.

ღირებულებათა შორის კონფლიქტური დაძაბულობის მოხსნის ძირითადი სტრატეგიებია:

1) პრიორიტეტების დაძებნა და გამოყოფა: უნდა დაადგინდეს რომელი ღირებულება, მიზანი, პიროვნება, გარემოება და ა.შ. არის უპირველესი მნიშვნელობისა., რომლის მიღწევაა ყველაზე ღირებული, რომელია ყველაზე ფუნდამენტური, ანუ რომელის განხორციელება შესაძლოა იქცეს სხვა მორალურ ამოცანათა მიღწევის წინაპირობად. რომელია ყველას მომცველი, ანუ მისი გადაწყვეტა გაფართოებს წარმატების მიღწევის შანსს.

2) მოქნილობა: აზრთა სხვადასხვაობით გამოწვეული დაძაბულობებისა და მარტივი კონფლიქტების გადაწყვეტა ალტერნატივების დაძებნით გადაწყდება. შესაძლებელია ორივე ალტერნატივიდან ორივე შეასრულო, ან არცერთი არ შეასრულო, შესაძლებელია პრობლემური გარემოებების შეცვლა, მიზნის მისაღწევად სხვა საშუალებების გამონახვა.

3) კომპრომისების მოძიება: როდესაც პრიორიტებების გამონახვა არარაციონალური ჩანს და ვერც ალტერნატული გზებით ვერ იხსნება კონფლიქტი, საჭიროა იმ ღირებულებების იდენტიფიცირება, რომელთა სრული თუ არა ნაწილობრივი რეალიზაცია იქნება შესაძლებელი.,

კონფლიქტის მოხსნაში გვეხმარება დიალოგი, ფაქტებისა და დასკვნებისადმი უფრო ფრთხილი დამოკიდებულება, მსგავსი შემთხვევების მოძიება, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ღრმა კონფლიქტები მაინც იჩენენ თავს? ღირებულებათა შეჯახებით გამოწვეული კოფლიქტური სიტუაციის განმუხტვისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ ერთი ან მეტი გადაწყვეტის ხერხი.

შინაგანი *versus* ინსტრუმენტალური ღირებულებები.

ის რაც თავისთავად ღირებულია, ანუ ღირებულებას საკუთარ თავში ატარებს ეწოდება შინაგანად ღირებული, მაგალითად, სიკეთე, ბედნიერება, ღირსება, თავისუფლება, ჰარმონია, პატივი, მეგობრობა, პატრიოტიზმი, ტოლერანტობა, სიამოვნება, (მათი საპირისპირო ნეგატიურია-ბოროტება, ტკივილი, ტერორი, ზიზღი, ფრუსტრაცია, მარტოობა, მტრობა, მონობა) ის, რაც სასურველია, როგორც სხვა რაღაცის მისაღწევად საჭირო რამ ინსტრუმენტულად ღირებულად იწოდება. მაგალითებად მოვიყვანთ-ფულს, კრეატულობას, შესაძლებლობას, ცოდნას, უნარებს (მათი საპირისპირო ნეგატიურია –საღატაკე, გაუნათლებლობა, სისუსტე, არაკომპეტენტურობა, ეჭვიანობა). ზოგი რამ, მაგალითად ჯანმრთელობა, მშვიდობა, სიბრძნე ხშირად მიიჩნევა როგორც შინაგანად, ისე ინსტრუმენტალურად ღირებულად.

absoluturi versus რელატიური ღირებულებები. როდესაც რაიმე, სოციალური შეთანხმების გამო, ინსტრუმენტალურად ღირებულია, მას *რელატიურ* ღირებულება ეწოდება. მაგალითად, მოწევის აკრძალვა ბარში, ან რესტორანში, სლენგით, ან ბარბარიზმებით საუბრის აკრძალვა საჯარო დაწესებულებებში, საღამოს დადგენილი საათის შემდეგ ხმაურის აკრძალვა, რაიმენაირი მოვლენის აღმნიშვნელი ღონისძიებისათვის დადგენილი საათების დაწესება და ა.შ. ისინი ინსტრუმენტულად ემსახურებიან საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, პირადი საკუთრებისა და საზოგადოების პატივისცემას. როდესაც რამე ღირებულია თავისთავად, დამოუკიდებლად ამა თუ იმ საზოგადოებაში მიღებული წესებისა, მას აბსოლუტური ღირებულება ეწოდება. უსაფრთხოება, მშვიდობა, სიყვარული, პატივისცემა, პერსონული თავისუფლება, და ა.შ. აბსოლუტური ღირებულებებად უნდა მივიჩნიოთ.

გამართლება და სინანული . ზოგჯერ ადამიანი ცდილობს გაამართლოს საკუთარი ქცევა, ასაბუთებს მას, როგორც სასიკეთოს. მაგრამ თუ ადამიანი აცნობიერებს, რომ არ მოიქცა ზნეობრივად, რომ მისი საქციელი მცდარი იყო, იგი ნანობს მას და ბოდიშის იხდის.

ორი ტიპის -„არის“და „უნდა“-ს შემცველი მსჯელობები

ეთიკური მსჯელობა თავისი არსით არის ნორმატული, ანუ მსჯელობისას გამოიყენება ნორმატული გამონათქვამები.

დესკრიპტულ მტკიცებულებას საქმე აქვს აღწერასთან, ანუ იმასთან რაც

„**არის**“; მაგ. გიორგიმ ბევრი „შპარგალკა“ მოამზადა კოლოკვიუმისათვის.

არსებობს მეორე ტიპის მტკიცებულება-პრესკრიპტული. მას საქმე აქვს ღირებულებით შეფასებებთან. ის გვეუბნება რა“ **უნდა იყოს“.** მაგ. გიორგიმ არ უნდა გადაიწეროს კოლოკვიუმზე.

ეთიკაში მტკიცებულებები უმეტესად პრესკრიპტულ ხასიათის ატარებს. დესკრიპტული მტკიცებულებანი - დამხმარე როლს ასრულებენ.

მხოლოდ მორალური ღირებულებები არიან დამავალდებულებელნი-მხოლოდ ისინი არიან დატვირთულნი მოთხოვნით- „უნდა!“ მორალური ღირებულებები თავისი ბუნებით მოითხოვენ, რომ ყველა სხვა ღირებულებასთან შედარებით, უპირატესობა სწორედ მათ მიენიჭოთ. მორალური გადაწყვეტილების მიღებისას, დესკრიპტული მტკიცებულებით გამოვხატავთ აზრს სამყაროს, ადამიანის, გარემოს შესახებ და ამასთან ერთად პრესკრიპტულ მტკიცებულებებით ხდება შეფასება მორალური ღირებულებების მიხედვით. აქვე უნად აღინიშნოს, რომ გზა დესკრიპტული მსჯელობიდან პრესკრიპტულისკენ არ არის პირდაპირი, ანუ მტკიცებულება“არის“ არ შეიძლება პირდაპირ გარდავქმნათ „უნდად“ . მორალური ღირებულებები: „არ იცრუო“, „არ ავნო“, „იყავი გულმოწყალე“ და სხვ. აუცილებლად უნდა მოვიხმოთ, როდესაც გვსურს- მართებულად მოვიქცეთ. როდესაც ინდივდი ცდება : მორალურად არ იქცევა, ვერ, ან არ აკეთებს სწორ მორალურ არჩევიანს და შემდეგში ამაზე ნანობს, ეს მორალური ტრაგედიაა. ეთიკური არგუმენტების გაცნობიერება, ზოგადად, მორალური ცოდნა ეხმარება ადამიანს თავიდან აიცილოს მორალური შეცდომები. ეთიკური არგემენტები შესაძლოა განსხვავებული სახის მტკიცებულებებს შეიცავდნენ. მათი ჭეშმარიტება/ მცდარობა შესაძლოა ეფუძნებოდეს მეცნიერულ დაკვირვებასა და გრძნობებზე დაფუძნებულ ემპირიულ ფაქტებს, ტერმინის ლექსიკურ დეფინიციას, ეს მტკიცებულებები დესკრიპტულია. განსხვავებულია წინადადებები, რომლებიც მორალური ჭეშმარიტების მომცველ მტკიცებულებებს გამოხატავენ. წინადადება-„ ცუდია სხვა ადამიანების შეწუხება საკუთარი გართობის ხარჯზე“ პრესკრიპტული, ანუ მორალური მტკიცებულების მაგალითია. გსხვადასხვა წინადადებებმა შესაძლოა ერთიდაიგივე მტკიცებულება გამოხატონ- მაგალითად, წინადადებები- „ბოროტებაა ბავშვების წამება“და “torturing children is wrong” ერთიდაიგივე სახის მტკიცებულებაა, რადგან ერთიდაიგივე ღირებულებით შეფასებას გამოხატავს, თუმცა სხვადასხვა ენაზე. იგი რიტორიკული შეკითხის ფორმითაც შესაძლოა გამოჩნდეს.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ერთ წინადადებაში შესაძლოა შეგვხვდეთ სხვადასხვა სახის მტკიცებულებანი. მაგალითად, რენე დეკარტეს ცნობილ *cogito*-ს არგუმენტი, ერთ წინადადებაში: „ ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“- გამოითქვა ორი მტკიცებულებით: „ვაზროვნებ“ და „ვარსებობ.“

ეთიკური მსჯელობის დროს შესაძლოა ადგილი ქონდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს.

ობიექტივისტური და სუბიექტივისტური ინტერპრეტაციები. ობიექტივისტური ინტერპრეტაციის მიხედვით ნორმატული მსჯელობა" X კარგი კაცია" გულისხმობს, რომ X-ს ახასიათებს ისეთი თვისებები, რომელიც ამ აზრის გამომთქმელის პიროვნული პრეფერენციების მიღმაა, ანუ არ არის დამოკიდებული მის სურვილზე, ან შეხედულებაზე. სუბიექტივისტური ინტერპრეტაცია ამის საპირისპიროდ გულისხმობს, რომ ეს მთქმელის პერსონული სურვილია, და იგი უპირატესობას ანიჭებს X-ს.

კითხვები და დავალება:

1) განმარტეთ რა არის ღირებულება? რითი განსხვავდება მორალური ღირებულება სხვა სახის ღირებულებებისაგან?
2) რა ღირებულებებია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? რაზე ზრუნავთ ყველაზე მეტად? Bბედნიერების მოპოვებაზე? Fპატიოსნებაზე? თემზე? ერთ, ორ, თუ მეტ რამეზე? დაიყავით ჯგუფებად. ეცადეთ მოგვითხროთ ისტორია და დაასაბუთოდ იგი.
3) დღეს ბევრ ბიზნესს ეთიკური კოდექსი აქვს. რა სახის მორალური ღირებულებები უნდა იყოს წარმოდგენილი ამ კოდექსში? შესაძლებელია დებატის წარმართვა მათზე? A შესაძლებელია რომ ბიზნესის ეთიკურ კოდში ჩართული იყოს მხოლოდ გარკვეული სახის მორალური ღირებულებები,?
4) აკადემიური ღირსების კოდექსის დაცვა სტუდენტის მიერ გადაწერა/პლაგიატი არა ეთიკურ ქცევად მიიჩნევა. Eეთანხმებით ამ შეფასებას? როგორ უნდა მოიქცეს მისი მეგობარი, რომელიც დააფიქსირებს ამ ფაქტს?
5) ეთიკური სუბიექტივიზმი არაპროფესიონალ ფილოსოფოსებს შორის ყველაზე პოპულარული თეორიაა. თუ მორალი მხოლოდ პერსონული გრძნობის საქმეა, მაშინ გამოდის, რომ ადამიანი, რომელიც მორალურად არ არის სენსიტური, ნაკლები მორალური ვალდებულების მატარებელი იქნება, ვიდრე ის ვისაც თანაგრძნობის უნარი მაღალ განვითარებული აქვს. ასეთი ადამიანებისათვის მორალურად გაუმართლებელი, ცუდი ქცევა არ იქნება პირობის გატეხა, სუსტების ჩაგვრა, რასისტული აქტივობები, რაგანაც ეს ქმედებანი მათთვის მორალურ თემებთან არ იგივდება. ეთანხმებით ამ თვალსაზრისს? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

ლექცია VIII

ეთიკური ლეგალიზმი და პარტიკულარიზმი

მეტაეთიკის ერთერთი არსებითი და საკვანძო საკითხია - არსებობს თუ არა ეთიკურ ველზე აბსოლუტური და უნივერსალური დამავალდებულებელი მორალური კანონი? რა სახისაა იგი, ფარდობითი ხასიათის მატარებელი ხომ არაა?

ფილოსოფოსები ბაზისურ ეთიკურ თეორიებს ორ რადიკალურად განსხვავებულ ხედვად,- ლეგალიზმად და პარტიკულარიზმად,- აჯგუფებენ.

ორივე ჯგუფს არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს და საკმაოდ სერიოზული არგუმენტაცია უმაგრებს პოზიციებს.

პირველში,- კანონი ის პარადიგმაა, რომელშიც ქცევებს არეგულირებს წესები/ნორმები. ამ წესების შემქმნელად ერთ შემთხვევაში მიიჩნევა უზენაესი არსება, სხვა შემთხვევაში პიროვნება-დიქტატორი, ან საზოგადოება. ლეგალიზმის მიხედვით აქტის მორალურობა დეტერმინირებულია მხოლოდ წესებით/ნორმებით/პრინციპებით. აქტი მორალურია თუ შეესაბამება მორალურ წესს. მორალური აქტის განმსაზღვრელი კრიტერიუმი კანონია, რომელსაც აწესებს ავტონომიური ნება. ამ განზომილებაში პირველი ჩვენი ცოდნაა, შემდეგ სწორი წესის მიყენებაა მოცემული ქცევის მიმართ. სტრატეგია ამ ხედვისა დეონტოლოგიურია. დასავლური ეთიკური თეორიების უმრავლესობა ლეგალისტურია. ყველაზე მკაფიოდ გამოხატული მათ შორის იმანუილ კანტისა და ნეტარი ავგუსტინეს კონცეფციებია.

თავის მხრივ ლეგალიზმი იყოფა მონისტურ და პლურალისტურ ლეგალიზმად- იმის მიხედვით, ერთ თუ მრავალ პრინციპს აღიარებს, მაგრამ ყველა მიიჩნევს, რომ წესი, კანონი, პრინციპი აუცილებელია იმისათვის რომ მორალური აქტი შედგეს.

ლეგალიზმი აერთიანებს ეთიკური სისტემების სახით გაფორმებულ შემდეგ ეთიკურ ხედვებს.

I. სიტუაციონალიზმი-აცხადებს, რომ არსებობს ერთადერთი აბსოლუტური კანონი/პრინციპი
II. გენერალიზმი-არსებობს ზოგადი კანონები/პრინციპები, მაგრამ ისინი აბსოლუტური ხასიათის არ არიან.
III. აბსოლუტური/ შეუზღუდავი ლეგალიზმი-აღიარებს მორალური კანონების არსებობას. ისინი აბსოლუტურნი არიან და არასოდეს მოდიან ერთმანეთთან კონფლიქტში
IV. კლასიკური ლეგალიზმი-აღიარებს მორალური კანონების არსებობას, მაგრამ მათი იერარქიულობის გამო, უშვებს მათ კონფლიქტურობას.

პარტიკულარიზმის მიხედვით ქცევის რაგვარობა, მისი მართებულობა - მცდარობა მხოლოდ სიტუაციაზე, იმ კონკრეტულ ვითარებაზეა დამოკიდებული, რომელშიც სრულდება ეს აქტი. ამ ხედვის მიხედვით არ არსებობს არანაირი მორალური კანონი, პრინციპი, თუ ბრძანება. სტრატეგია, რომელსაც იყენებს ხედვა-ტელეოლოგიურია.

ჩვენ მომდევნო ლექციებში ცალცალკე შევჩერდებით ზემოთ ჩამოთვლილ ხედვებზე.

დღეს კი შევეხოთ ანტინომიანიზმს.

ანტინომიანიზმი

ხედვებს შორის ცალკე მდგომია ხედვა, რომელსაც უწოდებენ ანტინომიანიზმს (სიტყვა- სიტყვით ნიშნავს „კანონის წინააღმდეგ ან მის ნაცვლად“). ესაა სუბიექტივისტური ხედვა, რომლის მთავარი მახასიათებელი უკიდურესი რელატივიზმია. მისი მომხრენი თვლიან, რომ არ არსებობს არც-ერთი დამავალდებელი კანონი, არანაირი მორალური კანონი. ყველაფერი ფარდობითია. ანტინომიანიზმის უკიდურესი ფორმა გაცილებით ფართოდაა გავრცელებული. ანტინომიანისტები მიიჩნევენ რომ:

ა) არ არსებობს ღვთისგან მოცემული მცნებები;

ბ) არ არსებობს ობიექტური მორალური კანონები;

გ) არ არსებობს აბსოლუტური მორალური კანონები;

დ) არ არსებობს უნივერსალური მორალური კანონები;

ე) არ არსებობს მარადიული მორალური კანონები.

ძალიან მოკლედ, სქემის სახით, განვიხილოთ ის სკოლები, რომელნიც ანტინომიანისტური ეთიკური ხედვით ხასიათდებიან. ეთიკის ისტორიაში იგი- პროცესიზმის, ჰედონიმიზმის და სკეპტიციზმის სახით-, ჯერ კიდევ ანტიკურობაში გვხვდება.

პროცესიზმის ნათელი მაგალითია ჰერაკლიტეს ფილოსოფია, რომელის არსი გამოთქმულია ცნობილი ფორმულებით: „არავის არ შეუძლია ერთიდაიგივე მდინარის ნაკადში შესვლა ორჯერ, ყოველ ჯერზე ახალი წყლები შეხვდება მდინარეში შემსვლელს“. ჰერაკლიტეს მიხედვით ყველაფერი მუდმივად იცვლება, მოძრაობს განუწყვეტლივ. სამყაროსათვის უცხოა მყარი ყოფიერება. ჩვენი გრძნობები, ამნაირი სიმყარის ილუზიას კი გვიქმნიან, მაგრამ ყველგან ერთი და იგივე სურათი ხვდება ადამიანს- წარმავლობის მარადიული ნაკადი, სადაც არ არსებობს მყარი თვისებრივად განსაზღვრული ყოფიერება. ნებისმიერი არსებობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთიდან, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი სხვაობა, დასაბამს იღებენ დაპირისპირებულნი, რათა შემდეგ ერთშივე გაითქვიფონ. ეს დაპირისპირებულნი ორმხრივად განაპირობებენ ერთმანეთს. ჰარმონიული თანხმობა შესაძლებელია უთანხმოებით. იგი მიიღწევა სამყაროში დაპირისპირებულთა წინააღმდეგობისა და ბრძოლის წყალობით. ჰერაკლიტეს ფილოსოფიის გავლენით, მისი მიმდევარი კრატილუსი უფრო ამწვავებს ამ მიდგობას. იგი მიიჩნევს, რომ არაფერს გააჩნია იგივეობრიობა, ანუ უცვლელი არსი. ყველაფერი იმდენად მოძრაობაშია, რომ მას თავისი არსებობისაც არ სჯერა. ამის დასადასტურებლად ფილოსოფოსი თითს აქნევდა, ესეც მოძრაობაშიაო. ჰერაკლიტეს ფორმულას იგი უფრო ამზაფრებდა და ამბობდა, რომ ერთიდაიგივე მდინარეში არავის შეუძლია ერთხელ შესვლაც კი.

შესაბამისად, პროცესიზმი თვლის, რომ ყოველი მორალური კანონი, თუ ნორმა ცვლება სიტუაციის მიხედვით.

2. სკეპტიციზმი (ბერძ. სიტყვიდან სკეფსის-განხილვა)– უარყოფს ობიექტური სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობას, მას აქვს კრიტიკული/უნდობლური დამოკიდებულება, დაეჭვება რისამე სისწორეში ან შესაძლებლობაში და გადაწყვეტილების გადადება ნებისმიერი საგნის მიმართ. ყველა საგანს ორი მხარე აქვს და ყოველ კითხვას ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობამდე მივყავართ. მტკიცე დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ეჭვია ყველაფრის სათავე. არაფერი შეიძლება განისაზღვროს აბსოლუტურად სწორად ან მცდარად.

3. ჰედონიზმი-სიამოვნების ეთიკა

ეთიკური აზრის ისტორიაში მორალის წარმოშობის მთავარ წყაროდ და მისი განვითარების საბოლოო მიზნად ძალიან ხშირად "სიამოვნებებისაკენ ლტოლვა" მიიჩნევა. ამ მიდგომას უწოდებენ ჰედონიზმს (ძველ. ბერძ. «ηδονή»-სიამოვნება). იგი მიიჩნევს, რომ სიმოვნება-ცხოვრების საზრისი და უზენაესი სიკეთეა. ჰედონიზმი დასრულებულ მორალურ სისტემას არ წარმოადგენს. იგი უშვებს წმინდა პერსონულ, ეგოისტურად გაფორმებულ სწრაფვას. ჰედონიზმის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ადამიანის აქტივობის მთავარი მიზანი და მამოძრავებელი საწყისი არის სიამოვნებებისაკენ მისწრაფება და ტანჯვისაგან თავდაღწევა. ამ გზით ადამიანი მიაღწევს ბედნიერებას. ჰედონიზმის ყველაზე გავრცელებული სახეა-ყოფითი ტკბობა. ამ პოზიციის მიხედვით"სიკეთე" არის ის, რაც პერსონული სიამოვნების მომტანი იქნება. "ბოროტებაა"-ის რასაც პირადი უსიამოვნება მოაქვს. [10]

ჰედონისტურ თეორიებში "სურვილის საგანს" მნიშვნელობა არ აქვს. იგი მსჯელობაში არაარსებითი ფაქტორის როლს თამაშობს. მთავარია-სიამოვნება, როგორც ქცევის მორტივთა, მიზანთა განზოგადებული კონცეპტი. ყველა მისწრაფება, არგუმენტი, მოტივი, რომელიც ადამიანის ქცევის თანმდევია, ემსახურება სიამოვნების მიღწევას. გონებას ევალება სიამოვნების მაქსიმალური სისავსეობის უზრუნველყოფა. ინდივიდუალური სიამოვნებისაკენ ლტოლვა უპირისპირდება საზოგადებრივი მოთხოვნის ასრულებას. ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის კინიკოსები, აღორძინების ეპოქის მოაზროვნენი, განმანათლებლები (რუსო, ვოლტერი, დიდრო), თანამედროვეობაში-ფროიდი აშკარად ლაპარაკობდნენ ცივილიზაციის რეპრესიულ ფუნქციაზე. ნებისმიერ გარედან/საზოგადოებიდან, სოციუმიდან, სხვადასხვა ინსტიტუციებიდან მომდინარე მოთხოვნას "ასეა საჭირო!", ან "ასეა მიღებული" ჰედონიზმის მომხრეები უპირისპირებენ "მე ასე არ მინდა". უკიდურასად რადიკალური ჰედონისტური ეთიკის მთავარი ლოზუნგია,-"აკეთე ის რაც გინდა!" მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზომიერი ჰედონიზმისთვის სრულიადაც არაა მისაღები ყველაფრის დაშვება. მაგალითად, ფრანგი განმანათლებელი დე შამფორი მიიჩნევს, რომ შესაბამისი განათლებისა და აღზრდის მქონე ნებისმიერ "თავისუფალ

---

[10] "პირადი კაპრიზების" ჰიპერბოლიზაციას ემხრობა ბარუხ სპინოზა. იგი ამტკიცებს, "ჩვენ არაფერი გვსურს, მხოლოდ იმის გამო, რომ ის თავისთავად კარგია; ხოლო კარგს ვუწოდებთ იმას, რაც გვსურს საკუთარი სიამოვნებისათვის, ხოლო იმას, რის მიმართაც სიძულვილს ვგრძნობთ ვუწოდებთ ბოროტს" (სპინოზა).

ადამიანს" სურს აკეთოს სიკეთე იგი ამბობს: "დატკბი და აჩუქე ტკბობა, არ მიანიჭო ბოროტება არც საკუთარ თავს, არც სხვას-ზნეობის არსი ამაში იხსნება."

მოკლე ისტორიული ექსკურსი. ჰედონიზმის მიჩნეულია სოკრატეს თანამედროვე ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტიპე კირენელი (435-355 ჩვ. წელთ.-მდე) იგი განარჩევს ადამიანის სულის ორ მდგომარეობას: სიამოვნებას, როგორც სულის ნაზი მოძრაობასა და ტკივილს- სულის მოუხეშავი, ტლანქი სწრაფვა. ისინი თავისი არსით თვისებრივად მსგავსია. ცხოვრების საზრისი მაქსიმალური ფიზიკური სიამოვნების მიღწევაა. ესაა ბედნიერება. სიამოვნება **კირენაიკელებისათვის** ფილოსოფიური პრინციპია, რაც არ გამოიხატება სიამოვნების მიღების სურვილში, ანუ პრინციპია ტკბობა და არა სიამოვნების მაქსიმალიზაცია, ტკბობის გავლით ჩნდება სულია თავისუფლება. ჰედონიზმის ყველაზე განვითარებული კონცეფცია ანტიკურობაში ეპიკურესთანაა (341-270 ჩვ. წელთ.-მდე) დაკავშირებული. ეპიკურეიზმის ეთიკურ სისტემაში,"სიამოვნებისაკენ სწრაფვა" მოექცა მოტივთა და ღირებულებეთა იერარქიის სათავეში. როგორ ესმის ეპიკურეს სიამოვნება? -ესაა ტანჯვისა და ტკივილისაგან თავდახსნა, რომელიც ათარაქსიით, ანუ მატერიალურისგან სრული განთავისუფლებით, მისგან ამაღლებით მიიღწევა. "სიკეთე" ეპიკურესთან უდრის სიამოვნებებს. როდესაც საკითხი სათნოებასა და სიამოვნებას შორის არჩევანს შეეხება, ეპიკურე მას წყვეტს სიამოვნების სასარგებლოდ. ამიტომაც ყველა მორალური ნორმა, რაგინდა რა მნიშვნელობის მატარებელი არ უნდა იყოს ის, ნებსით, თუ უნებლიედ "სიამოვნების მიღების" დაქვემდებარებაში ხვდება. მაგრამ როგორც კი სიამოვნებას უმაღლეს ღირებულებად მივიჩნევთ, ამაღლებული და კეთილშობილი სიამოვნებებიდან გრძნობადზე დაშვება გარდაუვალი ხდება. ყველაზე დახვეწილი და მძაფრი სიამოვნება კავშირშია გრძნობად სიამეებთან. ეპიკურე უმაღლეს სიამოვნებად "სიბრძნის მაძიებელ მეგობართა ვიწრო წრეში ფილოსოფოსობას" აცხადებდა. მისი უშუალო მოსწავლეები სცილდებიან ამ ხედვას და სიამოვნება უტოლებენ "მაძღარ და უშფოთველ მოსვენებას- აღსავსეს უპირატესად სხეულებრივი სიხარულებით. " „სიამოვნების" სწორედ ამგვარი გაგება ხდება პოპულარული მომდევნო საუკუნეებში. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ხედვა განსაკუთრებულად წინ წამოიწევს კაცობრიობის აზროვნების გარკვეულ ეპოქებში.

 მაგალითად რენესანსის ეპოქაში (განსაკუთრებით XIV-XV საუკუნეები) ამ დროს ჰედონიზმმა მიიღო რადიკალური ფორმები. ამ პერიოდის მეცნიერულ მიღწევათა კვინტეესენციად ცხადდება ლორენცო ვალლას ჰედონისტური ტრაქტატი " ჭეშმარიტი და მცდარი სიკეთის შესახებ."

ჰედონიზმის განვითარების მეორე პიკი XVIII საუკუნის მეორე ნახევარზე მოდის. ფრანგი მატერიალისტები, იგივე ენციკლოპედისტები, ფართოდ იყენებდნენ ჰედონიზმის მთავარ პოსტულატს " სიამოვნებისაკენ ადამიანის ფუნდამენტური და ბუნებრივი სწრაფვის შესახებ."

XX საუკუნის დასაწყისში ზიგმუნდ ფროიდი ამტკიცებდა, რომ ყველა სახის სიამოვნებები თამაშობენ წამყვან როლს ყველა ცხოველის, განსაკუთრებით ადამიანის, ქცევაში. იგი ემყარებოდა თეორიული მედიცინისა და ფიზიოლოგიის კვლევების შედეგებს. კერძოდ, რომ სიამოვნებათა გამომწვევი პოზიტიური ემოციები არსებითად აუმჯობესებენ ნერვიული სისტემისა და მთელი ორგანიზმის ფუნციონირებას. ფროიდის მიხედვით დაბადებიდანვე ადამიანი ჰედონისტია. ახალშობილი მხოლოდ სიამოვნებისაკენ ილტვის და ტანჯვით სწავლობს იმას, რაც პირდაპირ კავშირშია სიამოვნებასთან.

ჰედონიზმის არსი თანამედროვე ეპოქაში მხატვრულად გააზრებულია ოსკარ უაილდის რომანში „დორიან გრეის პორტრეტი'. მისი ცენტრალური პერსონაჟი-ლორდ ჰენრის ფილოსოფიური განაზრებანი ემყარებიან ჰედონიზმის კლასიკურ პარადიგმას. ის ამტკიცებს, რომ მშვენიერებითა და ხელოვნებით ტკბობა უზრუნველყოფს უსაზღვრო სულიერი განვითარება, პიროვნების მიერ მიღწეული ინტელექტუალური და ემოციური სრულყოფილება უზრუნველყოფს სულის ნაღდ და გამაჯანსაღებელ სრულყოფას ცხოვრებაშიცა და ხელოვნებაში. შესაძლებელია ადამიანის მოთხოვნილებების ამოწურვა მხოლოდ მშვენიერების ტკბობით მოგვრილი სიამოვნებით? მაგალითად მთავარი გმირის დორიანისთვის ადამიანები წარმოადგენენ პირადი სიამოვნების მოპოვების საშუალებას წარმოადგენენ.

სიამოვნებები იმდენად მრავალფეროვანნი არიან, რომ შეუძლებელია ჰედონიზმის ეთიკის საფუძველზე დავამყაროთ უნივერსალური და აბსოლუტური, ყველასათვის მისაღები ღირებულებათა იერარქია. ჰედონიზმში ვალიდურია განსხვავებული თვალსაზრისები. სიამოვნებისაკენ ნებისმიერი ერთეული ლტოლვა ეჯახება სხვების ანალოგიურ სურვილს. რასაც მივყავართ ინტერესთა კონფლიქტებამდე, ღია, თუ დაფარულ ბრძოლებამდე. ჰედონიზმში გარდაუვალია განუსაზღვრელი ეგოიზმი და გარეშე მყოფთა უგულვებელყოფა.

ამ ჩიხიდან გამოსავალს ჰედონისტები ხედავენ სურვილების ჰარმონიზაციასა და ურთიერთშეთანხმებაში, სიამოვნებებათა მაქსიმალური გაზრდით და მათი შეზღუდვის მინიმალიზებით ისინი ყველასათვის თანაბარზომიერნი გახდებიან. ამ შემთხვევაში სიძნელე იმაშია, რომ არ არსებობს კრიტერიუმი რომელიც მუდმივად გაზომავს სიამოვნებებს. სისტემურად მოაზროვნე ფილოსოფოსები: პლატონი, არისტოტელე, კანტი, ჰეგელი, ასევე რელიგიური ფილოსოფია უპირისპირდება

ჰედონიზმს. ”არა სიცოცხლე სიამოვნებისთვის, არამედ სიამოვნება სიცოცხლისათვის”ამგვარად ჟღერს არსიტოტელეს აფორიზმი. ჰეგელი კი ფიქრობს, რომ ”სიამოვნებისაკენ ლტოლვის” სრული დათრგუნვა ველურ აღმოსავლურ დესპოტიზმამდე მიგვიყვანს. ევროპული გონი იწყება სწორედ იქ, სადაც ჭირვეული ინდივიდუალური ნება კი არ ნადგურდება, არამედ ეძლევა საშუალება გამოავლინოს თავი და გაიზარდოს გონივრულ”თვით-ალაგმვაში”.

ჰედონიზმის კრიტიკოსთა შორის უნდა გამოვყოთ ჯ. მური. „ფილოსოფიის პრინციპებში“ იგი ცალკე თავს უძღვნის მილისა და სიჯვიკის კრიტიკას. ერთადერთ სიკეთედ სიამოვნების გამოცხადება ნატურალისტური შეცდომაა, სადაც აღრეულია „სურვილი“ და „ღირსეული სურვილი“, სიამოვნება და სიამოვნების შეგრძნება. მურს მიაჩნია, რომ რაციონალიზმის ელემენტების შემოტანით სიჯვიკი საზღვრებში აქცევს სიამოვნებას, რითაც ჰედონიზმის, როგორც კონცეფციის, მთლიანობა ირღვევა.

ჰედონიზმის მოწინააღმდეგეთა ნაწილი იზიარებს მთავარ თეზისს სიამოვნებისაკენ საყოველთაო სწრაფვის შესახებ. გავიხსენოთ, რომ კლასიკოსი უტილიტარისტები იერემია ბენთამი და ჯონ სტიუარტ მილი თვლიდნენ, რომ სიამოვნებისაკენ სწრაფვა ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობის მახასიათებელია და სტიქიურად გაფორმებული ზნეობის თავდაპირველ კრიტერიუმს წარმოადგენს. მაგრამ ამ საყოველთაო სუბიექტური მისწრაფების უკან იმალება უფრო ღრმა, არა ყველას მიერ გაცნობიერებული სწრაფვა სარგებლის მიმართ. უნდა მოხდეს სიამოვნებისაკენ სწრაფვის კორექცია, იმისათვის რომ იგი ყველასათვის მისაღები გახდეს.

ეთიკური ანტინომიანიზმი შუა საუკუნეებში ახასიათებს: ინტენციონალიზმს, ვოლუნტარიზმსა და ნომინალიზმს.

1. ინტენციონალიზმი– პიერ აბელიარის თეოლოგიურ ნააზრევს ახასიათებს. მას მიაჩნია, რომ ქცევა სწორია თუ კეთილი განზრახვითაა განხორციელებული, ცუდი-თუ ბოროტით. ქცევის სისწორე–მცდარობა ფარდობითია პიროვნების განზრახვასთან მიმართებაში. მაგალითად, ადამიანის მოკვლა უპირობოდ არ შეიძლება ჩაითვალოს ცუდ ქცევად, რადგანაც ხომ შესაძლებელია, რომ ვინმემ შემთხვევით მოკლა კაცი და ამ შემთხვევაში ის მორალურად დამნაშავედ არ ჩაითვლება. ასევე-კარგ ქცევად არ

ჩაითვლება მოწყალების გაცემა, ღარიბისთვის ფულის მიცემა, თუ ის შინაგანი გადაწყვეტილებით მიღებული მოტივით არაა ჩადენილი.

2. ვოლუნტარიზმი– შუა საუკუნეებში უილიამ ოკამის ხედვას ახასიათებს. ის თვლის, რომ თითოეული მორალური პრინციპი დაკავშირებულია ღვთის ნებასთან. ღმერთს შეუძლია გადაწყვიტოს, რა არის სწორი და მცდარი დღეს, ამ წუთში; ხვალ, შეიძლება სხვა გადაწყვეტილება მიიღოს. ოკამის ვოლუნტარიზმის მიხედვით რაღაც კარგია, იმიტომ კი არა რომ ის თავისთავად კარგია, არამედ იმიტომ რომ ღმერთს სურს ასე.

3. ნომინალიზმი– უილიამ ოკამის ნააზრევის მეორე ასპექტია-ნომინალიზმი, ანუ საყოველთაოს უარყოფა. ოკამი იღებს ნომინალიზმის შერბილებულ ფორმას, რომელსაც კონცეპტუალიზმი ეწოდება. მასში უარყოფილია დებულება, რომ უნივერსალიები ქმნიან დამოუკიდებელ ონტოლოგიურ რეალობას. ამასთანავე, დაშვებულია, რომ საგნებში არსებობს რაღაც საერთო, რაც სიტყვით აღნიშნული და გონებაში მოცემული ცნების საფუძველი ხდება. ოკამი მიიჩნევს, რომ უნივერსალიები არსებობენ მხოლოდ გონებაში და არა რეალობაში. მსოფლიო რადიკალურად ინდივიდუალურია. ინდივიდუმები არსებობენ რეალურ სამყაროში, „კაცობრიობა“არსებობს მხოლოდ როგორც კონცეპცია გონებაში.სამართლიანობის შემცველი ცალკეული ქცევა არსებობს, თავისთავად სამართლიანობა კი არ არსებობს. თანამედროვე ფილოსოფიაში ანტინომიანიზმი ვლინდება ნიჰილიზმში, ემოტივიზმსა და ევოლუციონიზმში.

4. ნიჰილიზმი– მიიჩნევს, რომ ღირებულებები არ არსებობენ. ღმერთის სიკვდილთან ერთად გაქრა ობიექტური ღირებულება. ნიჰილიზმი მეოცე საუკუნეში ნიცშეს ფილოსოფიაში სრულად გამოვლინდა ფორმულით– ჩვენ უნდა გადავაბიჯოთ სიკეთესაც და ბოროტებასაც; რადგან არ არის ღმერთი, რომელსაც სურს ის რაც სიკეთეა, ჩვენ უნდა ვიპოვოთ ჩვენი საკუთარი სიკეთე. ვინაიდან არაა მარადიული ღირებულებები, ჯობს ვისურვო არარა, ვიდრე საერთოდ არ მქონდეს არაფრის სურვილი. არარას სურვილი არის ნიჰილიზმი.

5. ემოტივიზმი მიიჩნევს, რომ ყოველი ეთიკური ცნება ემოციურია. თანამედროვე ინგლისელი ნეოპოზიტივისტისა და ენის ფილოსოფოსის ალფრედ აიერის კონცეფციაში ეთიკური ცნებები ჩვენი გრძნობების გამოხატულებანი არიან. იგი ამტკიცებს, რომ მორალურ მსჯელობებს არ აქვთ ობიექტური მნიშვნელობა, რადგანაც მათი ემპირიული შემოწმება შეუძლებელია. მორალური მსჯელობები არ შეიცავენ არც ჭეშმარიტებას, არც მცდარობას. ისინი არაფერს გამოხატავენ გარდა ჩვენი გრძნობებისა და სურვილებისა. ისინი ასევე გამოხატავენ სხვადასხვა რეაქციებს, რომელთა გამოწვევასაც გულისხმობდნენ. ეთიკური დაიყვანება იმაზე

თუ რა მოგვწონს და რა-არა. მცნება–„რა კაც კლა“-გამომხატველია მხოლოდ ემოციისა–„მე არ მომწონს კაცის მოკვლა“.

ემოტივიზმში ეთიკური წესები არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ჩვენი სუბექტური განცდების ემოციურ გამოხატულებები, არც ღვთაებრივი იმპერატივები–მცნებები- არსებობს, ყველაფერი შეფარდებითია თვითოეულ ინდივიდუალურ შეგრძნებასთან მიმართებით. შესაბამისად, ობიექტური, ყველასათვის სავალდებულო, მორალური კანონი არ არსებობს.

6. ევოლუციური ეთიკის ცენტრალური თეზისია–ის რაც ეხმარება ევოლუციურ პროცესს მორალურად მართებულია. ჰერბერტ სპენსერი, და მისი მიმდევრები ჯორჯ ჰაქსლი, რიჩარდ დოკინზი, რობერტ ტრივერსი ამ ტიპის ეთიკის სამ პრინციპზე საუბრობენ:

ა).მართებულია, ევოლუციის პროცესში განხორციელებული ყოველი ახალი შესაძლებლობა,

ბ) მართებულია პატივი მიაგოს ადამიანს, ინდივიდს და ხელი შეუწყო მის სრულყოფილ განვითარებას,

გ) მართებულია ჩამოაყალიბო მექანიზმი შემდგომი სოციალური ევოლუციისათვის.

ევოლუციონისტური იდეებით გატაცებული იყო ადფოლფ ჰიტლერი. ამ მიდგომასა და ხედვას ემყარება მისი წიგნი „ჩემი ბრძოლა“. ამ წიგნში ვკითხულობთ, რომ უნებრივი შერჩევის ევოლუციონისტური პრინციპი უნდა მიყენებულ იქნეს ადამიანებზეც. ჩვენ უნდა დავიცვათ უმაღლესი (არიული) რასა, რადგანაც იგი ევოლუციური განვითარების უმაღლესი ნაყოფია. ხოლო დაბალი რასებისგან დედამიწა უნდა გაიწმინდოს.

დასკვნის სახით შესაძლებელია ვთქვათ, რომ ანტინომიანიზმი შეიცავს ჭეშმარიტების გარკვეულ მარცვლებს. კერძოდ, ეს ხედვა პერსონულ პასუხისმგებლობას ანიჭებს უპირატესობას იმით, რომ მახვილი გადააქვს ინდივიდუალურზე; ამით ზნეობრიობის ფოკუსში ექცევა ეთიკურის ძალზედ მნიშვნელოვანი განზომილება - ყოველი ადამიანის პერსონული პასუხისმგებლობა სხვა ადამიანებზე, და არა კანონთა ჯამზე. ყურადღების დაფიქსირებით ინდივიდზე და არა ქცევის ნორმათა სისტემაზე, ზნეობრივ მითითებათა კრებულზე ზნეობრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ასპექტია წინ წამოწეული, რაც უდაოდ დადებითი მომენტია ამ ხედვისა. ასევე დადებით მომენტად ჩანს ანტინომიანისტების არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სასრულ ადამიანს არა აქვს უსასრულობის უსასრულო გაგება. მიუხედავად ზემოთ თქმულისა ამ ხედვას ახასიათებს გარკვეული სიძნელეები. მთავარი მათ შორის გახლავთ ის, რომ ყველა მორალური

ღირებულების უარყოფით ანტინომიანისტები ფაქტიურად საკუთარ-ანტიაბსოლუტისტურ პოზიციას აუქმებენ. ყველაფერის რელატიურად ქცევით, ყველაფერში დაინახონ რელატივიზმის დანახვით, ანტინომიანისტები თავად იქცევიან აბსოლუტისტებად, რადგან საკუთარი მოთხოვნის აბსოლუტურ დაცვას ითხოვენ. თუკი ამ პოზიციის მომხრენი აბსოლუტურად დარწმუნებულნი არიან, რომ არ არსებობენ აბსოლუტები, ისინი წინააღმდეგობაში მოდიან საკუთარ პოზიციასთან. მორალური აბსოლუტების უარყოფა შეუძლებელია, თუ ისინი არ არსებობენ.

ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ამ პოზიციის მომხრეებს, რომ ყველა ეთიკური ცნება სუბიექტურია, სუბიექტური ელემენტი მართლაც ყველა მსჯელობაში სახეზეა. მაგრამ ამგვარ უკიდურეს ინდივიდუალიზმს მივყავართ მორალურ ღირებულებათა რეალური ერთობის უარყოფამდე, გამოირიცხება ინტერპერსონალური ურთიერთობები, ეთიკური დისკურსის ველზე ინდივიდი ჰერმეტიულად დახურულ, ეთიკურ ვაკუუმში აღმოჩნდება. ნორმან გეიზლერის ხატოვნი შეფასებით სუბიექტივისტური ეთიკის მიმდევრები მსაჯისა და წესების გარეშე მოთამაშეებს ემსგავსებიან.

ანტინომიანიზმის მახასიათებელი უკიდურესი ეთიკური რელატივიზმი, სადაც უარყოფილია ყველა მორალური ღირებულება, თვითდამანგრეველია.

პოზიტიური ამ ხედვაში ისაა, რომ ის აღიარებს ემოციურ ელემენტს, მართალია გადაჭარბებულად, მაგრამ ამ ელემენტის წინ წამოწევა დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს. ასევე დადებითია პერსონული მორალური პასუხისმგებლობის ასპექტის წინ წამოწევა.

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ

დავალება

1. დაახასიათეთ ლეგალიზმისა და პარტიკულაზმის ნიშნები
2. რაში ვლინდება ანტინომიანიზმის სუბიექტივისტური ხედვა
3. დაახასიათეთ ანტინომიანიზმის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები?
4. წაიკითხეთ ოსკარ უაილდის რომანი „დორიან გრეის პორტრეტი“, ნახეთ ფილმი. იმსჯელეთ ნაწარმოების გარშემო. დაიყავით ორ ჯგუფად- ჰედონიზმის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.
5. ჰედონიზმის მართებული შეფასებისათვის უნდა დაისვას კითხვა-შეიძლება თუ არა სიამოვნება მივიჩნიოთ უნივერსალურ მორალურ პრინციპად? პრიორიტულად ყველასათვის და თვითოეულისთვის?

6. დაახასიათეთ ჰედონიზმის სიძნელეები. არსებობს თუ არა მათი გადაჭრის გზები თავად ჰედონიზმის ფარგლებში?

სამსჯელოდ გეძლევათ სამოდელო სიტუაცია

ნაცისტური რეჟიმის ერთერთი ცნობილი ფიგურა ადოლფ ეიხმანი ჩვეულებრივი ადამიანი იყო.გადმოცემით-კარგი მეუღლე და მამა. მისი მინისტრი მას ახასათებდა, როგორც „ მხოლოდ პოზიტიური იდეების მატარებელ ადამიანს“. ფსიქიატრების დასკვნით იგი სავსებით ჯანმრთელი - ნორმალური ადამიანი იყო. სასამართლოს მსვლელობისას იგი აცხადებდა, რომ არანაირი ნეგატიური გრძნობები ებრაელთა მიმართ არ ქონდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სპეციალურად გამართულ სასამართლოზე არაერთგზის გაჟღერდა კითხვა- აწუხებდა თუ არა მას სინდისი მილიონობით ებრაელის გაწყვეტის გამო? თავად მან განაცხადა, რომ უსვინდისო ის იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ ბრძანებებს არ შეასრულებდა.

მოაწყვეთ მოდელირებული სასამართლო, გადაინაწილეთ როლები. სცადეთ ეთიკური რელატივიზმის პოზიციიდან გაამართლოთ ეიხმანი.

ლექცია IX

მორალური ლეგალიზმი -სიტუაციონალიზმი

ეთიკური პოზიცია, რომლის მიხედვით არსებობს მხოლოდ ერთი დაურღვეველი ნორმა, ერთი კანონი - სიყვარულის კანონი, ეწოდება სიტუაციონიზმი. 1966 წელს გამოდის ამერიკელი ფილოსოფოსისა და თეოლოგის ჯოზეფ ფრენსის ფლეტჩერის წიგნი „სიტუაციური ეთიკა: ახალი ზნეობა“, (Joseph Francis Fletcher, *Situation Ethics: The New Morality*, Philadelphia: Westminster Press, 1966). რომელმაც იმწუთსავე მიიპყრო აკადემიური წრეებისა და ინტელექტუალთა ყურადღება. ფლეტჩერი იქცა ახალი ეთიკური თეორიის დამფუძნებლად. თეორიას წიგნის დასახელების მიხედვით დაერქვა სახელი. მას მალევე გამოუჩნდნენ მიმდევრები რეინოლდ ნეიბაჰი, ემილ ბრუნერი, ჯონ რობინსონი. ფლეტჩერი ასევე ცნობილია, როგორც ბიოეთიკის ერთერთი თეორეტიკოსი, ამერიკის ევთანაზიის საზოგადოების დამფუძნებელი და თავჯდომარე, ცნობილი ჰუმანიზმის მანიფესტის ერთერთი ორგანიზატორიდა სულისჩამდგმელი, ლიბერალური ფრთის არგუმენტების ცნობილი ავტორი. ცნობილია ფლეტჩერის გამონათქვამები, რომელთაც ემყარება მანიფესტი. მაგალითად- „ჩვენ გვჭირდება ვასწავლოთ ადამიანებს რომ სიცოცხლის ხარისხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უბრალოდ სიცოცხლე. ჩვენი კულტურული ტრადიცია ემყარება აზრს, რომ სიცოცხლე აბსულუტური ღირებულებაა, მაგრამ ეს აზრი უკვე აღარაა საკმარისად კარგი. ზოგჯერ უკეთესია არ იცოცხლო“. (იხ. ასევე- „"Ethics critically examines values and how they are to be acted out; but whether they are acted out or not, loyalty to them depends on character or personal quality, and so it follows that the quality of medicine depends on the character of its clinicians." "We ought to love people and use things; the essence of immorality is to love things and use people." "People [with children with Down’s syndrome).. have no reason to feel guilty about putting a Down's syndrome baby away, whether it's "put away" in the sense of hidden in a sanitarium or in a more responsible lethal sense. It is sad; yes. Dreadful. But it carries no guilt. True guilt arises only from an offense against a person, and a Down's is not a person“.)

სიტუაციონიზმი ცდილობს თავიდან აიცილოს როგორც მორალური ლეგალიზმის, ისე მორალური პარტიკულარიზმის უკიდურესობანი. ეს ხედვა გვთავაზობს ერთი ნორმის დაფუძნებას ამ ორი პოლუსს შორის. ამით ისინი ცდილობენ მოხსნან როგორ პარტიკულარიზმის, ასევე ლეგალიზმის სიძნელეები და მიიჩნევენ რომ ერთი უნივერსალური ნორმის დაფუძნება შესაძლებელს გახდის მის მიყენებას ნებისმიერი ეთიკური სიტუაციის ანალიზისა და ახსნისთვის.

სიტუაციონისტები მიიჩნევენ, რომ ლეგალისტი არის ის, ვინც ყოველ რთულ სიტუაციაში წინასწარ მომარჯვებული წესებისა და რეგულაციებით აღჭურვილი “შედის”. მისთვის უპირატესია აბსოლუტური კანონი, და არა სულისკვეთება ამ კანონისა. ჯონ ფლეტჩერს მოჰყავს სახარებისეული ფარისევლების მაგალითი და მათ ლეგალისტების ტიპიურ წარმომადგენლებად მიიჩნევს. ფარისევლები, მითითებათა ნუსხითა და ცნობარით აღჭურვილნი, ნებისმიერ მორალურ სიტუაციას უყენებენ კანონს; პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზად კანონის ფარგლებში მის მოქცევას ითხოვენ. ფლეტჩერის მოსწრებული შედარებით, ლეგალისტს მოვალეობის სიყვარული სწამს, ხოლო სიტუაციონისტს – სიყვარულის მოვალეობისა.

სიტუაციონიზმი ანტინომიანიზმის მეორე პოლიუსად სახავს, ეს ხედვა ხელაღებით უარყოფს მორალური კანონის არსებობას. ანტინომიანისტების ნებისმიერი გადაწყვეტილება სპონტანური და პრინციპის უგულვებელმყოფელია, იგი დაფუძნებულია კონკრეტულ ვითარებაზე, რომელიც მხოლოდ მოცემული მომენტით შემოიფარგლება. უკიდირესი პარტიკულარიზმი-ანტინომიანიზმისათვის ყველაზე არსებითი მორალური წესიც კი უარყოფილია. არც ერთი ნორმა არ არის აღიარებული.

ფლეტჩერის აზრით სიტუაციონიზმმა ამ ორ პოლარულ წერტილს შორის უნდა მოათავსოს სიტუაციონალური აბსოლუტიზმი, რომლის ფარგლებში ყველაფერი ერთადერთ კანონზეა დაფუძნებული. ფლეტჩერს მიაჩნია, რომ სიტუაციონიზმი ეთიკურ ბრძოლაში უნდა ჩაებას ერთადერთი იარაღით, რომელსაც სიყვარულის მორალური იარაღს უწოდებს. `მხოლოდ ერთადერთი ბრძანებაა კატეგორიულად კარგი-ესაა მოწოდება გიყვარდეს! ~ ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება საეჭვოა. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვთქვათ სიმართლე მხოლოდ მაშინ, როდესაც სიტუაცია მოითხოვს ამას, სხვა შემთვევაში სჯობს გავჩუმდეთ. მაგალითად, თუ აღმოვჩნდებით სიტუაციაში სადაც მდევარი, რომელიც შესაძლოა პოტენციური მკვლელი აღმოჩნდეს, გვკითხავს მსხვერპლის ადგილსამყოფელს - ჩვენი მოვალეობაა ვიცრუოთ, მოგვიწოდებს ფლეტჩერი. მორალური წესები არსებობენ, მაგრამ მათი დანიშნულებაა დაგვეხმარონ სიტუაციის მართვაში, მათი დარღვევა შესაძლებელია. არსებობს მხოლოდ ერთი მორალური იმპერატივი – `იმოქმედე სიყვარულის საპასუხოდ!~ ყველა წესი, კანონი, იდეა, ნორმა, გამონაკლისის გარეშე, მაშინ იძენს ღირებულებას, თუ იგი ეხმარება სიყვარულს და ეს ხდება მუდამ, გამონაკლისის გარეშე, ყოველგვარ სიტუაციაში.

სიტუაციონალისტური ეთიკური პოზიციის ფარგლებში მუშაობს ერთადერთი კანონი – ესაა სიყვარულის (აგაპე) კანონი. აქ მოქმედებს სიბრძნის (სოფია) მრავალი საერთო წესი, რომლებიც მეტ-ნაკლებად საიმედოა და გადაწყვეტილების (კაიროსი) განსაკუთრებული მომენტი, რომლის დროსაც ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, შეუძლია თუ არა სოფიას (სიბრძნე) ემსახუროს აგაპეს. ფლეტჩერის მიხედვით, ლეგალისტი ქმნის სოფიას კერპს, ანტინომიანისტი მას არ ცნობს, სიტუაციონალისტი კი სოფიას მარჯვედ იყენებს.

ფლეტჩერს მოჰყავს ორი არგუმენტი, რომლითაც ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია

პირველი არგუმენტის მიხედვით უნივერსალიებს არ შეუძლიათ გამოყოფა დედუქციიის გზით სხვა უნივერსალებისაგან, მსგავსად „შუალედური აქსიომებისა“, ერთს არ შეუძლია წარმოიშვას წარმოუშობელი ნორმიდან, ერთს არ შეუძლია გამოეყოს ნორმას, რომელიც განუყოფელია.

მეორე არგუმენტი – ყოველი სიტუაციია აბსოლუტურად განსხვავებულია ერთმანეთისგან. თან იმდენად განსხვავებულია რომ წესი, რომელითაც ერთს ვსჯით სხვა შემთხვევაში არ იქნება ვალიდური.

ფლეტჩერი და მისი მიმდევრები თვლიან, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ნორმა, რომელიც გამოდგება და მიესადაგება ყველა გარემოებასა და კონტექსტს – ესაა სიყვარულის ნორმა.

სიტუაციონიზმს შესაძლოა ვუწოდოთ ერთნორმიანი აბსოლუტიზმი, რადგანაც იგი თვლის, რომ ყველაფერი უნდა განისაჯოს ერთი აბსოლუტური მორალური კანონით – სიყვარულით.

ოთხი სამუშაო პრინციპი ფლეტჩერის მიხედვით

ფლეტჩერის მიხედვით არსებობს სიტუაციონიზმის 4 სამუშაო პრინციპი:

პრაგმატიზმი, რელატივიზმი, პოზიტივიზმი და პერსონალიზმი.

პრაგმატულ მიდგომაში ფლეტჩერი გულისხმობს, რომ ჩვენი ქცევის გზაზე სწორია მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალება. ეს არის ის, რაც

`მუშაობს~ სიყვარულის გულისთვის. ეს არის ის, რაც უნდა ჩაიდოს სიყვარულის საქმეში, რათა მოხდეს მისი რეალიზაცია, ანუ მისი წარმატებულად განხორციელება. პრაგმატული მიდგომისათვის მიუღებელია პრობლემების აბსტრაქტული, ვერბალური დასკვნები. იგი ეძებს კონკრეტულ და პრაქტიკულ პირებს.

რელატივიზმი – ამ მიდგომით არსებობს მხოლოდ ერთი აბსოლუტი და მასთან მიმართებაში ყველაფერი რელატიურია. სიტუაციონისტი, ფლეტჩერის მიხედვით, გაურბის ისეთ სიტყვებს როგორიცაა: `არასოდეს~, `სრულყოფილი~, `ყოველთვის~, `დასრულებული~, `აბსოლუტურად~.

პოზიტივიზმი – ნატურალისტური ხედვის საპირისპიროდ ეს მიდგომა მიიჩნევს, რომ ღირებულებები ვოლუნტარისტულად წარმოიშობა და არცერთ შემთხვევაში რაციონალურად. ადამიანი გადაწყვეტილებებს იღებს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამას `ემოტივიზმიც~ შეიძლება ვუწოდოთ, რადგანაც მორალური ღირებულებები უმალ ადამიანის შეგრძნებების გამოხატულებაა, ვიდრე მისი ცხოვრების განმკარგულებელი. ხელოვნებაც და კულტურაც მოგვიწოდებს შემართებისაკენ. ხოლო ეთიკური ცნებები ჭეშმარიტების დამდგენნი არ არიან. ისინი ეძებენ დადასტურებას.

პერსონალიზმი – პერსონალიზმის მიხედვით მორალური ღირებულებას არ წარმოადგენს პიროვნების მიერ გამოხატული რამ. უმთავრესი მორალური ღირებულება თავად პიროვნებაა. თავისი არსით შინაგანად კარგი საგნები არ არსებობენ, მხოლოდ პიროვნებაა თავისი არსით ღირებული.

ღირებულება დგინდება საგნებთან მიმართებაში. საგნები ფასეულობას იძენენ მხოლოდ ადამიანთან მიმართებაში. `საგნები სარგებლობისთვისაა, ადამიანები კი

– სიყვარულისათვის. მორალური სიმახინჯეა გამოხატული მიდგომაში:

საყვარელი ნივთები და გამოსადეგი ადამიანები. ფლეტჩერის მიხედვით, ადამიანი უნდა განისაზღვროს, როგორც შინაგანი ღირებულებების მატარებელი არსება, ამ განსაზღვრებაში ჩანს კანტიანური მიდგომა, კერძოდ ის, რომ კანტი ადამიანს განიხილავდა ყოველთვის როგორც მიზანს და არასოდეს – როგორც საშუალებას. სიყვარულის არსი ფლეტჩერის მიხედვით ვლინდება იმაში, რომ ყველაფერი უნდა იქნეს მისადაგებული სიკეთისადმი, ანუ იმისათვის რაც თავისთავად, როგორც ასეთი, არის კარგი.

სიტუაციური პროპოზიციის ახსნა

სიტუაციური პოზიცია ეთიკაში შეიძლება აიხსნას ექვსი პროპოზიციით. თითოეული დაგვიზუსტებს, თუ რას ნიშნავს იცხოვრო სიტუაციის მიხედვით და გამოიყენო მხოლოდ ერთი აბსოლუტური ნორმა-სიყვარული. ფლეტჩერი თეოლოგია, ამდენად არ არის გასაკვირი რომ სიყვარულის ცნების გახსნისას იგი ქრისტიანული ეთიკაზე დამყარებულ ტერმინოლოგიასა და არგუმენტაციას მოიხმობს.

1.პროპოზიცია- მხოლოდ პიროვნებები-ღმერთი, მე, ადამიანი განსაზღვრავენ ღირებულებას. არაფერი არ შეიძლება იყოს თავისთავად კეთილი, კეთილი ის ხდება მაშინ როდესაც დაეხმარება ადამიანს, ხოლო ცუდი - თუ ტკივილს მიაყენებს. არც ერთ ქცევას არ გააჩნია თავისთავადი ღირებულება. ღირებულებას იგი იძენს მხოლოდ ადამიანთან მიმართებაში. ყველა ღირებულება: ღირსება, პატიოსნება, სამართლიანობა და სხვ. პრედიკატია და არა თვისება. ჩვენ შეგვიძლია მათი მიწერა ადამიანისა ან მისი ქცევის მიმართ. მაგრამ თავისთავადი რეალობა მათ არ გააჩნიათ. ფლეტჩერი თვლის რომ ადამიანში ღვთის ხატება არის სიყვარული. კაცობრიობის მსგავსება ღმერთთან ვლინდება სიყვარულში და პიროვნულობაში. მხოლოდ სიყვარულია თავისთავადი ღირებულების მქონე რამ, სიყვარული არის დამოკიდებულება. ის რასაც ადამიანი გაიღებს ან მიიღებს.

2. მხოლოდ კეთილგანწყობილი სიყვარული არის თავისი არსით სიკეთე. მისი საპირისპირო არის არა სიძულვილი, არამედ გულგრილობა. გულგრილი ადამიანისათვის სხვა პიროვნება საერთოდ არ არსებობს, იგი უსულო ობიექტია. ეს ნიშნავს ამ სხვის დეპერსონალიზაციას. ნებისმიერი ქცევა-ქურდობა, მრუშობა, სიცრუე, თვითმკვლელობაც კი სწორი იქნება, თუ იგი სიყვარულით იქნება გაჯერებული.

ფლეტჩერი იყენებს პლატონის ტერმინოლოგიას, იმისათვის რომ დააზუსტოს თუ რას გულისხმობს „სიყვარულის“ ცნების ქვეშ. ადამიანის სიყვარული ნიშნავს, რომ მისთვის გვსურს სიკეთე. და აქ არავითარ როლს არ თამაშობს მოგვწონს ის თუ არა, ანუ სიყვარული არის დამოკიდებულება და არა გრძნობა. რომანტიკული სიყვარულის დროს **ეროსი** (ხორციელი ვნება, ლტოლვა) ხორციელი გრძნობა არის განმაპირობებლი სიყვარულისა. ის ეგოისტურად ცალმხრივია და არ არის უპირობოდ მიმღები. **მეგობრული** (ფილია) სიყვარული ორმხრივია, ადამიანი გაიღებს იმდენს რამდენსაც იღებს. ხოლო ქრისტიანული სიყვარული **(აგაპე)** არის გამღები და არაფერს ითხოვს სანაცვლოდ.“ მე გავიღებ და არაფერს ველი სანაცვლოდ“!-ესაა მისი დევიზი. იგი ალტრუისტულია.

ქრისტიანული გადაწყვეტილების მიღებისას ერთადერთი ნორმა არსებობს-სიყვარული. კანონს(რჯულს) უნდა გავყვეთ მხოლოდ სიყვარულისთვის. როდესაც კანონი კონფლიქტშია სიყვარულთან ქრისტიანი ვალდებულია კანონზე მაღლა სიყვარული დააყენოს. უნივერსალური კანონები, რომელთაც ყველა ყოველთვის მისდევს არ არსებობს, არსებობს ერთადერთი ნორმა სიყვარულისა, რომლის გამოც თვითოეული კანონი შესაძლებელია დაირღვეს. ქრისტიანული სიყვარული-აგაპე-არის გამღები. ის არის პასუხისმგებლიანია. ის არც ეროტიკულია, არც მეგობრული.

3. სიყვარული და სამართლიანობა ერთიდაიგივეა. სიყვარული არ არის მხოლოდ აწმყოში მიმდინარე აქტი. იგი წინდახედული უნდა იყოს და უტილიტარისტული კალკულაციის პრინციპით გათვალოს როგორ მოუტანოს უდიდესი სიყვარული უდიდესი რიცხვის ადამიანებს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ კანონი სიყვარულის გულისათვის და საჭიროების შემთხვევაში, მოსალოდნელი გაჭირვების თავიდან აცილებისათვის სიყვარულით გამოვიყენოთ ძალა, სამართლიანობის დასაცავად და უნადაშაულთა დასაცავად. ფლეტჩერი უშვებს გადატრიალებას, რევოლუციებს უსამართლო სახელმწიფოების წინააღმდეგ, თუ მან გადააბიჯა სამართლიანობის საზღვრებს. აქ ჩანს ამერიკული განმანათლებლობის, კერძოდ, პეინის, გავლენა.

4. მხოლოდ მიზანი ამართლებს საშუალებას. შინაგანად კარგი ქცევა გარდა სიყვარულისა არ არსებობს. მხოლოდ ერთი რამ ამართლებს ქცევას-გაზრახვით ნაკარნახევი, მაგალითად გავართლებულია ტყუილის თქმა, თუკი ამით სიცოცხლეს ვიხსნით. ფლეტჩერი ამართლებს ფლობერის ნოველის გმირის მატეო ფალკონეს მიერ ატირებული შვილის მკვლელობას. ამ ქცევას იგი მორალურს უწოდებს და სპეციალური ტერმინი „კეთილსასურველი მკვლელობა“ შემოაქვს მის აღსანიშნად. თან ამატებს-„ ეს არ ნიშნავს რომ ყოველი მიზანი ამართლებს საშუალებას, არამედ მხოლოდ სიყვარულით აღძრული მიზანიო“.

5. გიყვარდეს შენი მოყვასი, როგორც საკუთარი თავი.

ფლეტჩერი გვთავაზობს საკუთარი თავის სიყვარულის კიბეს. პირველ საფეხურზეა საკუთარი თავის სიყვარული საკუთარი თავისთვის, მას მოსდევს ღვთის სიყვარული საკუთარი თავისთვის, მესამე საფეხურზეა ღვთის სიყვარული ღვთისთვის; ბოლო უმაღლეს საფუხურზე იგი ათავსებს საკუთარი თავის სიყვარულს სხვებისთვის.

ამ პროპოზიციით ფლეტჩერი სცილდება ქრისტიანული ეთიკის საზღვრებს და გონივრულ ეგოიზმს უახლოვდება.

6. გადაწყვეტილება უნდა მიიღო სიტუაციის მიხედვით და არა კანონის, ნორმის გამო. წინდაწინ არ ვიცი, თუ რას გავაკეთებ.

ამ პროპოიზიციით ფლეტჩერი ცდილობს თავის ააცილოს შეუზღუდავი ლეგალიზმის ფორმალიზმს, მაგრამ თავად ვარდება ფორმალიზმში ერთნორმიანი ფორმალური და შინაარსისგან დაცლილი აბსოლუტის აღიარებით.

სიტუაციონიზმის ნაკლი ვლინდება იმაში, რომ მის მიერ შემოთავაზებული ერთნორმიანი აბსოლუტიზმის მორალური პრინციპი, რეალურად მხოლოდ ფორმალური და ცარიელია.

სიყვარული გადაწყვეტილებებს იღებს სიტუაციის მიხედვით და არა მითითებებით. ეს ნიშნავს რომ მიუხედავად იმისა რომ სიყვარული უნივერსალური ნორმაა, იგი ფორმალურია. ანუ სიყვარული ვლინდება გარკვეულ სიტუაციაში. მის მითითებას ადამიანი უნდა დაელოდოს ვიდრე არ დადგება სიტუაცია. იგი წინასწარ შეკერილი და მომზადებული მორალური ნორმების სისტემის გარეთ მოქმედებს. მისი ფუნქციები გარემოებრივია ; იგი გადაწყვეტილებას ფაქტებამდე არ იღებს, ფაქტები კი სიტუაციიდან გამომდინარეობს. ადამიანს აქვს საერთო ცოდნა იმის შესახებ თუ რას, რატომ და ვისთვის გააკეთებს, იცის, რომ სიბრძნის საშუალებით იმოქმედებს, მაგრამ მას არ შეუძლია დარწმუნებით თქვას რა იქნება სიყვარულით აღსავსე ქცევა, ვიდრე გარკვეული სიტუაცია არ დადგება. მაგალითად კითხვაზე- მეუღლის ღალატი მცდარი ქცევა თუ არა, პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება მაშინ როდესაც სიტუაცია გვეცოდინება. მხოლოდ სიტუაციაზე დაყრდნობა არაა საკმარისი. სიტუაცია ცვალებადია, რელატიურია, შესაბამისად სიყვარულიც რელატიური იქნება.

სიტუაცია არ და ვერ განსაზღვრავს სიყვარულის მნიშვნელობას. სიყვარული უბრალოდ განპირობებულია სიტუაციით და არა განსაზღვრული. გარემოება არ წარმოქმნის ნორმას. გარემოება მხოლოდ ზემოქმედებს მასზე. კონტექსტი ნორმას არ მკარნახობს. მას შეუძლია მხოლოდ გავლენა მოახდინოს მის გამოყენებაზე.

გაურკვეველია რის საფუძველზე არჩევს სიყვარულს, როგორც უნივერალურ ნორმას ფლეტჩერი. რის საფუძველზე ამχობინებს მას მაგალითად ბუდისტურ „თანაგრძნობას“, ან „სიბრალულს“? სხვადასხვა კულტურულ კონტექსტებში შესაძლებელია არსებობდეს განსხვავებული უნივერსალური აბსოლუტები.

სიყვარული, როგორც მორალური აქტის საბოლოო მიზანი, ფლეტჩერის მიხედვით გულისხმობს პოზიციას, რომელშიც მიზანი ამართლებს საშუალებას. ეს კი გენერალისტური მიდგომაა, რომელსაც სიტუციონიზმი პრინციპულად არ იღებს.

შესაბამისად, სიტუაციონიზმი ემსგავსება ანტონომიზმს, იმ ხედვას, რომელსაც იგი თავადვე აკრიტიკებს და პრინციპულად არ იღებს. მის ველზე არსებულ ერთადერთ აბსოლუტურ მორალურ კანონს, ცარიელსა და უშინაარსოს, იგივე შედეგებამდე მივყავართ, საითკენაც მორალურ კანონთა არ არსებობის გზა მიემართება.

სიტუაციონური ეთიკის სტრატეგია არის პრაგმატული, ტაქტიკა-რელატიური, დამოკიდებულება-პოზიტივისტური, ცენტრით პერსონალიზმისკენ.

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ

კითხვები:

1. დაახასიათეთ ერთგანზომილებიანი აბსოლუტიზმის დადებითი მხარეები
2. რას ნიშნავს იცხოვრო სიტუაციის მიხედვით?
3. შეეცადეთ გამოყოთ ის სიძნელეები, რომელსაც ფლეტჩერის ხედვაში ვაწყდებით

დავალებად გეძლევათ პლატონის დიალოგი „ნადიმი“.

1. რა არის მთავარი სათქმელი დიალოგის?
2. თვლის პლატონი, რომ სიყვარული უკვდავების საწყისია.
3. ეცადეთ გაანალიზოთ სიყვარულის ცნების ფლეტჩერისეული გაგება.
4. რამდენად არის დავალებული სიყვარულის პლატონისეული გაგებიდან.

ანტიკურ სამყაროში სიყვარულის პირველი მწყობრი კონცეფცია პლატონთანაა მოცემული. მისი სიყვარულის თეორია წარმოდგენილია დიალოგში „ნადიმი“. აქ მას რამდენიმე ადამიანი წარმოადგენს თითოეული მათგანი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კონცეპტ პერსონაჟად, რომლებიც განასახიერებენ სიყვარულის განმარტების შვიდ საფეხურს, პლატონი მხოლოდ ერთს მიიჩნევს მართებულად.

პლატონის „ნადიმში“ მსჯელობენ სიყვარულის, ეროსის ბუნების შესახებ. პირველი სიტყვა უთქვამს ფედროსს, რომლის მიხედვითაც, ეროსი უძველესი წარმოშობისაა, მხოლოდ შეყვარებულები - ქალებიცა და კაცებიც არიან მზად, მოკვდნენ ერთმანეთისთვის. ამით ფედროსი ასკვნის, რომ ღმერთები მაღალ შეფასებას აძლევენ სიყვარულში სიკეთეს და უფრო მეტად აღფრთოვანდებიან, განცვიფრდებიან და კეთილად განეწყობიან იმ შემთხვევაში, როდესაც სატრფო ერთგულია საყვარლისა, ვიდრე მაშინ, როდესაც შეყვარებული ერთგულია თავისი სიყვარულის საგნისადმი. შეყვარებული ხომ უფრო ღვთაებრივია, ვიდრე მისი სატრფო, რადგან ღვთის მიერ არის შთაგონებული. ანუ, რომ გიყვარს, შენ უფრო მაგარი ხარ, ვიდრე ის, ვინც გიყვარს. ფედროსის დასკვნა ერთმნიშვნელოვანია - ეროსი ყველაზე ძველი, ყველაზე საპატიო, ყველაზე მძლავრი ღმერთია, რომელსაც ძალუძს ადამიანებს სიმამაცე უძღვნას და სიცოცხლესა თუ სიკვდილის შემდეგ ნეტარება მიანიჭოს.

ფედროსის შემდეგ საუბრობს პავსანია, რომელიც განმარტავს, რომ ეროსი ორი სახისაა - სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე უფროსიც არის და უმცროსიც:

უფროსი აფროდიტე, ურანოსის ასული, რომელსაც უწოდებენ ურანიას, ანუ ზეციურს და უმცროსი, ზევსისა და დიონეს ასული, რომელსაც გარყვნილს, პანდემოსს, საერთო-სახალხოს უწოდებენ. შესაბამისად, არსებობს ორი ეროსი - ზეციური და მიწიერი, ღვთაებრივი და სახალხო, ზეციური და გარყვნილი. თანაც, ორივე მათგანს თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვს. გარყვნილი აფროდიტე და მისი ეროსი ყველაფერს იკადრებს. ეს სწორედ ის სიყვარულია, რომლითაც უყვართ არარაობებს, ხოლო აფროდიტე ზეციური - პირიქით; ამ ქალღმერთისთვის უცხოა დანაშაულებრივი სითამამე; ასეთი სიყვარულით ატანილნი უპირატესობას ანიჭებენ მას, ვინც ბუნებით გონიერებითაა დაჯილდოებული. ამ ორი სიყვარულის განხილვით პავსანია, პრინციპში, უახლოვდება იმას, რაზეც შემდგომში ქრისტიანობა ილაპარაკებს - ქვენა და ზენა სიყვარულს, რომელზეც რუსთაველმა თქვა, რომ თუ ქვენა სიყვარულს სიძვა არ ახლავს, იგი ზენას უახლოვდება. ანუ, თუკი ადამიანებს შორის სიყვარულს არ ახლავს სექსი, ის თავისი დაძაბულობით, სიღრმითა და მნიშვნელობით ღმერთის სიყვარულს უახლოვდება. ღმერთის სიყვარულის წარმოდგენა სწორედ ასე შეგვიძლია, იმ ადამიანის სიყვარული, რომელიც მიუწვდომელია და სწორედ ამის გამო, ეს გრძნობა კიდევ უფრო იზრდება.

ამას მოჰყვება ერიქსიმაქოსის სიტყვა, რომელიც თვლის, რომ ეროსი მთელ ბუნებაშია გაღვრილი. ეს იდეა რენესანსში განვითარებას პოვებს დანტესთან, რომელიც იტყვის, რომ სამყაროს სიყვარული ამოძრავებს. მასთან სიყვარული, წარმოდგენილია როგორც გრავიტაცია.

არისტოფანეს აზრით ეროსი ადამიანის მისწრაფებაა თავდაპირველი ერთიანობისკენ. არისტოფანე თავის გამოსვლაში ფარდას ხდის ადამიანის ბუნების საიდუმლოს. ცნობილი კომედიოგრაფი არისტოფანე გვთავაზობს დღესაც პოპულარულ ამბავს სიყვარულის შესახებ . მისი პოზიცია მითოსური წარმოდგენაა სიყვარულის შესახებ. - ოდესღაც, ჩვენი ბუნება ისეთი არ იყო, როგორიც ახლაა - ამბობს არისტოფანე, - ადამიანები სამ სქესად იყოფოდნენ: მამრობითი, მდედრობითი და განსაკუთრებული, რომელიც თავში მამრობითსა და მდედრობითს ერთად მოიცავდა და რომელიც უკვე გაქრა - ე.წ. **ანდროგინოსები** (ენდროგენები). სამივე სქესის ადამიანებს მრგვალი სხეული, ოთხი ხელი, ოთხი ფეხი, მრგვალ კისერზე სხვადასხვა მხარეს მიქცეული ორი ერთნაირი სახე ჰქონდათ, მათი ზურგი მკერდისგან არ განსხვავდებოდა. სამივე სქესის ძალზედ მახინჯი არსებები თავიანთი ძალის გამო საფრთხეს წარმოადგენდნენ ღმერთებისთვის. მამრობითი სქესი მზისგან წარმოიშვა, მდედრობითი - მიწისგან, შერეული კი მთვარისგან, რადგან მთვარეში ორივე საწყისი შენივთებულია. რაც შეეხება მათ სფეროსებურობას, აქ წინაპრებთან მსგავსებამ იჩინა თავი - აბა, მთვარისგან თუ ხარ შობილი, ან მიწისგან, ბუნებრივია, მრგვალი უნდა იყო! ზევსი მათ უსაქციელობას ვერ შეეგუა და აპოლონს მათი შუაზე გაკვეთა უბრძანა. ამის შემდეგ კი გასაოცარი რამ ხდება - თითოეული ნახევარი მეორისკენ გაიქცა, ეხუტებოდნენ, ეხვეოდნენ ერთმანეთს, ცდილობდნენ, ისევ ერთ არსებად ქცეულიყვნენ და შიმშილისა და უქმობისგან იხოცებოდნენ, რადგან ცალ-ცალკე არაფრის გაკეთება არ სურდათ. ასე რომ, არისტოფანეს თეორიის მიხედვით, ადამიანი მის ყოფილ მეორე ნახევარს ეძებს და როგორც კი დაინახავს, სურს, კვლავ შეერწყას მას. არისტოფანემ თავისებურად ხსნის სიყვარულის ყოველი სახეს- ორად

გაყოფილი მდედრობითი სქესის წარმომადგენლებმა, ისევე, როგორც მამრობითისა, ერთმანეთს დაუწყეს ძებნა, ანდროგინოსები კი - კაცად და ქალად რომ დაიყვნენ, გაფაციცებით ეძებდნენ ერთმანეთს.

სიყვარულით ადამიანი ცდილობს, დაუბრუნდეს ერთიანობას. სიყვარული ამ მთლიანობის აღდგენის მცდელობაა.

აგათონმა ეროსის სრულყოფილებაზე, მშვენიერებაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ეროსი ადამიანის რბილ სულებში ცხოვრობს, ხოლო როგორც კი რომელიმე სულის უხეშობას წააწყდება, სამუდამოდ ტოვებს მას.

ბოლოს სიტყვა იღებს სოკრატე, მონოლოგის ფორმისგან განსხვავებით, რომლითაც სოკრატემდე გამომსვლელი ადამიანები სარგებლობდნენ, სოკრატე თავის საყვარელ ხერხს - დიალოგს მიმართავს სოკრატეს მტკიცებით ეროსს აქვს მიზანი - კეთილდღეობის დაუფლება. სოკრატე ს მიაჩნია, რომ ეროსი ეს სიყვარულია, რომელიც მიმართულია ვინმესკენ, ან რამისკენ, ხოლო სიყვარულის საგანი ისაა, რის ნაკლებობასაც განიცდი. მეტიც, რაკი ეროსი სილამაზის სიყვარულია, რაგინდ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, თავად ეროსი მოკლებულია მშვენიერებას, შესაბამისად, ვერც კეთილი იქნება. ეყრდნობა რა ამ დასკვნას, სოკრატე გადადის მონოლოგზე და გადმოსცემს მანტინეელი ბრძენი ქალის - დიოტიმას ნათქვამს. ეროსი არ არის ლამაზი, თუმცა აქედან როდი გამომდინარეობს, რომ უშნო და ბოროტია. ეროსი ამ უკიდურესობების შუაგულშია და საეჭვოა მისი ღვთაებრიობაც - ღმერთად ხომ მხოლოდ მშვენიერი შეიძლება იწოდებოდეს! დიოტიმას თქმით, ეროსი გენიაა, ყველა გენია ხომ რაღაც საშუალოა ღმერთსა და მოკვდავს შორის. ამიტომაც, გონივრულია, დაისვას კითხვა ეროსის დანიშნულებაზე სამყაროში. დიოტიმა ამბობს, რომ გენიის დანიშნულებაა, შუამავალი იყოს ადამიანებსა და ღმერთებს შორის. გენიები გადასცემენ ღმერთებს ადამიანთა ლოცვასა და მსხვერპლს, ხოლო ადამიანებს - ღმერთების დავალებებსა და ჯილდოს გაღებული მსხვერპლის სანაცვლოდ. იგი ამბობს და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადამიანი ორსულადაა, როგორც სხეულით, ასევე სულიერად. როდესაც ისინი გარკვეულ ასაკს აღწევენ, ადამიანური ბუნება მშობიარობას მოითხოვს, შობამ კი უნდა მოგვცეს მშვენიერი და არა უსახური ნაყოფი. კაცისა და ქალის შერთვაც ასეთი მშობიარობაა და ეს ღვთაებრივი საქმეა, რადგან მუცლადღება და შობა მოკვდავ არსებაში უკვდავი საწყისის გამოვლენაა. ამ ყველაფრის მიუხედავად, შეუღლებაც და შობაც არ შეიძლება მოხდეს შეუსაბამობაში, შეუსაბამო ხომ ყოველგვარი ღვთაებრივისთვის არის სიმახინჯე, მაშინ, როდესაც შესაბამისი მშვენიერია. სიყვარული მუდმივი კეთილდღეობისკენ სწრაფვაა, მაგრამ სიკეთის გარდა, ადამიანი უკვდავების დაუფლებასაც ცდილობს. ასე რომ, სიყვარული უკვდავებისკენ მისწრაფებაცაა. დიოტიმას მსგავსად ამთავრებს თავის სიტყვას სოკრატე.

ლექცია X

მორალური ლეგალიზმი -გენერალიზმი.

გენერალიზმი იმგვარი ეთიკური ხედვაა, რომელიც აღიარებს, რომ სავალდებულო ეთიკური ნორმები არსებობენ, მაგრამ ისინი მხოლოდ ზოგადად არიან სავალდებულონი. გენერალიზმის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ შესაძლებელია არსებობდეს მიზანი, მაგრამ არ არსებობს აბსოლუტური/უნივერსალური ნორმა; შესაძლებელია არსებობდეს ულტიმატური შედეგი, რომლის მიხედვითაც განისჯება ყველა ქცევა, მაგრამ არანაირ აბსოლუტურ წესს არ შეუძლია შეაძლებინოს ადამიანს, მიაღწიოს ულტიმატურ/საბოლოო მიზანს. არც ერთი მორალური კანონი არ არის ნამდვილად აბსოლუტური, რადგანაც ყოველი მორალური პრინციპი უშვებს გამონაკლისს. ამ ეთიკური ხედვით ხასიათდება-უტილიტარიზმი, პრაგმატიზმი და ასევე მათი თანამედროვე ვარიაციები.

უტილიტარიზმი და პრაგმატიზმი -სარგებლის ეთიკა

პოსტინდუსტრიულ ეპოქაში, რომელის მთავარი მახასიათებელი კონსუმერიზმია (მომხმარებლობა),"სიკეთე" გათანაბრებულია ცნებასთან "სარგებელი", ზნეობრივი სიკეთე-მაქსიმალური სარგებლის მოტანასთან ან საკუთარი თავისათვის (ან სხვათათვის). ამ ტიპის ეთიკას უწოდებენ უტილიტარიზმს, ასეთივე პრინციპზე დაფუძნებულ პრაგმატიზმს.

უტილიტარიზმი (ლათინ. «utilitas»-სარგებელი)- ეთიკური თეორია, რომელიც ზნეობის წყაროდ მიიჩნევს სარგებელს. Uუტილიტარისტების მიხედვით სწორედ სარგებელი წარმოადგენს ადამიანის ქცევების ჭეშმარიტ საფუძველს. საუკეთესოა ის ქცვები, რომლებიც მიმართულია დიდი რაოდენობით ადამიანთა ბედნიერებისაკენ.

პრაგმატიზმი (ძვ. ბერძ. πραγμα - საქმე, საქმიანობა)-რომლის მიხედვით სიკეთე პრაქტიკული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების იგივეობრივია.

არის თუ არა სარგებელი დადებითი ღირებულება? სარგებელი გამოიხატება მაქსიმით "სარგებელი ყველაზე უპირველესად!" სარგებლის მოპოვებისაკენ მიმართული ადამიანი დაკავებულია მხოლოდ სასარგებლო რეზულტატის ძიებით.. სარგებლისაკენ სწრაფვის ლოგიკა აიძულებს მას თვით ყველაზე ახლობლებსაც მხოლოდ სარგებლის "თვალით" შეხედოს. ამგვარ მსოფლხედვის შესახებ ჰეგელი წერდა" თვითთოეული საკუთარი თავისთვის მიზანია, სხვები მხოლოდ საშუალება, ანუ არაფერი. სხვა, როგორც თვითღირებულების მქონე პიროვნება არ არსებობს. მაგრამ რადგანაც სხვების გარეშე იგი სრულად ვერ მიაღწევს საკუთარ მიზნებს, იგი იძულებულია საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის ეძებოს კავშირები სხვებთან".

უტილიტარიზმი

უტილიტარიზმის საწყისების დადგენას ფილოსოფიის ისტორიკოსები არაერთგზის ცდილობდნენ. ანტიკურ ფილოსოფიაში მხოლოდ ერთი ადგილას ვხვდებით "სიკეთის" გატოლებას "სარგებელთან". ისიც იმიტომ, რომ დასაბუთებულიყო ამგვარი მსჯელობის მცდარობა სოკრატე პლატონის დიალოგში "პროტაგორა" ჯერ წინ წამოსწევს თეზისს "სიკეთე არის სასარგებლო", შემდეგ აცამტვერებს ამ დებულებას და ასკვნის, რომ -"სიკეთის" დაყვანა"სარგებელზე" არ შეიძლება.

უტილიტარიზმის მარცვლებს ვხვდებით ფრენსის ბეკონთან (1561-1626). იგი ადამიანის ქცევის მოტივების ანალიზისას პირველობას ანიჭებს "საზოგადოებრივ სარგებელს". იუმი და ჰოლბახი ამტკიცებენ, რომ ზნეობა წარმოიშვა პიროვნების თვითშენახვის საფუძველზე, როგორც საზოგადოების წევრთა უმრავლესობის მიერ საერთო სარგებლის მიზნით მიღწეული კომპრომისი. ჯონ ლოკი (1632-1704) ასევე მიიჩნევა უტილიტარიზმის წინამორბედად. მისთვის სიკეთის ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმად ითვლება მისაღწევ მიზანთა სარგებლიანობა. თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსი მაქს ვებერი თვლის, რომ პირველი უტილიტარისტები პროტესტანტები იყვნენ, რომელთა თეოლოგიურმა დოქტრინამ მოარიგა მერკანტილური ზრუნვების მიწიერება და სულიერი მისწრაფებების ამაღლებულობა.

უტილიტარიზმის სახელით მონათლული მწყობრი, თანამიმდევრული თეორია ეკუთვნის ბრიტანელ ფილოსოფოსებს: იერემია ბენთამს (1748-1832)[11] და მამა-შვილ ჯეიმზ და ჯონ სტიუარტ მილებს.

ბენთამი ფილოსოფიურ ასპარეზზე შემოდის მისი თანადროული ყველაზე პოპულარული თეორიის მკაცრი კრიტიკით. იგი კატეგორიულად იცავს პოზიციას, რომ კეთილისა და ბოროტის შესახებ ჩვენი შეხედულებები მხოლოდ გამოცდილებაში და გამოცდილებით მოიპოვება. ბენთამის მორალის ფილოსოფია აღიარებს ჰედონიზმისა და უტილიტარიზმის პრინციპების, მაგრამ ეჭვი არ ეპარება, რომ თუკი ადამიანი კარგად გაერკვევა სარგებლიანობის პრინციპში მას აღარ დასჭრდება სხვა ზნეობრივი ნორმები. Eეს პრინციპი მას მიაჩნდა თვითკმარად და ყოვლისმომცველად. ადამიანი ბუნებით მიდრეკილია სიამოვნებისაკენ; მრავალი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტ სიამოვნებას ადამიანს ანიჭებს მხოლოდ ის, რაც ნამდვილად სასარგებლოა მისთვის. წიგნში “დეონტოლოგია, ანუ მეცნიერება მორალის შესახებ” ბენთამმა გამოიმუშავა სპეციალური “მორალური არითნეტიკა ”(სიამოვნებათა და ტანჯვათა შკალა კლასებისა და გვარების მიხედვით). მისი საშუალებით იგი ადგენს სასარგებლოს ღირებულებას, ზუსტად ისე როგორც განისაზღვრება წინასწარ შედგენილი პრეისკურანტით საქონლის ღირებულება.

ბენთამის გენერალიზმს საფუძვლად უდევს სიამოვნების გამონაკლისის პრინციპი. ამ ხედვის მიხედვით `ბუნებამ ადამიანი მოაქცია ორი დამოუკიდებელი ბატონის მბრძანებლობის ქვეშ – ესენია ტკივილი და სიამოვნება, რომელნიც გვაიძულებენ მოვიქცეთ გარკვეული მიმართულებით~. ჩვენი ქცევები სარგებლიანობის პრინციპით

---

[11] განმანათლებლობის ეპოქის ინგლისელ ფილოსოფოს მკლევარები უწოდებენ მე-18 საუკუნის ერთ-ერთ ბრწყინვალე გონებას. ბენთამი ეთიკაში არისტოტელეს პოზიციებზეა. მას მიაჩნია, რომ კონკრეტული არსების უპირველესი მიზანი არის ბედნიერებისაკენ სწრაფვა. ბედნიერება და თავისუფლება განუყოფელია.ბენთამი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ინდივიდუალურ თავისუფლებაზე, რაც გამოხატვის თავისუფლებაში ვლინდება. პირველად მორალის ფილოსოფიაში ბენთამი აყენებს ქალთა უფლებების, ჰომოსექსუალების უფლებების და სხვ. უმცირესობების უფლებების საკითხს. თავისუფლებისცნება განიხილება ეკონომიკის, რელიგიისა და სამართლის სფეროებში. პირველად საბუთდება სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფისაუცილებლობის საკითხი. ასევე მნიშვნელოვანია კონკრეტული ადამიანის ბედნიერებისათვის თავისუფალი ეკონომიკური ბაზრის აუცილებლობის დასაბუთება.თანამედროვე ანგლო-ამერიკული სამართლის ფილოსოფია, რომელიც თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ანგლო-ამერიკულ სახელმწიფო სისტემებს, დიდწილად ბენთამის ეთიკური ხედვას ემყარება.

არის ორიენტირებული – მართებული, სწორი და შესაფერისი არის უნივერსალურად სასურველი მიზანი ადამიანის ქცევისა. სიტყვები “მართებული” და “შესაფერისი”, “მცდარი” და “შეუფერებელი”, თავისთავად ცარიელნი არიან, არაფრის მთქმელნი. მათი მნიშვნელობით დატვირთვა მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ისინი შესაბამის ვითარებაში აღმოჩნდებიან. ნებისმიერ ქცევას მართავს მიზანი, ყოველი ქცევა მართლდება მისი მიზნით, რომელსაც მეტი სიამოვნება მოაქვს, ვიდრე ტკივილი. საზოგადოებრივი განვითარების მიზნად ბენთამი აღიარებს“ადამიანთა უდიდესი რაოდენობისათვის უდიდესი ბედნიერების მინიჭებას”.

თუკი სიამოვნება და ტკივილისაგან გაქცევა ეთიკურად კეთილი ქცევის მიზანია, მაშინ უნდა ვიკითხოთ, როგორ შეუძლია გაიზომოს მათი შეფარდების რიცხვი. ამ შეკითხვაზე პასუხისას უნდა გავითვალისწინოთ ვისთვისაც `ვითვლით~ სიამოვნებას - სუბიექტისთვის? თუ ადამიანთა ჯგუფისთვის?

პირველ შემთხვევაში სიამოვნებისა და ტკივილის განისაზღვრება 6 ფაქტორით:

ინტენსიურობით, ხანგრძლივობით, დარწმუნებულობა / დაურწმუნებლობით, სიახლოვე / სიშორით, მსგავსის შექმნის უნარით, სიწმინდით.

მეორე შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ეს ქმედება უფრო მეტად სიამოვნების მომტანია თუ ტკივილისა. შედეგები უნდა დაჯამდეს. ტოტალური ბალანსი მოგვცემს სიკეთისაკენ მიმართული ქცევის საერთო ტენდენციას. თუ ბოროტება იქნება მეტი – გამომჟღავნდება საერთო ტენდენცია ბოროტისაკენ. ბენთამი უშვებს, რომ ეს პროცესი ყოველი მორალური განსჯის მკაცრად განსაზღვრული წინაპირობაა. თუ ადამიანს ყოველთვის არ შეუძლია სიამოვნების ბალანსის გამოთვლა, ის ვერ განსაზღვრავს საკუთარი ქცევების მიმართულებას.

ბენთამის ე.წ. კალკულაციის პრინციპი გულისხმობს უმალ ფიზიკურ სიამოვნება-უსიამოვნებას, რადგან იგი იზომება ინტენსიურობითა და ხანგრძლივობით.

ბენთამმა ეს პრინციპი მთელს ცოცხალ სამყაროზე გაავრცელა. ბენთამი არის პირველი მოაზროვნე, რომელმაც დაიწყო ცხოველთა უფლებების შესახებ სისტემური აზროვნება. მისი ღვაწლი და მოწადინება ცოცხალი სამყაროს დაცვისა და გადარჩენის შესახებ იმდენად დიდია, რომ იგი თანამედროვე მწვანეთა მოძრაობის წინამორბედა შეიძლება წარმოვიდგინოთ.[12]

---

[12] .„მორალის და კანონმდებლობის პრინციპების შესავალში“ (1789) ბენთამი წერდა:„ალბათ დადგება ის დღე, როდესაც დანარჩენი ცხოველები მიიღებენ იმ უფლებებს, რომელსაც ისინი ვერასოდეს ვერ

ჯეიმზ მილი (1773—1836) ბენტამის უახლოესი თანამებრძოლი და თანაშემწეა. იგი ავითარებს მასწავლებლის არგუმენტაციას და იცავს პოზიციას, რომ სწორედ"სარგებელი" თამაშობს მთავარ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მისი ვაჟი ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873) ეგოიზმისა და ალტრუიზმის საკმაოდ რთული სინთეზის მქონე სისტემას მილმა უწოდა "უტილიტარიზმი". იგია ავტორი ტერმინისა უტილიტარიზმი. ამ სახელით გამოიცა მისი წიგნი., რომელსაც დღემდე ძალიან პოპულარულია ლიბერალთა შორის. მილი სამართლიანადაა მიჩნეული ინგლისური პოზიტივიზმის დამფუძნებელად.

Mმილის უტილიტარიზმში განხორციელებულია ერთის მხრივ ეპიკურეს ჰედონიზმისა და მეორეს მხრივ-ბენთამის ხედვის შერწყმის მცდელობა. Mმილი კარგად იცნობს ანტიკურ ეთიკას, სათანადო პატივს მიაგებს არისტოტელეს, მის შეხედულებას ბედნიერების შესახებ, მაგრამ მთავარი ინსპირატორად ეპიკურეს მიიჩნევს. მილი თვლის, რომ მისი თეორია ეპიკურეიზმის ორიათასწლიანი ისტორიისა. შემოქმედებითი განვითარებაა.

მილი იღებს უტილიტარული დოქტრინას, რომლის მიხედვით სიკეთეE არ არის მიზანი, იგი მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევად. იგი მიიჩნევს, რომ არსებობს საერთო მორალური წესები, შეხედულებანი, ნორმები, მათი დახმარებით ხდება ადამიანთა გადაწყვეტილებების წარმართვა საზოგადოებისათვის სიკეთის მაქსიმალიზაციისაკენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არაა უნივერსალური, დაურღვეველი, აბსოლუტური. ნებისმიერი მათგანი შესაძლებელია დაირღვეს უტილიტარისტული პრინციპის გამო, როდესაც უფრო ფასეული პრინციპია საფრთხეში. უმაღლეს სიკეთე მილის მიხედვით არის "სამართლიანობა", მილი მას განსაზღვრავს, როგორც სიკეთისათვის სიკეთით მიუკერძოებლად და დამსახურების მიხედვით მიზღვის უნარს. სხვათა შორის უტილიტარისტური პრინციპის გამო იგიც შეიძლება დაირღვეს.

მიიღებენ ტირანული მმართველობის პირობებში. ფრანგებმა უკვე აღმოაჩინეს, რომ კანის შავი ფერი არ წარმოადგენს მისი დასჯის უპირობო მიზეზს. ალბათ დადგება დღე, როდესაც მივხვდებით, რომ კიდურების რაოდენობა და ფორმა, ბეწვის ხარისხი და სიგრძე, ანდა განსხვავებული მენჯის ძვლის მიერ გამოწვევული ანატომიური აღნაგის ცვლილებები ასევე არასაკმარისია იმისათვის, რომ გრძნობების მქონე ცოცხალი არსება ასეთ ყოფაში ჩავაგდოთ. ზრდასრული ცხენი, ან ძაღლი, შეუდარებლად უფრო გონიერია და ბევრად უფრო კომუნიკაბელური, ვიდრე ერთი დღის, ერთი კვირის, ან თუნდაც ერთი თვის ბავშვი. პირიქითაც რომ იყოს, განა ეს რამეს მოგვცემდა? შეკითხვა „ფიქრობენ თუ არა" ან „ლაპარაკობენ თუ არა" ცხოველები არასწორადაა დასმული, სწორი იქნება კითხვის ამგვარად დასმა: „შეუძლიათ მათ ტანჯვა?".

განსაკუთრებული რუდუნებით ადგენს მილი “კანონთა კრებულს”, რომელთა აღსრულებას მიყავს ადამიანთა დიდი რიცხვი ბედნიერებისაკენ.

მილი ანსხვავებს სხვადასხვა სახის სიმოვნებას და იერარქიულად, ხარისხობრივად ანთავსებს მათ. მაგალითად, მილის მიხედვით კულტურული სიამოვნებები ხარისხით უფრო მაღალია, ვიდრე უკულტურო. ინტელექტუალური სიამოვნებანი უფრო მაღლა დგას, ვიდრე მგრძნობელობითი და ა.შ. მათ შორის არსებული ხარისხობრივი განსხვავების გამო პიროვნება ვალდებულია ეძიოს სიამოვნების უმაღლესი სახე ადამიანთა უდიდესი რიცხვისათვის. სიამოვნება მილის აზრით განისაზღვრება ნორმატიულად. სარწმუნო ნორმები მილის მიხედვით სარგებლიანია, თუმცა არსებობს შესაძლო გამონაკლისებიც.

მილი ბენთამისგან განსხვავებით თვლის, რომ ადამიანს ყოველთვის არ შეუძლია გამოთვალოს ქცევის შედეგი, ამიტომაც იქნმება ქცევის ნორმები. ადამიანები ქმნის მათ საჭიროების გამო. დროთა განმავლობაში ჩამოეყალიბდა ადამიანური გამოცდილების ფონდი, რომელიც კარნახობს ადამიანს რა ტიპის ქცევას რა შედეგი მოყვება, ანუ მათი საშუალებით ადამიანს შეუძლია გამოთვალოს ქცევის შედეგები. მილი წმინდად ტექნიკურ არგუმენტს მიმართავს. იგი მიიჩნევს, რომ გამოცდილებით დაგროვილმა რწმენა–წარმოდგენებმა წარმოშვა ქცევების მარეგულირებელი ნორმები. მათი ხასიათი ზოგადია და არა აბსოლუტური და როდესაც ისინი კონფლიქტებში მოდიან მათი გადაჭრა უტილიტარისტული პრინციპით უნდა მოხდეს. “ისინი იარსებებენ, ვიდრე მათ, ვინმე სხვა, უკეთესით არ ჩაანაცვლებს “, ასკვნის მილი. აქ მილი წარმოდგება როგორც ეთიკური რელატივიზმის ტიპიური წარმომადგენელი.

მილი მიიჩნევს, რომ ყოველი ინდივიდი ქცევის მორალურობაზე ტესტირება მხოლოდ პირველი პრინციპის-სარგებლიანობის პრინციპის საშუალებებით უნდა მოხდეს, იმიტომ რომ არსებობს ბედნიერების ერთი ზღვრული მიზანი, რომლისკენაცაა მიმართული მთელი მორალურობა. თუმცა მილის მიხედვით ამ მიზნისაკენ შესაძლებელია სხვა მრავალმა მორალურმა ნორმამაც მიგვიყვანოს.

ბენთამის ე.წ. რაოდენობრივი უტილიტარიზმის პოზიციას, რომელსაც აქტ-უტილიტარიზმსაც უწოდებენ, ჩაენაცვლა, მილის ე. წ. წეს-უტილიტარისტული პოზიცია, რომელიც პრაქტიკულად ბენთამისეული პოზიციის ვარიაციაა.

მოგვიანებით, თანამედროვე ბრიტანელი ფილოსოფოსი ჯორჯ ე. მური ეცდება გარკვეულწილად შეაჯეროს ზემოთ მოტანილი პოზიციები. Eმისი თეორია იდეალური უტილიტარიზმის სახელითაა ცნობილი. Eიგი აღიარებს ეთიკური

წესებისა და ნორმების არსებობას, მაგრამ ისინი თავისი ბუნებით უფრო ჰიპოთეტურნი არიან. ეთიკურ კანონს აქვს არა მეცნიერული კანონის ბუნება, არამედ მეცნიერული პროგნოზისა, ეს უკანასკნელი ყოველთვის ნაკლებადაა შესაძლო. Mმაგალითად მკვლელობა არ შეიძლება აღიარებულ იქნეს უნივერსალურად მცდარ ქმედებად, ვინაიდან მკვლელობის საერთო უსარგებლობა შესაძლოა დამტკიცდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანთა უმრავლესობა მტკიცედ იდგება იმ აზრზე, რომ სიცოცხლე აზრიანია. Aარ არსებობს ქცევათა სახეები, რომლებიც უნივერსალურად მცდარია, არსებობს მხოლოდ ზოგადად მცდარი საგნები, რომლებიც პიროვნებამ, უტილიტარულ მიზეზთაA გამო უნდა აიცილოს უნივერსალურად.

გენერალიზმი და სარგებლის პრაგმატული ვერსია

ამერიკელი ფილოსოფოსების წყალობით, პრაგმატიზმმა, როგორც ეთიკურმა სწავლებამ ფართო პოპულარობა მოიპოვა XX საუკუნის დასაწყისში,.

პრაგმატიზმის ორი უმთავრესი პრინციპის ფორმულირება ეკუთვნის უილიამ ჯემზს.

1. სიკეთე არის ის რაც საჭიროა აქ და ეხლა

2. სიკეთე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნიკალურია, ნებისმიერი განზოგადება ან ცარიელია, ან მცდარი.

პრაგმატიზმის ეთიკის სისტემატიზაცია და მისი გაშლილი დალაგება განხორციელდა ჯონ დიუის (1859-1952) წიგნებში “ეთიკა”(1908), “ადამიანის ბუნება და ქცევა”(1920), “შეფასების თეორია”(1939). ის რაც საჭიროა მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში და ის რას სასარგებლოა ყოველთვის არ ემთხვევა ერ“სარგებელი” და “საჭიროება” როგორც სინონიმებს, თმანეთს. პრაგმატისტები იყენებენ ცნებებს ერთი სურვილის ორ მხარეს. პრაგმატისტთა შორის პოპულარობით სარგებლობს ბენჯამინ ფრანკლინის (1706-1790) მიერ შექმნილი”საქმიანი ადამიანის კოდექსი.” პრაგმატიზმის ეთიკური თეორიები ტელეოლოგიურნი არიან. ამ თეორიათა ზოგადი მოდელი ამგვარად გამოიყურება:

1. შედეგები განსაზღვრავენ პრინციპებს

2. თუ შედეგი კარგია _ პრინციპიც კარგია

3. ქცევის საფუძველი შედეგია

4. ზოგჯერ შედეგები პრინციპების დასარღვევად გამოიყენება.

პრაგმატისტები მოსალოდნელ შედეგებს იყენებენ უნივერსალური მორალური წესების დასარღვევად. შედეგები პრინციპების ჩამოსაყალიბებლადაა გამოყენებული. არსებული პრინციპები კი შესაძლოა დარღვეულ იქნენ, თუ მოსალოდნელი შედეგები ამას მოითხოვენ. ეს ეთიკური პოზიცია არ აღიარებს უნივერსალურად სავალდებულო ეთიკური წესებისა და კანონების არსებობას, არც შინაგანი ღირებულებებს წარმომჩენი უნივერსალურად სავალდებულო ეთიკური ნორმების არსებობას. ამ ხედვის ველზე ქცევა განისჯება არა მისი არსებითი და უნივერსალური ღირებულებით, არამედ იმ შედეგების მიხედვით, რომელნიც მას მოსდევს. მათ მტკიცებულებაში, რომ არც ერთი მორალური კანონი, თუ ნორმა არ არის ნამდვილად აბსოლუტური, ვინაიდან ყოველი მორალური პრინციპი უშვებს გამონაკლისს. ამაში ვლინდება პრაგმატიზმის გენერალიზმი.

ჯემზი მიიჩნევს, რომ დღეს ეთიკის არსებობა ტრადიციული სახით შეუძლებელია. მორალის პრობლემების გაშუქებისას ფილოსოფოსებმა უნდა წარმოაჩინონ არა აბსტრაქციები და აბსოლუტურად შეუქცევადი დასკვნები, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვ. პრობლემათა ანალიზი. მისთვის მთავარია მოიძიოს სამყაროში ის გზები, რომელნიც ადამიანს შინ აგრძნობინებს თავს. ჭეშმარიტება აზრისათვის კრედიტის მიცემაა. ესაა ნდობა, რომ იგი გამიგვადგება, წარმატებას მოგვიტანს ჩვენს საქმიანობაში. ჯემზის ხატოვანი თქმით "ადამიანები ერთმანეთში ვაჭრობენ ჭეშმარიტებებით". მორალური ცნების ბუნების შესახებ ჯემზის მიხედვით უნდა გადაწყდეს უტილიტარიზმთან, სოციალურ უტოპიზმთან, ევოლუციონიზმთან კამათის ფონზე. ჯემზი ამტკიცებს, რომ ადამიანურ ბუნებაში თაურ-ჩანერგილია განწყობა იდეალურისადმი, როგორც ასეთისადმი. იგი აბსოლუტურად განსხვავდება სასიამოვნოსა და სასარგებლოსაგან. ადამიანებს აქვთ განსხვავებული ზნეობრივი იდეალები, ამბობს ჯემზი, შეუძლებელია მათი დაყვანა ადამიანურ მისწრაფებაზე მიიღოს სიამოვნება და თავი აარიდოს უსიამოვნებას. მორალის სამყარო ადამიანური ცნობიერების ნაყოფია ამასთან, ცნობიერება მას ესმის, როგორც პრაქტიკითა და ქცევით გაშუალებული. ღირებულებითი ცნებების აქტუალიზირებას ახორციელებს გრძნობადი ცნობიერება, ინდივიდის რეალურ პრაქტიკასთან მიმართების ჩამოყალიბების გზით. ესაა გზა ღირებულებათა პრაქტიკაში დაფუძნებისა. ცნობიერების გარეთ ღირებულებითი ცნებები არ არსებობენ. თავად ფაქტი მათი არსებობისა და მათი შინაარსის თანაყოფნისა განპირობებულია "გრძნობადი არსების" _ ადამიანის არსებობით, ადამიანისა, რომელსაც ძალუძს გარეგანი ვალდებულებებისაგან დამოუკიდებლივ, განარჩიოს

სიკეთე ბოროტისაგან, გამომდინარე საკუთარი სიმპათია_ანტიპათიებისაგან. სიკეთე და Qჭეშმარიტება უნდა აღქმულ იქნენ ისეთად, როგორც ისინი არიან, სიკეთე მოიხელთება გრძნობით, ჭეშმარიტება _ მოიაზრება. სუბიექტურ პლანში ადამიანები, სიკეთესა და ბოროტებაზე მსჯელობისას" მორალურ წესრიგს წარმოადგენენ, როგორც ობიექტურ ჭეშმარიტებას" და ცდილობენ დაასაბუთონ, რომ მათი თვალსაზრისია ყველაზე მართებული

ჯემზის მიხედვით, ბაზისური მორალური ცნებებით : სიკეთე, ბოროტება, მოვალეობა არ აღინიშნება აბსოლუტური არსი, არც გონებათჭვრეტითი, ყველაფერზე აღმატებული კანონები. მორალური ცნებები გრძნობისა და სურვილის ობიექტები არიან. ასევე არ არსებობენ არანაირი ვალდებულებები, არც თავისთავად, არც უმაღლესი და უზენაესი ავტორიტეტისაგან, თუ უმაღლესი კანონისაგან გამომდინარე. მოვალეობა მუდმივად მყოფობს, როგორც პასუხი რეალურ მოთხოვნაზე. ჯემსისთვის მნიშვნელოვანია გაარკვიოს თუ რა სახის მოთხოვნაზე შეიძლება ლაპარაკი და რა შეიძლება იყოს მისი წყარო. ჯემსი აპელირებს ემპირიულ ინდივიდზე _ მოთხოვნილების წყარო მისი აზრით ინდივიდის სურვილია. "ნებისმიერი სურვილი, ერთგვარად ბრძანებაცაა, მას კანონად აქცევს ის, რომ ის არსებობს".მოვალეობის გრძნობა ადამიანში იბადება იმის გამო, რომ მას აქვს რეაქცია სხვა ადამიანზე, მისი გულისცემა გახლავთ პასუხი მოთხოვნილებაზე, რომელსაც მას უყენებს "ცოცხალი ცნობიერება".კავშირი, რომელიც ადამიანებს შორის მყარდება, არც-ერთ შემთხვევაში არ არის უფრო სუსტი, ვიდრე მორალის ფილოსოფოსთა მიერ შემოთავაზებული მორალური იდეალები.

ჯემზი მიიჩნევს, რომ "ეთიკური რესპუბლიკა" არსებობს იმისგან დამოუკიდებლად არსებობს თუ არა ღმერთი. "ეთიკური სამყარო" ვითარდება "ცოცხალ ცნობიერებების" განვითარების საფუძველზე, ისინი უყენებენ ერთმანეთს მოთხოვნებს და აგებენ მსჯელობებს სიკეთესა და ბოროტებაზე. ჯემზი თვლის, რომ შეუძლებელია აიგოს ისეთი ეთიკური სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა არსებულ სათნოებას. იდეალსა და რეალობას შორის ყოველთვის არსებობს უთანხმოება, მის მოწესრიგებას ეწირება იდეალის ნაწილი. სათნოების მთავარი საზომი გახლავთ ბედნიერების უშუალოდ, ან თუნდაც გაშუალებულად მინიჭების უნარი.

მორალური ფილოსოფიის უნივერსალური პრინციპი ჯემზის მიხედვით ასე ჟღერს: "შესაძლო მოთხოვნილებათა უდიდესი რიცხვის მუდმივი დაკმაყოფილება"

სრულყოფილ, ანუ კეთილ ქცევად მიიჩნევა, იმგვარი ქმედება, რომელიც უმცირესი მსხვერპლის გაღების პირობებში ყველაზე კარგ შედეგს გვაძლევს.

ეთიკის პრინციპებისადმი ჯემზიანული მიდგომა თავის განვითარებას პოვებს ჯონ დიუის პრაგმატიზმში. ამერიკაში მრავალი ათეული წლის განმავლობაში მისი მონოგრაფია “ ეთიკა” გახლდათ ბესტსელერი მორალურ ფილოსოფიაში. დიუი ფილოსოფიაში შემოდის ამბოხით აბსოლუტთა წინააღმდეგ. იგი მოითხოვს ფილოსოფიის მეტაფიზიკური მოდელის რეკონსტრუქციას.

ამოსავალ პუნქტად დიუის რეკონსტრუქციისა ფილოსოფიაში უნდა იქცეს აბსოლუტური, უნივერსალური ხედვის უარყოფა, რომელიც ტრადიციული ფილოსოფიისთვისაა დამახასიათებელი. ტრადიციული ეთიკის სიბრტყეში, დიუი ამ მოვლენას უწოდებს მორალის “ ფეოდალურ ორგანიზაციას”. იგი მოითხოვს“ცვალებად, მოძრავ, ინდივიდუალიზირებულ სათნოებათა და მიზანთა პლურალიზმის“ დაშვებას. დიუის მიხედვით პრინციპები, კრიტერიუმები და კანონები ინტელექტუალურ ინსტრუმენტებად უნდა იქნეს გამოყენებული ინდივიდუალური და უნიკალური სიტუაციების ანალიზისათვის.

დიუი ანსხვავებს რეფლექტურ (reflective) და ყოველდღიურ, ჩვეულ (custumary) მორალს. მორალური ქცევა ყოველთვის უნიკალურია, რადგანაც ყოველი სიტუაცია, სადაც ესა თუ ის ქცევა თამაშდება უნიკალურია და ამიტომ აუცილებლობით მოითხოვს მის კონკრეტულ გადაწყვეტას. ნებისმიერი სიტუაცია ვერ იქნება მორალური. დიუის წინაშე დგება საკითხი განსაზღვროს მორალური სიტუაცია.

მორალურია სიტუაცია, რომელშიც მსჯელობა და არჩევანი წინ უძღვის ქცევას. პრაქტიკაში ყოველი სიტუაცია, ყოველ ჯერზე კონკრეტულად უნდა გადაწყდეს თავიდან. რადგანაც დიუის მიხედვით მორალური ქცევა ყოველთვის ერთეული, განუმეორებელი და უნიკალურია, სწორი (მორალური) ქცევა ფაქტიურად განხორციელდება მხოლოდ სიტუაციის გამოწვლილვითი შესწავლის შემდგომ. ეს ინტელექტუალური რიგის ამოცანაა, რომელიც ყოველ ჯერზე თავიდან უნდა გადაწყდეს. დიუი სთვლის, რომ მისი გადაწყვეტა გაშუალებულია სიმპათიის დონით, გრძნობადობის ხასიათით, ინტერესთა და თვალსაზრისთა კონფლიქტის გადაჭრის დაჟინებული სურვილით. ყოველივე ამას დიუი უწოდებს სათნოებებს, ან მორალურ სრულყოფილებათ. კონკრეტული სიტუაციების გადაწყვეტის ხელოვნების უნარი და მოთხოვნილება წარმოშობს მორალს. მორალური ცხოვრების ანალიზისას დიუის აქცენტი გადააქვს წესებიდან, პრინციპებიდან და ზოგადი მიზნებიდან კონკრეტული დილემური სიტუაციის გადაწყვეტაზე. შესაბამისად, სათანადო, ჯერარსული და მართებული ქცევის ქვეშ იგი მოიაზრებს იმგვარ ქცევას, რომელსაც მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში მოაქვს უდიდესი სიკეთე, როგორც სხვა ადამიანებისათვის, ისე მოქმედი სუბიექტისთვის. სიკეთე დიუისათვის არის ის, რაც

პასუხობს სიტუაციის მიერ შექმნილ მოთხოვნილებას. ადამიანის მორალური ამოცანაა კოფლიქტურსა და დილემურ სიტუაციაში მიაღწიოს კეთილდღეობის მთელ სისავსეობას. მორალური წესის ფორმულირება ყოველ ჯერზე, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში თავიდან ხდება. ზნეობის ამოცანა არ არის ‘’ ჭეშმარიტი ღირებულების’’ განსაზღვრება ‘’ მცდარი ღირებულების’’ საპირისპიროდ, არამედ ქცევის იმგვარი პარადიგმის განსაზღვრება, რომელშიც, შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებული იქნება სიტუაციაში ჩართული ყველა ღირებულება.

ზოგადი წარმოდგენები მიზნებსა და ღირებულებებზე იმგვარივე ფორმით არსებობენ, როგორც ყველა ზოგადი იდეა. კონკრეტულ სიტუაციებთან მიმართებაში წარმოშობილ მსჯელობებში ხდება მათი გამოყენება, როგორც ინტელექტუალური ინსტრუმენტებისა. ისინი წარმოიშობიან როგორც ინსტრუმენტები, და გამოიცდებიან მათ გამოყენებითობაში ამ სიტუაციებთან მიმართებაში.

მეოცე საუკუნის 60-70 წლებში პრაგმატიზმმა პრაქტიკულად დასთმო პოზიციები. ბევრი ამერიკელი ფილოსოფოსი აფასებდა მას, როგორც მოძველებულსა და მოდიდან გამოსულს. 1980 წლიდან პრაგმატიზმის მეორე სიცოცხლე იწყება. ამერიკელი ფილოსოფოსის რიჩარდ რორტის წყალობით პრაგმატიზმი რეანიმაციას განიცდის. საფუძველი ეყრება ახალ ინტელექტუალურ მოძრაობას – ნეოპრაგმატიზმს,_რომლის ადეპტებად რიჩარდ რორტთან ერთად გვევლინებიან დ. დევიდსონი, უ. ქუაინი, ჰ. პეტნემი.

ჯემზისა და დიუის კლასიკური პრაგმატიზმი, რორტის მიხედვით, ამერიკული ანალოგია იმისა, რაც კონტინენტურ ფილოსოფიაში ფრიდრიჰ ნიცშეს სახელთანაა დაკავშირებული და რამაც, ევროპულ ფილოსოფიაში გაგრძელება ჰპოვა ექსისტენციონალიზმში, ჰერმენევტიკასა და სტრუქტურალიზმში. ნიცშეანული, ან დიუიანური გადატრიალების არსი ფილოსოფიაში, რორტის მიხედვით გამოიხატება იმაში, რომ აქ უარია ნათქვამი დასავლური ფილოსოფიის არსობრივ ტრადიციაზე, კერძოდ, მეტაფიზიკურის, როგორც დომინანტურის აღიარებაზე. ასევე უარიყოფა ობიექტური და უნივერსალური საწყისების, მაგალითად ჭეშმარიტების, სიკეთის და სხვ. არსებობა.

ნებისმიერი მორალური წარმოდგენის საფუძველში, რორტის მიხედვით ძევს ადამიანური მოთხოვნილებები და არც ერთ შემთხვევაში უნივერსალიები: კულტურული, კოსმიური, თუ ღვთაებრივი., უცვლელი მორალური პრინციპები, აზროვნების გიგანტების, ვთქვათ კანტისა, თუ მილის მიერ დაკანონებულნი, რორტის მიერ განიხილება როგორც, ‘’წარსულ ქცევათა აბრივიატურები _ წინაპართა

იმ წესჩვეულებათა მოკლე ფორმულირებანი, რომელნიც ყველაზე მეტად აღგვაფრთოვანებენ''

ეთიკური ლეგალიზმის სახით წარმოდგენილი გენერალიზმის მთავარი ნაკლი იმაშია, რომ იგი თავისი არსით რელატიურია. იგი ემყარება ვარიირებად/ცვლად პრინციპს-მიზანი ამართლებს საშუალებას.

ქცევა ავტომატურად ვერ იქცევა კარგი იმის გამო, რომ მას საფუძვლად კარგი მიზანი აქვს. გენერალიზმი არ აღიარებს შინაგანი ღირებულების არსებობას; პრაქტიკულად არ აღირებს შეფასების კრიტერიუმს. თუკი არ არსებობს დამოუკიდებელი შინაარსის მქონე მორალური ნორმები/წესები, პრინციპები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველასთვის, ნებისმიერი ქცევის შესაძლებლობა ყოველთვის გამართლებული იქნება. ამას უკიდურეს რელატივიზმთან მივყავართ.

უტილიტარისტული კალკულაციის პრინციპი არ ითვალისწინებს, რომ სიკეთის ტექნიკურად გამოთვლა შეუძლებელია.

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ

კითხვები

1. წაიკითხეთ მილის „თავისუფლების შესახებ“
2. რით განსხვავდება მილის უტილიტარიზმი ბენთამისაგან? გამოყავით მსგავსებანი და განსხვავებები.
3. განმარტეთ გენერალიზმის მთავარი ნაკლი?
4. არსებობს თუ არა გენერალიზმის გამამართლებელი არგუმენტები?
5. გენერალიზმის რა მახასიათებლის გათვალისწინება არის აუცილებელია განსხვავებული ეთიკური ხედვებისთვის?
6. რა ნიშნები აახლოებს უტილიტარიზმთან პრაგმატიზმს?

ნახეთ ფილმი „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“.გამოყავით მთავარი საკითხი, რომელიც მორალური დილემის წინაშე აყენებს გმირებს. გაიხსენეთ არისტოტელეს ცნობილი გამონათქვამი_პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უპირველესია.

ლექცია XI

აბსოლუტური შეუზღუდავი ლეგალიზმი - ისტორიული საფუძვლები და საბაზისო პრინციპები

შეუზღუდავი ლეგალიზმი[13] აღიარებს მორალური კანონების არსებობას. კანონები არასოდეს მოდიან ერთმანეთთან კონფლიქტში. აბსოლუტური და უცვლელი ბუნების მქონე კანონები ერთ სიბრტყეზე თანაცხოვრობენ.

შეუზღუდავი ლეგალიზმის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია განმანათლებლობის ეპოქის გერმანელი ფილოსოფოსი იმანუილ კანტი. მის ეთიკურ სისტემაში მოცემულია შუზღუდავი ლეგალიზმის ყველაზე სრულყოფილ ვერსია. ჰეგელი კანტის ეთიკურ სისტემას ხატოვან შეფასებას აძლევს. იგი ამბობს: „თავბრუ გეხვევა იმ არაჩვეულებრივ სიმაღლეზე, რომელსაც აქ ადამიანი ფლობს“.

კანტი ქმნის შინაარსობრივად ახალ ეთიკურ სისტემას,[14] რომლის მიზანია დააფუძნოს უანგარო, დაუინტერესებელ, უმაღლესი ტიპის მორალი. გავიხსენოთ სამი შეკითხვა, რომელსაც უნდა გასცეს პასუხი კანტის ფილოსოფიამ.

1. რა უნდა ვიცოდე?
2. რა უნდა ვაკეთო?
3. რისი იმედი შეიძლება მქონდეს?

პრაქტიკული გონების სფეროში, რომელიც მკაცრადაა გამიჯნული თეორიული გონების, ანუ ღმერთის, სულისა და თავისუფლების არსებობის შესახებ საკითხებისგან,

---

[13] ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად ერიჩელი ლეგალიზმის ნაცვლად იყენებს ტერმინს აბსოლუტიზმი.

[14] კანტმა იგი წარმოადგინა ეთიკაში თავის ძირითად ნაშრომებში:“ზნეობის მეტაფიზიკის საფუძვლები” 1785,“ პრაქტიკული გონების კრიტიკა”1788“და ზნეობის მეტაფიზიკა” 1797. ორი მათგანი უკვე თარგმნილია ქართულად.

დგას მეორე შეკითხვა: რა უნდა ვაკეთო? რომელსაც პასუხი უნდა გასცეს კანტის შეუზღუდავმა ლეგალიზმმა.

კანტის მორალის ფილოსოფიის ძირითადი ეთიკური ფორმულა ამგვარად ჟღერს:

„მოიქეცი მხოლოდ იმ მაქსიმის მიხედვით, რომელიც ისურვებდი, რომ გამხდარიყო საყოველთაო კანონი. მოიქეცი ისე, რომ კაცობრიობა როგორც შენი სახით, ისე ყოველი ადამიანის სახით მიგაჩნდეს მიზნად და არასდროს საშუალებად“.

კანტი ემყარება იმას, რომ ჭეშმარიტება არსებობს და მისი უარყოფა შეუძლებელია, ასევე მოძღვრება ზნეობის შესახებ ემყარება იმას, რომ ვალდებულების არსებობის უარყოფა შეუძლებელია.

კანტი ცდილობს დააფუძნოს ზნეობის კანონები, როგორც აპრიორული, ე.ი. ადამიანის ყოველი მიდრეკილებისაგან, ინსტინქტისა და სურვილისაგან თავისუფალი. ამას ემყარება კანტის წარმოდგენა **სინდისზე, როგორც ვალდებულების ცნობიერებაზე,** რომელიც თავისებური სასამართლოა, სადაც განსჯა კანონმდებელია, მსჯელობის უნარი მომჩივანი და დამცველი, მოსამართლე კი გონება. ზოგადად ყველა ადამიანმა იცის, რომ, როცა იმას აკეთებს, რაც უნდა გააკეთოს, მას უფლება აქვს საკუთარი მოქმედების სახელმძღვანელო წესი სხვებისათვისაც სავალდებულოდ ჩათვალოს. განიხილავს რა ობიექტური მხრიდან, კანტი მას კანონს უწოდებს, სუბიექტის მხრიდან განხილულს კი _ მას მაქსიმა ეწოდება, ე.ი. წმინდა პატივისცემა პრაქტიკული კანონისადმი. ამ კანონით მოქმედება, კანტს მიაჩნია სიბრძნედ. მისი აზრით, ბრძენი შეიძლება მეცნიერი არ იყოს. სიბრძნე სიმართლით და სიმართლისათვის ცხოვრებაა აქ საუბარია არა იმაზე, რომ ადამიანის ქცევა გარეგნულად უნდა შეესაბამებოდეს ზნეობრივ კანონს, ანუ კატეგორიულ იმპერატივს, არამედ იმაზე, რომ ქცევის მოტივი, განზრახვა შინაგანად უნდა იყოს ზნეობრივი. თორემ, ადვილი შესაძლებელია, კეთილი განზრახვის შედეგი ბოროტი აღმოჩნდეს და, პირიქით, ბოროტი განზრახვისა კი _ კეთილი. იყო თუ არა განზრახვა ზნეობრივი, ეს მხოლოდ პიროვნებამ და ღმერთმა შეიძლება იცოდეს. ფაქტები, როგორც ქცევები, აქ ვერ გვიშველიან. ფაქტი, რაკი გაჩნდა, იგი უკვე კაუზალობას ექვემდებარება, ე.ი. ჩვენი კეთილი ნებისაგან დამოუკიდებლად შეიძლება აიხსნას. ადამიანში, როგორც სასრულო გონიერ არსებაში, ცხადია, მარტო ზნეობრივი შინაგანი იძულება არ მოქმედებს. ადამიანის გადაწყვეტილებაზე გავლენა რომ არ ჰქონდეს ვნებებს, ინსტინქტებს და პირად ემპირიულ ინტერესებს, მაშინ საჭიროც არ იქნებოდა ბრძოლა ზნეობრიობისათვის, ე.ი. ისეთი მოქმედებების შესაძლებლობის დასაბუთებისათვის, რომლებიც აუცილებელია, რათა ადამიანი ზნეობრივი არსების სახელს ამართლებდეს. მისი განხორციელება მხოლოდ ჩვენს თავისუფალ გადაწყვეტილებას შეუძლია. ეს ემპირიული ადამიანის მიერ არაემპირიულ საყოველთაოსა და აუცილებელს შეგნებული დაქვემდებარებაა. ეს სინთეზური კანონია, რამდენადაც ადამიანის ნებას აუცილებლობით უკავშირდება მისგან განსხვავებული .

კანტის ეთიკას უწოდებენ ვალდებულების ეთიკას

კანტის ხედვაში მორალი არ შეიძლება იყოს განხილული მიზნის მისაღწევად დასახულ საშუალებად. ამგვარი ინტერპრეტაციისას ზნეობა იქცევა წმინდა ტექნიკურ, პრაგმატულ ამოცანად, ეფექტურად და ნებისყოფის დაძაბვის გარეშე, ადვილად და მოხერხებულად დასახული მიზნების გადაიჭრის ხელოვნებად. ქცევის ამგვარი პრინციპებს კანტი უწოდებს პირობით, ჰიპოთეთურ იმპერატივებს: თუ გსურს მიაღწიო „ამგვარ“ რეზულტატს მოიქეცი „ასე!“ ამ მიდგომაში არ არის განსაზღვრული მიზანი. მიზნის მიღწევის მეთოდი, საშუალება, გზები, ტექნიკა ვიცი, მაგრამ არ ვიცი თუ რას ნიშნავს თავად მიზანი. აქ ალბათ უნდა ითქვას, რომ ყველა მიზანი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ზნეობრივად; უკეთილშობილესი მიზნის მისაღწევად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეფექტური, მაგრამ ამორალური საშუალება. ამგვარად, ჰიპოთეტური იმპერატივი, როგორც ტექნიკური რიგის სახელმძღვანელო ქცევისათვის, არაფერს გვეუბნება თავად ქცევს ზნეობრივ ხასიათზე. ცხოვრებაში ადამიანები სხვადასხვა მიზნებს ისახავენ, მაგრამ კერძო, ემპირიული, განსაკუთრებული მიზნებისაგან შეუძლებელია გამოვიყვანოთ ზნეობა. თავად ზნეობა ერთ მიზანს მიიჩნევს სასიკეთოდ, სხვას კი გმობს. მორალში ღირებულებაზე მაღლა კანტი აყენებს მოვალეობას. მორალი კანტს არ გამოყავს ადამიანური ყოფიერების, ისტორიის, საზოგადოების ანალიზიდან. კანტთან ხდება მისი პოსტულირება, როგორც გონებით ცდამდელი/აპრიორი მოცემულობისა, როგორც სამყაროს გარკვეული განზომილებისა. ადამიანს არავინ აიძულებს მიყვეს მორალურ კანონს, იგი თავადაა ამ კანონებით ცხოვრების მოსურნე. ამით კანტი აიგივებს თავისუფლებასა (კანტთან ესაა ადამიანის უნარი საკუთარ თავს დაუწესოს კანონი) და მორალს. აქ ვლინდება მისი ფორმალიზმი ზნეობის გაგებაში.

კანტთან ზნეობა ყველაზე მჭიდროდ სამართალთანაა დაკავშირებული. კანტის მიხედვით, თუ ადამიანს მოვალეობა მისი ახლობლის საწინააღმდეგო ნაბიჯს გაადგმევინებს, ეს ამ ადამიანის ზნეობრივობას მოწმობს. სინამდვილეში ეს მხოლოდ აბსტრაქტული ჰუმანიზმის გამოვლენაა, რადგანაც სინამდვილეში, სამართლიანი არ იქნება მხოლოდ „ახლობლის სიყვარულის“ მოტივით აღსრულებული მოქმედება ჩაითვალოს ზნეობრივად. კანტი ამბობს, რომ ზნეობრივი იმპერატივი ადამიანებისაგან აუცილებლობით მოითხოვს საჭირო დახმარების აღმოჩენას, რაც სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი ავალდებულებს მათ სიყვარულს. უაზრობაა იქნებოდა იმის თქმა, რომ უნდა გიყვარდეთ სხვა ადამიანები, ამბობს კანტი, საჭიროა ითქვას: გაქვთ ყველა საფუძველი გიყვარდეთ მოყვასი, და ეს გამონათქვამი სამართლიანია თქვენი მტრების მიმართაც კი.

მოვალეობის გრძნობა თითქოს გამორიცხავს სიყვარულის გრძნობას, რადგან მოვალეობის გამო სიყვარული შეუძლებელია. მაგრამ კანტი არ არის მართალი იმაში, რომ მათი დამთხვევა არასდროს არ შეიძლება. ადამიანობა გულისხმობს ყველა ადამიანის სიყვარულს, ამ შემთხვევაში თანადგომა და თანაგრძნობა ადექვატურნი იქნებიან მოვალეობის მიმართ, და გარკვეულად შესაძლებელია ჩაენაცვლონ კიდეც მას. ის ადამიანები, რომლებიც პრინციპებით მოქმედებენ ცოტანი არიან; რაც კანტის მიხედვით ძალიან კარგია, რადგანაც

ადვილი შესაძლებელია ამ პრინციპებში აღმოჩნდეს შეცდომა; მაშინ ზიანი, რომელიც მათ გავრცელებას მოჰყვება იქნება იმდენად დიდი, რამდენადაც ზოგადი და საყოველთაო იქნება პრინციპი. იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მოქმედებენ კეთილი განზრახვით გაცილებით დიდია, და ეს შესანიშნავიაო, ასკვნის კანტი. თუმცა კეთილ განზრახვათა ღირებულება არაა მაღალი; კანტის მიხედვით ისინი უფრო ინსტინქტებია, რომელთა შეფასებისას არ არის სასურველი ზედმეტი გაზვიადება.

კანტის მიხედვით, თუ ქცევა კარგია მიზნის მისაღწევად ის სასარგებლოა. თუ ის კარგია თავისთავად ის ზნეობრივია.

მორალური კანონისადმი პატივისცემა კანტიანური ეთიკის გულია. მასში იხსნება მორალური ქცევის განზომილება. ეს პატივისცემა მხოლოდ პიროვნებას შეუძლია გამოხატოს. ეს აპრიორული გრძნობაა. ამ პატივისცემის გაცნობიერება კანონის სახის მქონე მოვალეობის გაცნობიერების იდენტურია და ატარებს აუცილებელი საყოველთაობის ხასიათს. მორალური ვალდებულების ერთადერთი მამოძრავებელი ძალა კანონის პატივისცემაა. ადამიანი უბრალოდ გონიერი არსება არაა, მას გონება უხმობს მორალური ქცევისაკენ, რაც გამოიხატება მორალური კანონის პატივისცემაში. ერთი შეხედვით აქ არ ჩანს სწრაფვა პირადი ბედნიერებისაკენ. მაგრამ წინააღმდეგობა მოვალეობასა და ბედნიერებას შორის წარმოსახვითია. კანტი მას გადალახავს, იმით, რომ დაასაბუთებს, რომ ერთეული ადამიანის ბედნიერება და მთელი კაცობრიობის კეთილდღეობა მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი ქცევები მორალურ კანონს ემორჩილება.

ზნეობრივი მოვალეობის საფუძველი არ უნდა ვეძიოთ არც ადამიანის ბუნებაში, არც იმ გარემოებებში, რომელშიც ის იმყოფება, აპრიორი წმინდა გონების ცნებებში. "წმინდა" (აპრიორული) პრინციპები და ემპირიზმი შეუთავსებელია.

თეორიული მეცნიერება კანტის ფილოსოფიაში სწავლობს ადამიანს, როგორც მოვლენას, როგორც ერთ-ერთ საგანს სხვა საგანთა შორის. თეორიული, ანუ ზუსტმეცნიერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის, ადამიანის ყოველი მოქმედება, სინდისის ქეჯნის ჩათვლით, გამოცდილებისეული აუცილებელი კანონებით აიხსნება. ნების თავისუფლება ამ მეცნიერებებისათვის სავსებით გაუგებარი რამაა. პრაქტიკული მეცნიერებებისათვის კი, რომელიც ადამიანის ისეთ მოქმედებას შეისწავლის, რომელიც მისი გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება, ნების თავისუფლება, ფაქტია. იგი უარყოფილი კი არ უნდა იქნეს, არამედ აიხსნას. მათ ამხსნელ მეცნიერებას ანუ **ეთიკას,** კანტის აზრით, ვერ დააფუძნებს ის, ვინც ჩვენი ნების განმსაზღვრელს ჩვენს გარეთ დაუშვებს. ამ შემთხვევაში გარეთ დაშვებულის გაგება იქნებოდა მთავარი, ე.ი. ჩვენი ნება შემეცნების გზას დაადგებოდა შემეცნების საშუალებების გარეშე. კანტი ამ საქმისათვის უარყოფს ჩვენი ნების გარედან განსაზღვრულობის **(ჰეტერონომიის)** სამართლიანობას და იცავს ადამიანის ნების **თვითკანონმდებლობას, ანუ ავტონომიას.** წმინდა პრაქტიკული გონების მიერ დადგენილი სწორი (ზნეობრივი) მოქმედების სახელმძღვანელო კანონები

საყოველთაო და აუცილებელი მნიშვნელობისაა, ისევე როგორც თეორიულის დადგენილი. მაგრამ პრაქტიკულს არა აქვს ფაქტიური, მაიძულებელი ძალა, როგორც, მაგალითად, მიზეზობრიობის კანონს, რომელსაც გამოცდილებაში ყველა საგანი ემორჩილება. **ეთიკის კანონებს კი მხოლოდ ის ემორჩილება, ვისაც სურს ზნეობრივი იყოს. ეს კანონები მხოლოდ ზნეობრივი ადამიანისაგან მოითხოვენ უპირობო დამორჩილებას, როგორც თავისუფალი არჩევანისას, ისე არჩევანის გაკეთების შემდგომაც.**

კატეგორიული იმპერატივი

კანტი განასხვავებს ორი სახის ზნეობრივ მითითებებს მაქსიმებს-ქცევის პირადი პრინციპებსა და იმპერატივებს-საყოველთაო მითითებებს. ეს უკანასკნელი თავისმხრივ ორგვარია:

ა) პირობითი ან ჰიპოთეზური, რომელიც ამგვარად ჟღერს-„უნდა იმოქმედო ამგვარად, თუ გსურს ამგვარი მიზნის მიღწევა“ აქ მოთხოვნა ზნეობის არსებობას არ ეხება, და

ბ) კატეგორიულ იმპერატივი, რომელიც ამბობს რომ გარკვეული ტიპის ქცევა ობიექტურად აუცილებელია მიუხედავად იმისა თუ რა მიზანს ისახავს. კატეგორიული იმპერატივი სითეზურია და აპრიორული. მისი არსებობა ზნეობის არსებობისათვის აუცილებელია, ესაა უპირობო მოთხოვნა.

ემპირიული ადამიანის ზუსტი შესწავლა რომ მოვახერხოთ, კანტის აზრით, მის მოქმედებას და გადაწყვეტილებებს ისევე ზუსტად გავითვალისწინებდით, როგორც, მაგალითად, მზის ან მთვარის დაბნელებას. აქ მივადექით კანტის მიერ დუალიზმის აუცილებლობის საგნობრივი დასაბუთების ცდას. ადამიანის ემპირიული ხასიათის ანალიზისას ჩვენ ვერსად შევხვდებით თავისუფლების შესაძლებლობას. **კატეგორიული იმპერატივის სამოქმედო არე** და მისი არჩევის შესაძლებლობა დასაშვები გახდება მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანს განვიხილავთ, როგორც თავისთავადი ნივთების სამყაროს წევრსაც, მოვლენათა სამყაროს წევრობასთან ერთად. ფიზიკურად, დროსა და სივრცეში „ადგილის“ თვალსაზრისით, ეს იგივე სამყაროა. არსებით განსხავებას ქმნის ამავე სამყაროსადმი პრინციპულად განსხვავებული მეთოდით მიდგომა. აქ ორ მეთოდს მივადექით _ თავისუფლების უარმყოფელს და თავისუფლების საფუძველზე არსებულს და მის მაძიებელს გამოცდილებაში. ერთ შემთხვევაში გამოცდილება ფიზიკის და გეომეტრიის კვლევის საგანია, მეორეში _ თავისუფლების, რწმენის და შემოქმედების. სადაც თავისუფლებაა, მხოლოდ იქ შეიძლება არსებობდეს სასჯელი, დამსახურება, დანაშაული, გმირობა, ქველმოქმედება, სიკეთე. იგივე ითქმის ჭეშმარიტ რელიგიაზეც. კანტისათვის იგი მხოლოდ იქ შეიძლება არსებობდეს, სადაც თავისუფალი არჩევანია. კანტს მიაჩნია, რომ ზნეობრივი მოქმედებით ადამიანი უკვე ამტკიცებს, რომ მას ღმერთი სწამს, თუნდაც თეორიულად უარყოფდეს კიდეც მის არსებობას.

კანტმა **კატეგორიული იმპერატივის** რამდენიმე ფორმულირება მოგვცა. მათგან ყველაზე გავრცელებულია შემდეგი **„მოიქეცი ისე, რომ შენი ნების მაქსიმა, ამავე დროს, მუდამ საყოველთაო პრინციპად გამოდგებოდეს“** . ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მე, მაგალითად, ტყუილის თქმა გადავწყვიტე, ჩემი გადაწყვეტილების ზნეობრივი თვალსაზრისით შესამოწმებლად, კითხვა ასე უნდა დავსვა: მსურს თუ არა მე, რომ ყოველი ადამიანი ასე იქცეოდეს? უფრო შინაარსეული სახით კანტი კატეგორიულ იმპერატივს ასე გამოხატავს:

„მოიქეცი ისე, რომ შენს მოქმედებაში, როგორც შენი საკუთარი თავის, ისე ყოველი სხვა პიროვნების სახით, ადამიანი ყოველთვის იყოს აგრეთვე მიზანი და არასდროს მხოლოდ საშუალება“. კანტი აქ პიროვნების ემპირიულ არსებობას კი არ გულიხმობს, არამედ მის მორალურ სახეს. აქ იგი იმდენად მკაცრია, რომ კრძალავს ტყუილის თქმას, თუნდაც ადამიანის გადარჩენისათვის. რადგან ამით ტყუილის მთქმელი საკუთარ ეთიკურ მეობას კლავს და, ამდენად, მხოლოდ საშუალებად იქცევა სხვების მიმართ. ეს კი, კატეგორიული იმპერატივეს თანახმად, დაუშვებელია. კანტს, საკითხის ასე დაყენებისათვის, ფორმალიზმს აბრალებდნენ და მატერიალური კრიტერიუმის საჭიროებაზე მიუთითებდნენ.

1895 წელს ჰეგელმა ხელახლა დაამუშავა კანტის „პრაქტიკული გონების კრიტიკა". იგი ადამიანის ღირსებაზე, როგორც საბოლოო მორალურ მიზანზე უაღრესად პოზიტიურად წერს. თან გაკვირვებას გამოთქვავს, თუ აქამდე რატომ ვერ მივიდნენ ამის გაგებამდე, რაც ადამიანს თვისებრივად ამაღლებს სხეულებრივზე. მიუხედავად ჰეგელის მიერ კანტის კრიტიკისა, თეორიულის და პრაქტიკულის გაყოფის თაობაზე, მან სწორედ ამ ძირითადი პრინციპით განიხილა საზოგადოება, მისი სტრუქტურა და მისი ისტორია.

კანტის ეთიკაში ქცევის სუბიექტური მიზნის ნაცვლად ადგილს იკავებს ობიექტური მიზანი, რომელიც ღირებულია არა პირადი სურვილის, ან ახირების გამო, არამედ მისგან სრულიად დამოუკიდებლად. მიზანი მეტაფიზიკურად თვითმყოფადია და ამდენად თავისთავად ღირებულია. ამგვარია თავად სუბიექტის, როგორც ყოველგვარი მიზნის დაცვის მიზანი. ადამიანისა-მის საყოველთაო, ანუ გვაროვნულ არსებობაში, როგორც კაცობრიობისა ადამიანში. კაცობრიობის ეს გონიერი ბუნება ისევე როგორც ყოველივე გონიერი ცოცხალისა არის მიზანი თავისთავად. ადამიანი ჯილდოს რაიმე სხვა ინსტანციიდან არ უნდა მოელოდეს. მან უნდა გააკეთოს ის, რაც ჯერარსს. ესაა გადამწყვეტი პიროვნების მორალური სახისათვის. მაგრამ არსებობს ერთი ძნელად გადასალახავი სიძნელე- ჯერარსი არასდროს გახდება არსი. ჯერარსის თანახმად, განხორციელებული მოქმედება მყის არსის, ყოფიერების ნაწილი ხდება და მის კანონზომიერებას ემორჩილება. ამდენად, ჯერარსს მოკლებულ სინამდვილეში, ზნეობრივ არსებად ადამიანს აქცევს მხოლოდ მუდმივი ბრძოლა ჯერარსის განხორციელებისათვის.

ფაქტობრივად, კანტთან ნაცადია იმ მორალური ნორმის აპრიორული მეთოდით დაფუძნება, რომელსაც სოკრატე ასწავლიდა, რომ კეთილი ქცევა არის თვითკმარი ღირებულების მქონე. ანუ. ქცევის საფუძველიცა და მიზანიც ამ ქცევაშივეა. კანტი იტყვის: იმისათვის, რომ კეთილი ქცევის გადაწყვეტილების მისაღებად და მის სამოქმედოთ, ადამიანს აქვს უნარი დაუშვას აუცილებლობის სამყაროში თავისუფლების შესაძლებლობა.

შევაჯამოთ:

შეუზღუდავი ლეგალიზმი კანტის ეთიკაში ვლიდება შემდეგი ნიშნების სახით

- ადამიანის ნება თვითკანონმდებელია-ავტონომიურია

- ქცევა, რომელიც კარგია თავისთავად,- იძულებისა და პირობის გარეშე,- არის მორალური.
- მორალური კანონები საყოველთაო, უნივერსალური და აბსოლუტური ბუნებისანი არიან
- ისინი თანაბარი ღირებულებისანი არიან.
- მათ შორის არ არსებობს იერარქიული მიმართება.
- მათ არ შეუძლიათ ერთმანეთთან კონფლიქტში მოსვლა. შესაძლო კონფლიქტი მოჩვენებითი ხასიათისაა და არასდროს არაა რეალური.
- ქცევის კანონი განსაზღვრავს ქცევის შედეგს და არა პირიქით.
- მორალურ წესს გამონაკლისი არა აქვს.
- ყველას, თვითოეული ადამიანის მოვალეობაა იყოს ზნეობრივი.
- ყველა უნდა იყოს მართალი და პატიოსანი. გარემოებებს/სიტუაციას არა აქვს მნიშვნელობა.

კანტამდელ ეთიკურ სისტემებს საფუძლად ედოთ ან ემპირიული სუბიექტი, ან უმაღლესი ღვთაებრივი ნება. პირველი ტიპის სისტემებს მიეკუთვნებოდა არისტოტელესა და ეპიკურეს ძველი ეთიკური სისტემები, რომელნიც გაიზიარეს უტილიტარისტებმა ახალ დროში. ამ ტიპის სისტემებსვე უნდა მივაკუთნოთ ინტუიციონისტთა ეთიკური სისტემებიც, რამეთუ ისინიც ამოდიოდნენ ზნეობრივი გრძნობის არსებობიდან და მასზე აფუძნებდნენ მორალურ კანონს. ასეთია შეფსტბერის სისტემა, რომელსაც ჰქონდა უდიდესი გავლენა გერმანულ რომანტიზმზე, და ნაწილობრივ თავად კანტზეც. ეთიკური სისტემების მეორე ტიპს უნდა მივაკუთნოთ ქრისტიანობის რელიგიური ეთიკა, რომელიც უმაღლეს სიკეთეს, და ზნეობის საბოლოო გამართლებასაც ჭვრეტდა ღვთაებრივ ნებაში. კანტის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა არც ერთი არსებული ეთიკური სისტემა, ანუ ვერც ერთი მათგანი ვერ ხსნიდა „პრაქტიკული კანონის აუცილებლობას, იმას, რომ ამ კანონს გააჩნია მნიშვნელობა ყველა გონიერი არსებისთვის“ (Kant, Kr. d. pr. V., S. 21).

ყველა ეს სისტემა ხომ ზნეობას წარმოგვიდგენს როგორც პირობითს, მაშინ, როცა პრაქტიკული კანონი ყოველგვარ პირობითობაზე მაღლა დგას, ის არის კანონი თავის თავად. კანტი განსაქიქებლად ირჩევს უტილიტარიზმს, როგორც მორალის ემპირიული თეორიის ტიპიურ ფორმას. ეყრდნობა რა კანტი პრაქტიკული კანონის განსაზღვრებას, რომელიც მან ჩამოაყალიბა მორალური გრძნობის გაანალიზებით, იგი დახვეწილად უკუაგდებს უტილიტარიზმს, როგორც ზნეობრივი კანონის არასწორი მეთოდით დამფუძნებელ თეორიას.

კანტმა უტილიტარიზმის წინააღმდეგ წამოაყენა სამი დამანგრეველი არგუმენტი: 1. ჯერ ერთი, ქმედების მორალურობა არ მჟღავნდება ამ ქმედების გარეგანი მიმდინარეობიდან, არმედ იმ შინაგანი განწყობიდან, რომელმაც გამოიწვია ეს ქმედება. გამოცდილების გზით კი ძნელია, თუ შეუძლებელი არა, დადგენა იმ განწყობის რაგვარობისა, რომელსაც ქმედება უმადლის თავის არსებობას. მიუხედავად ამისა, უტილიტარიზმს, როგორც მორალის

ემპირიულ თეორიას, სურს დააფუძნოს ზნეობა ცდისეული გზით. ამ მიზანს რომ მიაღწიოს მისთვის აუცილებელია გვერდი აუაროს ზნეობრივი საქციელის გამაპირობებელ შინაგან განწყობას და მიმართოს იმ გარეგან პროცესებს, რომელნიც თან სდევენ ქმედების სურვილს. მაგრამ, საკითხის ამგვარი დაყენება ეწინააღმდეგება ჩვენს მორალურ გრძნობას, რომელიც მორალური შეფასების ობიექტად სახავს სუბიექტის ზრახვას (განზრახვას), და არა ამ ზრახვით მიღებულ გარეგან შედეგებს; 2. მერე მეორე, ჯერ კიდევ „წმინდა გონების კრიტიკაში“ კანტმა, იუმის კვალად, დაადგინა, რომ ვერცერთი იმ დებულების წყარო, რომელსაც გააჩნია საყოველთაო და აუცილებელი მნიშვნელობა, ვერ იქნება გამოცდილება. ამგვარი დებულებების საფუძველი მხოლოდ წმინდა გონებაა. მაგრამ, პრაქტიკული კანონი ხომ აუცილებელი დებულებაა, და როგორც ჩანს, ის შეუძლებელია ეფუძნებოდეს გამოცდილებას, გამოცდილებას, რომელსაც ყველაზე დიდი, რაც შეუძლი მოგვცეს ესაა სუბიექტური და არა ობიექტური აუცილებლობა. გამოცდილებით შეიძლება დავადგინოთ ადამიანთა მოქმედების მაიძულებელი გარემოებანი (mussen), მაგრამ ვერაფრით დავადგენთ იმას, თუ როგორ უნდა ემოქმედათ მათ (sollen). უტილიტარიზმი, რომელიც ფიქრობს პრაქტიკული კანონის დაფუძნებას გამოცდილებაზე, სრულიად ვერ აღწევს მიზანს; 3. მერე მესამე, დაკვირვებაში მოცემული შემთხვევებიდან ინდუქციით შეუძლებელია ზნეობრივი კანონის დაფუძნება. ზნეობის კატეგორიას რომ რომელიმე ფაქტი დავუქვემდებაროთ ამისთვის ხომ საჭიროა წინასწარ ცოდნა იმისა, რომ ის შეესაბამება ზნეობრივ კანონს, და, ამდენად, უნდა ვიცოდეთ თავად ზნეობრივი კანონიც. უფრო მეტიც, უნდა ვიღებდეთ ამ კანონს, როგორც ობიექტურად აუცილებელის. ამიტომაა, რომ უტილიტარიზმი, ყოველგვარი ემპირიული მორალის კვალად, ექცევა წრეში.

ამდენად, თუ მორალური კანონის დაფუძნება შეუძლებელია გამოცდილებაზე, მაშინ რჩება ართადერთი გზა, რომლითაც ის დაფუძნდება: ესაა — წმინდა გონება. მორალის ფილოსოფია „ფიზიკა“ კი არა ზნეობის „მეტაფიზიკაა. ზნეობრივი კანონის საფუძველი უნდა იყოს არა ემპირიული სუბიექტი, არამედ ტრანსცენდენტალური სუბიექტი, რომელიც არა თუ დამოკიდებულია შემთხვევით ემპირიულ განსაზღვრულობებზე, არამედ თავად წარმოგვიდგება ყოველგვარი ემპირიულობის პირობად. თეორიულ ფილოსოფიაში უკვე იყო ნაჩვენები, თუ როგორაა შესაძლებელი მსჯელობები a priori. ეს უკანასკნელი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თუ გონება წარმოადგენს ცდის აუცილებელ წანამძღვარს, თუ ცდას ფორმას აძლევს გონება. მართლაც, თუ მე ვფლობ ერთ თავისებურებას, რომლის გარეშეც ვერასოდეს განხორციელდება რომელიმე ცდა, მაშინ მე შემიძლია დავადგინო ყოველი ცდისთვის აუცილებელი მსჯელობა ისე, რომ არ გავიდე წმინდა გონების ფარგლებს მიღმა. შემეცნება შესაძლებელია იმიტომ, რომ იგი მიმართებაშია მოვლეთა სამყაროსთან, იმიტომ, რომ ცოდნას ახასიათებს სუბიექტური ობიექტურება. თეორიული დებულებების აუცილებელი მნიშვნელადობა კანტმა „იყიდა“ მათი სუბიექტურობის ფასად. თეორიული ფილოსოფიის პარალელურად, პრაქტიკულ ფილოსოფიაშიც გვხვდება რაღაც აუცილებლად ჯერარსული, რომლის დამაფუძნებელიც შეიძლება იყოს წმინდა პრაქტიკული გონება. კანტამდე არსებულ მორალის ემპირიული სისტემებს, გამოჰყავდათ რა ზნეობრივი კანონი

გამოცდილებიდან, ამით მიაწერდნენ მორალის მათეულ პრინციპს შინაარსს. მაგრამ, რადგან მორალი ფუძნდება წმინდა გონებით, ზნეობის პრინციპი, რომელიც ზნეობრივ კანონს ანიჭებს ობიექტურ აუცილებლობას, უნდა იყოს ფორმალური. მორალის ემპირიულ სისტემებს ზნეობის პრინციპი გამოჰყავდათ ობიექტურად არსებული მიზნებიდან; ისინი იყვნენ ჰეტერონომულნი. ზნეობრივი კანონის ჭეშმარიტი დაფუძნება კი უნდა გამოიხატოს ავტონომური ეთიკით. სუბიექტისთვის გარეგანი მიზნებიდან კი არ გამოიყვანება მორალური პრინციპი, არამედ პირიქით: ყოველგვარი მიზნის ღირებულება დგინდება ზნეობრივი კანონის თვალსაზრისიდან. ქმედების შინაარსი კი არა, არამედ ქმედების ფორმა ანიჭებს მას (ქმედებას) მორალურ ხასიათს.

თუ მორალური კანონის აუცილებლობას ფესვი გადგმული აქვს წმინდა პრაქტიკულ გონებაში, მაშინ მისი პრინციპი უნდა იყოს ფორმალური. საჭიროა დაიძებნოს მორალის ეს პრინციპი. რამდენადაც ზნეობრივი კანონის შინაარსიდან არაფერი არ შეიძლება შედიოდეს მასში, რჩება მხოლოდ საყოველთაო კანონმდებლობის ფორმა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ყოველგვარი კანონი. ამგვარი ფორმალური პრინციპის გამოხატულებად წარმოგვიდგება სწორედ კატეგორიული იმპერატივი: მოიქეცი ისე, რომ შენი ქმედების წესი იქცეს საყოველთაო კანონად. კანტის ეს დებულება დაცლილია ყოველივე მატერიალურისგან. აქ საუბარი არ არის იმაზე, თუ რაგვარი ობიექტისკენ უნდა მივისწრაფოდეთ, არამედ მოითხოვება მხოლოდ ის, თუ როგორ, რაგვარი გამოვლინებით უნდა განხორციელდეს ეს მისწრაფება რანაირიც გნებავთ იმგვარი ობიექტის მიმართულებით. კატეგორიული იმპერატივი სულაც არაა პრაქტიკული კანონი, ის მხოლოდ პრინციპია ნებისმიერი პრაქტიკული კანონისა. ყველა პრაქტიკული კანონი შედგება ორი ელემენტისგან: ფორმისგან და შინაარსისგან. პრაქტიკული კანონის ფორმა მოგვეწოდება კატეგორიული იმპერატივის ფორმულით, ხოლო მისი შინაარსი ყოველთვის წარმოდგება გამოცდილებიდან, ასეთია კანტის თვალსაზრისი. ამიტომაც არ არიან მართალნი ისინი, ვინც ადანაშაულებს კანტს იმაში, თითქოს მან პრაქტიკული კანონი გადააქცია გამომშრალ ფორმულად. ამგვარი ბრალმდებლების რიცხვს ეკუთვნის, სხვათაშორის, პაულსენიც, რომელიც აცხადებდა — კანტს სურს „ფორმიდან გამოწუროს შინაარსი“-ო (Paulsen, 1. Kant, 337). პრაქტიკული კანონი კატეგორიული იმპერატივიდან ხომ ისევე გამოიყვანება, როგორც მიზეზობრიობის კატეგორიიდან გამოიყვანება მთელი ცოდნა მოვლენებს შორის არსებულ მიზეზობრივ მიმართებებზე. როგორც ყოველგვარი შემეცნება, ისე მთელი პრაქტიკული კანონიც წარმოდგება გამოცდილებიდან, თუმცაღა ცდიდან არ აიღება ყველაფერი. პრაქტიკული კანონები სხვადასხვანაირია. ვალდებულება განსხვავებულ შემთხვევებში, განსხვავებულ ქმედებას მოითხოვს. პრაქტიკული კანონების ეს განსხვავებულობა მომდინარეობს განსხვავებული გამოცდილებისეული შინარსებიდან. „გიყვარდეს ახლობლები და გძულდეს მტრები“ ისეთივე პრაქტიკული კანონია როგორიცაა „გიყვარდეს ყველა განუსხვავებლად“. განსხვავება მათ შორის წარმოდგება იმ გამოცდილებისეული შინაარსების არა-მსგავსებიდან, რომელიც არსებობს იმ პირობათა შორის გარს რომ აკრავდა, ერთისმხრივ, ძველი დროის, და, მეორეს მხრივ, ახალი დროის ადამიანს. ბერძენი, რომელიც

იზიარებდა პირველ წესს, ისეთივე ზნეობრივია, როგორც ქრისტიანი, რომელიც მისდევს მეორე პრინციპს. რელიგიური ფანატიზმით განმსჭვალული არაბისთვის, რწმენის შემწყნარებლი ვინმე ნათან-ბრძენის შეგონებანი, წარმოადგენს უზნეობას, ხოლო ჰენრი მე-4, რომელიც სახელმწიფოს დასაშოსმინებლად განუდგა გარკვეულ დოგმებს, მზაკვრობის ნამდვილი განსახიერებაა. ამგვარი ბრალმდებლების გასაგონად უნდა ითქვას, რომ უნდა გვესმოდეს კანტის მთელი ორიგინალურობა: მისთვის ქმედება ზნეობრივია არა იმიტომ, რომ მის შედეგებს შემთხვევით მივყავართ რაღაცასთან, რაც ითვლება კარგად, არამედ იმიტომ, რომ ის მიმდინარეობს კანონისადმი მოწიწებისგან, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს კანონი.

კანტი არ ფიქრობდა, მატერიალური პრაქტიკული კანონიდან გაძევებას, ის უარყოფს მორალის მატერიალურ პრინციპს, როგორც პრინციპს, მორალის პრინციპს, და არა, როგორც პრაქტიკულ კანონებს. საყოველთაო კეთილდღეობისკენ სწრაფვა შეიძლება იყოს პრაქტიკული კანონი, მაგრამ ის ვერ იქნება მორალის პრინციპი, ან, როგორც თავად ამბობს (კანტი), ვერ იქნება პირობა საკუთარი იმპერატიულობისა, ფორმულა კატეგორიული იმპერატივისა. შემდეგი ციტატები კანტის თხზულებებიდან სავსებით ასაბუთებენ ამას. „წმინდა გონების კრიტიკაში“ ვკითხულობთ: „არ შეიძლება უარვყოთ ის, რომ ყოველგვარ სურვილს გააჩნია ობიექტი და, მაშასადამე, მატერიალური მხარე. მაგრამ, აქედან არ გამომდინარეობს, თითქოს სწორედ მატერიალური მხარეა მაქსიმის საფუძველგამნსაზღვრელი პირობა“. კანტისთვის მორალის ფილოსოფია მთელ თავის ძალმოსილებას ღებულობს ზნეობის მეტაფიზიკიდან, მიუხედავად იმისა, რომ მისი შინაარსი მომდინარეობს ანთროპოლოგიიდან.”

ყოველი გაუგებრობის სათავე ეთიკისა და მორალის ურთიერთაღრევაშია. მორალი კანტისთვის აპრიორულია, ეთიკა - აპოსტერიორული. მოძღვრება მორალზე არის მოძღვრება ფაქტზე და, როგორც ნებისმიერი მოძღვრება, ისიც აიგება ემპირიულად დადგენილ ლოგიკურ კანონებზე. თავად კანტიც არასაკმარისად განარჩევდა ერთმანეთისგან ამ ცნებებს, ამბობდა რა, რომ die Moglichkeit eines kategorischen Imperativs ganzlich a priori zu untersuchen ist (Grundlegung, 54).

„Grundlengung zur Metaphysik der Sitten”-ში კანტი ამბობს, რომ „ყოველგვარი მორალი… ადამიანისადმი მისაყენებლად საჭიროებს ანთროპოლოგიას“. ანთროპოლოგიაში აქ იგულისხმება მოძღვრება ემპირიულ პიროვნებაზე. ამ დებულებებიდან ჩანს, თუ როგორ უყურებდა კანტი ცდის მონაცემებს პრაქტიკული კანონების წარმოქმნისადმი მათ მიმართებაში. თუ ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა წარმოშობილიყო გაუგებრობანი (Paulsen, Hermann, Zeller), ამის მიზეზად უნდა ვიგულვოთ მხოლოდ კანტის არაზუსტი გამონათქვამები. მაგალითად, “grundlegung”-ში კანტი ამბობს: „ ყველა ზნეობრივი ცნება წარმოდგება სრულიად (Vollig) a priori წმინდა გონებიდან… ასე რომ ემპირიული ელემენტის ნებისმიერი შერევა ართმევს მათ ნამდვილ გავლენიანობასა და განუსაზღვრელ ღირებულებას“. „წმინდა გონების კრიტიკაში“ კანტი გადამწყვეტად აცხადებს, რომ „

პრაქტიკულ კანონს არასოდეს უნდა მივაკუთნოთ პრაქტიკული წინასწარმეტყველება, რომელიც გადაჯაჭვულია მატერიალურ (და ე.ი. ემპირიულ) გარემოებასთან. ამ ადგილებს რომ წავიკითხავთ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კანტი პრაქტიკული კანონიდან დევნის მთელ შინაარსს, ტოვებს რა მხოლოდ ფორმას; მაგრამ რამდენიმე ხაზის ქვმოთ კანტის თვალსაზრისი აშკარავდება. ასეთი არამკაფიოობა განპირობებულია ძირითადათ იმით, რომ კანტი არასწორად (არათანმიმდევრულად) იყენებს ტერმინებს. „ქმედების ფორმა“ და „კანონის ფორმა“ მისთვის ტოლმნიშვნელადი ტერმინებია, მაშინ, როცა მათ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობები გააჩნიათ. ასევე ტერმინები — „პრაქტიკული კანონი“, „კატეგორიული იმპერატივი“, „მორალის პრინციპი“ — რომლებიც სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, კანტის მიერ ერთნაირი მნიშვნელობით გამოიყენება.

კანტის ეთიკის თავისებურების ნათელსაყოფად ქვემოთ მოვიყვან რამდენიმე კრიტიკულ მოსაზრებას. როგორც ითქვა, კანტმა დააფუძნა ეთიკა ტრანსცენდენტალური სუბიექტის მეოხებით. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გავიგოთ, თუ რა ესმოდა კანტს ტერმინში — „ტრანსცენდენტალური სუბიექტი“. იმის მიხედვით, თუ როგორ გავიგებთ ამ ტერმინს, შეიცვლება კანტის ეთიკის საზრისი. თუ მას გავიგებთ როგორც საზღვრით ცნებას, რომელსაც არ გააჩნია სხვა რეალობა, გარდა იდეალურისა, ანუ, რომ ის არის მხოლოდ ჩვენი იდეა და არაფერი სხვა (როგორც ამას ასაბუთებს ვინდელბანდი), მაშინ კანტი არაფერსაც არ აფუძნებს. თქმით იმისა, რომ ზნეობრივი კანონი არის ტრანსცენდენტალური სუბიექტის პროდუქტი, ტერმინ „ტარანსცენდენტურის“ ამგვარი გაგებით, კანტი არ გვეუბნება არაფერს ახალს. ამ შემთხვევაში მსჯელობის საზრისი იქნება შემდეგი — ზნეობრივი არის სავალდებულო. მაგრამ, ეს ხომ ესენციალური მსჯელობაა, რომელიც უკვე დადგენილია ცდისეული გზით მორალური გრძნობის ანალიზზე გავლით. ეს არის გამოხატულება მორალისა როგორც ფაქტისა. ამ გზით ეთიკის დაფუძნება დაიყვანება მორალური გრძნობის დაკვირვებაზე და პრაქტიკული გონების კრიტიკა თავის ძირითად ნაწილში წარმოგვიდგება, თუმცა მახვილგონივრულ, მაგარამ, მაინც სიტყვების ტყუილუბრალო დახვავებად. პრაქტიკული გონების კრიტიკის მიზანი ამგვარად აღმოჩნდება მხოლოდ სიტყვათა მნიშვნელობების განსაზღვრა.

სხვა აზრით გაგებული ტერმინი ტრანსცენდენტული სუბიექტისა გულისხმობს გარკვეული რეალობის მქონე მეტაფიზიკურ არსებას. ამ შემთხვევაში პრაქტიკული გონების კრიტიკის შედეგი გამოითქმული მსჯელობით — ზნეობრივ კანონს თავის საფუძვლად გააჩნია ტრანსცენდენტალური სუბიექტი, მიიღებს შემდეგ საზრისს: ზნეობრივი კანონის საფუძველი არის რაღაც რეალური, თუმცა ეს რეალობა არაა ფენომენალური. ასეთი დებულება იქნება სინთეზური, რომელიც გადის ცდისეული გზით მიღებული ზნეობის განსაზღვრების ფარგლებს გარეთ. ტერმინ „ტრანსცენდენტალურის“ მხოლოდ ამგვარი გაგებისდა კვალად შეიძლება ითქვას, რომ კანტი ცდილობდა ეთიკის დაფუძნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში დაფუძნებას ადგილი არ აქვს. ამგვარად, არსებობს სრული საფუძველი (ლოგიკური) იმაზე ფიქრისა, რომ ტრანსცენდენტალური სუბიექტი კანტს ესმის როგორც მეტაფიზიკური რეალობა.

კანტმა დააფუძნა ზნეობრივი კანონი ტრანსცენდენტალურ სუბიექტზე, ისევე როგორც თეორიულ ფილოსოფიაში იქნა დაფუძნებული მასზე ბუნების კანონი. ამ გარემოების მიზეზად (და ლოგიკურ საფუძვლად) მოგვევლინა ის, რომ კანტისთვის მთავარი იყო ზნეობრივი კანონის უპირობო მოთხოვნადობის აღნიშვნა; ამასთან ერთად, „წმინდა გონების კრიტიკაში“ დადგენილ იქნა, რომ იმას, რაც უპირობოა თეორიულ დამოკიდებულებაში, საფუძველი უძევს ტრანსცენდენტალურ სუბიექტში. კანტმა გააიგივა რა ზნეობრივი კანონის უპირობობა ბუნების კანონის უპირობობასთან (რაც არ ნიშნავს იმას, რომ მან გააიგივა ზნეობრივი კანონი ბუნების კანონთან), ამით ძალზე ფაქიზად გამიჯნა ერთმანეთისგან იძულებითი (mussen) და ჯაერარსული (sollen), და ბუნებრივად მიუყენა ზნეობრივი კანონი ტრანსცენდენტალურ სუბიექტს. მაგრამ კანტი ცდება, რამეთუ უპირობობა ზნეობრივი კანონისა სულაც არ ჰგავს ბუნების კანონის უპირობობას. როცა კანტი ამბობს, რომ ზეობრივი კანონი არის უპირობო, ის მართალია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ის გულისხმობს ფაქტს, რომ ზნეობრივი კანონი მოითხოვს უპირობოდ. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ თვად კანონი უპირობო წარმომავლობისაა, რომ ის აპრიორულია. კანტმა ერთმანეთში აურია კანონის მოთხოვნადობისა და კანონის წარმომავლობის უპირობობა. იმისთვის, რომ ზნეობრივი კანონი იყოს უპირობოდ მომთხოვნი ხასიათისა, არაა საჭირო იმის დაშვება, რომ კანონის წარმომავლობაც უპირობოა. კანონს, აღებულს თეორიული თვალსაზრისით, და მხოლოდ მას შეიძლება ჰქონდეს უპირობო წარმომავლობა, უპირობო საწყისი. მაგრამ ამ უკანასკნელს გააჩნია სულ სხვა მნიშვნელობა ვიდრე კანონს აღებულს პრაქტიკული თვალსაზრისით. თეორიული კანონი სუფევს თავად საგანთა ბუნებაში, და ჩვენ ის უნდა ვაღიაროთ როგორც ფაქტი. პრაქტიკული კანონი კი არ წარმოადგენს ფაქტის გამოხატულებას; თუმცა, შეიძლება სწორედ ფაქტები გამოდგა მისი წარმომავლობის საფუძვლად, მაგრამ, მიუხედავად ამისა ის არაა დავანებული საგანთა ბუნებაში, ე.ი. ჩვენ ის უნდა ვაღიაროთ როგორც ჯერარსული, და არა როგორც ფაქტი, როგორც რაღაც ისეთი, რაც უნდა განხორციელდეს და არა, როგორც უკვე არსებული.

გარდა ამისა, ბუნების კანონი აუხსნადია, ის მხოლოდ დადგენილ-აღმოჩენილი შეიძლება იქნეს. ასე მაგალითად, ჩვენ ვერ ავხსნით თუ რატომაა მატერია მარადიული, რატომაა ენერგიის რაოდენობა მუდმივი; და თუ ეს კანონები გამოუყვანადია (ლოგიკურად) უმაღლესი კანონიდან, მაშინ ისინი პირველადია და, ამდენად, აუხსნადიც (ჩემი მაგალითი წარუმატებელია, რამეთუ ენერგიისა და მატერიის შენახვის კანონები შეიძლება დედუცირებულ იქნეს სამყაროს ერთგვარობის კანონიდან (მიზეზობრიობის კანონიდან). მაგრამ, ამით სულაც არ სუსტდება ჩემი არგუმენტების ძალა). ამიტომაა, რომ ბუნების კანონებს გააჩნია უპირობო მნიშვნელობა. ჩვენ არ ძალგვიძს მათი ახსნა, მიუხედავად იმისა, რომ შეგვიძლია მათი დადგენა. სწორედ ამ გარემოების გამოხატულებას წარმოადგენს ბუნების კანონის საფუძვლად ტრანსცენდენტალური სუბიექტის აღიარება. მაგრამ სხვაგავარია საქმის ვითარება ზნეობრივ კანონთან მიმართებაში. კანტის კვალად, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რატომაა ზნეობრივი კანონი ჯერარსული, არ ძალგვიძს მისი დედუცირება. ჩვენ არც ის შეიძლება ვიცოდეთ, რატომაა ზნეობრივი კანონი უპირობო.

(სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ვერ დავსვამთ ჰეტერონომული ეთიკის საკითხს, რომლისთვისაც განსჯის ერთ ბოლოს წარ რმოადგენს ზნეობრივი კანონი, ხოლო მეორეს — მისი საფუძველი, ამასთან საფუძველი თავად ზნეობრივ კანონზე მყარად რომაა დადგენილი, იმდენად მყარად, რომ მისი ძალით ზნეობრივი კანონის დაფუძნება ემთხვევა მის გამართლებას. კანტთან კი პირიქითაა, თავად ზნეობრივი კანონი წარმოგვიდგება მისი საფუძვლის გამართლებად). ამგვარად დაყენება კითხვისა ამდაბლებს ზნეობრივ კანონს. აქ აშკარად ჩანს, რომ კანტი ჯერ კიდევ განიცდის კრიტიკამდელი, ყოველდღიური ცნობიერების და გავლენას, რომელიც ზნეობრივს თვლის უპირობო ჯერარსად. კანტის აზრით, ყველამ უნდა განახორციელოს ზნეობრივი შეფასება. მაგრამ, ხომ მოაზრებადია ადამიანი, ისეთი, რომელიც უარყოფს ქმედებათა ყოველგვარ შეფასებას და თავს იკავებს შეფასებითი მსჯელობისგან? ამასთან, კანტი ამოდის ზნეობრივი შეფასების ფაქტის არსებობისგან, მორალის არსებობის ფაქტისგან, არ ასაბუთებს რა ამასთანავე, რომ მორალური შეფასება არსებობს აუცილებლობით. რა თქმა უნდა, „წმინდა გონების კრიტიკაში“ არ არსებობდა განსაკუთრებული საჭიროება აზროვნების ლოგიკური საფუძვლების დადგინებისა: ისედაც ცხადია, რომ ამგვარი რამის არ აღიარების გარეშე შეუძლებელია საერთოდ რაიმე მსჯელობა. მაგრამ ცხოვრება სრულიად მოაზრებადია მორალური შეფასების გარეშეც და, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასაბუთდეს ასეთი შეფასების არსებობის აუცილებლობა, რამეთუ საკმარისი არაა მხოლოდ დაკვირვების საფუძველზე იმის მითითება, რომ ზნეობრივ შეფასებას ადამიანთა ყოფაში რეალურად აქვს ადგილი. ამიტომაა მნიშვნელოვანი ჰეტერონომული მორალის დამსახურება, რომელმაც, სხვა თუ არაფერი, წამოჭრა საკითხი ზნეობრივი კანონის გამართლების თაობაზე, საკითხი, რომელიც ყოველგვარი ლოგიკური საფუძვლის გარეშე იგნორირებული იყო კანტის მიერ.

დაუშვათ, კანტმა მართლაც დაამტკიცა, რომ ზნეობრივი შეფასება არა უბრალოდ ფაქტია, არამედ აუცილებლი ან ჯერარსული ფაქტია, დაუშვათ ისიც, რომ ყველა ადამიანი, როგორც გონიერი არსება, აუცილებლობით აღიარებს, რომ ზნეობრივი არის ჯერარსული, ე.ი. რომ არსებობს ჯერარსი; ეს ხომ ნიშნავს „იდეალური კანონის“ არსებობის აღიარებას ადამიანის მოქმედების შეფასების კრიტერიუმად. მაგრამ, კანონები შეიძლება იყოს განსხვავებული. მავანმა შეიძლება გამოთქვას ზნეობრივი შეფასება თვითდამკვიდრების პრინციპის თვალსაზრისით, და ამდენად, მისთვის ეს პრინციპი იქნება ზნეობრივი კანონი. რა შეუძლია თქვას ამ კანონის საწინააღმდეგოდ კანტის ეთიკამ? სრულიადაც არაფერი. თუ ზნეობრივ კანონს უნდა მოეპოვებოდეს აპრიორული საფუძველი ტრანსცენდენტალურ სუბიექტში, მაშინ ყოველ სუბიექტს შეუძლია წამოაყენოს საკუთარი პრინციპი, როგორც ზნეობრივი კანონი და მისდიოს მას. ვერავინ უსაყვედურებს ვერაფერს სხვას, ვინაიდან ზნეობრივი კანონი არ შეიძლება იყოს და ვერ იქნება დედუცირებული რაიმე სხვიდან, გარეშედან. მაშასადამე, არ შეიძლება ვუსაყვედუროთ იმ მორალისტ-ფილოსოფოსებსაც, რომლებმაც წამოაყენეს მორალის ობიექტური პრინციპი. თავისი ფორმალიზმით კანტს სურდა ორი კურდღელის მოკვლა — ობიექტივიზმი მორალური პრინციპთან მიმართებაში და მისი ემპირიზმი, რითაც გაამართლა ანდაზა: ორი კურდღლის მადევარი ვერცერთს ვერ

დაიჭერსო! კანტს არ მოეპოვება პრაქტიკულ ფილოსოფიაში ის განყოფილება, რომელიც შესაბამისი იქნებოდა მისი ლოგიკისა თეორიაში. კანტს, შეიძლება ეთქვა, რომ მას ამგვარი „ლოგიკა“ გააჩნია, რომ მას ჩამოყალიბებული აქვს ზნეობრივი ქმედების განსაზღვრება. ამ განსაზღვრებიდან, რომელიც გვიჩვენებს ქმედების წესის საყოველთაო კანონად ქცევის უნარს, გამომდინარეობს, რომ ქმედება თვითმოყვარეობის მოტივით არაზნეობრივია, რამეთუ თვითდამკვიდრება არ შეიძლება ჩაითვალოს საყოველთაო კანონად. მოდით, ნუ ვიკამათებთ და განვსჯით კანტის ამ პოზიციას. დაუშვათ, რომ თვითდამკვიდრების პრინციპით მოქმედს არ შეიძლება სურდეს თავისი წესის საყოველთაო კანონად დასახვა (თუმცა ამგვარი სურვილი სრულიად მოაზრებადია. მოხერხებულ გაიძვერას, რომელიც სხვებს სჯობნის ამ მხრივ, შეიძლება სურდეს თაღლითური ურთიერთობების საყოველთაო კანონის რანგში დასახვა, ვინაიდან ის, როგორც „გადამგდები“, ამით არაფერს კარგავს. თუმცა მას არავინ ჩათვლის ზნეობრივ არსებად. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ქმედებანი არაზნეობრივია? საიდან დაასკვნა კანტმა, რომ ზნეობრივი ჯერარსის ცნება თავისში გულისხმობს საყოველთაო კანონმდებლობის ცნებასაც? ზნეობრივის ცნებიდან გამომდინარეობს მხოლოდ პრაქტიკული წესის ცნება და მეტი არაფერი. წესად კი შეიძლება მივიჩნიოთ მაქსიმაც, საყოველთაო კანონიც, რომელსაც უნივერსალური მნიშვნელობა აქვს და კანონიც, რომელსაც მნიშვნელობა აქვს გარკვეულ პირთა ჯგუფისთვის, კასტისთვის, ფენისთვის, კლასისთვის, და საბოლოოდ, მთელი მეცნიერებისთვის. ეგოისტი, რომელიც ყოველივეს ხედავს თავისი „მე“-ს პრიზმაში გარდატეხილად, იმოქმედებს საკუთარი თავისთვის წამოყენებული კანონის თანახმად. ის თვლის სხვებს არა მიზნად, არამედ საკუთარი კეთილდღეობის მიღწევის საშუალებად. ბუნების კანონის მსგავსად, თუ ზნეობრივი კანონიც უნდა იდგეს ყოველგვარ დედუქციასა და კრიტიკაზე მაღლა და თუ ის მომდინარეობს ტრანსცენდენტალური სუბიექტისგან, მაშინ ეგოისტის პოზიცია დაუძლეველია, მას ვერ გავამტყუნებთ. მხოლოდ კანონზომიერება ვერ მიანიჭებს ქმედებას ზნეობრივ ხასიათს.

ეხლა კი დავუშვათ, რომ ზნეობრივი კანონი უნდა ფლობდეს საყოველთაო აუცილებლობას, ან, რომ მას გააჩნია უნარი — გარდაისახოს საყოველთაო კანონად. ამით მაინც ვერ დგინდება დადებითად ზნეობრივი კანონის ხასიათი. ერთმანეთის საპირისპირო წესები ხომ წინააღმდეგობის გარეშეა მოაზრებადი საყოველთაო კანონის რანგში. კანტი არ ეთანხმება ამას, მიაჩნია რა, რომ აუცილებელია არა მხოლოდ მოაზრება, არამედ აუცილებელია სურვილიც — საკუთარი ქმედების წესის საყოველთაო კანონად დასახვისა; ხოლო ცდისეული პირობების შედეგების მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ ერთი ქმედება, როგორც ყველაზე მიზანშეწონილი. კანონთა ურთიერთსაპირისპირობა ამით გაუქმებულია. მაგრამ, კანტი მაინც არაა მართალი. კი ბატონო, ვთანხმდებით, რომ ცდისეული პირობების მონაცემებით, თუ ყველა მათგანს გავითვალისწინებთ, საყოველთაო კანონის რანგში შეიძლება გვსურდეს მხოლოდ ერთი წესი მოქმედებისა. მაგრამ ემპირიულმა სუბიექტმა, რომელსაც და მხოლოდ რომელსაც მიეყენება ზნეობრივი კანონი, შეუძლებელია იცოდეს ყველა პირობა, რის გამოც მისმა უცოდინრობამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ მან შესაძლოა

იმოქმედოს ისეთი წესის თანახმად, რომელიც მას სურს დასახულ იქნეს საყოველთაო კანონად, თუმცაღა ასეთად ის არ გამოდგება (კანტი შესაძლოა გვეტყოდა, რომ „სუბიქტში“ მას ესმის ზნეობრივი სუბიექტი, რომელსაც არ შეიძლება სურდეს რაიმე შეუსაბამო ზნეობრივ კანონთან. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში ის ექცევა წრეში. ზნეობრივი კანონი განისაზღვრება სუბიექტზე დაყრდნობით, რომელიც მოქმედებს თანახმად ზნეობრივი კანონისა. რათა დაუძვრეს ამ წრეს მან უნდა განსაზღვროს თავისი სუბიექტი სხვა ცნებებით და არა ზნეობრივი კანონის ცნების საშუალებით. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კანტის მთელი ავტონომიური ეთიკა მოძრაობს ამ წრეში, რამეთუ კანტს ამოსავალ პუნქტად თავისი კვლევებისა აღებული აქვს წმინდა ნება, რომელიც ყოველგვარი გარეშე ძალისხმევისგან დამოუკიდებლად სჩადის სიკეთეს). და მაინც, კანტი ასეთი სუბიექტის ქმედებას თვლის ზნეობრივად. მაგრამ, ამით ის ეწინააღმდეგება საკუთარ თავს, მან ხომ თავად დაადგინა, რომ მხოლოდ ის ქმედებაა ზნეობრივი, რომელიც შეესაბამება ზნეობრივ კანონს. ამ დროს კი ასეთი სუბიექტის ქმედება არ ემთხვევა ზნეობრივ კანონს. ამგვარი წინააღმდეგობრიობის მიზეზია ის ფაქტი, რომ კანტი მეტისმეტად ახლო ანალოგიას ატარებდა თეორიულსა და პრაქტიკულ ფილოსოფიას, ჭეშმარიტსა და ზნეობრივად ჯერარსულს, ბუნების კანონსა და ზნეობრივ კანონს შორის. თუ ბუნების კანონი, რომელის საფუძველიც ტრანსცენდენტალური სუბიექტია, შეიძლება დადგენილ-აღმოჩენილი იქნეს სუბიექტის მიერ, მაშინ კანონი ზნეობრივისა ვერ იქნება დადგენილ-აღმოჩენილი სუბიექტის მიერ იმავე გზით. ყველაზე მეტი, რაც მას შეუძლია გაიგოს არის გაგება იმისა, თუ რა არ გამოდგება საყოველთაო კანონად და, მაშასადამე, არც ზნეობრივ კანონად, მაგრამ, თქმა იმისა, თუ რას წარმოადგენს რეალურად ზნეობრივი კანონი, ან გააკეთოს არჩევანი ლოგიკურად შესაძლებელი კანონებიდან ჭეშმარიტად ზნეობრივი კანონის სასარგებლოდ — ამის ქმნა სუბიექტს არ ძალუძს, რამეთუ ყოველივე ეს გადის სუბიექტის კომპეტენციის ფარგლებიდან. ამდენად, რამდენადაც კანტის კატეგორიული იმპერატივი შეიძლება გამოდგეს ზნეობრივი კანონის უარყოფით კრიტერიუმად, ზნეობრივის დადებით კრიტერიუმად ის აღარ გამოდგება, ვინაიდან სუბიექტი კი არ წყვეტს, თუ რა არის ზნეობრივი, არამედ — საზოგადოება. ტრანსცენდენტალური სუბიექტი კი არ გვევლინება ზნეობრივი კანონის ფუძემდებლად, არამედ — საზოგადოებრივი გადაწყვეტილება. კატეგორიული იმპერატივის (რომელმაც უნდა გამოხატოს მხოლოდ კანონზომიერება) მიერ მოხაზული წრე ძალზე ფართოა, და ის ვერ მიგვითითებს ზუსტად, თუ რა არის ნამდვილად ზნეობრივი. რადგან ზნეობრივი კანონი ვერ იქნება დაფუძნებული ტრანსცენდენტალურ სუბიექტზე, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ზნეობრიობის პრინციპიც ვერ იქნება ფორმალური; მას უნდა გააჩნდეს მატერიალურობა (ჩვენში დარჩეს და კანტის კატეგორიული იმპერატივი არც ისე დაცლიია მატერიისგან, როგორც ეს ეგონა კანტს. ჯერ ერთი, ის შეიძლება მიეყენოს მხოლოდ სხეულებრივ და გონიერ არსებას, რამეთუ „იმოქმედე“ ეთქმის იმას, ვისაც ძალუძს მოქმედება, ე.ი. იმას, ვისაც გააჩნია სხეული. მერე მეორე, ყველა სხეულებრივ-გონიერი არსება ვერ იქნება კატეგორიული იმპერატივის ობიექტი, არამედ მხოლოდ საზოგადოებრივ-სხეულებრივ-გონიერი. მართლაც როგორ შეიძლება ვინმეს სურდეს რაღაც საყოველთაო კანონად თუ არ არსებობს საზოგადოება? ზნეობრივი კანონი არ არსებობს რობინზონებისთვის. და საერთოდაც,

მცდარი ფორმისა და შინაარსის დაპირისპირებულად წარმოდგენა, თითქოსდა შეიძლებოდეს უშინაარსო ფორმის არსებობა. კანტის ეთიკისთვის შესაფერისი იქნებოდა გვეწოდებინა არა ფორმალური ეთიკა, არამედ აბსტრაქტული ეთიკა).

ჩანს, რომ კანტს ესმის, რომ ზნეობრივი კანონის დაფუძნებისთვის ზნეობრივი პრინციპის (კატეგორიული იმპერატივის) ფორმალურობა არარის საკმარისი. „Grundlegung"-ში წარმოდგენილ კატეგორიული იმპერატივის მესამე ფორმულაში მან შეიტანა „მიზნის", როგორც ზნეობრიობის პრინციპის, ცნება. ამან კანტის ავტონომიური ეთიკას შეურყია საფუძველი; რამდენადაც ქმედების ზნეობრიობა დამოკიდებულია სუბიექტის მიზანზე, ამდენად ზნეობრივი კანონი მდაბლდება უბრალო მსჯელობამდე; ამ უკანასკნელს არ გააჩნია დამაქვემდებარებლი მოთხოვნადობის ძალა, რომელსაც დასჭირდებოდა გამართლება. ამით კანტი უახლოვდება მის მიერვე უარყოფილ ჰეტერონომიულ ეთიკას.

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ

კითხვები და დავალება:

1. დაახასიათეთ შეუზღუდავი ლეგალიზმის მთავარი მახასიათებლები
2. რა ნიშნებით ვლიდება შეუზღუდავი ლეგალიზმი კანტის ეთიკაში
3. განსაზღვრეთ რას ნიშნავს ნების ავტონომიურობა
4. მიჯნავს კანტი იძულებითსა და ჯაერარსულს? იმსჯელეთ საკითხზე
5. საიდან დაასკვნა კანტმა, რომ ზნეობრივი ჯერარსის ცნება თავისში გულისხმობს საყოველთაო კანონმდებლობის ცნებასაც?
6. ტრანსცენდენტალური სუბიექტი გვევლინება ზნეობრივი კანონის ფუძემდებლად, თუ საზოგადოებრივი გადაწყვეტილება?
7. როგორ განსაზღვრავს კანტი ზნეობრივ კანონს, არის თუ არა მისი დაფუძნებისთვის კატეგორიული იმპერატივის ფორმალურობა საკმარისი?

   წაიკითხეთ კანტის წიგნიდან „ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება" პირველი მონაკვეთი.

ლექცია XII

კლასიკური ლეგალიზმი

ისტორიული ფესვები, არსებითი ელემენტები, ღირებულებები.

კლასიკური აბსოლუტიზმის საფუძვლები ნეტარ ავგუსტინესთან მიგვიყვანს. ნეტ. ავგუსტინე როგორც შეუზღუდავი აბსოლუტისტი,საკუთარი პოზიციის წარმოსაჩენად ზოგ ადგილას იყენებს იმგვარ არგუმენტებს, რომლებიც კლასიკური აბსოლუტიზმისათვისაა სასარგებლო. მაგალითად, იგი თვლის, რომ არსებობს სათნოებათა იერარქია, რომ მორალური მოვალეობები ზოგჯერ უპირისპირდებიან ერთმანეთს და უფრო მაღალი მოვალეობის დაცვისათვის ადამიანი არ უნდა გაიკიცხოს. ავგუსტინეს მიხედვით ეთიკა სიყვარულის საზღვრებშია მოქცეული და წესრიგი თანამიმდევრობაში განპირობებულია იმ საგნების სიყვარულით, რომელნიც ვალდებულნი ვართ გვიყვარდეს. ვთქვათ, ღმერთი უფრო მეტად ვიდრე ადამიანი, ადამიანი მეტად ვიდრე საგანები. სიმბოლურად რომ წარმოვიდგინოთ კლასიკურ აბსოლუტიზმში მორალურ ღირებულებათა სათავეში არის უფალი და მისი სიყვარულია, ხოლო ძირში მატერიალური საგნები. ეს პოზიცია ფილოსოფიის ისტორიაში გაჟღერდა ანტიკურობაში პლატონთან და მოგვიანებით ნეოპლატონიზმში. ოღონდაც პირამიდის სათავაში ანტიკურობა სიკეთის ცნებას აყენებდა. კლასიკური აბსოლუტიზმის წარმომადგენელია „სისტემური თეოლოგიის„ ავტორი ჩარლზ ჰოჯი.

კლასიკური აბსოლუტიზმის ერთერთ ცენტრალური წანამძღვარია განსხვავებულ მოვალეობათა დაპირისპირების აღიარება. კლასიკური აბსოლუტიზმის მიხედვით უდიდესი სიკეთეა და არა ნაკლები ბოროტებაა მიყვე უფრო მაღალ მორალურ ვალდებულებას კონფლიქტურ სიტუაციებში. მაგალითად აბრამის ქცევა მოკლას უფლის ბრძანებით გამართლებულია, რადგანაც იგი ასრულებს ღვთაებრივი ავტორიტეტის მიერ გაცემულ მოწოდებას. პრინციპი თავისთავად მკაფიოდ დანერგა უფალმა როდესაც თქვა

„წყალობა მნებავს, და არა მსხვერპლი“, როდესაც იგი ასწავლიდა, რომ სწორია დაარღვიო შაბათი, რათა გაადაარჩინო შენი ხარის სიცოცხლე.

კლასიკური აბსოლუტიზმის არსებითი ელემენტებია

კლასიკური აბსოლუტიზმი იერარქიულია.

იგი აღიარებს მაღალ და დაბალ მორალურ კანონებს

იგი აღიარებს გარდაუვალ მორალურ კონფლიქტებს

არ აყენებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხს პიროვნულად გარდაუვალი მორალური კონფლიქტების გამო.

***

კლასიკური აბსოლუტიზმი აღიარებს ბაზისურ მოვალეობათა იერარქიას, სადაც ღვთის სიყვარული აღემატება ადამიანის სიყვარულს, ღვთის მოვალეობა–მთავრობის მორჩილებას, ღვთის წყალობა–სამართლიანობას.

სიძნელეები

1. როგორ განვასხვავოთ კლასიკური აბსოლუტიზმი სიტუციონალიზმისაგან?
2. თანხმდებიან თუ არა პრაქტიკაში კლასიკური აბსოლუტიზმი და სიტუციონიზმი?
3. ხომ არ არის კლასიკური აბსოლუტიზმი უტილიტარიზმი?
4. არის თუ არა კლასიკური აბსოლუტიზმი სუბიექტივიზმის ფორმა?
5. თუ ღმერთი ერთია როგორ არის შესაძლებელი მრავალი მორალური კანო ნის არსებობა?
6. არსებობს თუ არა იერარქია ღმერთში?
7. ქმნის თუ არა ადამიანი საკუთარ მორალურ კონფლიქტებს?
8. რა განსხვავებაა შეღავათებსა და გამონაკლისებს შორის?
9. ხომ არ უარყოფს კლასიკური აბსოლუტიზმი ტოტალურ ცოდვიანობას?
10. როგორ არის შესაძლებელი რომ სიცრუე გამოვიდეს ღვთის ბუნებიდან?
11. თუ მორალური კანონი აბსოლუტურია, როგორ არის შესაძლებელი, რომ მას არ ემორჩილებოდეს ადამიანი?

სიტუაციონიზმში არ არსებობს სუბსტანციური შინაარსის აბსოლუტები. კლასიკური აბსოლუტიზმში- ყველა წესი, პრინციპი, ნორმა მარადიულია, უნივერსალურია და სავალდებულოა. ფლეტჩერის ერთნორმიანი აბსოლუტიზმი ფორმალურია. მისი სიყვარულის ნორმა ცარიელია. სიტუაცია განსაზღვრავს მისი შინაარსით ავსებას.კლასიკური აბსოლუტიზმში სიტუაცია მხოლოდ ეხმარება ნორმის ამოქმედებას, ნების წარმართვას. ნორმას იგი შინაარსით ვერ აავსებს, რადგან ნორმა კლასიკური აბსოლუტიზმში აბსოლუტურია, ანუ შინაარსითაც განსაზღვრული და სავსეა..

კლასიკური აბსოლუტიზმში და უტილიტარიზმში, ორივეგან არის ერთი მიზანი- უდიდესი სიკეთის კეთება. მაგრამ ეს ერთი შეხედვითაა ამ ორ ხედვას შორის მსგავსება. სინამდვილეში დიდი სიკეთის კეთება არ ნიშნავს დიდი რაოდენობით კეთილად დამთავრებულ შედეგზე

გასვლას, არამედ უმაღლესი პრინციპის მორჩილებას/ამ პრინციპის აღსრულების ნებას. მეტიც უტილიტარიზმში ქცევის საფუძველი არაა მომავალზე გათვლილი შედეგი, არამედ ამწუთიერი სარგებელი. კლასიკური აბსოლუტიზმი შედეგს უყურადღებოდ არ სტოვებს, ამ ხედვაში გათვალისწინებულია-ქცევის შედეგები, მაგრამ კლასიკური აბსოლუტიზმი მიიჩნევს, რომ ღვთის კანონების/წესების განხორციელება საუკეთესო შედეგზე გაგვიყვანს.კლასიკური აბსოლუტიზმი იცავს წესს/ ნორმას/კანონს შედეგს კი ღმერთს მიანდობს.

კლასიკური აბსოლუტიზმი გვერდს უვლის რელატივიზმის მახეებს. ის მტკიცედ დგას იმ მორალურ პრინციპებზე, რომლებიც ეფუძნება ღვთის აბსოლუტურ, უცვლელ ხასიათს. ეს მორალური პრინციპები აბსოლუტურია მათი წყაროს მიხედვით, აბსოლუტურია მათი სფეროს მიხედვით და პრიორიტეტების რიგითობის მიხედვით. პრინციპები არიან ობიექტურნი, პროპოზიციურნი და დამოუკიდებელი. ღვთის მორალური კანონები სიტუაციამდე ცნობილია. მათში არ არსებობს გამონაკლისები. ისინი მარადიულნი, უცვლელნი არიან, არ ექვემდებარებიან კულტურულ–ტრადიციულ თავისებურებებს. ყველა ერის, ხალხის, ადგილისა და დროის მიმართ ვალიდურნი არიან.

კლასიკური აბსოლუტიზმი აღიარებს მორალური კონფლიქტების არსებობას, მაგრამ აღიარებს რა ერთის მხრივ მორალური პრინციპების აბსოლუტურ ბუნებას , მეორეს მხრივ კი-ადამიანის დაცემულ ბუნებას, შესაძლებლად მიიჩნევს, შეღავათის სახით, მათ დარღვევას და არ კიცხავს ადამიანს მათი დარღვევის გამო. არის თუ არა სიცრუე დრო და დრო სწორი ქმედება? ანუ ზნეობრივი?- კლასიკური აბსოლუტიზმი იტყვის არა. შეღავათი ნიშნავს, რომ ყოველთვის მცდარია, თუნდაც სიცოცხლის გადარჩენის გამო თქმული, კარგია, სიცოცხლის გადარჩენის გამო გაწეული აქტიურობა და არა თავად სიცრუე.

დასკვანა:

კლასიკური აბსოლუტიზმის მიხედვით მორალური კანონები აბსოლუტურია. მრავალი მორალური პრინციპი გამომდინარეობს ღვთის აბსოლუტური მორალური ხასიათიდან; იგი აღიარებს რეალური კონფლიქტების არსებობას. არსებობს მაღალი და დაბალი მორალური ვალდებულებები; მაგალითად სიყვარული ღვთის მიმართ უფრო მაღალი ვალდებულებაა ვიდრე სიყვარული ადამიანის მიმართ; ეს მორალური კანონები ხანდახან გარდაუვალ მორალურ კონფლიქტებში მოდიან ერთმანეთთან; ასეთ კონფლიქტებში ადამიანი ვალდებულია მიყვეს უფრო მაღალ მორალურ კანონს.

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ

კითხვები და დავალება:

1. სად შეიძლება ვიპოვნოთ კლასიკური აბსოლუტიზმის ფესვები
2. დაახასიათეთ კლასიკური აბსოლუტიზმის არსებითი ელემენტები
3. დაახასიათეთ კლასიკური აბსოლუტიზმის სიძნელეები
4. არსებობს გარდაუვალი მორალური კონფლიქტები-კლასიკური აბსოლუტიზმის პასუხი

წაიკითხეთ უმბერტო ეკოს ინტერვიუ კარლო მარია მარტინისთან- რა სწამს მას, ვისაც არ სწამს- იმსჯელეთ ეკოს მიერ გამოთქმულ პოზიციაზე

ლექცია XIII

გამოყენებითი ეთიკის ზნეობრივ-ღირებულებითი პრინციპები. პროფესიული ეთიკა და გამოყენებითი ეთიკა-შეპირისპირებითი ანალიზი.

მეტაეთიკურ და ნორმატიულ ასპექტების გვერდით, გამოიკვეთა მორალის კვლევის სპეციფიკური ასპექტი – გამოყენებითი ეთიკის სახით. მისი საგანი არის გარკვეული პროფესიული და /ან საგნობრივად განსაზღვრული პრაქტიკების იმპერატიული და ღირებულებითი შინაარსი., მისი ამოცანაა გარკვეული პროფესიული და /ან საგნობრივად განსაზღვრული პრაქტიკების სხვადასხვა სტრატეგიების, ტაქტიკებისა და მეთოდების ეთიკური გააზრება. გამოყენებით ეთიკას, როგორც თვისობრივად ახალ სეგმენტს ეთიკის მეცნიერების ტრადიციულ აღნაგში, ვფიქრობ, რომ თავისუფლად შესაძლებელია ვუწოდოთ მორალური დისკურსის ახალი სახე. მისი წარმოშობა, მეოცე საუკუნის ბოლოს, უშუალოდ არის დაკავშირებული იმ ახალ გამოწვევებთან რომლის წინაშეც აღმოჩნდა ადამიანი. სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა მოითხოვა ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ახალ მორალური კოლიზიებსა, თუ დილემებზე ახალებურად ფორმულირებული პასუხი. ტერმინი „გამოყენებითი ეთიკა“, რომელიც უკვე მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე გამოიყენებოდა, მხოლოდ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყებს მკვიდრად დაფუძნებას ეთიკის ველზე. იგი თანდათანობით დევნის ტრადიციულ ტერმინს

„პრაქტიკული ეთიკა“ და ამკვიდრებს საკუთარ მეთოდებს, ინსტრუმენტებს და საზოგადოებრივ პრაქტიკაზე ზემოქმედების ექსკლუზიურ შესაძლებლობებს. ეთიკოსები და არა მხოლოდ ისინი, აცნობიერებენ რომ საქმე გავქვს არა ტერმინოლოგიურ სიმპათიებთან, რომ ეთიკაში გზას იკაფავს პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ახალი მიდგომა. გამოყენებითი კვლევების დაბადებასთან ერთად ეთიკის სახე იმდენად დაცილდა ტრადიციულს, რომ დასავლურ ლიტერატურაში ტერმინით „გამოყენებითი ეთიკა“ დაიწყეს თანამედროვე ეთიკის მთლიანი კორპუსის აღინიშვნა. გამოყენებითი ეთიკის დაბადება დაკავშირებულია ტრადიციული ეთიკის ველს გარეთ მდგარი მიზეზებით. კერძოდ, თანამედროვე საზოგადოებისათვის მახასიათებელი ტენდენციებით. საზოგადოებრივი აზრის ძალისხმევით საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ სულ ახალი სფეროები ჩნდება-გარემო, ბიზნესი, მედიცინა, მასმედია და ა.შ. ჰუმანიტარული მეცნიერებების მკვეთრი შემობრუნებით პიროვნებისა და საზოგადოებისათვის მახასიათებელი კონკრეტული პრაქტიკული პრობლემებისაკენ. რადიკალურად იცვლება ეთიკის, როგორც მეცნიერების სახე. მისი შესასწავლი პრობლემების არეალი ფართოვდება, იცვლება მათი გადაწყვეტისათვის საჭირო მიდგომები წარმოიშობა ეთიკური კვლევების ახალი საგნობრივი სფეროები (ბიზნესის ეთიკა, ბიოეთიკა, ეკოეთიკა, კორპორაციული ეთიკა, საინფორმაციო ეთიკა, სხვ). კვლევის სწორედ ეს მიმართულებებია დღეს ყველაზე მოთხოვნადი და ყველაზე ინტენსიურად ვითარდება. სიტუაციური ვითარებების გართულებამ და შესაბამისად არჩევანის რისკების ზრდამ, ასევე საზოგადოების ტექნოლოგიური ცოდნისა და შესაძლებლობების დონის გაფართოვებას მოჰყვა მორალური არჩევანის არეალის გაფართოვება. გაჩნდა იმ სახის ასარჩევი სიტუაცები, რომელთაც ადამიანი ადრე ვერ და არ ეჯახებოდა (კლონირება, ორგანოთა გადანერგვა, სუროგაცია, გენური ინჟინერია და სხვ.). ახალი მორალური დილემების გარშემო წარმოებულმა დისკუსიებმა ეთიკისაგან მოითხოვა თეორიული დისკუსიების ახალ ვექტორზე ასვლა. ამავე მიზეზებმა განაპირობა გამოყენებითი ეთიკის განვითარება. გამოყენებითი ეთიკა შეისწავლის ამ პრობლემებს, ცდილობს გამონახოს მათი გადაჭრის რელევნტური გზები. მას საქმე აქვს საზოგადოებრივ მორალთან, რომელიც ინსტუტიციონარულია. გამოყენებითი ეთიკის საგანს წარმოადგენს განსაკუთრებული ხასიათის მორალური პრობლემები ევთანაზია, სუროგაცია, სიკვდილით დასჯა, ადამიანის ორგანოებითა, თუ იარაღით ვაჭრობა, სხვ. ეს პრობლემები მომიჯნავეა სხვადასხვა სფეროებთან. მათ საქმე აქვთ საზღვრით სიტუაციებში წარმოშობილ სიცოცხლისა და სიკვდილის, თავად სიცოცხლის ღირებულებასთან

დაკავშირებულ საკითხებთან. შესაბამისად, თემატიკის მიხედვით, გამოყენებითი ეთიკის შიგნით წარმოიშვა ცალკეული ქვედისციპლინები: ბიოეთიკა, ეკოლოგიურ ეთიკა, მედიაეთიკა, მეცნიერების ეთიკა, კომპიუტერული ეთიკა, კორპორატული ეთიკა, ბიზნესისა და საქმიანი ურთიერთობების ეთიკა, სამართლისა და ადმინისტრაციული ეთიკა. გამოყენებითი ეთიკის დისკურსი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მეორად რეფლექსიად. იგი პირველადი მორალური გამოცდილებაა-გაცნობიერებული, თეორიულად სრულყოფილი, პირველადი გამოცდილებითი მოცემულობა, რომელიც ფილოსოფიური განზოგადების საგნად იქცევა. თანამედროვე ლიტერატურაში საკითხი იმის თაობაზე თუ რას წარმოადგენს გამოყენებითი ეთიკა ჩვეულებრივ განიხილება მეტაეთიკასთან მიმართებაში. მიუხედავად საკითხის დაყენების მართლზომიერებისა უნდა აღინიშნოს, რომ ეთიკური ცოდნის სტრუქტურის, მისი თეორიული და პრაქტიკული დონეების მიმართების გააზრებისას, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ეთიკა არისტოტელესეული პერიოდიდან მოყოლებული თავისი არსით პრაქტიკულია. მას საქმე აქვს პრაქტიკასთან, მაგრამ, მისი საქმეა არა ის რაც არსებობს, არამედ ის რაც შესაძლებელია, ან ჯერ არს რომ არსებობდეს ჩვენი პასუხისმგებლიანი ქცევების გამოისობით. ეთიკასთან საქმე გვაქვს არა მაშინ როდესაც გვინდა რაღაცა გავიგოთ, არამედ მაშინ როდესაც გვინდა რაღაცის გაკეთება-ღირსეულის, ღირებულისკარგის. ეთიკას როგორც ფილოსოფიურ დარგს აინტერესებს ჩვენი ქცევები პრინციპების თვალსაზრისიდან, ეთიკა ამ სიტყვის საკუთრივი გაგებით არის სწავლება იმის შესახებ თუ როგორ მოვიქცეთ, რისთვის და რატომ ვიცხოვროთ. ქცევა როგორც, ეთიკურად სანქციონირებული გაცნობიერებული, ინდივიდუალურად პასუხისმგებლიანი არსებობის საფუძველმდებარე ერთეული შესაძლებელია წარმოვადგინოთ სილოგიზმის სახით. მასში ზოგადი წანამძღვრის სახით წამოდგენილია ნორმა, წესი, ქცევაში მოქცეული მიზნობრივი საზრისი, კერძო წანამძღვის სახით-განსაკუთრებული ვითარება, რომელშიც თამაშდება ქცევა, დანასკვის სახით-მომქმედი სუბიექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ან თავად ქცევა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. იქიდან გამომდინარე თუ როგორ დაისმეოდა აქცენტები ქცევაში/სილოგიზმში, ვითარდებოდა ეთიკის ისტორიული სახეები. ფილოსოფიის განვითარების ადრეულ ეტპებზე ყურადღება უპირატესად მახვილდებოდა ქცევის განსაკუთრებულ, კერძო ვითარებებზე. ამგვარი მიდგომა აისახა ეთიკის, როგორც სიქველეთა შესახებ სწავლების არისტოტელესეულ გაგებაში. ახალი დროის ფილოსოფიაში ქცევის მარეგულირებელ ზოგად ნორმებს, წესებს ექცეოდა უპირატესი ყურადღება. ამ გაგების კულმინაციას

წარმოადგენს კანტის პრაქტიკული ფილოსოფია, რომელიც კონცენტრირებულია ქცევის უნივერსალურ ეთიკურ ფორმულაზე. გამოყენებითი ეთიკისათვის ქცევა ინდივიდუალიზირებული, ყოველ ჯერზე ერთეულ აქტია. მას ქცევა აინტერესებს არა ზოგად მორალურ პრინციპებზე დაფუძნებული უნივერსალური ნორმის გადმოსახედიდან და არც კერძო ვითარებებიდან, რომელნიც ფიქსირდებიან შესაბამისი სიტუაციებისათვის ჩვეულ ქცევით სქემებში. მას ქცევის ინდივიდუალური სახე აინტერესებს, ის რაც პრინციპულად არ ექვემდებარება გათვლას. ის ვითარება, რომ ზნეობრივი ქცევა შეუძლებელია წინასწარ გაითვალოს მის შესაძლო შედეგებში, რომ ის ყოველთვის არის ერთგვარი გამოცდა ქცევის აგენტისთვის – დიდი ხანია არის ცნობილი. თუმცა ქცევის ეს ასპექტი, გამოყენებითი ეთიკის დაბადებამდე, კონცენტრირებული ნებისა და მიზანმიმართული ინტელექტუალური ძალისხმევის საგნად არ იყო ქცეული. ამდენად, უნდა ვაღიაროთ, რომ გამოყენებით ეთიკასთან ერთად იწყება ეთიკის, როგორც პრაქტიკული ეთიკის გაგების, ახალი ეტაპს. დასავლურ ფილოსოფიაში გამოყენებითი ეთიკის პრობლემები ფართო განხილვის საგანია არა მხოლოდ დარგობრივი სპეციალისტებისა და ფილოსოფოსებისათვის, არამედ პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, საზოგადოებრივი მოღვაწეებისათვის. ამ პრობლემების წარმოდგენა პოპულარულია თანამედროვე მწერლების, სცენარისტებისა და რეჟისორების მიერ. გამოყენებითი ეთიკის პრობლემების მახასიათებელია ღიაობა, რაც თავის მხრივ განაპირობებს მათ განხილვაში ჩართვის აუცილებლობას. გამოყენებითი ეთიკის მორალური დილემები იწვევენ პიროვნულ სიფხიზლეს, ჩნდება მორალურ დისკურსში ჩართვის მოთხოვნილება. მორალური დიალოგი ხელს უწყობს სხვის, როგორც საკუთარი თავის გაგებას, თვითშემეცნებას და იდენტობის მოპოვებას. სწორედ ამგვარი დიალოგი ან თავისუფალი საუბარი არის ადამიანის, როგორც ყოფიერების განსაკუთრებული სახის მქონე არსების მახასიათებელი. გამოყენებითი ეთიკის მორალური დილემები ხასიათდებიან საზოგადოებრივი მნიშვნელადობით. მათ საქმე აქვთ ფუნდამენტურ ეთიკურ ღირებულებებთან, ისეთ ცნებებთან როგორიცაა – სიცოცხლის საზრისი, პიროვნული ღირსება. მაგალითად, სიკვდილით დასჯის შედეგად იღუპება გაცილებით მეტი ადამიანი, ვიდრე ქუჩური გარჩევების, ან ოჯახში ძალადობის დროს, მაგრამ გამოყენებითი ეთიკის ინტერესის საგანი სიკვდილით დასჯაა, და არა – ქუჩური გარჩევები. საკითხის მიმართ დამდგარ არჩევანში გამოჩნდება ადამიანთა გაცნობიერებული და მკაფიოდ გამოხატული ნება, რომელიც აისახება სახელმწიფოს მიზანმიმართულ აქტში. გარდა იმისა, რომ გამოყენებითი ეთიკის პრობლემები ფართო მსჯელობის

საგანი ხდება და ხშირად წყდება ღია განხილვის წესით მიღებული გადაწყვეტილებით, გამოყენებითი ეთიკის ველზე წარმოშობილი მორალური დილემების მახასიათებელია ისიც, რომ მათი გადაჭრისათვის საჭიროა სპეციალური დარგობრივი ცოდნა. მაგალითად, ორგანოთა ტრანსპლანტაციის შემთხვევაში, ადამიანის სიცოცხლის სამედიცინო კრიტერიუმების შესახებ ცოდნის გარეშე შეუძლებელია ზნეობრივად აწონილი გადაწყვეტილების მიღება. გამოყენებითი ეთიკის დილემების ღიაობას განაპირობებს, არა მათთვის ლოგიკურად უზადო დასაბუთების მოძებნის შეუძლებლობა, არამედ ამგვარი დასაბუთების არარსებობა; ყოველ ცალკეულ სიტუაციაში წარმოიშობა განუმეორებელი დილემა, რომელიც ყოველ ჯერზე მოითხოვს კერძო, ერთჯერად გადაწყვეტას. გადაწყვეტილების მიღება ხდება საჯაროდ, ღიად, პროცესუალურად გაფორმებულად, და ძირითადად ხორციელდება სპეციალური ეთიკური კომიტეტების მიერ. ყველაზე ცნობილია ბიოეთიკური დილემები, ისეთები როგორიცაა ევთანაზია, სუროგაცია, აბორტი, ტრანსპლანტაცია, სუიციდი სხვ. ამ საკითხების შესახებ წარმოშობილ დაპირისპირებულ თვალსაზრისთა საზღვრები ხშირ შემთხვევაში ემთხვევა კულტურათა და რელიგიათა შორის საზღვრებს. მაგალითად რიგ სახელმწიფოებში დაშვებულია და მორალურად გამართლებულია ტრანსპლანტაცია აშშ, რუსეთი, სხვაგან ირანი, თურქეთი, იაპონია არა. მრავალი მორალური დილემის სპეციფიკა იმაშიც ვლინდება რომ მათი გადაწყვეტა შეუძლებელია ერთი ადამიანის მიერ. იგი მოითხოვს ადამიანთა ჯგუფის ეთიკურ დისკურსში ჩართულობას. მორალური დილემები, რომლების გამოყენებითი ეთიკის ველზეა, საზღვრითობითი, დისციპლინათშორისი და ღიაობითი ხასითისაა. საილუსტრაციოდ მოვიყვანათ კლონირებას, ორგანოებით ვაჭრობას, სიკვდილით დასჯას და ა.შ. ისინი ეხებიან ფუნდამენტურ მორალურ პრინციპებს, სიცოცხლის ღირებულებას, ამავდროულად წარმოადგენენ გააზრების საგანს რიგი დისციპლინებისათვის, ატარებენ დილემის ფორმას, თითოეული ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტა შესაძლებელია იქცეს მორალური არგუმენტაციის საგნად. გამოყენებითი ეთიკის პრობლემათა უმრავლესობა ეხება ფუნდამენტურ მორალურ ღირებულებებს, რომელნიც ყველა ტიპის კულტურათა საფუძველშია. ამ პრობლემათა უმრავლესობა შეუძლებელია გადაწყდეს ტრადიციული ეთიკის ფარგლებში, მოითხოვენ სპეციალურ ფილოსოფიურ, იურიდიულ და ჰუმანიტარულ ექსპერტიზას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებითი ეთიკა მოიცავს ცოდნის სხვადასხვა ფორმებს. ტრანსმეცნიერების ამგვარი ნიმუშია ბიოეთიკა, ეკოლოგიური ეთიკა. გამოყენებითი ეთიკის კონცეფციები და თეორიები

გამოყენებითი ეთიკის რაობის გარკვევისას უნდა გვახსოვდეს რომ არსებობს ორი პრინციპულად განსხვავებული მიდგომა, რომელიც ემყარება და ამოდის ორი ფუნდამენტურ ეთიკურ ცოდნასა და პრაქტიკას შორის არსებული ორი განსხვავებული ხასიათის კავშირიდან. ტერმინ „გამოყენებითი ეთიკის“ შინაარსი წარმოებულია ინგლისური სიტყვიდან application მიყენება-გამოყენება, ერთის მეორეზე მექანიკური დადება, თანდათანობით გარდაიქმნა და დაუკავშირდა ინგლისურ სიტყვას – applied იმგვარი მიყენება, რომელიც ნიშნავს შერწყმა, შეზრდა, შეერთებას. პირველ შემთხვევაში ეთიკური ცოდნისა და კრიტერიუმების გამოყენების სფეროს გაფართოება არ ახდენს გავლენას მათ შინაარსზე; მეორე შემთხვევაში ფართოვდება როგორც ეთიკის კვლევითი ველი, ასევე იზრდება მორალის ღირებულებითი-ნორმატული ბაზა, მდიდრდდება ეთიკა როგორც თეორიული დისციპლინა, მისი მიდგომები და შეფასებითი აპარატი. გამოყენებითი ეთიკა თანამედროვე კვლევებში ძირითადად მიიჩნევა ღია პრობლემათა ეთიკად. ღიად იწოდება პრობლემა, რომლის მიმართ საზოგადოებაში ერთიანი აზრი არ არის ფორმულირებული, უმეტესწილად გამოითქმევა საპირიპირო მსჯელობანი. ამ მიდგომის ფარგლებში, გამოყენებითი ეთიკისათვის საინტერესო პრობლემები წარმოიშობა საჯარო სფეროებში, მათი გადაწყვეტა საზოგადოების გაცნობიერებულ ნებასა და „სიცოცხლის ინსტიტუციონალურ ორგანიზაციაზე“ არის დამოკიდებული. გადაწყვეტის მიღებაში მონაწილეობას იღებს როგორც კეთილი ნება და მორალური დასაბუთება, ასევე კონკრეტული სიტუაციის პროფესიული ცოდნა. აქ არ არსებობს პრობლემის გადაწყვეტის ლოგიკურად უნაკლო დასაბუთება, ყოველი შემთხვევა პრეცენდენტულია და მოითხოვს კონკრეტულ ინდივიდუალურ გადაწყვეტას. მიღებული გადაწყვეტილება მიიღება საჯაროდ სპეციალურად სტრუქტურების მიერ (იენსენი, ტულმინი). გამოყენებითი ეთიკა ამოცანად ისახავს გადაწყვეტილებების მიღების ახალ ტექნოლოგიების შემუშავებას, მათ ევალებათ ადამიანის უფლებების რეალიზაცია იმ სფეროებში, სადაც ეს ადრე წარმოუდგენელი იყო. ამ მიდგომის თავისებურება ისაა, რომ აქცენტი ინაცვლებს კონკრეტული კაზუსების მორალურ გადაწყვეტასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესუალურ მხარეზე. თავად პროცედურას ევალება გადაწყვეტილების მიღებისას სიკეთის მაქსიმალურად მაღალი დონის უზრუნველყოფა. ეს მიდგომა გამორიცხავს გამოყენებითი ეთიკის სფეროდან პროფესიულ ეთიკებს. არსებობს მეორე მიდგომაც (რიჩარდსონი, ჰუდი, მაკინტაირი, სინგერი). რომლის ფარგლებში გამოყენებითი ეთიკა უფრო ფართოდაა გაგებული. ამ მიმდგომის მიმდევრები საკუთარ ვერსიას „პროექტზე ორიენტირებულ ეთიკას“ უწოდებენ.

ისინი გამოყენებით ეთიკაში გამოყოფენ ორ მხარეს მორალურ პრაქტიკას და ეთიკურ ცოდნას. პირველი მხარე-ნორმატიულ-ღირებულებითი ქვესისიტემებია (მცირე სისტემები), რომლებიც გაფორმდნენ მორალის კონკრეტიზაციის პროცესში საზოგადოების სეგმენტირებულ სფეროებში: სამედიცინო, მეცნიერული, ჟურნალისტური, სამეწარმეო. იურიდიული, პედაგოგიური, სხვ. მეორე მხარე მორალის კონკრეტიზაციის თეორია ემყარება შემეცნების ეთიკურ და სოციოლოგიურ საშუალებებს; კონცეფციებს, რომლებიც კონკრეტიზაციის ამ იდეას განასახიერებენ; მიყენების ფრონესტიკულ ტექნოლოგიებს, რომელნიც გამოყენებითი ეთიკის ორი მხარის დაკავშირებისათვისაა საჭირო (მორალური არჩევანის სიტუაციების რაციონალური ანალიზი, ეთიკური პროექტირება, ეთიკური ექსპერტიზა და კონსულტაცია და ა.შ.) გამოყენებით ეთიკას არ შეუძლია ფუნდამენტალური ცოდნის პირდაპირი მოხმარება. იგი მას გარდაქმნის პრაქტიკის საჭიროებისათვის, იგი ფაქტობრივად ქმნის ახალ ცოდნას, პროექტულად ორიენტირებულს, სადაც ღირებულებითი-ნორმატული სისტემების შემეცნების ამოცანა ექვემდებარება მათი განვითარების ამოცანას. გამოყენებითი ეთიკის გნოსეოლოგიურ და სოციოკულტურულ იდეალად, ავტორები მიიჩნევენ გადამერისეულ ფრონეზისის იდეას. გადამერი განარჩევდა ცოდნის აპლიკაციას, როგორც მისი მიყენების ტექნიკურ პროცედურას და ინტერპრეტაციას, როგორც ცოდნის შემოქმედებითად კონკრეტიზაციას (ფრონეზისი, ცოდნა-უნარი, ცოდნის საშუალებით პრობლემის შემოქმედებითი გადაწყვეტა). გამოყენებითი ეთიკა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თემატურ ნაწილებად: ბიოეთიკა, გარემოდ დაცვითი ეთიკა სხვ. თვითოეულის ამოცანაა კონკრეტული პრობლემების გააზრება და ინტერპრეტაცია. ამდენად შესაძლებელია ითქვას, რომ მათ აქვთ საკუთარი თეორია. ცოდნის ეს ახალი სისტემა მიზნად ისახავს მოცემული საქმიანობის თავისებურებებისა და ზნეობრივ-სოციალური საზრისის, კონკრეტული ვითარებების, სიტუაციების და ა.შ. გახსნას. მისი მახასიათებელია დისციპლინათშორისობა: ამგვარი თეორია არის კონკრეტული მეცნიერული ცოდნისა და წარმოშობილი მორალური პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ეთიკური იდეების სინთეზი. იგი გულისხმობს კონკრეტიზირებული ნორმებისა და აკრძალვების დასაბუთებას, ასევე იმ სოციოკულტურული პირობების გათვალისწინებას, სადაც ხორციელდება ეს საქმიანობა. მაგალითად, მართვის ეთიკა უპირველესად ემყარება ეთიკურ ცოდნას, ასევე ორგანიზაციის თეორიის ცოდნას, ორგანიზაციაში ქცევის, მენეჯმენტის, პოლიტოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ცოდნას, გათვალისწინებულია მართვის გამოცდილების განზოგადება, საქმის ვითარების ცოდნა და ამ

სპეციფიკურ სფეროში არსებული ტენდენციები. გამოყენებითი ეთიკის სპეციალური თეორიები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საკუთარი კონცეფციების დამუშავების დონით და კონკრეტიზაციის ხარისხით, რეკომენდაციათა პროფესიული დასაბუთებით. ნაწილში (მაგ. – ბიოეთიკაში) მოხაზულია ძირითადი პრობლემატიკა, დასაბუთებულია ღირებულებითი ორიენტირებისა და შეზღუდვების სისტემა, ჩამოყალიბებულია ეთიკური ინფრასტრუქტურის მოდელები. ისინი მეტნაკლებად ავტონომიურნი არიან და ისწავლებიან როგორც დამოუკიდებელი დისციპლინები სხვა თეორიებში სახეზეა მხოლოდ პრობლემები; აქ სპეციალური თეორიები ჯერ კიდევ არ არსებობს, ხოლო პრობლემათა გადაწყვეტის საშუალებები მხოლოდ განხილვის ფაზაშია (მაგ. საინფორმაციო ეთიკაში). გამოყენებით ეთიკას არ აქვს დამოუკიდებლად განვითარების რესურსი მეტაეთიკასთან სისტემატური კავშირის გარეშე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს იდეათა და ზოგადი მოდელების წყაროს, რომელთაც გამოყენებითი ეთიკა იყენებს საკუთარ ველზე პრობლემათა გადაწყვეტისას. თავის მხრივ გამოყენებითი კვლევების განვითარება პოზიტიურ გავლენას ახდენს მეტაეთიკაზე. იგი წარმოადგენს მასიმულირებელ ფაქტორს – თეორიის სფეროში იმ სეგმენტებს წარმოაჩენს, რომელნიც ნაკლებად არიან ნაკვლევნი, ავლენს ამა თუ იმ თეორიული კონსტრუქციის მცადობასა და ადგენს მათი გამოყენების საზღვრებს. გამოყენებითი ეთიკის ამოცანების გადაწყვეტისას, შესაძლებელია ახალი ცოდნის მიღება თავად მორალის შესახებ. გამოყენებითი ეთიკისათვის, ეს ცოდნა, ატარებს დამხმარე ხასიათს, მაშინ როდესაც მეტაეთიკისათვის იგი წარმოადგენს თვითღირებულების მქონე მიზანს. თეორია, რომელიც მიმართულია პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისაკენ, „წმინდა“ გონებაჭვრეტითი თეორიისაგან განსხვავებით, სხვა კოგნიტურ და პარგმატულ კონტექსტშია. მორალური ცხოვრების კონკრეტული პრობლემების ინტერპრეტაციისა და გადაწყვეტის პროცესში ხდება მეტაეთიკის ვერიფიკაცია, ეთიკურ თეორიათა და კონცეპთა ფუნქციონირება, მათი პრაქტიკული გამოყენებითობა, ან უნაყოფობა და ხდება მორალის კონკრეტიზირება და დაზუსტება. პროფესიული ეთიკა წარმოადგენს მორალურ ნორმათა სისტემას. პროფესიათა სფეროში პროფესიული ეთიკა წარმოდგება როგორც პრინციპულ და ნორმათშემოქმედებისა და ნორმატული პრაქტიკების კოგნიტური კომპონენტი. ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პროფესიული ეთიკის ველზე მიზანშეწონილია შემოვიყვანოთ „პროფესიულ მორალის“, ან „პროფესიათა ეთოსის“ ცნებები. სფეროს პრობლემურ ანალიტიკური დისკურსის განვითარებასთან ერთად, ვფიქრობთ, რომ დეფინიციის საკითხი,

ტერმინოლოგიური კორექტულობა და სიცხადე მეტად დარეგულირდება. პროფესიული ეთიკა განიხილავს სპეციალისტის ქცევის საკითხებს, თანამშრომლებთან, შემკვეთებთან, პარტნიორებთან მის ურთიერთობას, სამუშაო ადგილზე მისი პასუხისმგებლობის დონეს. პროფესიული ეთიკის ტრადიციული სახეებია: პედაგოგიური, სამედიცინო, იურიდიული, საინჟინრო (მშენებლის, არქიტექტორის), ჟურნალისტის, მენეჯერის, და სხვ. ეთიკები. თანამედროვე საზოგადოებაში პროფესიონალის როლის ზრდასთან ერთად იზრდება პროფესიული ეთიკის საკითხებისადმი ინტერესს. გამოყენებითი ეთიკისა და პროფესიული ეთიკის ინტერესთა სფეროები. პროფესიული ეთიკა წარმოადგენს ზოგადი ეთიკის კონკრეტიზაციას პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. იგი უმთავრესად დაკავებულია ცალკეული პროფესიის შიგნით ქცევის ნორმებით, წესებით. მისი სულ მცირე ორი სპეციფიკური ნიშანი შეიძლება დავაფიქსიროთ – იგი აწესებს გარკვეულ პროფესიას მანორმირებელი ეთიკური ინსტანციის სახით და აღწერს ზოგადი მორალური პრინციპების იმ გამონაკლისებს, რომელნიც პროფესიის ლოგიკითაა ნაკარნახევი და კონკრეტულ პროფესიულ კონტექსტში არ აღიქმებიან გამონაკლისებად, არამედ ამ პრინციპების ადექვატურ გამოხატულებად. მაგალითად: საექიმო ეთიკა, როგორც პრაქტიკული ეთიკის ერთერთი სახე, მიმართულია იმისაკენ რომ მორალის ჭეშმარიტება, მისი უმაღლესი საზრისი საექიმო საქმიანობაზე გადმოიტანოს. საექიმო საქმიანობა განსაკუთრებული მისიის, მსახურების დონემდეა ამაღლებული. სამედიცინო დარგის მუშაკის საქმიანობას ენიჭება თავისთავადი ღირებულების მქონე ზნეობრივი სტატუსი. საექიმო ეთიკა ამოდის პრეზუმპციიდან, რომლის თანახმად, ადეკვატური ქცევა, საექიმო საქმიანობის ფარგლებში, შეუძლებელია არ იყოს ზნეობრივი. აქედან წარმოიშობა პრეტენზია, რომ დარგი განსაკუთრებული სტატუსის მქონეა, რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებს პროფესიულ-კასტობრივ კორპორატულობაში. ჰიპოკრატეს ფიცი საექიმო ეთიკის ნორმატული გულისგულია. ფაქტობრივად ეს არის პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი ძეგლი. საექიმო საქმიანობის ეთიკური ინსტიტუციალიზაცია არ შემოიფარგლება ზოგადი მორალური პრინციპების კონკრეტიზირებით. მასში სანქციონირებულია ზოგადი პრინციპებიდან გადახრა, გამონაკლისების დაშვება. მაგალითად, პრინციპი „არ იცრუო“ დღემდე საკამათოა. მრავალი საუკუნე ექიმი ვალდებული იყო დაემალა პაციენტისათვის სასიკვდილო დიაგნოზი ვითომდაც ამ უკანასკნელის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ პრინციპიდან განდგომა თითქოს არ ნიშნავდა მის სავალდებულოებაში ეჭვის შეტანას, თუმცა თავისი არსით სწორედაც ასე იყო. საექიმო ეთიკა იმდენად სრულად აერთიანებს

მორალსა და პროფესიას, რომ თავად ხდება მორალის შემომქმედი. გამოყენებითი ეთიკა, პროფესიული ეთიკისგან განსხვავებით, დაკავებულია ზოგადმნიშვნელადი პრობლემებით, პროფესიული ქცევა მას არ აინტერესებს. იგი იხილავს კონკრეტულ მორალურ სიტუაციებს, და არა ნორმებს. ბიოეთიკა ტიპური მაგალითია გამოყენებითი ეთიკისა. იგი აუქმებს პროფესიის ზნეობრივ ავტონომიას პიროვნების ავტონომიის სასარგებლოდ; ერთის მხრივ, ათავისუფლებს ავადმყოფს ექიმის არგუმენტირებული პატერნალიზმისაგან, მეორეს მხრივ, მთლიანად აცლის ექიმს ზეაღმატებულისა და მორალურად უპირატესის სტატუსს. ავადმყოფს ანიჭებს უფლებას თავად განკარგოს საკუთარი სიცოცხლე და სიკვდილი. ბიოეთიკის ფარგლებში ავადმყოფისა და ექიმის ურთიერთობა ტრანსფორმირდება პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაში. ხოლო „ინფორმირებული თანხმობის“ პრინციპის წყალობით ადამიანი ავადობის სიტუაციაში პასუხისმგებლიანი არჩევანის ისეთივე სრულუფლებიანი სუბიექტად იქცევა, როგორც სხვა მორალურად მნიშვნელადი გადაწყვეტილებების მიღების სიტუაციებში. ექიმი ამ შემთხვევაში ასისტენტის როლს ირგებს. ის ეხმარება ავადმყოფს გადაწყვეტილების მიღებაში. საექიმო საქმიანობა ბიოეთიკის ფარგლებში არ იზღუდება კორპორაციული პროფესიული ინტერესებით. იგი ხსნის საზღვრებს და ეკონომიკურ საზოგადოებრივ ურთიერთობების ფართო კონტექსტში გადააქვს საკუთარი პრობლემების გადაწყვეტა. საექიმო ეთიკა მის ტრადიციულ პროფესიულ ვარიანტში მიზნად ისახავდა ზოგადი მორალიდან პროფესიის თავისებურებებით გამოწვეული გამონაკლისები მოენიშნა და გაემართლებინა. ბიოეთიკა, მისგან განსხვავებით, ავადმყოფობის სიტუაციის ელიმინაციას იმ მიმართულებით წარმართავს, რომ ინდივიდმა შესძლოს ზნეობრივი ავტონომიურობის შენარჩუნება. გამოყენებითი ეთიკა იმსახურებს უფრო მეტ ყურადღებას, უფრო საპატიო ადგილს, ვიდრე ეს ეთიკის თანამედროვე სისტემატიზაციებშია, სადაც მას, როგორც წესი ბოლო ადგილი უკავია.

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ

კითხვები და დავალება:

იმსჯელეთ გამოყენებითი ეთიკის ზნეობრივ-ღირებულებითი პრინციპებზე

რა მთავარი მახასიათბლები შეგიძლიათ დაასახელოთ როდესაც ვმსჯელობთ პროფესიული ეთიკაზე

გამოყენებითი ეთიკა-შეპირისპირებითი ანალიზი.

მკვლევართა ნაწილი გამოყენებითი ეთიკის გნოსეოლოგიურ და სოციოკულტურულ იდეალად მიიჩნევენ გადამერისეულ ფრონეზისის იდეას. ეთანხმებითამ ა?ს?

რეკომენდირებულია ფილმის"დიდი, პატარა ტყუილები" ნახვა და განხილვა იმ ძირითადი პრობლემებისა, რომელიც ფილმშია გამოტანილი.,

ლექცია XIV

ეთიკის კოდექსი-ტიპები და შინაარსი

კოდექსები პროფესიული აქტივობის სფეროში არსებულ ქმედებებს არეგულირებენ, ახდენს პროფესიულ ქმედებათა პრინციპული და ნორმატული საფუძვლების მეტნაკლებად სპეციფიკურ რეფლექსიას.

ქცევის ეთიკური კოდექსი უმთავრესად ჩნდება იმ პროფესიულ სფეროში, რომელთაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია საზოგადოების წინაშე-მათ შორისაა-სამედიცინო საქმიანობა, საქმიანი ურთიერთობები, სამართალმცდონეობა, პედაგოგიკა, მასმედია-ჟურნალისტიკა.

ეთიკური კოდექსები მნიშვნელოვანია. ისინი აფორმებენ მორალურად დასაშვების საზღვრებს პროფესიის შიგნით.

მზარდ პროფესიონალიზაციას თან სდევს ახალი ტიპის პროფესიული საქმიანობის შიგნით დასაქმებულ ადამიანთა ურთიერთობები, წარმოიშობა მრავალი პრობლემა რომელიც დილემის, დაპირისპირებული ხასითის მქონეა. მათი გადაჭრა სირთულეს წარმოადგენს. რომელთა გადაწყვეტისათვის მხოლოდ პროფესიული ცოდნა საკმარისი აღარაა და საჭირო ხდება პროფესიის შიგნით კორპორაციული ეთიკის პრინციპებისა და ნორმების ფორმულირება და დანერგვა, ეს უკანასკნელი ეთიკური კოდექსების სახით წარმოსდგება. ხოლო სპეციალიზაციების რაოდენობის ზრდასა და მათ შიგნით ვიწრო სპეციალიზაციის მქონე პირთა მიმართ მოთხოვნილებების ზრდასთან ერთად იმდენად იზრდება პროფესიული ეთიკური კოდექსების როლი, რომ დღეს ისინი იქცა ვიწრო სპეციალობის მქონე სპეციალისტის მომზადების სასწავლო კურიკულუმის განუყოფელ ნაწილად.

ასე მაგალითად, პროფესიული ეთიკის 850-ზე მეტი კოდექსის ინგლისურენოვანი კოლექცია დაინტერესებულმა მკითხველმა შეიძლება მოიძიოს ილინოისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საიტზე:
http://www.iit.edu/departments/csep/PublicWWW/codes/),

კოდექსში გაწერილი ზნეობრივი ქცევის პრინციპები მიმართულია ზნეობრივ-ეთიკური პრობლემების გადაჭრისაკენ, სადავო სიტუაციების დარეგულირებისაკენ, სხვადასხვა პროფესიული საქმიანობის სფეროში ბოროტად გამოყენების საწინააღმედო პრევენციისაკენ.

პროფესიული ეთიკის კოდექსის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ „ჰიპოკრატეს ფიცი“, რომელიც ექიმის პროფესიული ეთიკის კოდექსის ყველა ნიშანს მოიცავს.

სამურაის კოდექსი, ე.წ. „ბუსიდო სოსინსიუ“-პროფესიონალი მეომრის ქცევის ეთიკური წესები, რომელიც შემუშავდა 300 წლის წინ იაპონიაში და პრაქტიკულად უცვლელადაა ჩვენამდე მოღწეული. ამ კოდექსით რეგლამენტირებულია მეომრის ქცევა როგორც ბრძოლისას, ისევე მშვიდობიანობისა.

მსგავსი კოდექსები ავსებენ მარეგულირებელი აქტების დებულებებს, რომლებიც მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივად მნიშვნელადი პროფესიების წარმომადგენლების ქცევების რეგლამენტირებას ახდენენ. ყველა კოდექსი მოიცავს ზნეობრივ-ეთიკურ ნორმებს, რომლების ამა-თუ იმ პროფესიულ საქმიანობის დარეგულირება ევალება. მათ უქოდებენ:“ პროფესიული ეთიკის კოდექსს“, ან

უბრალოდ „ეთიკურ კოდექსს“, „ ეთიკური ნორმების დეკლარაციას“, „პროფესიული პრინციპების ქარტიას“,“დეონტოლოგიურ კოდექსს“,“ღირსების კოდექსს“, ა.შ.

მიზნები

კოდექსი ახდენს საზოგადოების ინფორმირებას კონკრეტული პროფესიის შესახებ, გავლენას.ნორმების საჯარო დეკლარაცია ერთის მხრივ ხელს უწყობს პროფესიის სანდოობის ზრდას, მეორეს მხრივ-ავითარებს სოლიდარობის გრძნობას პროფესიის შიგნით იცავს მის პრესტიჟს, ზრდის მის ავტორიტეტს. კოდექსი თავად სახავს მორალურ იდეალს და ცდილობს განამტკიცოს ყოველი პროფესიის მიერ ერთსულოვნად აღიარებული ღირებულებები. მას შეუძლია უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი სიმტკიცის განცდა.

ეთიკური კოდექსების მიღების მიზეზები

პროფესიულ საქმიანობაში არსებობს მრავალი იმგვარი განსხვავებული ნიუანსი, რომელთა მოცვა საკუთარი რეგულაციებით შეუძლებელია მოქმედი კანონმდებლობით, რომელიც თავის მხრივ ახორციელებს კონკრეტული სპეციალისტების უფლებებისა და მოვალეობების რეგლამენტირებას.

ამ მხრივ ჩნდება პროფესიული ქცევების დამატებითი რეგულირების საჭიროება. ამასთან, ბევრ სამართლებრივ აქტში, რომელიც პროფესიულ საქმიანობას ეხება, არის კორპორატიული ეთიკის ნორმების დამავალდებულებელი მუხლები. გამოდის რომ, რიგ შემთხვევებში პროფესიული ეთიკის კოდექსის მიღება კანონის ძალით უნდა დარეგულირდეს და რეგულირდება კიდეც. სხვა საქმეა რომ სამართლებრივ რეგულირებას გარკვეული საზღვრები აქვს, რომელთა იქეთ გასვლა საზოგადოების რეგულირების იმ სფეროში გადასვლას და აქტიურ ჩარევას ნიშნავს, რომელიც მორალური ნორმებით რეგულირდება.

საზოგადოებაში პროფესიული ეთიკების არსებობა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მაღალი დონის არსებობის ნიშანია. ნიშანია იმისა, რომ საზოგადებას შეუძლია სახელმწიფოს ჩარევის გარეშე დამოუკიდებლად არეგულიროს კომუნიკაციურ-ქცევითი ურთიერთობები. ზოგი პროფესიის წარმომადგენელს სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე-ექიმი, მოსამართლე-აქვს სუბიექტული გადაწყვეტილების მიღების ფართო სპექტრი. მათი მოქმედების თავისუფლება ხშირად შემოიფარგლება მხოლოდ შედარებით კონკრეტული სამართლებრივი რეგულაციებით და საკუთარი სინდისით.

მაგალითად საექიმო ეთიკის კოდექსში წერია;“ ექიმს უნდა ახსოვდეს, რომ მისი პროფესიული საქმიანობის გზაზე მთავარი მოსამართლე საკუთარი სინდისია.“ამასთან, სინდისი, როგორც მოგეხსენებათ, არ არის კონკრეტული ცნება, სუბიექტურია და პერსონული გადაწყვეტილების მიღებაში იღებს მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით ეთიკური კოდექსების ამოცანა გამოიხატება პროფესიული ჯგუფების წევრების დაპირისპირებული თვალსაზრისების შეჯერებასა და სავალდებულო კორპორატული პრინციპების და ნორმების რანგში მათი აღყვანაში. ბევრი პროფესია სოციალური მნიშვნელობის მქონეა, რაც ამ პროფესიაში დასაქმებულებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობებით ქმედებებს ავალდებულებს. ამასთან კავშირში ეთიკური კოდექსი წარმოადგენს დამატებით პრევენცია სხვადასხვა პროფესიონალური ქმედებების ბოროტად გამოყენების და დარღვევებისთვის

ქარტიის ერთერთი მიზანია თავიდან აიცილოს სახელმწიფოს ჩარევა პროფესიული სფეროს დარეგულირების საქმეში, რაც რეპრესიული კანონების საფრთხის შემცველია. მაგრამ ასიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საფრთხის ზრდა პროფესიონალთა წრეში თვითრეფორმირების აუცილებლობას ბადებს, რაც უპირველესად კოდექსის შექმნის აუცილებლობას გულისხმობს.

ეთიკურ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმატული პრინციპები აიძულებს პროფესიულ სფეროში დასაქმებულს მიყვეს ფორმალურ-კორპორატულ მორალს.

მაგალითად არსებობს ფსიქიატრის პროფესიული ეთიკა რომელიც კრძალავს რიგ ქცევებს, მათ შორის-

საკუთარი პროფესიული ცოდნის გამოყენებას სამედიცინო ინტერესების საწინააღმდეგოდ ან სიმართლის დამახინჯების მიზნით; ფსიქიატრიული ზომების გამოყენება პირის მიმართ საკმარისი საფუძვლის გარეშე; ფსიქიატრიულ დახმარებაზე უარის თქმა იმ პირებისთვის ვისაც ეს ესაჭიროება; პაციენტისთვის საკუთარი შეხედულებების მოხვევა; პაციენტთან ქონებრივი გარიგების დადება, მისი შრომის პირადი მიზნებისთვის გამოყენება; ინტიმური ურთიერთობის დამყარება პაციენტთან; პაციენტისთვის თვითმკვლელობის ხელშეწყობა; პაციენტის დასასჯელად სამედიცინო საშუალებების გამოყენება.

ეთიკური კოდექსის მიღების მიზეზებში შეიძლება გამოვყოთ

პროფესიული ქცევის დამატებითი რეგულირების საჭიროება; ზოგიერთი პროფესიის წარმომადგენელთა სუბიექტური დისკრეციის უკიდურესად ფართო სპექტრი მათი იურიდიული სტატუსის გამო.

კოდექსის შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ დარგის პროფესიონალები, მაგრამ მათ გარდა აუცილებელია ექსპერტების-ეთიკოსები, მორალის ფილოსოფოსები-ჩართვა, რომლებიც შეისწავლიან და გაანალიზებენ პროფესიის შიგნით ქცევის თავისებურებებს და შინაარსს, გარემომცველი საზოგადოება.

კოდექსი თავისი ბუნებით სინთეზურია.

ეს ნიშნავს, რომ აქ გაერთიანებულია ფუნდამენტური ღირებულებები, პროფესიული პრინციპები და მაქსიმები - ქცევითი შეზღუდვები, მაგალითად " არ ავნო", „არ იცრუო", და სხვ. მსგავსი.

ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეთიკური საკითხი მედია სივრცეში ეხება საზოგადოების უფლებას, მოთხოვნას, და სურვილს ქონდეს ინფორმაცია და მედიას უფლებას გადასცეს ინფორმაცია. ამ ვითარებასთან კოლიზიაში მოდის ინდივიდის პრივატული ცხოვრების უფლება. ბევრი ცნობადი სახე, ცნობილი ადამიანი-პოლიტკოსი, სპორტსმენი, მსახიობი ამის გამო კონფრონტაციაშია მასმედიის წარმომადგენლებთან.

მართლაც, ისმის ლეგიტიმური შეკითხვა: რა უფლება აქვთ პრივატულ ცხოვრებაზე საზოგადოებრივ პირებს? წარმატებული და დიდების ზენიტში მყოფი ადამიანები, ნაწილი საკუთარი პოზიციიდან, ან საქმიანობიდან გამომდინარე ხდებიან ცნობადნი და საზოგადოებაში განსაკუთრებულად მნიშვნელად ადგილს იკავებენ. ამ ფენის ადამიანები უნდა ელოდენ მედიის წარმომადგენელთა შემოტევას: "ნადირობას" ინტერვიუებზე, ფოტოსესიებზე და სხვ. ყველას ახსოვს არჩევნების წინა პერიოდში პრივატული სატელეფონო საუბრებისა და ვიდეო კადრების საქართველოს ტელევიზიების პირდაპირ ეთერში გადმოცემა. მთელი დღის განმავლობაში მოსახლეობა მედიას მიერ მოწყობილი გადაჭარბებული ზეწოლის სუბიექტებად იყო ქცეული.

მედია საშუალებები, რომლებიც ძალადობის, სიკვდილის დასჯისა და მუქარის შემცველი მიმართვების გამოქვეყნებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, თავიანთ გადაწყვეტილებას რამდენიმე მოტივით ხსნიან: მათი

მოსაზრებით, შემაძრწუნებელი, სისასტიკის ამსახველი კადრების ტირაჟირებით ისინი ტერორისტების რუპორი ხდებიან.

სხვა პროფესიონალთა მსგავსად, ჟურნალისტთა უმრავლესობა ზნეობრივადაა ორიენტირებული. მაგრამ, მედია ექსპერტები ფიქრობენ, რომ საჭიროა საერთო კოდექსის შემუშავება, რომელსაც ყველა ჟურნალისტი უნდა დაემორჩილოს. ჟურნალისტის ეთიკა უნდა დაემყაროს ზოგად მეტაეთიკურ პრინციპებს: თუ ახალი ამბების, ან ზოგადად ინფორმაცია აგებული იქნება ეთიკური მსჯელობაზე, საჭიროა გარკვეული Eეთიკური ღირებულებების , ზნეობრივი ქცევის ელემენტების ხაზგასმა. ფილიპ პატერსონი და ლი უილკინსი კვლევაში: "მედია ეთიკა: საკითხები და ქეისები" გვაწვდიან მათ კონკრეტულ ჩამონათვალს:

- ღირსება- პროფესიული ღირსების შენარჩუნება
- თანაზიარობა/თანაგრძნობა- სხვათა/აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინება
- ზომიერება- წყაროების განაწილება მნიშვნელოვანი საკითხებისათვის
- კორექტულობა-ფაქტების მოპოვება, საჭირო სიტყვების პოვნა, საკითხების შესაბამის კონტექსტში ჩასმა
- სითამამე-განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, დამატებითი პერსონული და ინსტიტუციონალური ძალისხმევის მოხმობა
- მიუკერძოებლობა და სამართლიანობა- ურთიერთგამომრიცხავ საკითხებში სამართლიანობის ძიება; ყველა წყაროსა და სუბიექტის მიმართ თანაბრი მოპყრობა.
- მრავალფეროვნება- აუდიტორიის ყველა სეგმენტის მოცვა ადექვატურად და მიუდგომლად.
- კომუნიკატორულობა /თემობრივობა- სოციალური ერთობის და ინდივიდის რეპუტაციის თანაბრად დაფასება.

არსებობს ორი სახის პრობლემა, რომელიც გადასაჭრელია კოდექსის მიღების შემდეგაც-ესაა მისი ინტერპრეტაცია და განხორციელება.აღსანიშნავი ფაქტია, რომ კოდექსში ასახული ნორმების ნაწილს ახასიათებს შედარებითი ბუნდოვანება და აბსოლუტურობა. ვერც ერთი კოდექსი ვერ გაითვალისწინებს ყველა შესაძლო შემთხვევას-პროფესიონალი მუშაკი ხშირად იძულებულია მიენდოს ან უბრალოდ მორალურ გრძნობებს, ან საღ აზრს, რომელიც გასჯის შედეგად იბადება. აქ მწვავედ დგება პროფესიულ სფეროში დასაქმებულთა ეთიკური განათლების საკითხი.

კოდექსის ინტერპრეტაციისა და ადაპტირებისათვის უპირველესად საჭიროა მორალური შეგნების ამაღლება, რომელსაც შემდეგ დაეშენება პრაქტიკული გამოცდილება.

კოდექსი გვეხმარება გადაუდებელ, კრიტიკულ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღების დროს. იგი ამოდის იმ პოზიციიდან, რომელიც შეჯერდა მეტაეთიკურ და ნორმატულ ეთიკის ცოდნის შედეგებთან და რომელსაც მოყვა ხანგრძლივი განსჯისა და დისკუსიების შედეგად ჩამოყალიბული აზრი. თუმცა შესაძლებელია ერთმა პროფესიონალმა მიიღოს განსხვავებული გადაწყვეტილება კონკრეტულ დილემურ სიტუაციაში და მისი ქცევა იმართებოდეს იგივე „მორალური პასუხისმგებლობის“ შეგნებით. მთავარია მორალურ პრინციპსა და განხორციელებულ ქცევას შორის იყოს შესაბამისობა.

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ

კითხვები და დავალება:

1. რა ტიპის კოდექსები არსებობს
2. დაახასიათეთ პროფესიული ეთიკის კოდექსების მიზნები და ამოცანები
3. ცნობილმა ევროპელმა ფოტოჟურნალისტმა შესძლო უნიკალური კადრის დაფიქსირება: შიმშილისგან მომაკვდავ აფრიკელ ბავშვს დასაკორტნად თავს დასტრიალებს ძერა. ფეისბუქში განთავსებულმა ფოტომ მსოფლიო მოიარა და აღიარება მოუტანა “ფოტო ხელოვანს.” ისტორიას ამგვარი დასასრული აქვს-ბავშვი დაიღუპა, ფოტოგრაფმა თავი მოიკლა. ეცადეთ გამოიყენოთ მსჯელობის სხვადასხვა სტრატეგია და გაანალიზოთ ეს რეალური ფაქტი.
4. ეცადეთ დეტალურად გაანალიზოთ რომელიმე ცნობილი ტოქშოუ. რამდენად რა ხარისხით გადმოსცემს იგი სიმართლეს? მიკერძოებულია თუ არა ინფორმაციის მთელი სისავსით წარმოჩენაში, შეგნებულად ცილს სწამებს, აყალბებს, ან ტოვებს ფაქტებს?

ლექცია XV

ეთიკური თემები: ბიოეთიკის პრობლემების ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ხასიათი, კლონირება, პოლიტიკა და ომის ეთიკა.

ბიოეთიკა მე-20ე საუკუნის ცივილიზაციის პირმშოა. გამოყენებითი ეთიკის ველზე მისმა გამოჩენამ სრულიად შეცვალა თანამედროვე რეალიების ზნეობრივი კლიმატი და მათ წინაშე მდგარი ადამიანისათვის გახსნილი სრულიად ახალი ჰორიზონტი გაშალა მათი მორალურად ფორმულირებისა და გადაწყვეტის გზაზე. ბიოეთიკური კვლევის სტრატეგიული მიმართულების არსი და ინტერესთა სფერო ფაქტიურად თავად ტერმინშია გაცხადებული: ბიო-სიცოცხლე, ეტჰიცს-ეთიკა, ანუ სიცოცხლის ეთიკა.

ბიოეთიკა სპეციფიკური სისტემური აზროვნების აგების ცდაა და მიზნად ისახავს გააანალიზოს სასიცოცხლო პროცესებში ადამიანის უშუალო ჩარევის ყოველნაირი მოდელი. ამ ტიპის აზროვნება რთულსა და განსაკუთრებულ ამოცანას სვავს. მან ის ნორმები და ღირებულებები უნდა დააფუძნოს, რომელთაც დაევალებათ ქცევათა დარეგულირება და ტექნოგენური ცივილიზაციის უახლესი მიღწევების ცხოვრებასა და ბიოსფეროში დანერგვა.უახლესი ბიოტექნოლოგიები რეალურად შესაძლებელს ხდის ადამიანის სიცოცხლით მანიპულირებასა და მართვას; ლაბორატორიის პირობებში სიცოცხლის კონსტრუირება, მისი თვისებრივი პარამეტრების განსაზღვრა და კორექტირება, გენური ინჟინერიის სელექციურ ევგენიზმად გადაქცევა, ადამიანის

სხეულისა და შობადობის კომერციალიზაცია, ემბრიონებზე ექსპერიმენტირება დღეს უკვე აღიარებული ფაქტებია. ამ გზაზე ექსპერიმენტულმა მეცნიერებამ შესაძლოა პოლიტიკის ეპისტემოლოგიური სტატუსი შეიძინოს, რასაც ლოგიკურ შედეგად მისი არსობრივი ფუნქციის დაკარგვა და "შესაძლებლობათა ხელოვნებად" ქცევა მოყვება. ამიტომაც მეცნიერებასა და ეთიკას შორის ურთიერთმიმართების საკითხის პრევენცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მხოლოდ ბიოეთიკური ცოდნის ფარგლებშია შესაძლებელი ეთიკის "სინდისის" სტატუსით წარმოჩენა ბუნების მეცნიერებათა მიმართ. ამ ტიპის ცოდნის ყველაზე აქტუალურ ამოცანად ზნეობრივი "სტერილობის" დაძლევა და მისი კატასტროფული შედეგების თავიდან აცილება გვესახება.

ამ ტიპის აზროვნების ველზე სუფევს საშუალებათა ეთიკურობის პრიმატი. ბიოეთიკური მსჯელობის ძირითადი პრინციპი განისაზღვრება ფორმულით: "non sunt facienenda male ut veniant bona " რაგინდ ეთიკურად არ უნდა ჩანდეს ქცევის მიზანი, თუ მისი მიღწევის საშუალებები და ხერხები უზნეოა, ქცევა საკუთრივ ეთიკურად ვერ ჩაითვლება.

რადგანაც ბიოეთიკა არსობრივად მსოფლმხედველობრივად ორიენტირებული მეცნიერებაა, იმ პრობლემათა შორის, რომელნიც ბიოეთიკის თვალსაწიერში იშლება კერძოდ, ვთქვათ: ბიოეთიკის ეპისტემოლოგიური გამართლება, ბიოეთიკურ მსჯელობათა ძირითადი პრინციპების შესახებ, მეთოდოლოგიის საკითხი, ვფიქრობთ, რომ უპირველესი მნიშვნელობის მქონეა მეთოდის საკითხი.

ბიოეთიკაში კვლევის მეთოდი ვერ იქნება ვერც ინდუქციურ, ვერც დედუქციური, რადგანაც პირველ შემთხვევაში ნორმები ბიოლოგიური ან სოციოლოგიური ფაქტების შედეგად დგინდება, მეორეს კი ზოგადი პრინციპებიგან უშუალოდ გმოყავს ქცევის ნორმა. ბიოეთიკური კვლევის არეალი კი აუცილებლობით მოითხოვს სამი ერთმანეთთან დაკავშირებული კოორდინატის ანალიზს: I უპირველეს ყოვლისა ზუსტად უნდა აიწეროს და გაანალიზდეს - ბიოსამედიცინო ფაქტი ეს გახლავთ ბიოსამედიცინო განასერი. შემდეგ ეტაპზე უნდა გაღრმავდეს ამ ფაქტის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური მნიშვნელობისა და მნიშვნელადობის კვლევა, რაც გულისხმობს

პიროვნულ მთელთან, მის სიცოცხლესთან და ღირსებასთან დაკავშირებულ ღირებულებათა ანალიზს - ამ განასერს ვუწოდებთ ანთროპო-ფილოსოფიურს.

ქცევის პრინციპები და ნორმები უნდა შეეფარდოს პიროვნებას, როგორც თავისთავად ღირებულებასა და მის პიროვნულ მე-ში იერარქიულად განლაგებულ შემდეგი რიგის ღირებულებებს: სიციცხლე, ჯანმრთელობა, პირადი პასუხისმგებლობა. ამ სახის ეტიკურ პრობლემატა გადაწყვეტა მიძიებულ უნდა იქნეს პიროვნების თაურ ცნებათა და ღირებულებათა ურთიერთმიმართებაში ეს გახლავთ ანალიზის მესამე ჭრილი; იგი მოითხოვს პერსონის არსობრივ კვლებას. ადამიანის ფილოსოფიის მთელი სისავსით ამუსავებას ამ ჭრილს ონტო-პერსონულს ვუწოდებთ. ეს სამი ფენი ურთიერთგადაჯაჭვულია, და ერთმანეთის გარეშე არ არსებობს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნების ფუნდამენტური ღირებულებები მოითხოვს იურიდიული კანონმდებლობით უზრუნველყოფას, ისეთივე აუცილებლობიტ როგორც მორალურით. აქ მოკლედ ავღნიშნავთ, რომ ზნეობრივ და იურიდიულ კანონთა შორის ურთიერთმიმართების საკითხი საუკუნეებს მოითვლის. იგი ათასწლეულების მანძილზე საჯილდაო ქვად იყო ქცეული ფილოსოფოსების და თეოლოგებისთვის. ჯერ კიდევ თომა აქვინელი აღნიშნავდა რომ სამართალია ვერ ფარავს ზნეობის მთელ სივრცეს. იურიდიულმა კანონმა შეუძლებელია დააფუძნოს მორალური, საუკეთესო შემთხვევაში მან შესაძლებელია აღიაროს მორალური კანონის მოთხოვნები. ამავე დროს უნად ითქვას რომ გარკვეული ფუნდამენტური ღირებულებები, რომელნიც მოწოდებულნი არიან უზრუნველყონ საზოგადოებრივი კეთილდღეობა იურიდიული კანონით უნად იქნენ დაცულნი. ხოლო ის იურიდიული კანონი, რომელიც არ ან ვერ იცავს კეთილდღეობას (ვთქვათ, კანონმდებლობა რომელიც უშვებს აბორტს, ემბრიონული ქსოვილების გამოყენებას და ა.შ) ფაქტიურად უკანონობაა და უნდა იქნეს შეცვლილი.

თანამედროვე პლურალისტურ საზოგადოებაში განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა კანონის აქსიოლოგიური საფუძვლების შემუშავების საკითხი. ეს აუცილებელია იმისათვის რომ იურიდიულად სანქციონირებული ქცევა ზნეობრივი კოლიზიის შემთხევვაში სწორად იქნეს მომართული და არ დაირღვეს ადამიანის განუყოფელი უფლებები. პარადოქსია მაგრამ ფაქტია თანამედროვე რეალიებში საზოგადოებრივი

სტრუქტურების მხრიდან ვერ ხერხდება ადამიანის სიცოცხლის ეფექტური დაცვის მექანიზმის შემუშავება. ვთქვათ კანონმა ხელოვნური აბორტის შესახებ “ დანაშაულის”

როგორც ზემოთ გამოჩნდა ბიოეთიკის ამოსავალი მოცემულობა პიროვნების ტრანსცენდენტობა და სიცოცხლის ფუნდამენტური ღირებულებაა. ონტოლოგიურად დასაბუთებული პერსონალიზმი არც იდეოლოგიურ, არც ბიოლოგიურ რედუქციებზე არ დაიყვანება. იგი საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ პიროვნების ინტეგრალური კონცეფცია, რომელიც პიროვნების ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სულიერი ღირებულებების სინთეზს დაფუძნება.

ამ ტიპის მოდელი ერთისმხრივ ეფუძნება ქრისტიანული ანთროპოლოგიის ძირითად ცნებებსა და ღირებულებებს; ამავდროულად ჰიპოკრატესა და კანტის ეთიკის ძირითად პოსტულატებს, კერძოდ კანტიანური “ზნეობრივი კანონი ჩვენში”, რომელიც ბიოეთიკის ანთროპულ საფუძვლად გვესახება.

ამ მოდელის მიხედვით პიროვნება ადამიანში იხსნება, როგორც განსულიერებული ად გონით სტრუქტურირებული სხეული. თვითოეულ პიროვნებაშიაისახება მნიშვნელობას იძენს მთელი სამყარო, იმავდროულად გარდაიქმნება და გადაილახება კოსმოსი. ყოველი ადამიანი სამყაროს საზრისისა და ზოგად საკაცობრიო ღირებულებების მომცველია. პიროვნება განუყოფელი მთლიანობაა და არა მთელის ნაწილი. იგი საზიგადოების მიზანი და ათვლის წერტილია. იმგვარი რეალობაა რომელიც თავად ისტორიაზე მეტია. ქრისტიანული მსოფლხედვის ველზე ყოველი ცალკეული ადამიანი უფლის ხატია, მიზანია და არასოდეს საშუალება. ღვთაებრივ საწყისთან წილნაყარობის წყალობით ქრისტიანული გამოცხადება, შესაქმეს ჭეშმარიტება, მონანიება, ადამიანის უფალთან ცოცხალი კავშირი პერსონალისტურ ხედვას ჰორიზონტს უფართოვებს და ამდიდრებს ღირებულებათა სისავსით. ეს ის წანამძღვრებია რომლებიც აფორმირებენ, ქრისტიანულად ორიენტირებული პერსონალიზმის მოდელს.

პერსონალისტურ ეთიკაში პიროვნების ობიექტური და სუბიექტური ასპექტები ურთიერდაკავშირებულნი და ურთიერთდამოკიდებულნი არიან ამდენად, ნებისმიერი ცალკე აღებული ქცევის ეთიკური ღირებულება ინტენციონალობის სუბიექტური

წრილიდან უნდა იქნას დანახული და განხილული, მაგრამ ამასთან ერთად მხედველობის არიდან არ უნდა გამოგვრჩეს ქცევის როგორც ობიექტური შინაარსი, ისე რეზულტატებიც.

ონტოლოგიურად დასაბუთებული ქრისტიანული ორიენტაციის პერსონალიზმი ძირითად პრინციპებად მიიჩნევს: სამართლიანობასა და ავტონომიურობას, სიკეთისმყოფელობასა და უკეთურების ფუნდამენტურ მიუღებლობას. ამ პოზიციიდან არა ოდენ სულიერი გონი, არამედ პიროვნულ-ადამიანური მთელი– სულიერ-სხეულებრივი ერთობა ღვთის ქმნილებად მიიჩნევა. ყოველი ადამიანური არსების სიცოცხლე– საკრალურად და ხელუხლებლად.

ბიოეთიკის წინაშე დასმული პრობლემური რიგის საკითხები, ბევრი თვალსაზრისით, ახალია კაცობრიობისათვის. მისი ბიოსამედიცინო, ფილოსოფიური, აქსიოლოგიური, ანთროპოლოგიური, სამართლებრივი, საღვთისმეტყველო ასპექტები შესაძლებელს ხდის შესასწავლი პრობლემების არეალი გაიშალოს სხვადასხვა მიმართულებით. წინა წლანზე წამოიწია ადამიანის უფლებამ, განაგებდეს საკუთარ სიცოცხლეს და განსაზღვროს სიცოცხლის საზღვრები, თავად აგოს პასუხი საკუთარი ცხოვრების ყველაზე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაზე.

ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ დღის წესრიგში ახალი ეთიკური საკითხი დააყენა: ორგანოთა ტრანსპლანტაცია, ორგანოთა შეგროვება, გენების შერწყმა და კლონირება, კოლბაში ჩასახული ბავშვები, ხელოვნური განაყოფიერება, სუროგატული დედობა, ევთანაზია, ევგენიკის პრობლემები. თანამედროვე ეპოქამ მოიტანა ახალი პოზიციის შემუშავების აუცილებლობა ტექნოგენური ცივილიზაციის მიმართ. აქ სახეზეა ტექნიკური განვითარების ნეგატიური შედეგები. დღის წესრიგში დადგა ახლებურად იქნეს გააზრებული ადამიანის ბუნებასთან და საზოგადოებასთან მიმართების ყველა ასპექტი. საკითხი უკვე აღარ დგას შესაძლებელია თ არა ახალი ბიოტექნოლოგიების განხორციელება, არამედ რამდენად ეთიკურია მათი დანერგვა.

თვალსაზრისთა ფართო სპექტრი შესაძლებელია დაწურული სახით ორ ხედვაზე იქნეს დაყვანილი დეონტოლოგიურ და ტელეონტოლოგიურ ხედვაზე. თითოეული ხედვის შიგნით თავს იჩენს შიდა დებატები, ვინ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა

ახალი სიცოცხლის ხელოვნურად შექმნის ტექნოლოგიებზ, განსაზღვროს და შეცვალოს სიცოცხლის ხარისხობრივი პარამეტრები (გენური ინჟIნერია, ტრანსსექსუალური ქირურგია), გააგრძელოს სიცოცხლის ხანგრძლივობა სიკვდილის დროის გადაწევით (რეანიმაცია, ტრანსპლანტოლოგია,), თუ ხელოვნურად შეწყვიტოს იგი (ევთანაზია), რამდენად ზნეობრივია პასუხისმგებლობის ერთმანიშვნელოვნად პიროვნულ-ინდივიდუალურ დონეზე გადაწყვეტა. დეონტოლოგიური ხედვით მიზანი არ ამართლებს საშუალებას. სიცოცხლის ტექნოგენური წარმოება და მოსპობა ემბრიონულ დონეზხე, სიცოცხლის ტრანსპლანტოლოგიური გაგრძელება და დასრულება, ადამიანის ხელოვნური რეპროდუქცია და კლონირება, ყოველთვის არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სავსებით მორალური. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში იგი სავსებით არღვევს მორალურ ღირებულებებსა და პრინციპებს. მაგალითად, ევტანაზიის მოტივით მკვლელობის გამართლება, ცოცხალი დონოპრისაგან ორგანოს ამოღება სხვისთვის გადასანერგად, „სუროგატი დედის“გამოყენება, რეაპროდუქციული კლონირება და ა.შ.

ტელეოლოგიური ხედვის ფარგლებში მიზანი ამართლებს საშუალებას. მაგალითად სიტუაციონისტ ჯოზეფ ფლეტჩერს მიაჩნია, რომ რადგანაც გაჩნდა მოწინავე ტექნოლოგიური საშუალებები, ადამიანები ვალდებულნი არიან წარვმართოთ რასის მომავალი ევოლუციური ზრდა, უნდა შეიქმნას ბიონიკური ადამიანი, რომსლი გენეტიკური კოდი იქნება აბსოლუტურად სუფთა, ამისათვის ყველა დაავადებული ჩანასახი იქნება განადგურებული. უნდა შეიქმნას ბანკები, სადაც აბსოლუტურად განწმენდილი განაყოფიერებული უჯრედები იქნმება შენახული. გენების შერწყმა გვპირდება ახალი ცხოველების შექმნას და პატენტირებას. ხელოვნური განაყოფიერება, სუროგატული დედები, შესაძლებელს ქმნის გამოვიყვანოთ უმაღლესი ადამიანური არსებები. საბოლოო მიზანია სრულად, დეტალურად, პროექტირებული ადამიანური არსების შექმნა, ახალი უმაღლესი რასის შექმნა. დაბადებამდელი ტესტი გვაძლევს საშუალებას, რომ გენეტიკურად არასრულყოფილი შთამომავლობაზე მშობლებმა უარი თქვან. საბოლოო მიზანი გენეტიკურად გასუფთავებული ახალი ტიპის ადამიანთა შექმნაა. იმ შემთხვევაში, როცა გენეტიკური სნეულებების გადამტანები ნებაყოფლობით არ იტყვიან უარს შთამომავლობაზე, ფლეტჩერი გვთავაზობს მათ იძულებით სტერილიზაციას.

დღეს შესაძლებელია ვაწარმოოთ ახალი სახეები ბიოლოგიური ორგანიზმების გენების ერთმანეთთან შერწყმის გზით. ასეთი ლაბორატორიული ჰიბრიდები უკვე დაპატენტებულია. ამგვარად კონსტრუირებულ „სუპერ მწერს“ შეუძლია ნავთობის დიდი ლაქების გაქრობა, რადგანაც იგი ნავთობით იკვებება და ნავთობში მრავლდება. ტელეოლოგიური ხედვით ეს ტექნოლოგია სასარგებლოა და ამდენად ზნეობრივი. დეონტოლოგები კი თვლიან, რომ გენეტიკური ინჟინერიის ტექნოლოგიები ქმნიან სერიოზულ მეცნიერულ პრობლემებს მათ შორის ყველაზე საყურადღებოა მიკროსამყაროში არსებული ბალანსის დარღვევა, რაც ახალი სნეულებების გაჩენის რეალურ შანსს ქმნის.

კლონირების მორალური განზომილება

1997 წელი მსოფლიოს ბუნებისმეცნიერების ისტორიაში უნიკალური მოვლენით აღინიშნა. ხელოვნურად, ლაბორატორიულ პირობებში შეიქმნა ცოცხალი არსება- ცხვარი. ამ ბიოტექნოლოგიურ პროცესს ეწოდა კლონირება, უფრო ზუსტად თერაპიული კლონირება.

ტერმინი კლონი ბერძნული სიტყვის κλῶνος დერივატია და ნიშნავს “ტანს, სხეულს, ტოტს”. იგი XX საუკუნემდე იხმარებოდა მებაღეობაში, ამ ტერმინით აღინიშნებოდა დამყნობის საშუალებით ახალი მცენარის გამოყვანის პროცესი. დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი მიეყენება რეპროდუქციული ტექნოლოგიის ახალ ფორმას, რომლის დროსაც ლაბორტორიულ პირობებში ხდება მოზრდილი ორგანიზმის უჯრედიდან გენეტიკურად იდენტური არსების კონსტრუირება.

ფაქტია, რომ თანამედროვე სამყაროში არსებობს აბსოლუტური მზაობა მიიღოს ამ ტექნოლოგიით დამზადებული “ადამიანის ხატად და მსგავსად შექმნილი” კლონირებული არსება. უფრო მეტიც, კაცობრიობა ვერაფერს ცუდს ვერ ხედავს იმაში, რომ ცოცხალ არსებათა ტირაჟირების ეს პროცესი უსასრულოდ გაგრძელდეს. მსოფლმხედველობრივ-თეორიულ პლანში ადამიანის კლონრების გზაზე არ არსებობს არანაირი ლოგიკური წინააღმდეგობა. სტატიის ფარგლებში მიზნად არ ვისახავთ წარმოვაჩინოთ ბიოსამეცნიერო სივრცეში არსებული ვითარება, ანუ ის რეალია და ის ბიოსამედიცინო პრობლემები, რომელთა წინაშე

დგას დღეს გენური ინჟინერია. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ ადამიანის კლონირების ზნეობრივ-რელიგიური ჭრილი.

ბიოეთიკურ ლიტერატურაში 70-იანი წლებიდან მიმდინარეობს ცხარე დებატები ადამიანის კლონირების ზნეობრივ-რელიგიური და სამართლებრივი მართლზომიერების შესახებ.

ამ მხრივ საგულისხმოა ბიოეთიკის დამფუძნებელის ჰანს იოანსის დიალოგი ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორ ლეონ კასთან. (1) კასი იმ მოტივთა შორის, რომელნიც ადამიანის კლონირებას დადებითი კუთხით წარმოაჩენენ, გამოყოფს შემდეგ მოტივებს:

ა) კლონირება კაცობრიობის გენეტიკური ხარისხის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა. გამორჩეული გარეგნული და ინტელექტუალური თვისებებით დაჯილდოვებული თაობები შექმნიან ახალი სამყაროს.

ბ) კლონირება საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ ჯანმრთელი ინდივიდები. მემკვიდრული დაავადებებისაგან თავისუფალი ჯანსაღი თაობის გამოყვანა ტექნოლოგიის ამ ტიპით მარტივად განხორციელებადია.

გ) სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარების მიზნით შეიქმნება გენეტიკურად იდენტური არსებათა დიდი რაოდენობა, იმდენი რამდენის საჭიროება იქნება.

დ) კლონირება საუკეთესო საშუალებაა უშვილო წყვილებისათვის გენეტიკურად მსგავსი არსების გამოყვანისათვის.

ე) კლონირება მომსახურების უფრო ფართო სპექტრის შეთავაზებაც შეუძლია. იმათთვის, ვისაც განსაკუთრებული სურვილები ექნება, მას წინასწარი დაპროგრამირების შედეგად შეუძლია დაუკვეთოს მისთვის სასურველი გენოტიპის მატარებელი ცოცხალი არსება, მაგალითად, გემოვნების მიხედვით შეგეძლებათ დაუკვეთოთ აინშტაინის ინტელექტისა და ანჯელინა ჯოლის გარეგნობის არსება, ანდა ვიტგენშტაინის ინტელექტუალური დიაპაზონისა და ბრედ პიტის გარეგნობის ”ბავშვი”.

ვ) კლონირების ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს სურვილისამებრ დავგეგმოთ და ვაწარმოოთ მდედრობითი და მამრობითი სქესის ცოცხალი არსებები.

ზ) კლონირების მეოხებით შესაძლებელია სპეციალური მიზნებისათვისშეიქმნას ინდენტური სუბიექტების ჯგუფები როგორც დაზვერვითი საქმიანობისათვის, ისევე საბრძოლო მოქმედებების განხორციელებისათვის.

თ) ცალკეული პიროვნების იდენტური კლონირებული ემბრიონები გამოყენება ნაყოფიერია ტრანსპლანტოლოგიის სფეროში. შესაძლებელია კლონირებული ემბრიონების გაყინვა და შენახვა სპეციალურ დანადგარებში, მათი გამოყენება მოხდება ორგანოთა ტრანსპლანტაციის საჭიროების შემთხვევაში.

ი) შესაძლებელია განსაკუთრებული სპორტული მონაცემების სპორცმენთა ტირაჟირება ოლიმპიადებისა და საერთაშორისო შეხვედრებისათვის.

საკითხი უნდა დაისვას არა იმგვარად, თუ ტექნიკურად რამდენად არის განხორციელებადი ეს ტექნოლოგია, არამედ ისე, თუ რამდენად მართლზომიერია და გამართლებულია ადამიანის კლონირება? ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშე დაისმის ამ რიგის შეკითხვები: კერძოდ, რა, თუ ვინ არის კლონირების გზით წარმოებული/დაბადებული არსება? არის თუ არა ის ”ადამიანი”? ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით ”ადამის შვილი”? ანუ უფლის შემოქმედებით ძალით შექმნილი პირველი ადამიანის მემკვიდრე-შთამომავალი?

შეიძლება კია ვილაპარაკოთ კლონის პერსონულ ასპექტზე? რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ იგი პიროვნებად?

თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ კლონი ადამიანია, მაშინ მას უნდა ქონდეს ყველა ის თვისება, სპეციფიკაცია, რაიც ადამიანის არსობრივ მახასიათებლებად ითვლება- შემოქმედებითი უნარი, ნება, ნებელობა, ანუ უნდა იყოს თავისუფალი, უნდა ქონდეს უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლებლობები.

თუ დავუშვებთ, რომ კლონი რობოტია, მაშინ იგი მთლაინად უნდა იმართებოდეს გარედან სამართავი პულტით, ენერგიის გარეშე წყაროებზე უნდა იყოს დამოკიდებული.

თუ დავუშვებთ, რომ კლონი უბრალოდ ცოცხალი არსებაა, რომელსაც ადამიანთან ორგანული მსგავსობაა აქვს მხოლოდ და სხვა არაფერი ვიცით მის შესახებ; ანუ არ ვიცით მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი, მისი

”შინაგანი”პიროვნული არსობა, ჩვენს წინაშე წარმოდგება ქიმერა, რომელსაც შესაძლებელია არც არაფერი აქვს ”შიგნით”.

ფაქტია, რომ კლონი ცოცხალი არსებაა, და თუკი იგი ცოცხალია, საჭიროა დაისვას მისი სოციალური და მორალური სტატუსის საკითხი.

.

ხელოვნურად ახალი სიცოცხლის შექმნის ტექნოლოგიების არსებობის ფონზე

(ინ ვიტრო, სუროგატული დედობა, თერაპიული კლონირება) იცვლება ფორმულირება ცნებისა ”სიცოცხლე”, ”ადამიანური სიცოცხლე”. ვფიქრობთ, რომ საჭირო გახდება ე.წ. ”კლონური სიცოცხლის” დეფინიციის მოძიებაც.

ამ დეფინიციებთან მჭიდრო კავშირშია ”დედის”/ ”დედობის”ცნება, და ის თუ როგორ უნდა ფორმულირდეს კითხვა ”რა არის დედა?” თუ ”ვინ არის დედა?” ახალი ბიოტექნოლოგიები არსობრივად ცვლიან დედის/დედობის სტატუსს, შესაბამისად იცვლება დედა-შვილობის ინსტიტუტი, ისმის კითხვა: ხომ არ ჩაენაცვლება დედა-შვილობის ტრადიციულ გაგებას კოლბა-კლონობის გაგება.

დღის წესრიგში დგება ამ სახით გაჩენილი არსების, ცოცხალი არსების იდენტურობის საკითხი. შესაძლებელია, თუ არა მისი საზოგადოების წევრად ჩათვლა, თუ პასუხი დადებითი იქნება, მაშინ მისი მორალური და სოციალური სტატუსიც უნდა დადგინდეს.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ამ საკითხებისადმი სამგვარი მიდგომა: ლიბერალური, ზომიერი და კონსერვატული.

ლიბერალური მიდგომით კლონი არ განიხილება ადამიანად, იგი ადამიანის მსგავსი ცოცხალი არსებაა, შესაბამისად იგი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ საზოგადოების წევრად. მასზე არ ვრცელდება სიცოცხლის უფლება; შესაბამისად მას არ გააჩნია ის თვისება, რომელიც დაავალდებულებს საზოდაგოებას, სხვა ადამიანებს მოახდინონ მისი სიცოცხლით მანიპულირება. ლონის არსებობის სტატუსი განხილული უნდა იყოს მხოლოდ სხვისი, მეორეს ინტერესიდან გამომდინარე. კლონი არ არის ადამიანი, მას არ აქვს უფლებები

ზომიერი მიდგომის მიხედვით კლონის სტატუსი განიხილება, როგორც საშუალო ადამიანსა და პირუტყვს შორის; რადგანაც თანამედროვე ბოიმეცნიერებაში ფართოთ მსჯელობენ ცხოველთა უფლებებზე, შექმნილია ცხოველთა უფლებების

დაცვის საზოგადოებები, ამ მიდგომის მომხრეები სთვლიან, რომ საჭიროა შეიქმნას ეთიკურ-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ამ არსებათა გამოყენების წესებს დაარეგულირებს კლონი განვითარების უხეში, კორექციისადმი დაუქვემდებარებელი ანომალიური არსება; მას საკმაოდ უმნიშვნელო ადამიანური მოცემულობა აქვს, ისევე როგორც ადამიანის უფლებების გარკვეული მოცემულობა.

კონსერვატული მიდგომის თანახმად კლონი ადამიანია და მას უნად მივანიჭოთ ადამიანის უფელებათა ძირითადი მოცემულობა-სიცოცხლის უფლება.სხვათაშორის კალკულაციის უტილიტარისტული პრინციპის მიხედვით, თუკი კლონი დიდი რაოდენობის ადამიანებს სიხარულს მიანიჭებს იგი ზნეობრივ არსებად უნდა ჩაითვალოს.

ამერიკელი ფუტუროლოგი ფრენსის ფუკუიამა თვლის, რომ კლონი არ შეიძლება ჩაითვალოს უჯრედებისა და ქსოვილების უბრალო გროვად. მასში სრულუფლებიანი ადამიანური განვითარების პოტენციალი დევს. (2) ონტოგენეზი იმეორებს ფილოგენეზს. ორგანულ მოლეკულათა პატარა ჯგუფი ვითარდება და ჯილდოვდება ცნობიერებით, გონებით, ზნეობრივი არჩევანის უფლებით, სუბიექტური რიგის ემოციებით. ესაა საიდუმლოების ტოლფასი აქტი. როდის ვიქცევით ადამიანად? კითხულობს ფუკუიამა და თავადვე პასუხობს-როცა გვაქვს ღირსება. ყურადსაღებია ფუკუამას თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ახალი ბიოტექნოლოგიები უპირველეს ყოვლისა ადამიანურ ღირსებას უქმნიან საფრთხეს; ადამიანური ბუნების შეცვლა ისტორიის ”პოსტადამიანური” ფაზის დასაწყისის ნიშანია.

ბიოტექნოლოგიები კლონირების მიმართულებით ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში არსებობდა, მაგრამ 20 წლის წინ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ დღის წესრიგში დააყენა ამ მიმართულებით ექსპერიმენტების ჩატარების ზნეობრივ-ეთიკური მართლზომიერების საკითხი.

1989 წელს გამოიცა ევროსაბჭოს სპეციალური დოკუმენტი, რომლითაც აიკრძალა ადამიანის იდენტური არსების წარმოება. დოკუმენტში ნათქვამია, რომ საზოგადოების მიერ არ შეიძლება გამართლებულ იქნეს ადამიანის კლონირება, რა გინდა რა კეთილშობილური მიზნით არ იყოს იგი შენიღბული, უშვილობის, ემბრიონის დიაგნოსტირების, ტრანსპლანტოლოგიის, თუ ნებისმიერი სახის ექსპერიმენტირების მოტივით”; კლონირები არღვევს ფუნდამენტურ ადამიანურ უფლებებს, ამ

მიმართულებით ბიოტექნოლოგიური წარმოება ეწინააღმდეგება ადამიანთა თანასწორობის პრინციპს. იგი უშვებს კაცობრიობის ევგენიკურ და რასობრივ სელექციას, შეურაცხოფას აყენებს ადამიანის ღირსებას და ადამიანზე ექსპერიმენტირებას საშუალებას იძლევა".

რაც შეეხება რელიგიურ ასპექტს, რელიგიურ მოღვაწეთა მიდგომა კლონირების მიმართ ერთმნიშვნელოვანად უარყოფითია.

კათოლიკური ეკლესია ინსტრუქცია " ონნუმ Vიტაე"(1987) გმობს ადამიანის ხელოვნურ წარმოებას. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ყველა მცდელობა, რომელიც არასექსუალური გზით ადამიანის ხელოვნურ წარმოებას- კლონირება, პარტოგენეზი, ტყუპების განცალკევება ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსებას."

ხოლო დოკუმენტში "განაზრებანი კლონირების შესახებ"(1997) დასაბუთებულია, რომ კლონირება არის რადიკალურად უარყოფითი მანიპულირება როგორც ბიოლოგიურ, ისე პერსონალისტურ ასპექტში იმ საიდუმლო აქტზე, რომელიც საფუძვლად უდევს ბავშვთა შობადობას. კლონირება უმაღლესი ზნეობრივი ღირებულებებისაგან დაცლილი მეცნიერების ნაყოფია. კირღვევა ორი ფუნდამენტური პრინციპი თანასწორობისა და დისკრიმინაციის არ არსებობის პრინციპი.

ქრისტიანული ტრადიციით ადამიანი შექმნილია ღვთის ხატად და მსგავსად. და სწორედ აქაა წყარო ადამიანის ღირსებისა. რა შეიძლება მოყვეს იმ მოცემულობის უარყოფას, რომელიც ასახულია ფორმულაში "ღვთის ხატობა და მსგავსება"? მონობისა და დისკრიმინაციის ახალი და ღრმა ფორმები და სახეები. ამ ვითარების შტამბეჭდავი სურათია დახატული ჯორჯ ორუელის ფანტასტიკაში "1984"და ოლდოს ჰაქსლის რომანში " ეს მშვენიერი, ახალი სამყარო".

ბიოტექნოლოგიების გამოყენების პროცესში, კლარენს ლუისის მახვილგონივრული შენიშვნით, "ადამიანი უქმდება", ხოლო ეს უფლის ნების წინააღმდეგ სვლის ნიშანია.."ღმერთის სიკვდილის დეკლარირებით, იმ იმედით რომ გადაილახება ადამიანი და შეიქმნება ზე ადამიანი, სუპერმენი "ადამიანის სიკვდილამდე" მივდივართ.. ადამიანის, როგორც უფლის ხატის მოცემულობის უარყოფას, თომას ვულფის სიტყვებით, რომ ვთქვათ სულის სიკვდილამდე მივყავართ.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ იმ მწვავე საკითხთა შორის, რომელიც ადამიანის კლონირებას ეხება განსაკუთრებულად გამოიყოფა კლონის პერსონული იდენტობისა და ინდივიდუალობის საკითხი, მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ამ არსების ავტონომიურობის საკითხი. პერსონული იდენტობისა და ინდივიდუალობის დადგენის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს ავტონომიური არსება. სირთულე, ვფიქრობთ,რომ შეიქმნება გადაულახავი სირთულე პიროვნების ინდენტიფიცირების პლანში. ეს სირთულე თავს იჩენს მაშინ, როდესაც კლონირებულ არსების ურთიერთობისას იმ პიროვნებასთან, რომლისგანაც მოხდა მისი კლონირება. გენეტიკურად უნიკალურად მყოფობა ფაქტობრივად ადამიანის დამოუკიდებლობისა და ინდივიდუალობის სიმბოლოა. იგი საშუალებას გვაძლევს წინ ვისწრაფოთ რელატიურად არადეტერმინირებული მომავლისაკენ. კლონირება არღვევს ცალკეული ინდივიდის უფლებას საკუთარ გენეტიკურ იდენტობაზე.

მასთან ისიც უნდა ითქვას ხაზგასმით, რომ ვინ და რა დადგება ჩვენგან არა ოდენ ჩვენს გენეტიკურ აღნაგზეა დამოკიდებული, არამედ უმალ იმ გარემოზე, სადაც ჩვენი პიროვნული ფორმირება ხორციელდება, იმ კომპლექსურსა და წინასწარ დაუგეგმავ კონტექსტზე, რომელშიც ჩვენი ცხოვრების მდინარება მიედინება.

კლონირებით გამოყვანილი ინდივიდები თავისი არსით "დაშორებული" ტყუპები არიან. ავტონომიურობის დაკარგვისა და აღრეული იდენტობის საფრთხის რისკი გენეტიკურად იდენტური წინაპრისგან კლონირებულ ინდივიდებში უფრო მაღალია. კლონი გენეტიკურად იდენტური წინაპრის ჩრდილში გააგრძელებს ცხოვრებას, მას საკუთარი პიროვნული ცხოვრება არ და ვერ ექნება. კლონირებული ინდივიდის პერცეპცია თვითობისა და დამოუკიდებლობის შეგრძნების ლიმიტირებას ახდენს, რასაც ავტონომიურობის რედუცირება მოყვება. ამგვარად, კლონი ვერ იქნება პერსონული თვისებების მატარებალი და ამის გამო შესაძლოა დისკრიმინიციის მსხვერპლი გახდეს. "კლონიზმი" დისკრიმინიაციის ახალი ფორმად შეიძლება მოგვევლინოს.

დაკარგული შვილის იდენტური კლონის მსურველმა მშობლებმა უნდა გაიცნობიერონ, რომ კლონი ვერასდროს ვერ იქნება მათი შვილის აბსოლუტური ასლი.

კლონირების წინაარმდეგ გამოთქმული ერთი ყველაზე უმთავრესი არგუმენტი გახლავთ ის, რომ ბიოტექნოლოგიის ეს სახე ფართო ასპარეზს უშლის ევგენიკურ პრაქტიკებს.

ომის ეთიკა

ომის ეთიკა ადამიანები პრეისტორიული დროიდან ომობენ და პრაქტიკულად ამ ხნიდანვე კამათობენ ომის ავ-კარგიანობაზე. უკანასკნელი 5 ათასი წლის განმავლობაში მსოფლიოში 14,5 ათასი დიდი და პატარა ომი მოხდა. მათი მსვლელობისას დაიღუპა, განადგურდა ეპიდემიებითა და შიმშილით დაიხოცა 3,6 მილიარდი ადამიანი. ისტორიული ცნობების თანახმად, კაცობრიობის ისტორიის 6 საუკუნის მანძილზე, ადამიანებმა მხოლოდ 300 წელი იცხოვრეს ომების გარეშე. ცნობისათვის: ყველაზე მოკლე ომი ბრიტანეთსა და ზანზიბარს შორის მიმდინარეობდა 38 წუთის განმავლობაში, ყველაზე გრძელი 116 წელი ე.წ. ას წლიანი ომი გრძელდებოდა. ომის ეთიკა უნდა დავიწყოთ ერთმნიშვნელოვანი დაშვებით, რომ ომი ცუდია და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ იგი თავიდან იქნეს აცილებული. თუმცა, იმავდროულად, ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ არსებობს გადაწყვეტილებები, რომელთა მიღება მეტი ბოროტების მომტანია, ვიდრე ომი. ომი ცუდია, იმიტომაც, რომ იგი იწვევს ადამიანთა განზრახულ მოკვდინებასა და დასახიჩრებას. ეს კი ფუნდამენტური ბოროტებაა მსხვერპლთა ადამიანური უფლებების გათელვა. ომის ეთიკის მიზანია ხელი შეუწყოს სწორი, მართებული გადაწყვეტილების მოძიებას, როგორც : ინდივიდუალურ, ისე სახელმწიფოთა დონეზე. ომის ეთიკა ხელს უწყობს ომის ფორმალური კოდექსების (ჰააგისა და ჟენევის ხელშეკრულება) შექმნას. ასევე სამხედრო მოქმედებების მსვლელობაში სამხედროთა ქცევის წესების შექმნასა და იმპლიმენტაციას. არსებობს თვალსაზრისი, რომელიც ამტკიცებს, რომ კაცობრიობას აქვს განვითარების ბოლოვადი მიზანი და პროგრამა. იგი ერთიანი ქმნილებაა და მხოლოდ რეალობის სუბიექტური აღქმით, საკუთარი „მეს“ წყალობითაა დანაწევრებული. ომი, როგორც ერთი (შინაგანი) თვისებების დაპირისპირება მეორეს მიმართ ადამიანის ბუნებაშია თაურ ჩანერგილი – ესაა ერთადერთობის განცდა, ინდივიდუალიზმი, ანუ „ეგოიზმი“. ჩვენი ეგოიზმი დღითდღე იზრდება და მოითხოვს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. იმის გამო რომ, კაცობრიობა ვერ ფლობს გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მართვის მეთოდოლოგიას, იგი

პერიოდულად ომის მდგომარეობაში ვარდება. ყოველ ომს შედეგად მოსდევს ღირებულებათა გადაფასების მტკივნეული პერიოდი. როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება ომისადმი? რამდენადაა ზნეობრივად გამართლბული პიროვნების სიცოცხლის ხელყოფა მთავრობის ბრძანების გამო? არსებობს სამი საკვანძო მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში: რამდენად სწორეა ომში მონაწილეობის მიღება, საერთოდ? როდის არის სწორი ომის წარმოება/კონფლიქტში ჩართვა? სადაა ომის წარმოების ზნეობრივი გზა? შესაბამისად არსებობს სამი ძირითადი პოზიცია: აქტივიზმი, პაციფიზმი და სელექტივიზმი. აქტივიზმი აქტივიზმის თვალსაზრისით მთავრობის მიერ გაწვეულის ომში მონაწილეობა მართებულია. ამ პოზიციის დამცველია პლატონი, მის დიალოგში „კრიტონი“ მოცემულია არგუმენტები, რომელთა მიხედვით ხელისუფლებისა და პიროვნების ურთიერთობის დარეგულირება ხელისუფლების ნების პრიმატით უნდა გადა წყდეს. უფრო დიდი ბოროტებაა არ დაემორჩილო მთავრობას, ვიდრე ომში მიიღო მონაწილეობა, რადგან დაუმორჩილებლობას ანარქიასა და რევოლუციამდე მივყავართ, რაც გაცილებით დიდი ბოროტებაა ვიდრე ომი. პაციფიზმი ამ პოზიციის მომხრეები თვლიან, რომ ნებისმიერი ომი არაზნეობრივია, მასში მონაწილეობის მიღება ამორალურია. ომი ყოველთვის ბოროტებაა. მას თან სდევს ყველანაირი ბოროტება: შიმშილი, ავადმყოფობა, გაპარტახება, ინფრასტრუქტურის მოშლა, განადგურება, უბედურება, სისასტიკე, ძალადობა, სიკვდილი. შეუძლებელია გაიზომოს ის მწუხარება, ტკივილი, საშინელება, რომელიც ომს თან სდევს. ომის არსში ძევს ისეთი ვნება, როგორიცაა სიხარბე. პლატონი „სახელმწიფოში“ მიუთითებს, რომ ომის საფუძველი ყოველთვის ფუფუნების სურვილი იყო. „ყველა ომი ფულის გულისთვის წარმოებს“. ომი ბადებს ომს. მრავალი ომი სინამდვილეში არც არასდროს დასრულდება, ისინი უბრალოდ დროებით ჩაწყნარდება, ე.წ. „ცივ“ ომში გადაზრდის გზით, ხოლო ცივ ომებს აქვთ მიდრეკილება ცხელ ომებში გადაზრდისა. ნაწილობრივი ომები კი სრულმასშტაბიან ომებად გადაქცევას ლამობენ. ომი აღძრავს შურისგების სულს და ხსნის უფრო მეტი კონფლიქტის შესაძლებლობას. პაციფისტური მოძრაობა საყოველთაოა. მისი ლოზუნგებია: „მიეცი შანსი მშვიდობას“, „შექმენი სიყვარული და არა ომი“, „მოიშორე ბომბი“. ომი ანტისოციალური მოვლენაა, შეუთავსებელია კაცობრიობისათვის, ეწინააღმდეგება ჰუმანიზმის პრინციპებს. სელექტივიზმი სელექტივიზმის მომხრეები ფიქრობენ, რომ არსებობს სამართლიანი ომები (ელლუმ იუსტუმ, რომელშიც მონაწილეობა მორალური ვალდებულებაა მოქალაქისათვის. ამ პოზიციას ხანგრძლივი ისტორია აქვს ანტიკური ფილოსოფიიდან დაწყებული

(ციცერონი), შუა საუკუნეების (ნეტ. ავგუსტინე, თომა აქვინელი, ამბროზიუსი), ახალი დროის ფილოსოფიისა (ჯონ ლოკი, სემუელ პაფენდორფი, იმანუილ კანტი) ვიდრე უახლესი დროის ფილოსოფიის ჩათვლით (პაულ ტილიხი, რეინოლდ და რიჩარდ ნებურები, ჯონ როულზი, მაიკლ ნოვაკი, ჯეკ მაკმაჰანი, ბრაიან ორენდი და სხვ.). რა არის სამართლიანი ომის კრიტერიუმი? ვინ ადგენს ამ კრიტერიუმს? სელექტივიზმის მიხედვით ეს კრიტერიუმებია: უდანაშაულოთა დასაცავად წარმოებული ომები აგრესორის წინააღმდეგ წარმოებული ომი სამართლიანობის აღმსრულებელი ომები სახელმწიფო, რომელიც იწყებს ომს არის აგრესორი. გაერთიანებული ერების დეფინიცია უფრო ავიწროვებს ამგვარ გაგებას, და აგრესორს უწოდებს სახელმწიფოს, რომელმაც პირველმა გამოიყენა შეიარაღებული ძალა. ეს დეფინიცია გვაყენებს პრობლემის წინაშე; გამოდის, რომ თუ ქვეყანა ავლენს „აგრესიულ აქტივობას“ საომარი ძალის გამოყენების გარეშე, ხოლო ქვეყანა, რომლის მიმართაც გამოიყენება აქტივობა საპასუხოდ შეიარაღებულ ძალებს გამოიყენებს, იგი იწოდება აგრესორად და საერთაშორისო კანონმდებლობასთან მიმართებაში აღმოჩნდება არალეგიტიმური; მაგრამ მორალურად მისი ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც მართებული. ამ ტიპის ქმედებას თავდაცვით დარტყმას უწოდებენ ე.წ. ექვს დღიანი ომი ამის მაგალითია. 1967 წელს ისრაელი იძულებული გახდა პირველს გამოეყენებინა სამხედრო ძალა ეგვიპტის წინააღმდეგ. ისრაელი გამოჩნდა აგრესორად, მაგრამ მორალურად ეს არ იყო მართებული შეფასება. რადგანაც ეს მოქმედება პროვოცირებული იყო ეგვიპტეს მიერ ისრაელის წინააღმდეგ წარმოებული შემდეგი აქციებით: მან გამოაცხადა ისრაელის მიმართ სამტრო პოლიტიკა, მიუახლოვა და გააძლიერა სამხედრო ძალები საზღვართან, დახურულად გამოაცხადა ტირანის სრუტეებში შესვლა ისრაელის გემებისათვის, ერაყთან, იორდანიასა და სირიასთან გააფორმა ურთიერთდახმარების ხელშეკრულებები. ექსპერტი ეთიკის საკითხებში მაიკლ უოლზერი გვთავაზობს თავდაცვითი დარტყმის გამამართლებელ ვითარებებს: ზიანის მიყენების ცხადი განზრახულობა აქტიური მზადება, რომელიც განზრახულობას აქცევს პოზიტიურ საფრთხედ. სიტუაცია, რომელშიც ბრძოლის გადადება დამარცხების რისკს გაცილებით უფრო მაღალა სწევს. გაერო ადგენს, რომ აგრესიული მიზნით წარმოებული ომი საერთაშორისო მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. იგი სახელმწიფოს სუვერენობის, ტერიტორიული ინტეგრაციისა და პოლიტიკური დამოუკიდებლოს წინააღმდეგ მიმართული შეირაღებული ძალის გამოყენებას გულისხმობს. აგრესია საერთაშორისო პასუხისმგებლობას მოითხოვს. ვერც პოლიტიკური, სამხედრო,

ეკონომიკური, ან ნებისმიერი სხვა მოტივი გამოდგება აგრესიის დასასაბუთებლად. ომი და დანაშაული ომში ჩადენილ დანაშაულებათა კონცეფციის გულისგულში ძევს იდეა, რომ ინდივიდებს კრიმინალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქვეყნის, ან მისი ჯარისკაცების მოქმედებების გამო. ომში ჩადენილი დანაშაულებები და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებები საერთაშორისო სამართლის უმძიმეს დანაშაულებებს შორისაა. ისინი იმდენად სერიოზულ დანაშაულებებადაა მიჩნეული, რომ დროის ლიმიტაციის ფაქტორი აქ არ მუშაობს. დამნაშავე მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაიდინა დანაშაული, უმკაცრესად ისჯება. ომში ჩადენილი დანაშაულების ცნება მეორე მსოფლიო ომამდე არ არსებობდა. მიჩნეული იყო, რომ ომის საშინელებები ომის ბუნების ნაწილია და ამის დასადასტურებლად სახელდებოდა კაცობრიობის ისტორიაში ანტიკური საბერძნეთისა და რომის პერიოდიდან მოყოლებული უამრავი მაგალითი . მეოცე საუკუნის არმიის ჯარისკაცები ხშირად მხეცურად ექცეოდნენ მოწინააღმდეგის მეომრებს და მშვიდობიან მოსახლეობას. ხოლო სასჯელი დამოკიდებული იყო იმაზე თუ ვინ იყო მოგებული ომში. მეთაურებისა და პოლიტიკოსების ბედი წყდებოდა იმის მიხედვით თუ რომელ მხარეს წარმოადგენდნენ ისინი; ჩვეულებრივ, გამარჯვებულთ არ სჯიდნენ, დამარცხებულებს ელოდათ ან საპატიმრო, ან სასიკვდილო განაჩენი. დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა მეორე მსოფლიოომის მსვლელობისას, გერმანელი ნაცისტების მიერ მილიონობით ადამიანის მასობრივად განადგურების ფაქტებმა, და იაპონელთა მხარიდან მშვიდობიან მაცხოვრებელთა და ტყვეთა მიმართ განსაკუთრებული სისასტიკის გამოყენებამ, უკარნახა გაერთიანებულ ძალებს გადამწყვეტი ნაბიჯები გადაედგათ დანაშაულებების აღსაკვეთად. საერთაშორისო ტრიბუნალად წოდებული სასამართლო პროცესები იქცა მთავარი პრეცენდენტად მეოცე საუკუნის ომებში ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ. ომში გამარჯვებული ერი იშვიათად ასამართლებს საკუთარ ჯარისკაცებს. ჩვეულებრივ ამგავრია გამარჯვებულთა სამართალი. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია ამერიკელთა მიერ საკუთარი იმ ჯარისკაცების გასამართლება, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ვიეტნამისა და ავღანეთის ომებში. ასევე, ყოფილ იუგოსლავიის ტერირორიაზე არსებულ კონფლიქტთან დაკავშირებული სასამართლოები, მნიშვნელოვანი გამონაკლისებია ამ ტრადიციიდან. რა ტიპის აქტები მიიჩნევა დანაშაულებად? ომში ჩადენილ დანაშაულებები განსაზღვრულია ჟენევის ხელშეკრულების, ნიურბერგის ტრიბუნელის პრეცენდენტების, ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ. ომში ჩადენილ დანაშაულებები იყოფა ოთხ ჯგუფად:

აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება, ინიციაცია, მუქარა, საერთაშორისო მოლაპარაკებების, ხელშეკრულებების, გრანტიების დარღვევა.

ზემოთთქმულის განხორციელების გეგმაში მონაწილეობის მიღება ომში ჩადენილ დანაშაულებები მოიცავს

ადამიანთა, ან საკუთრების მიმართ ჩადენილი მცეცური ქმედებებს

ოკუპირებული ტერიტორიიდან მშვიდობიანი მოსახლეობის დეპორტაციას, დამონებას და შრომის გამოყენებას, განადგურებას, ტანჯვას.

ტყვეთა მკვლელობასა და ტანჯვას.

მძევლების მკვლელობას

არაადამიანურ მოპყრობას, წამებას, ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარებას.

საზოგადოებრივი და კერძო საკუთრების ძარცვას

ქალაქების, დაბებისა და სოფლების უაზრო ნგრევა-გაპარტახება

სამხედრო მოქმედებებით გაუმართლებელი აოხრება.

ომიამდე, ან ომის მსვლელობისას ჩადენილი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები მოიცავს:

მკვლელობას

გაჟლეტას

დამონებას

დეპორტაციას

მასობრივ სისტემურ გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობას

სხვა არაჰუმანურ ქმედებებს პოლიტიკური, რასობრივ-ეთნიკური, რელიგიური ნიშნით დევნას. ამ ტიპის დანაშაულთა მიმართ მორალური და კრიმინალური ტიპის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საერთო გეგმის და ყველა ზემოთ აღნიშნული დანაშაულის აღმსრულებელ ლიდერს, ორგანიზატორს, წამქეზებელსა და უშუალო აღმსრულებელს, ყველას ვინც ამ გეგმის აღსრულებაში იყო ჩართული. ის ფაქტი, რომ პიროვნება, საკუთარი ხელისუფლების, ან ზემდგომის მიერ გაცემულ განკარგულებებსა და ბრძანებებს ასრულებდა, არ ანთავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან. თუმცა სასჯელის გამოტანისას შესაძლებელია მიღებულ იქნეს მხედველობაში. (დაწვრილებით იხ. გაეროს ვებ გვერდი, კერძოდ, რომისი აქტის მე-7 და მე-8 მუხლები). გენოციდი ტერმინი „გენოციდი“ პირველად 1943 წელს ებრაული წარმოშობის პოლონელი იურისტის რაფაელ ლემკინის მიერ იქნა გამოყენებული. მან დააკავშირა და გააერთიანა ორი სიტყვა ბერძნული „გენოს“ (რასა, ტომი) და ლათინური „ციდე“ (მოკვლა). ტერმინით აღინიშნა ის ქმედებები, რომელის მოწმე თავად გახდა, იგულისხმება ჰოლოკოსტის საშინელებები, რასაც ადგილი ქონდა მის მშობლიურ ქალაქში, სადაც ეთნიკური ნიშნით განადგურდა ყველა ებრაელი. დოქტორი ლემკინი სათავაში ჩაუდგა მოძრაობას, რომ გენოციდი აღიარებულ ყოფილიყო როგორც საერთაშორისო სამართლის დანაშაული. მისი ძალის ხმევით გენოციდის შესახებ კონვენცია 1948 წელს გაერომ მიიღო. გენოციდი მიჩნეულია კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ ყველაზე უმძიმეს დანაშაულად. იგი ნიშნავს ნაციონალური, ეთნიკური, რასობრივი, ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი, ან ნაწილობრივი განადგურების წინასწარგანზრახულ მცდელობას. კერძოდ, იგი გულისხმობს:

ჯგუფის წევრების განადგურებას

სერიოზული სხეულებრივი ან/და მენტალური დაზიანების მიყენებას

ჯგუფის წევრებისათვის, შეგნებულად და მიზანმიმართულად ცხოვრების პირობების გაუარესებას იმ ხარისხით, რომ ამას ჯგუფის ფიზიკური განადგურება მოყვეს.

ჯგუფის შიგნით შობადობის პრევენციისათვის ხელშეწყობა

ჯგუფის ბავშვების ძალადობრივი გასხვისება. ინდივიდების, როგორც მსხვერპლთა შერჩევა ხდება უბრალოდ და მარტივად, არა იმის გამო, რომ მათ

რამე დანაშაული ჩაიდინეს, არამედ ექსკლუზიურად მხოლოდ იმიტომ, რომ სამიზნე ჯგუფის წევრები არიან. გენოციდი საერთაშორისო კანონმდებლობით მიჩნეულია დანაშაულად, მაშინაც და იქაც სადაც იგი არ არის აღიარებული დანაშაულად. ზოგი ექსპერტი გენოციდის ამგვარ დეფინიციას ძალიან დავიწროვებულად მიიჩნევს. ისინი თვლიან, რომ დეფინიცია მაგალითად, მასობრივი მკვლელობებს არ მოიცავს. ასევე ნაკლად სახელდება პოლიტიკური და სოციალურ სამიზნე ჯგუფების, როგორიცაა მაგალითად, საშუალო კლასი, კულაკობა, ინტილიგენცია, არ არსებობა. დეფინიცია არაფერს ამბობს გარემოში კულტურული იდენიფიკაციის ფაქტების განადგურებაზე, მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ ქართული რელიგიური საკულტო ნაგებობების განადგურება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე ბუნდოვანია რა რაოდენობის ამოწყვეტაა აუცილებელი, რომ ქმედება ჩაითვალოს გენოციდად. მოკლედ უნდა შევეხოთ წმინდა ომების საკითხს. თანამედროვე ადამიანებისათვის წმინდა ომის იდეა წინააღმდეგობრივია. ათასობით ადამიანის სიცოცხლისა და საცხოვრისის განადგურება შორსაა სიწმინდის ცნებისაგან. მაგრამ რელიგია და ომი დიდი ხნის განმავლობაში ხელისხელ ჩაკიდებულნი მოდიან. არმიები მიეშურებოდნენ საბრძოლველად, ღმერთისათვის. საომარი მოქმედებების წინ აღავლენდნენ ლოცვებს და იხდიდნენ პარაკლისებს. ქრისტიანამდელ კულტურებში ომში დამარცხებულებს გამარჯვებულთა ღმერთებისათვის უნდა მიეგოთ პატივი. ღმერთის ჩართვა საომარ კომპანიაში, ომს წმინდა ომად არ აქცევს. ეს ხდება მაშინ, როდესაც რელიგია იქცევა მამოძრავებელ ძალად. წმინდა ომი ჩვეულებრივ სამ ელემენტს მოიცავს: რელიგიური მიზნის მიღწევა სანქციონირებას რელიგიური ლიდერის მიერ მონაწილეთათვის სულიერი ჯილდოს აღქმა. 244 რელიგიური მოტივის სახელით წარმოებული ომების უმრავლესობა ამართლებენ სამართლიანი ომის პირობებს, მაგრამ ყველა არა. ფრანსის ბეკონი ასახელებს წმინდა ომების წარმოების ხუთ მიზეზს. იგი გულისხმობს ქრისტიანულ კონტექსტს, მაგრამ კატეგორიები ნებისმიერი კონფესიისათვის არის მისაღები. ეს მიზეზებია: 1. სარწმუნოების გავრცელება 2. იმ ქვეყნების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მობრუნება, რომელნიც ქრისტეს რჯულს აღიარებდნენ, მაგრამ მოცემულ მომენტში იქ ქრისტიანები აღარ არიან. 3. ქრისტიანების დაცვა, იმ ქრისტიანულ ქვეყნებში, სადაც მათ ჩაგრავენ დამპყრობლები. 4. იმ კურთხეული ადგილების მობრუნება და განწმენდა, რომლებიც დაცემული და გარყვნილ იქნენ. 5. შურისგება ქრისტიანების განადგურების, სისასტიკის, აბუჩად აგდებისა და ზოგადად ღვთისმგმობელი აქტების გამო. ბეკონის მიერ შემოთავაზებული მიზეზები მთლიანობაში

სამართლიანობის იდეის გარეთ დგანან. ლეგიტიმურ ავტორიტეტს წმინდა ომისათვის, თეოკრატული მმართველობის შემთხვევის გარდა, არც მთავრობა, არც სახელმწიფო არ წარმოადგენს. ასეთად გვევლინება ეკლესია, ან რელევანტური ორგანიზაცია, ან პიროვნება, ვინც რელიგიურ ინსტიტუციას მართავს. წმინდა ომის მესამე პირობად შესაძლოა ჩაითვალოს მონაწილეთათვის სულიერი პლანის ჯილდოს მოპოვების სურვილი. სამართლიანი ომის დოქტრინა 245 მონაწილეთათვის პერსონული ჯილდოების გაცემას არ განიხილავს. ამგვარი ჯილდო ზოგადად ასკეტური, მკაცრი დოქტრინის საწინააღმდეგო იქნებოდა. მოკლე ისტორიული ექსკურსი სავარაუდოა, რომ პირველი წმინდა ომი 312 წლის ოქტომბერში რომაელმა იმპერატორმა კონსტანტინემ აწარმოა. შერკინებამდე მას ქონდა ხილვა ცაზე გამოისახა ჯვარი წარწერით „ინ ჰოც სიგნო ვინცეს“ ამ ნიშნით მოიგებ! კონსტანტინემ ირწმუნა გამოცხადება და უბრძანა მეომრებს საჭურველზე ჯვარი გამოესახათ. მიუხედავად მცირერიცხოვნებისა კონსტანტინეს არმიამ შესძლო დაემარცხებინა წარმართთა ლაშქარი. ისტორიკოსები ამ ბრძოლას ქრისტიანობისათვის შემოსაბრუნებელ პუნქტად თვლიან. ჯვაროსნული ომები დასავლური წმინდა ომების უდიდესი სერია ჯვაროსნული ომების სახელითაა ცნობილი. იგი დაახლოებით ორი საუკუნის მანძილზე 1095-1291 წლებში მიმდინარეობდა. ამ ომების მიზანი იყო წმინდა მიწის გათავისუფლება იქ მაცხოვრებელი მუსლიმანებისაგან. შუა საუკუნეების მორალით ეს ომი მიიჩნეოდა კარგ, სწორ ომად, რადგანაც იგი მიმართული იყო მათ წინააღმდეგ, ვინც ქრისტიანებს ცუდი გაუკეთა. ცნობილია, რომ პირველი ჯვაროსნული ომის მოწოდება პაპ ურბან II-ს ეკუთვნის. იგი დაპირდა ყველას, ვინც მონაწილეობას მიიღებდა

წასაკითხად და სასემინარო მეცადინეობაზე სამსჯელოდ გეძლევათ კითხვები და

დავალება

1. „სუროგატული დედობა“-ჰო, თუ არა? დაიყავით ორ ჯგუფად და ეცადეთ წარმოადგინოთ არგუმენტირებული პოზიცია, დაასაბუთეთ თქვენი თვალსაზრსი.
2. პლატონი „სახელმწიფოში“ მიუთითებს, რომ ომის საფუძველი ყოველთვის ფუფუნების სურვილია. იზირებთ ამ მოსაზრებას? დაასაბუთეთ.
3. რას მოიცავს ომიამდე, ან ომის მსვლელობისას ჩადენილი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები?

მატირცა ეს არის კომპიუტერი/პროგრამა, ვირტუალური რეალობა, რომელიც აჯერებს ადამიანს იმ რეალობას, რომელიც თვითონვე შექმნა. ამ რეალობაში ადამინები ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობებ. თუმცა ეს ყველაფერი ყალბია, გემო, სუნი, შეხება, ის რაც ირგვლივაა და ყველა ხედავს, პროგრამის ნაწილია. ერთადერთი რაც რეალურია არის ადამიანის ემოციები და გრძნობები. სინამდვილეში კი უკვე 22-ე საუკუნეა და დედამიწა განადგურებულია, ყველაფერს რობოტები მართავენ და ადამიანებს როგორც ბოსტნეულს ისე ზრდიან დიდ მექანიკურ ველებზე. ამ ჩანასახებს შემდეგ კაფსულებში ათავსებენ და ისინი იზრდებიან ამ კაფსულებში, ერთგვარ კომაში არიან და მათი მთელი ცხოვრება გადის მატრიცის მიერ შექმნილ რეალობაში, ანუ იგივე მატრიცაში. არის მთავარი პერსონაჟი ნეო, რომელიც არის „გამორჩეული“ და მან უნდა გადაარჩინოს დედამიწა და ხალხი გაათავისუფლოსს მუდმივი კომისგან. მორფიუსი ტრინიტი და სხვებიც არიან კაფსულაში გაზრდილი ადაიმანები, რომლებიც შეძლეს გათავისუფლება და ახლა მათი რეალობიდან, ახერხებენ მატრიცაში მოხვედრას, იმ სიმულაციაში სადაც ნეო ცხოვრობს.
ნეოს და მორფიუსის პირველი შეხვედრის დროს, მორფიუსი ებუნება, რომ ყველაფერს რასაც ხედავს არის მატრიცა, ანუ ამით იმას ანიშნებს, რომ რეალობაში, რომელშიც მან ცხოვრობს არის ვირტუალური. მორფიუსი ნეოს ეუბნება, რომ ის არის მონა, დაბადებული ბორკილებში, ციხეში რომელსაც ვერ იგრძნობ და ვერ შეეხები(იგლუსიხმება კაფსულა) გონების სარდაფში. შემდეგ სთავაზობს ორ ტაბლეტს, ლურჯს და წითელს. ლურჯი მას დააბრუნებს იმ რეალობაში, რომელშიც მთელი ცხოვრება გაატარა და თავის ცხოვრებას ისე გააგრძელებს ვითომც არაფერი მომხდარა, ხოლო წითელი გამოაღვიძებდა და აჩვენებდა ჭეშმარიტ რეალობას. ეს არჩევანი სიმბოლურად არის ერთგვარი გამოცდა, რომელიც აჩვენებს არის თუ არა ნეო ნამდვილად გამორჩეული. არჩევნის გაკეთების შემდეგ ნეო ახლანდელ განადგურებულ რეალობაში იღვიძებს. ერთ-ერთ სცენაში, როდესაც ნეო პირველად მივა პიფისთან არის ბავშვი რომელიც ეუბნება, რომ მან არ ეცადოს დაღუნოს კოვზი, რომ ეს შეუძლებელია, რამდენადაც პირველ რიგში მან ის უნდა გააცნობიეროს, რომ კოვზი არ არსებობს. ამით ხაზი ესმება იმას, რომ მატრიცაში შესაძლებელია აკეთო ის რაც მოგესურვება, შეგიძლია მატრიცაში ცვლილებების შეტანა.
ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სცენა არის, როდესაც სმიტი და მორფიუსი საუბრობენმ სადაც სმიტი ამბობს: ადამიანები სახლდებიან ერთ ტერიტორიაზე და იქ მრავლდებიან, სანამ რესურსებს არ ამოწურავენ. ანუ ადამიანები ანადგურებენ პლანეტას.

ნახეთ ფილმი „მატრიცა“ და იმსჯელეთ: რისთვის ზრდიან რობოტები ახალ ადამიანებს ? თუ ისინი მაინც განაგრძნობენ დედამიწის განადგურებას, რატომ უბრალოდ არ ამოწყვეტენ თითეულ მათგანს ?